

114  
1949

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღვაო  
საზღვაო

# მედიცინა

10

მედიცინა



1949

# გნათობი

საქალაქ-საქართველოს საბჭოთა მწიგნობის  
კავშირის უკველთვიური სალიბრაბურო  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
უბანალი

წელიწადი ოცდაშვიტსა

10

ოქტომბერი

★



19

სახელგაში  
თბილისი

49



135737

4573



# მეწაენი ღილი

მოთხრობა



## ნაწილი პირველი

მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ეცნობ  
და შევე მივყარს ჩემი წუხილი...

ილია კავთავაძე

რა დაემართა ამ ბიჭს? სამი თვეა აქ არის და მოყვდლის  
დანახვას ვერ შეეჩვია?

— ქალის სიკვდილი მაინც სხვა არის, ძმაო!

ყურმოკრულ საუბრიდან

ვისაც შემოდგომის დამდეგს, ტამა-  
ნის განთავისუფლების წინაღობებში,  
სოფელ უტამზე გზად გაუვლია, უთუ-  
ოდ ახსოვს ხანში შესული, დათალხუ-  
ლი ქალი, რომელიც გზისპირა ჩრდი-  
ლებში დასასვენებლად მიყრილ ჯა-  
რისკაცებს მუდამ ერთსა და იმავეს  
ეკითხებოდა: „ქართველი თუ ხარო  
ვინმე, შეილო?“

და როდესაც ქართველს მონახავდა,  
ნალვლიანად გაუღივებდა და ხმადაბ-  
ლა ეტყოდა:

— ნუ დაიზარებ, შეილო, უბედურ  
დედისთვის ათიოდე ნაბიჯის გადაღგ-  
მას...

ბრძოლაში მიმავალ ჯარისკაცს ძვი-  
რად უღირდა დასასვენებლად გადა-  
ღებული ყოველი წუთი, მაგრამ იმდე-  
ნი სევდა ჩაქცეულიყო ამ ქალის თვა-  
ლებში, ხმაში, მკაცრად მოკუმულ ტუ-  
ჩებში, რომ მისი გაწბილება ყველას  
ემნებებოდა.

სწრაფად შეუძლებოდა ქალი გუ-

მანდაკარგულ ჯარისკაცს ერთს რომე-  
ლიდაც დარბეულ კარმიდამოში; ჩაუე-  
ლიდნენ კარფანჯრებ შემოშვარ ქვიტ-  
კირის შენობას, გვიშვებ დანახშირებულ  
ოწინარს, შეტრუსულ ქლიავნარს და  
ეზოს ბოლოში გავიდოდნენ, სადაც  
სხტეზე გაბარდნილ ასკილის ბუჩქებს  
ცეცხლი ვერ მისწვდომოდა.

მხოლოდ კვარტლი შეფრქვევოდა  
პირისფერ ყვავილებს, კვარტლი დას-  
დებოდა საფლავის ბორცვაზე შემოე-  
ლებულ თეთრი კენჭების არშიას. ამ  
საფლავთან შესდგებოდა მოხუცი ქალი.

გახედავდა ხის ჯვარზე გაკრულ სუ-  
რათს და უცრემლოდ იტყოდა:

— ყველა ქართველმა მინდა შეიტ-  
ყოს ჩემი შეილის კარგი ქალობა. ქაჯ-  
თან ნაწოლი დედაკაცის ნაშიერმა მო-  
მიკლა ჩემი სიცოცხლე! შენ ბრძოლა-  
ში მიდიხარ, შეილო. ერთს ტყვიას  
ამისი სახელი დაარქვი!

ერთხელ მეც მოვხვდი ამ საფლავთან  
და მაშინ გავიგე, ასე რად ეწადა იმ

უბედურ დედას, რომ ყველა ქართ-  
ველს მისი ქალის კარგი ქალობა  
შეეტყო.

### თავი პირველი

ომის დაბლანდულმა გზებმა პირვე-  
ლად ყუბანში შემახვედრეს ლადო ვა-  
შალომიძე.

ახალმოსულთა მისაღებად გამგზავ-  
ნეს ერთხელ.

სამასი კაცი, უმრავლესად ქართვე-  
ლები, კაბარდინკის უღელტეხილზე  
გადმოსულიყვნენ წინა-ღამეს და ეხლა  
ხანგრძლივი, დამღლევი ლაშქრობის  
შემდეგ სოფელ კურჩანკაში ისვენებ-  
დნენ.

ვიდრე დანიშნულ ადგილს მივალწე-  
დი, გადარეულმა „ვილისმა“ დიდხანს  
მატრიალა მტერიან ველზე უგზო-  
უკვლოდ.

ამ დასაქცევში თითქმის ყველა სო-  
ფელს კურჩანკას ეძახდნენ. ზემო  
კურჩანკა, ქვემო კურჩანკა, ახალი,  
ძველი, დიდი... იყო კიდევ მთიანი კურ-  
ჩანკა, (ცერისოდენა გორაკზე წამოსკუ-  
პებული სოფელი) მაგრამ ქართველი  
ჯარისკაცები არსად სჩანდნენ.

ბოლოს გზის მანვევებელმა ქალმა  
გვითხრა, ერთი კურჩანკაც აგერ იმ  
ლელიანის გადაღმა უნდა იყო...!

შუადღე იქნებოდა, როდესაც მანქა-  
ნამ ქაობიან ლელიანს შემოურბინა  
და მეშვიდე კურჩანკაში შეიჭრა.

მასხოვს, ბაღებში შებუდრული თეთ-  
რი სახლები, ქილის სახურავებზე და-  
გორებული ფერად-ფერადი კვანძები,  
არტეზიულ ქასთან დახვავებული კას-  
რები და კარდალები. ბებერი, ფეხმოშ-  
ლილი ცხენი ძლივს აბრუნებდა ხის  
ვეება ბორბალს.

— სერაფიმონ, — ჰყვიროდა გვიშე  
შემდგარი ჯარისკაცი: — გამოეხსნათ  
ეს საზღლე, ესა, და ჩვენ დავაბრუნოთ  
ბორბალი. ამ ჯანრიკას თუ ვუყურეთ,  
დავიხოცებით წყურვილით!

სოფელში ზურგის ნაწილებიც იდგ-  
ნენ. მათი გამოხუნებულე — ზღუდრე  
მკაფიოდ გამოირჩეოდა ახალმოსულთა  
ტანსაცმელში.

დამხედურნი ნადავლ სიგარეტებს  
სთავაზობდნენ ახალბედა ჯარისკაცებს  
და თანასოფლელებს ეძებდნენ.

მერე საღმე ჩეროში მყუდროდ დას-  
დებოდნენ და ხმადაბლა მუსიათობ-  
დნენ.

— ლომები მოვიყვანე! — გახარებუ-  
ლი მომვარდა კაპიტანი გელოვანი.  
იგი გელენჯიკიდან მოჰყვებოდა ეშე-  
ლონს: — ხანში შესულები მაფიქრებ-  
დნენ ცოტა, მაგრამ ისე გადმოალაგეს.  
უღელტეხილზე, გველებიც დამიჩაგ-  
რეს. კაცი არავინ ჩამომჩინენია გზაში.  
რა გქნათ ახლა, ჯერ ვისადილოთ თუ  
საუბარი ჩავატაროთ?

— ჯერ გაპარსვა და გასუფთავება-  
მინდა. ხედავ, როგორ გავიგანგლე  
თქვენს ძებნაში!

— აგერ ჩვენი სადალაქო. მანდ მო-  
მიცადე. ხალხს გაეადრთილებ, სკოლის  
ენოში მოეწყონ და ეხლავე გამო-  
გივლი.

ქობის პატარა საჩეხში გამართული  
სადალაქო სავეს დამიხვდა.

თავიდეღა უღვაშებაწყებულ ჯა-  
რისკაც-დალაქს სამართებლები, რო-  
გორც მასრები, გულჯიბეში ჩაეწყო.  
და მხიარულად ყბედობდა:

— ისე გაგპარსოთ, ბიჭებო, რომა.  
გაპარსვა კი-არა, სიამოვნება რამე  
იყოს. ომის შემდეგ ჭუყველა ჩემი  
მუშტრები უნდა გახდეთ. სეროჯი-  
პარიგმახერი იკითხეთ კირკის კუთ-  
ხეში..

ჯარისკაცებმა რიგი დამითმეს.  
გავიპარსე. ტანსაცმელიც გავიწმინ-  
დე: ხელპირი დავიბანე.

ჩრდილში ფარაჯა დაეაგე და წა-  
მოეწეკი.

შუადღის მზეზე გარინდებულ სო-  
ფელში ყრუდ მოისმოდა ზარბაზნების  
სროლა.



ლობის ძირებში მიყრილი ჯარისკაცები თავმოქმედებული ხერხნადნენ.

ზოგს უკვე მოესწრო გამოძინება და ეხლა ვინ წერილს სწერდა, ვინ საბარგო ჩანთაში ფათურობდა უსაქმობისაგან. რაღაცეებს იღებდა, ხელში ატრიალებდა, სინჯავდა, თითქოს პირველად ხედავდა, და ისევ ჩანთაში ალავებდა.

— ღვინისა რა მოგახსენო! არ დამიღვეო და ვერაფერს ვიტყვი. მაჰარი კი მშვენიერად სკოდნია აქაურ ყურძენს, — ჩამილაპარაკა ანაზღვეულად შორიახლო მხარეთმცოდნე წამოწოლილმა ჯარისკაცმა.

კარგახნის გაუპარსავ წვერულვას მანც ვერ დაეჩრდილა მისი ვაჟკაცური სილაშაზე. ჩასხმული კაცი სჩანდა. ჩაივრული.

თვალში მომხვდა მისი არწივისებრი ცხვირი, მალღა აზიდული მარცხენა წარბი და... საოცრად თვინიერი, წრფელი თვლები.

გულისმომგები გარეგნობა ჰქონდა.

არა მარტო გარეგნობა, რაღაც კარგი და კეთილი მაგრძნობინა მისმა სანდომიანმა გამოხედვამ, ტბილმა, ღულუნა ხმამ, და მეც უმაღლეს სიტყვა ჩამოვართვი:

— მაჰარი საიდან, კაცო?

— გუშინ გზაში შოფრებმა დავგაღვეინეს. კასრებში დაეწურათ. კეახი და ჰყინტი სიძინდი გვაკლდა, თორემ პირდაპირ იმერეთში მეგონებოდა ჩემი თავი... პა-პა-პა-პა, რა ამბავია ეხლა იქ! — დაუმატა სიჩუმის შემდეგ და რაღაც დარცხვენით, ბავშვურად გამიღიმა.

ამ ღიმილმა მთლად მისკენ ვადამიბირა.

მიყვარს ვაჟკაცის სახეზე ასეთი შეურაცხელი, გულიდან წამოსული ღიმილი.

— რომელი სოფლიდან ხარ?

— მალომინავოდან.

ახლო მომიჩოჩდა. თვალები მოკუტა, თითქოს რაღაცას მკერძებდა.

— თვალში სინათლე მოგემატება, ჩემი ეენახი რომ გაიყენა. შარშან ბათმანი მტევანი ჩამოვიდა თითო ვაზზე. წელს არ ვიცი. მიწის გადაბრუნებაც ვერ მოვასწარი, ჯარში დამიძახეს. ეს ისე არ მაშინებს, — დეღაჩემი ისეთი ქალია, ეენახს უჩემობას არ დაატყობს, მარა, ვაითუ შაბიამანი დაუგვიანეს...

გულდაწყვეტილად მითხრა, თითქოს ეხლავე ადგება და სოფელში გაბრუნდება შაბიამნის საკითხის მოსაგვარებლად.

— რად უნდა დაუგვიანონ, მერე ისიც ფრონტელის ოჯახს?

— ეჰ, რა ვიცი! საწყობის გამგესთან ცოტა ნამხუბარი ვარ, — სინანულით ჩაილაპარაკა და გაჩუმდა.

გულში გაეშკეთე.

— ეხლა შენი საწყობის გამგეც ჯარში იქნება, შე კაი-კაცო!

— არა.. ჯარში იმას ვინ წაიყვანდა, ჩითახო ბიჭსა! რაღაც საუბედუროდ, ღვინოში მოგვივიდა უსიამოვნება. დათვრა და სიმღერა შეგვიშალა. არც ხმა ჰქონდა, არც სმენა, და სანამ ფნიზელი იყო, ქე იჯდა ბუსავით თავისთვის. ორი ყანწის შემდეგ, ჯოგის ცხენი თუ გინახავს, ისე აკიბინდა. საშველი აღარ მოგვცა. მეც ავდექი და განგებ წამოვიწყე ერთი მივიწყებული სიმღერა. „ბრძანა სოლომონ“, იქნება ეხლა მანც დაგვეხსნას-მეთქი, შენც არ მომიკდე. ზღვას გაყინავდა, ისეთი ცივი ხმა ამოღუშა. ყანყარატოზე თითებს ამასე მასებდა ხმის ასაკანკალებლად, ვითომ ასე უფრო მომიწონებენო. სიცელი ამივარდა. გავჩუმდი და სხვებიც ვაჩუმდნენ. ეწყინა, გამლანძლა, სიმღერა რაღა შემატოვეთო! ერთი ვუთხარი და ორი მითხრა. კიდევ ვუთხარი და უარესი მომაშავა. ასე შევყვეით, შევყვეით და ბოლოს შეიქნა ერთი გამიშვი და ვამოუშვი. დიდი არაფერი მომხდარა ისეთი, მარა, ცოტა ღვეუ კაცი იყო.

ვაი-თუ წყენა გულში შეინახა და ვენახი შეუწამლავი დამიტოვა... უკაცო რჯახი, ხომ იცი, დაბალი ღობეა!

— რა, მამა არა გყავს?

— მყავს და მერე როგორი! ჩემისთანას ორს შეჰკრავს, ისეთი ვაჟკაცია. ისიც ჯარში წაიყვანეს.

— საწყალი ჩვენი ქალები! ეხლა იმათ უნდა ზიღონ თავისი და ჩვენი ჰაბანცი! ძალიან კი გაუჭირდებათ.

— გაჭირვებით კი გაუჭირდებათ მაგრამ...

რადღე ტბილი და უცაბელი მოგონების უწყი მოეფინა სახეზე. გაჩუმდა, და ერთხანს ასე ჩუმად შეჰხაროდა იმ მოგონებას.

მერე მიტხრა.

— როგორი კარგები ყოფილან ჩვენი ქალები! ჩვენთან გორის დივიზიაში, ოთხი მძა გიუნაშვილი მსახურობდა. ფლავისპანელი კოლმეურნეები იყვნენ. ფრონტზე წამოსვლისას, გიუნაშვილები დედამ გამოაცილა, ორი კაცის სიცოცხლე რომ ვიცოცხლო, მე იმას ვერ დაევიწყებ, რაც იმ დღეს ჩემი თვალთა ენახე! ახალი გათენებული იყო. სტალინის სახლს რომ ჩავეუარეთ, გიუნაშვილების დედამ შეილები იმ სახლის ეზოში შეიყვანა, თავშალი მოიხადა და შეილებს უთხრა:

„ამ ცისქვეშ ყველაზე ბედნიერმა დედამ აქ დაულოცა გზა თავის ერთადერთ შვილს, და მეც აქ მინდა საომარი გზა დაგილოცოთ, შეილებო! თქვენც ისე გამარჯვებულმა იარეთ, როგორც ის გამარჯვებული დადისო ამ ქვეყანაზე.“ აბა, მითხაროთ, ასეთ დედას კერაზე ცეცხლი გაუნელდება?

— ვაშალომიძე, შენი რიგია, — მონამა საჩეხიდან.

ჩემი ენაწყლიანი თანამოსაუბრე სწრაფად წამოდგა.

— ბოდიში, აღბად კიდევ მოგაწყინე თავი! — ისევ დარცხენილად გაშიღმა და წავიდა.

კობტად მორგებული საზაფხულო სალათი მკაფიოდ აჩენდა მისი მტნარმხარბეკისა და ლაღად გამწვანებულ მკერდის სილამაზეს.

შალა წვივებზე შავი ტოლალები ნახვრად სწვდებოდა.

— ბერად შედგომას თუ აპირებდი, აქ რა მოგარბენინებდა, ძაო! — გაეხუმრა დალაქი წვერგაბურძნილ ვაშალომიძეს და ღვედის ბოლო ხელში შეაჩერა დაწის ასალესად.

— გზაში საზე გამოიზებოდა ცოტა დაესკენე, — მიუგო. მან

ფრთხილად ჩამოჭდა ყუმბარის ცარიელ მორყეულ ყუთზე.

### თავი მეორე

ცალი ღოყა უკვე ჩამოპარსა დალაქმა, რომ უეცრად ეზოში წელი, გაბმული ძახილი გაისმა:

— ჰაერი! შეეხიზნეთ...

დალაქმა მაშინვე სამართებელი დაკეცა, ნახევრად წვერულვამ გაპარულ ვაშალომიძეს გულზე ტილო ჩამოხსნა და საღდაც გაიქცა.

ხელისგული მოვირდილე და ცაზე ავრილ ღრუბლებს გავხედე.

ვერაფერი დავინახე.

მხოლოდ გავიგონე ნაცნობი ლითონური ზუზუნი, დაწყვეტილი ზუზუნი. მძიმედ დატვირთული ბომბდამშენებისა.

ორი-სამი ჩაქცეული ხერხლის გარდა, შიგ სოფელში სხვა არაფერი მოიძებნებოდა, რომ ცოტა თუ ბევრად საძიებლო თავშესაფარს შეხიზნებოდა ოთხასი კაცი.

მხოლოდ წისკვილთან, სოფლამ გასადევარზე, რამდენიმე ძველი ტრანშიე იყო. მაგრამ გვაცლიდნენ ამდენს?! ზუზუნი სწრაფად ახლოვდებოდა.

— აი, ხათაბა! სად მოგვატანეს რჯულძაღლებმა, ხალხიც რომ შევეკრიბე სკოლაში! — მღელვარედ გადმო-



ძახა ლობესთან მომდგარმა გელოვანმა.

— უფრადლება! წისკვილისაკენ... სირბილით! გზადაგზა ჩრდილებს შეეხამეთ, — გასძახა მან ქსათან შეჩოჩქოლებულ ჯარისკაცებს და სკოლისკენ გაქაქანა.

ძველი, ნაცადი ჯარისკაცები მარჯვედ, თითო-ოროდ, უხმაუროდ, ვისაც როგორ წაესვლებოდა, შეკედებში გაიფანტნენ და სოფლიდან გაიკრიფნენ.

მათზე უკეთესად ვინ იცოდა, თუ რა ჯოჯოხეთში უნდა გადაგვეტანა ეხლა ჩვენ ყველა იერიშზე სასტიკი იერიში — საპაერო თავდასხმა დაუცველ სოფელზე.

ერთხელ, საუბარში, კაპიტანი გელოვანი გამომიტყდა:

— ომში ყველაზე ძნელ საქმედ მკვირთების იერიში ითვლება. იერიში და ხელჩართული ბრძოლა. მაგრამ შენ წარმოიდგინე, მე ამ ოხერტიალის გადატანა უფრო მეძნელება...

ამ „ოხერ-ტიალში“ საპაერო თავდასხმას გულისხმობდა გელოვანი.

მაშინ ვერ დაუფჯერე კაპიტანს, მაგრამ, მალე დაერწმუნდი იგი ბევრში მართალი იყო.

მართლაც, არასდროს, არცერთ ბრძოლაში ისე უმწყო არა ყოფილვარ, როგორც მაშინ, როდესაც საპაერო თავდასხმა აი ავრე მოულოდნელად საღმე მომამწყვედვდა.

გავიგონებდი თუ-არა მეთვალყურის ძახილს, მეც სხვებთან ერთად მიწაზე მორჩილად ვწევბოდი, ან თუ საბედნიეროდ ახლო-მახლო ხერელი აღმოჩნლებოდა, შიგ საცოდავად მივიფუტებოდი და ბრმად მივეწოდებოდი ბედისწერას.

და სწორედ ეს მტანჯავდა, მამცილებდა, მანადგურებდა.

ჩემთვის ძნელი იყო ასე მორჩილად,

ხელის გაუნძრევლად სიკვდილს ლოდინი.

უარესი განსაცდელიც მხრისკეცილებს რომ ხიფათიანი წუთიც მჭონია, მაგრამ ასე არასდროს გაუმწარებია იმ მტანჯველ გრძნობას.

უთუოდ იმითომ, რომ მაშინ ხიფათიდან თავის დასაღწევად ზოგი რამ ჩემზედაც იყო დამოკიდებული: ჩემს ვაკეცობაზე, მკლაზე, ალღოზე, მოსწრებაზე.

ეხლა კი, მიწაზე უმწვეოდ დამხობილს, უძლურებისა და ამო ბრაზისაგან ძარღვებდაწყვეტილს, მე რაღა მეკითხებოდა, ან რა დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ მიწაში რაც შეიძლება ღრმად ჩამებეჭდა ჩემი ტანი.

მახსოვს ჩვენი პირველი დაბომბვა ქერჩში. მიტრიდატის მთაზე. ორმოცი ბომბდაშენი სამი მხრიდან შემოეწყო ქალაქს.

მიწაზე დაცემა ვერ მოვასწარი, — სახეზე, კისერზე. თავზე წაფარებულ ხელებზე ცხელი ჰაერი მომეხალა, როგორც თონიდან ამოვარდნილი ალმური.

ცუდად მენიშნა.

ეტყობოდა, ჩემი საფარი არამცთუ ნამსხვრევებს, აფეთქების ტალღასაც ვერ ამარიდებდა.

დაუყოვნებლივ უნდა გავცლოდი იჭაურობას. იქნებ აგერ იმ ნაბომბარ ორმოცი ჩავასწრო! ორი ბომბი იშვიათად ეცემა ერთსა და იმავე ადგილზე, როგორც ერთხელ სახადმოხდილ ადამიანს მეორედ აღარ უბრუნდება ავადმყოფობა!...

იდაყვებს დაეყრდნე, წამოვიზიდე. ერთბაშად გახევებული, არდამყოლი სხეული ადგილიდან ვეღარ დავძარი.

ეწუხიდი, რომ ვერ ვაკეთებდი, რაც მეწადა, და აღარ ვიცოდი, ეს ჩემი მკალი და ზორცი ჩემი ერთგული იყო თუ მოღალატე. საძულველი თუ საყვარელი, ჩემი შემარცხვენელი თუ ჩემი კაცობის შემნახველი.

მგონი საუკუნე გავიდა, რაც ადგილის გამოცვლა ვინეიზრახე, მაგრამ მოდუნებული ვონება ძალას აღარ მატანდა, აღარ მიხმობდა მფარველ ორმოსაკენ.

ასე ვეგდე ერთხანს გაოგნებული, და მხოლოდ ერთს ვნატრობდი: შალე გათავებულყო ყველაფერი, აქვე გათავებულყო, რომ მეორედ აღარ ვანმეცადა ასეთი წარმოუდგენელი რამ.

შემბოკა ამ საშიშარმა ცდუნებამ. სულის შემხუთველი ტვირთი მომხადა და თითქმის შემაროგა მას, რასაც დღემდე წამითაც ვერ შევრიგებოდი. მერე უეცრად შინაგანმა ნათელმა გამომაფხიზლა, მიმასვედრა, — სულმოკლეობა ფარხმალს მაცურევენებდა. შიში ვაჟაკასაც გაუელვებს, სულმოკლეობა კი მხოლოდ ლაჩარს სჩვევია.

ნუთუ მეც ლაჩარი ვარ და მხოლოდ იმიტომ შეჩქარება ჩემივე აღსასრული, რომ მეორე ამგვარი დღე აღარ გადამხდეს ცხოვრებაში!...

თვალის დახამხამებაში ნაბომბართან მივხიხიდი. ის-იყო, დახვედრულ ბელტებს ხელი შევახე, რომ თავზე დამღრიილა თვითმფრინავმა.

ამ ღრიალმა ამიღო და შიგ ორმოში ვადამისროლა.

დანარჩენი ბუნდად მახსოვს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ერთხელ ორმოში ჩამობნელდა: ძირფესვიანად მოგლეჯილმა ხემ თავზე გადამიქროლა, ორმოს კედელი ჩამოიქცა, მიწა დამეყარა.

სუნთქვა შემეძლო, ამიტომ არც შევრბულეფარ. გამოხიზრდა კიდევ, რომ ჯავშანი ვადამეფარა.

გადარჩენა აღარ მახარებდა. ისე გაწამებული ჩამოვედი იმ საღამოს მიტრიდატის მთიდან.

### თავი მესამე

მეთვალყურის ძახილზე ახალმოსულნიც წამოიშალნენ. ერთხანს ურწამუნოდ გასცქეროდნენ სწრაფად გა-

ფანტულ ჯარისკაცებს, თითქოს მთელი ეს აშბაეი მხოლოდ მათთვის მზადებდა მეტრძოლების აღმასწავლებელი იყო მოგონილი.

მერე თითქოს უბძიგესო, ერთი დიდულეაში ჯარისკაცი ერთბაშად მოსწყდა ადგილს. დანარჩენებიც მყისვე მიჰყვნენ. ჯგუფად და რატომღაც წელნი მოხრილნი გარბოდნენ.

მეც კარგა მაგარი ცეცხლი შევეუნთე მუხლებს. საჩხუბთან რომ ჩავირბინე, თვალი მოვატანე ვაშლომიძეს.

არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად იყო, მხოლოდ ასე მახსოვს, თითქოს ვაშლომიძე ჯიბის სარკვეში იცქირებოდა.

შემოწმება სღარ დამცალდა: ღრუბელს ქვემოდან ვერცხლისფრად ბზინვარე წერტილი შევნიშნე. პირველი თვითმფრინავი კამარას ჰკრავდა.

„ჩქარა, ჩქარა!“ — დარეკა ვულმა.

სახეში მწარედ მომხვდა ტოტზე გასაშრობად გაფენილი ხალათი. მერე სადღაც მოლზე გაშლილ სუფრას გადავახტი. ბეჯითად, პატარ-პატარა ნაქრებად დამკრილი პური და ხორცის კონსერვის თავმოხილი ჭილუბი ხელუხლებლად ეწყო ლაბადა-კარაზეზე.

ავერ კულამოთხეებული ძალი ფეხებზე მომეხალა, მომეკრა, სირბილი შემომალა.

ცოტალა დამრჩა წისკვილამდე. ვხედავდი, როგორ ცვიფოდნენ ჯარისკაცები შავად დაღრენილ ტრანშეებში.

უეცრად ზუზუნი გაგიჟებულმა ღრი-ალმა შესცვალა. მერე შემამარწყუნებელი წივილ-კივილი გაისმა. ნებისყოფის მომკვლელი წივილ-კივილი.

მივხვდი, ბომბდამშენი ყირაზე დაეშვა და სასიკვდილო ტვირთი ჩამოყარა.

წამის ერთი ნამცეცის განმავლობაში ადგილზე ვაქვავიდი, ვაგზოუდდი, თითქოს რკინიგზის ლინდაგებში ვიდექ და აქეთ-იქით გაქანებული ორთქლმავლები მირბენდნენ.



მერე... ჩემმა თვალმა კი-არა, მთელმა ჩემმა ტანმა დაინახა პატარა რაღაც ნაგუბარი.

მოურიდებლად, როგორც ნასროლი ქვა, ამ ნაგუბარში ჩავეარდი და მყისვე ტვინი, გული, ტანის ყოველი კუნძული ქვეყნის წგრევის ხმაურმა გამოვისო.

თვალეები დაეხუკე. მაინც ვხედავდი აფეთქების ცეცხლოვან შადრევნებს.

ისევ აღრიალდნენ ყირაზე ზედიზედ წამოსული თვითმფრინავები.

გავიგონე ბომბების სტვენა... შემდეგ ვერაფერი... ვერც აფეთქება. ვერც გამოშვებული მიწის ბლავილი, ვერც წამსხვრევების წივილი. წამიერად დაეყრუვდი.

ვიგრძენი მხოლოდ: მიწა განზე გამოხტა, თითქოს ზურგიდან გადმოგდებას მიპირებდა.

ხანძრისაგან გახურებულ, გაკვამლულ ჰერში კუდიანებივით დაქროდნენ ძირფესვიანად მოთხრილი ხეები. მიწა ძაგდაგებდა, როგორც გემის ბაჭანი. მერე ყველაფერი გაუჩინარდა კვამლისა და ნაცრის განუქვრეტელ კორიანტელში.

თანდათან გამიქრა დედამიწის სიმტკიცის შეგრძნება.

ასე მეგონა, ქვეყნის გაჩენის პირველ გაუთენებელ ღამეებში მივექანებოდი.

ერთბაშად სიჩუმე გავიგონე. ნამდვილად გავიგონე. მკაფიოდ, როგორც წყლან ბომბების ჭახანი მუქმოდ.

მალე ხანძრის გუგუნიც მომესმა. შემდეგ დაპრილთა კენესა და ოხერა. ბოლოს — დაცლილი თვითმფრინავების ლაღი, თითქოს ვახარებული ზუსუნნი.

მაგრამ ყველაზე ძლიერად მაინც ეს დაუჯერებელი, არამიწიერი სიჩუმე

მეგმოდ. საპერო იერიში დამთავრებული იყო.

თანდათან გაძლიერდა ზრუნვა, გვეწარვარებელი რკინისა და ახლად მოხუნული მიწის სუნი, და კიდევ ის განსაკუთრებული, მძაფრი, დაუფიქარი სუნი, რომელიც დაბომბვის შემდეგ ჰაერში დიდხანს ტრიალებს და იმ დღეს ყველაფერს, — მიწას, ტანსაცმელს, პურს, წყალს, თამბაქოს, მგონი სიუყვასაც კი რაღაც უსიამოვნო გემოს აძლევს.

დაყრუებული ჯარისკაცები ორიოდ ნაბიჯზე ისე უყვიროდნენ ერთმანეთს, თითქოს მდინარის გაღმა-გამოდმა იდგნენ. დასკოდნენ ამტკვრებულ ორმოებს, ბაღში წაქცეულ ხეებს, ბელტებით ამოვსებულ თხრილებს. — დაპრილ-დაშავებულთ შეველოდნენ.

ბუჭი დაიღეკა და სოფლის მეორე ბოლოზე არტეზიული კის ბორბალი დაეინახე. ათიოდე წუთის წინად ამ ბორბალს არამეთუ აქედან, წისკვილიდან. — შუაგულ სოფლიდანაც ვერ დაინახავდა კაცი. ახლა წინ აღარაფერი ეფარებოდა. არც სახლი, არც ხე, არც ზვინი. არაფერი. თითქოს მთელი ეს უბანი უზარმაზარ კალოზე გაულეწათო.

სოფელში ჩარჩენილი კაცი 'კი-არა, ჩიტო ვერ გადაურჩებოდა ამ უღვთო კალოს.

...ყოველ ნაბიჯზე დაგლეჯილ-დამწვარი ცხენი ან ძროხა ეგდო. სულთმობრძვე პირუტყვს ჯარისკაცები თოფის ლულას ყურის ძირში დაადებდნენ, ტანჯვას უმოკლებდნენ.

სკოლის ახლომახლო, სადაც მთავარ მენისტებს გადგებოდა, ჩვენმა მამულმა ჯგუფმა მხოლოდ ერთგან იპოვნა თხრილში დამარხებული ჯარისკაცები. ორი მძიმედ იყო დაპრილი, მესამეს ენა წართმეოდა, ყურთაგან სისხლი სდიოდა და წამდაუწუმ ასლოკინებდა.

როგორც სჩანდა, თითო-ორიოლა დამფრთხალი, თავდაკარგული კაცის გარდა, სოფლიდან გახიზენა ყველას მოესწრო.

სოფლის განაპირას ცეცხლი ბობოქრობდა. ალოზის ქოხები სწრაფად და უკვამლოდ იწვოდნენ, როგორც ზვინები.

ნაცნობ ეზოში, სადაც წყლან პირი გავიპარსე, ვაშალომიძეს მოვჯარი თვალთ.

„აღბად ესეც გაოგნდა და გაქცევა ველარ მოახერხა. სასწაულია, როგორ გადარჩა!“ — გავიფიქრე და ნაბიჯი შევანეღე.

წინლის ღობეს ცეცხლი მოსდებოდა. პატარა ქოხი გვერდზე წაქცეულიყო, და თითქოს წამოყენებას უპირებენო, მისკენ წახრილიყვნენ საჩეხის ბოძები.

ბოძებს შუა ვაშალომიძე იდგა. მშვილად იბერტყავდა ხალათსა და მუხლისთავეს. გეგონებოდა, აგერ მანქანამ ჩაუქროლა და მტვერი შეაყარაო.

დამინახა თუ-არა, ღიმილი მომაგება. ეხლა იმ ღიმილში ტანჯვის ნაკვალევაც სჩანდა. მერე ისიც შევნიშნე. შებლზე დაღამებული ღარები ნათლად დასჩენოდა.

ცალი ლოყა გაუპარსავი ჰქონდა. შავი და გრძელი ჯაგარი უფრო გაებურძენა მიმხმარ საპონს.

— აქ რამ გაგაძლებინა, კაცო, ამ ჯოჯოხეთში! რატომ არ გაიქეცი?

— ასე სად უნდა გაქცეულიყავ, იმოდენა ხალხში! — შეიკვირვა მან და გაუპარსავ ლოყაზე ხელი ჩამოისვა! — საციმიბიროდ გამწვესკებულ კაცსა ვგევიარ. ვინ რას იტყოდა!

მისმა მოულოდნელმა პასუხმა თვალები დამაყვებინა: „ოჰო“ — გამიღვია თავში: „ამაყი კაცი ყოფილხარ, ძმავ!“

შაინც წამომცდა.

— რა დროს ეგ არის, კაცო, როცა ოცფუთიან ბომბებს თავზე გაყრინა!

საყვედურის თვალთ გადმომხედა, თითქოს ურიგო რასმე ვუჩვენედი.

— რას იხამ! სული მწარეა, მაგრამ... ქვეყნის პამბულა ვერ გავხდებოდი! — ეს მითხრა და ქუდი ჯებჭრონსსმსტხლზე დაირტყა.

მომეწონა, გამიხარდა. — ომის განსაცდელში პირველად მოხვედრილმა კაცმა სიკვდილს ხელი მოაწერა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის თვალში სასაცილო არ გამხდარიყო.

ასე დამთავრდა ჩვენი პირველი შეხვედრა.

### თავი მეოთხე

მაღე დაიგდო ვაშალომიძემ კარგო მშვერავის სახელი.

ბანქოს მოთამაშის აზარტი და სახუნდარში ჩასაფრებული მონადირის მოთმინება...

საოცარი იყო, როგორ ახერხებდა იგი ამ ორი შეუფრთხებელი თვისების, — ცეცხლისა და ყინულის შერიგებას.

მაგრამ ეს ისე არ მოცებდა, როგორც მისი უცნაური რწმენა, — ძლიერო, შეუვალი, ყოველ უბრალო წვრილმანში გამხელილი რწმენა, რომ სიკვდილი შორს იყო მისგან.

რაც უფრო ახლო ვეცნობოდი ვაშალომიძეს, თანდათან ვრწმუნდებოდი: უბედურების განცდა, ასე მწარე და ნაცნობი ჯარისკაცისათვის, თითქოს უცხო იყო მისთვის.

როდესაც ღამის ძიების მოსაწყობად მოხალისეებს გამოიძახებდნენ, იგი პირველი წარუდგებოდა კაპიტანს. კაცო მუდამ ბეწვის ხილზე დადიოდა, სროლაში აღამებდა და ათენებდა და მაინც რატომღაც სჯეროდა, ვერ მოკლავდნენ.

გულში რას ფიქრობდა, არ ვიცი. მისი საქციელი კი მხოლოდ ამ რწმენას გამოხატავდა.

ხშირად მინახავს: ღამის იერიშზე მიმავალი ჯარისკაცი ჯიბეებს დაიცალიერებდა და ახლო მეგობარს განზე გაიხმობდა. ხელში ჩაუდებდა სურათებს, წერილებს, ფულს; მერე ქაღალ-

დის ნახევზე სოფლის მისამართს დაუბანდა.

ლადო ვაშლომიძე ფეხსაცმელს გამოიცვლიდა მხოლოდ.

ვაიხდიდა კაპიტან გელოვანის ნაჩუქარ ყვითელი ქრომის მაღალყელიან ჩექმებს. ძველებს ჩაიცვამდა, თითქოს სათოხარში მიდიოდა.

ჩექმებს კაპიტანის შიკრიშს მიაბარებდა.

— ანდერძი მაინც დამიტოვე, ლადო, ვერც უშმაკს უნახავ ამას! — გაეხუმრა ერთხელ შიკრიკი.

— რის ანდერძი, ბიჭო! — ჩაიცილა ვაშლომიძემ: — ომი რომ ვათავლებ, ამ ჩექმებს ძირი ლეკურში უნდა გაეგდებინო!

— რაო!? სალექტრო ჩექმებს მათრევენებ, კაცო, ამ ტყე-ღრეში? ჩემი ჩანთა და მაზარა მეყოფა წელის მომარწყვეტად! ჩაიცივი, ძმარ, ჩაიცივი, თუ ცოცხალი გადარჩი, ეს შენი ჩექმებიც კე მოგყვება უკან.

— კარგი, თუ ძმა ხარ! განა მართლა ქორწილში მივდივარ! სადმე ან მვეთულს გამოვედო, ან ფეხში ბრმა ტყვია მომხვდეს... ეჭიმების ამბავი ხომ იცი! მე შენ გეტყვი, დამზოგავენ და ჩექმებს გამხდიან, დამადებენ ამ სიგრძე დანას და სულ დამიფატრავენ ყველებს.

ანაპის ალების შემდეგ, მწვერავები ზღვისპირად დაბინადრენ დასასვენებლად — ავტომანქანებისა და ტრაქტორების შემკეთებელ სახელოსნოს მახლობლად.

ღილიდან შუადღემდე მინდვრად მუცადინებოდნენ. მერე თავისუფალნი იყვნენ და საბანაოდ მიდიოდნენ. გასარეცხს ვარეცხავდნენ, დასაწერს დასწერდნენ, გასახსენებელს გაიხსენებდნენ, ძილით გულს მოოჯრებდნენ და მზის ჩასვლისას ბანაკში ბრუნდებოდნენ.

ვაშლომიძეს მალე მოსწყვიდა ხელზე სიარული.

ისადილებდა თუ არა ტრაქტორების შემკეთებელ სახელოსნოში გაჩნდებოდა, არავინ იცოდა, იქ რას აკეთებდა.

სახელოსნოში ქალებიც მუშაობდნენ, მაგრამ ბანაკში საღამოს საარზე გამოცხადებული ვაშლომიძე არაფრით ჰგავდა პაემანიდან დაბრუნებულ მიჯნურს.

გამურულს, ოფელში გაწურულს, ნეთისა და საპოხი ზეთის სუნი ასდიოდა, ადგომა-დაჯდომა ეზარებოდა, ისე იყო დაღლილი.

ორი კვირა გავიდა.

ერთხელ ნათის მოსაღებად სახელოსნოში მისულმა გელოვანმა მკლავებდაკარწახებული ვაშლომიძე დაინახა, — დაშლილი ტრაქტორის ნაწილებს სწმენდა.

შეება კაპიტნის დანახვაზე. შედღეს დამაყენებსო, იფიქრა მაგრამ გელოვანს ენა როგორ მოუბრუნდებოდა საყვარელი მწვერავის დასატუქსაყად.

ეს უთხრა მხოლოდ:

— რას იკლავ თავს ამ გაგანია სიცხეში! დაისვენე, კაცო, მალე ისევ პირველ ეშელონში გადაგიყვანენ.

კმაყოფილი, გულგაბარებული კაცის ღიმილი ჩაუდგა თვალებში ვაშლომიძეს. ხალისიანად გამოუტყდა მეთაურს:

— ამასაც ვისწავლი, ამხანაგო კაპიტანო, სოფელში გამომადგება... თორემ ვათავლება ომი და თოფის მეტი არაფერი მეცოდინება.

უცნაური ახირებაც სჩვეოდა ხანდახან.

ჩეგემის ხეობაში, გრძელს წვერი დაიყენა, როგორც ძველად ადრე დაქვრივებულმა გლეხმა იცოდა.

არც შევნოდა, არც იყო წესი, — ახალგაზრდა ჯარისკაცი ასე გაბურძგვნილი გამოჩენილიყო ხალხში.

დაუშალეს, გაჯოგეს, მაინც არაფერი ეშველა.

— რა არის, ბიჭო, ასე რომ დადინარ, ტყის კაცივით! — ვუსაყვედურე ერთხელ.

ცოტა შეყოყმანდა. მერე ჩემი საყვარელი ღიმილი თვალებში მომანათა და მოთხრა:

— შინდა ერთი გერმანელებს ჩემი თავი დაეამახსოვრო!

ვერ გავიგე, სად უშიზნებდა.

გამეცინა.

— მერე ამიტომ დაემგვანე არქიფოდიაკონს?

— აბა, წვერგაპარსულები ყველანი ერთმანეთსა ვკეკვართ! ასე კი, მტერს სანგარში რომ ჩაეუხტები და ფეთქებას ვუჩვენებ, იტყვიან. ხო-ხო-ხო, რა პყოლიათ ის შეაწვეკრაო!

—

— სანამ შეხვიდოდე, გამოსელაზე იფიქრე, კაციო! — ხშირად შეახსენებდა კაპიტანი დახვერვაზე მიმავალ ვაშალომიძეს.

პირველ ხანად რატომღაც ყველას მოგვეჩვენა, რომ იგი ანდებედ მიაღლი კაცი იყო. ჭარბად თავისმოიხედე, ალაღბედს უფრო ენდობოდა, ვიდრე წინასწარ მოფიქრებულ გეგმას.

შეიძლება ასე იმითაც გვეგონა, რომ ზოგჯერ ლადომ ყოველად დაღუპული საქმის დაჩემება იცოდა.

თვალი იქით გაურბოდა. საიდანაც ძველი, გამოჯავული მხვერავები ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ, ან ზულ ვედარ ბრუნდებოდნენ. საჭირო იყო კაპიტანის ჩარევა, რომ ვაშალომიძეს თავისი ურიდი ნაგულეები ვადაეთქვა.

ასეთ კაცს რა დაუშლიდა, აჩქარებულ ნაბიჯი გადაეღა და ტყუილუბრალოდ თავი წაეგო.

როგორ ვცდებოდით თურმე!

ერთხელ, როდესაც ჩვენები უკანდახეულ გერმანელებს დაედევნენ, გელოვანის მხვერავები მთელი დღის საჯალს მუხლდაუხსვენებლად გადიოდნენ

ყუბანის ველების გამარეტიანებულ საცხეში.

ციდან გამდნარი სპილენძი იღვრებოდა. მიწა გიზგიზებდა, როგორც მაცალი, დასიცხულ ჯარისკაცს ტენი უღუღდა, ამღვრეულ თვალებში სისხლი აწებებოდა.

არც წყალი, არც ჩრდილი. მიდიოდნენ, როგორც ბურანში. საბარგო ჩანთას ყოველ ნაბიჯზე თითო ფუთი ემატებოდა.

დანიშნულ ადგილას რომ მიაღწევდნენ, მერე ვიღას ახლოვდა, რომ აგერ იმ ყორღანზე გერმანელთა ზარბაზნები იდგნენ. ბზიკივით ტანწერილი „მესერების“ ზეზუნაიც წაუყრებდნენ, — ზოგიერთები სულის მობრუნებას ვერ მოასწრებდნენ, იშვამსვე დაიძინებდნენ.

როგორ ეზარებოდა ლაშქრობაში დაღლილ, გამოუძინებელ ჯარისკაცს ნიჩბის აღება და სანგარის გათხრა! მეტადრე მაშინ, როდესაც გული უგრძნობდა, რომ მალე ისევე წინ უნდა წასულიყვნენ.

ვაშალომიძის მეგობარს, არჩილ ცაგარელს, ნიჩბის დანახვაზე მკლავი წყლებოდა. ყასიდად ორ-სამ ბელტს მოსკრიდა და რაწამს სერჯანტი თვალს მოაშორებდა, იმ ბელტებს თავქვეშ ამოიდებდა და ძილს მიეცემოდა.

თი მაშინ გაგვაოცა ვაშალომიძემ. კაენდევნი არც იგი იყო, მაგრამ ისეთი ფრთხილი და ანგარიშის დამკვირი კაცი აღმოჩნდა — უეეთესი ნუ გინდა.

ქამარს არ მოიშვებდა, სანამ მიწის ზემოდ იყო. პირველყოვლისა სანგარი უნდა გაეთხარა. გამწარებული ეპიდებოდა გაქვავებულ ყამირს. ღრმა და საიმედო სანგარს გაიკეთებდა. თითქოს შიგ საამულამოდ უნდა ჩასახლებულიყო.

— ბიჭო, ჭას თხრი, თუ რას აკედები ამდენს! — დასცინა ერთხელ არჩილმა.

— მე აქ მამა, გერმანელის მოსაკლავად გამოგზავნეს, თორემ შენ მოკვდიო, ეს კი არ დაუბარებიათ ჩემთვის! — მიუგო გასაწურავად მოქცეულმა ვაშლომიძემ.

ხშირად ასეც მოხდებოდა: სანგარს გათხრიდა, შენიღბავდა, მერე შიგ დასასვენებლად ჩავიდოდა, რომ ამ დროს გამგზავრების მანიშნებელი სტვენა ყურებს გაუბურლავდა.

— ესეც შენ! — ნიშნის გებით გადასძახებდა არჩილი: — ხომ დაგატოვებინეს შენი სასახლე! რას მიაკალი თავი!

— მიწის თხრას არჩილ-ჩემო, ჯერ კაცი არ მოუტლავს! მასე მხართემოზე წოლამ კი ბევრს რომ ვაი-დღედა აძახებინა, ეს ბევრჯერ მინახავს! — ეტყოდა იგი.

ილაჯგაწვეტილი კაცი არ ბრახობდა, არც გული წყდებოდა, რომ ამოდენა შრომამ მუქთად ჩაუარა.

### თავი მესამე

ლამის ძიებაში ჯარისკაცი ხალისიანად მიჰყვებოდა ვაშლომიძეს, თითქოს სჯეროდა, ამ მუდამ მომღიმარი კაცის გვერდით მას არაფერი დაუშავდებოდა.

მეტადრე „ჩვენისა“ უხაროდა მასთან სიარული.

„ჩვენია“ მეტსახელად შეარქვეს ყოფილ მასწავლებელს, ვარდენ ჯიშკარიანს.

იგი ქერჩის დატოვების შემდეგ შეგვემატა პოლკში.

— ჩვენია? — წარამარა ეკითხებოდა ყველას, როდესაც სადმე ზარბაზანი გაფარდებოდა ან თვითმფრინავი გადაივლიდა.

— ჩვენია, — ხშირად ატყუებდნენ მას და ეს სიტყვა, როგორც თილისმა, მყისვე ამშვიდებდა ვარდენ ჯიშკარიანს.

კარგახანს ვერ ანსხვავებდა იგი ერთი-შეორისგან ჩვენი ზარბაზნის ხმას და

მტრის ყუმბარის აფეთქებებს, მტრე დათან გაიწაფა. თვითმფრინავი მოცნობაც ისწავლა, ნათლობის სახელი-კი მაინც ვერ დაიბრუნა, ყველანი „ჩვენისა“ ეძახდნენ.

ჯავრობდა, სახეზე ჯაგარს გამოისხამდა „ჩვენისა“ გაგონებაზე. შემდეგ მეტსახელმა თანდათან დაჰკარგა პირვანდელი დამკინავე ელფერი და ვარდენიც დაშოშმინდა. ახალ სახელს შეურვიდა.

ოცდახუთმეტე წელი შეუხრულდა ვარდენს, ადრე გამელოტდა, ყურისძირებსა და კეფაზე შერჩენილ თმაში თეთრი გაერია, მაგრამ პირისახე მაინც მუთხუზა ბავშვისა ჰქონდა. ნაოჭის კვალიც არსად დაჰკარავდა ფუნჩულა ვარდისფერ ლოყებზე.

ნიადაგ ზრული, თითქოს ნასხვისარი ტანსაცმელი უფრო ცხადად ხატავდა ვარდენის დონდლო აგებულებას.

აბზეცილი ცხვირი ოდნავ გვერდზე მოქცეოდა, თითქოს ნახევარ ქვეყანას გაუწყრა და საშუღამოდ დაემდურაო.

ჯარში ორმოცდარ წელს გაიწვიეს.

კეთილსინდისიერად სწავლობდა ვარდენი თოფის სროლას, სანგრის გათხრას, მავთულობურის გაკრას, ვადარბენას, ჩაწოლას. სწავლობდა იმ იმედით, იქნებ ომი ისე გათავდეს, მისი გამოყენება აღარც-კი დამჭირდესო.

მაგრამ ომი გაჭიანურდა. ვარდენი ფრონტზე გაგზავნეს. ყოფილ მასწავლებელს ტანში ერთნატიედი უვლიდა, როდესაც ბრძოლიდან დაბრუნებული მშვერავები სიცილ-ხარბარით უამბობდნენ კაპიტანს, როგორ დააკლეს ერთმანეთს სანგრებში მძინარე გერმანელები.

ვერაფროთ ვერ წარმოედგინა ვარდენს, თუ ისიც ოდესმე ვინმეს მოჰკლავდა. მომაკვდავი ჯარისკაცის დანახვა სიცოცხლეს აზარებდა.

ჯარისკაცთა დაურიდებელი ოხუნჯობა, სიკვდილ-სიცოცხლის გამასხა-

ჩაეება, ზოგჯერ ამხანაგების თვალწინ დაცუცქება.. და კიდევ რამდენი რამ იყო, რასაც ვერ ეგუებოდა ბავშვებთან ხანგრძლივ მეგობრობაში გასათუთებული სული.

ძლი უყვარდა.

ერთი ღამის უძილობას ერთი კვირის უკმელობა ერჩივნა.

როდესაც ჩვენები ახლად აღებულ სოფელში ღამის გასათევად დაბინადებოდნენ, ვარდენი არც ეახშამს მოუცილიდა, არც ბინების განაწილებას, მონახავდა სადმე მყუდრო მიწურს და ძილად მიეგდებოდა.

ბევრჯერ დასაჯეს.

წალმა-უკულმა ძილი მაინც ვერ მოიშალა.

ერთს აედრიან ღამეს ვაშალომიძე მძინარე ვარდენთან შეიპარა, მიწურის კუთხეში მათულის პატარა ნაკერი შეარტო, მერე „ჩვენია“ შეაღვიძა და შემკრთალი ხმით ჰკითხა:

— კაცო, წიყწიყი არაფერი გესმის?

— რაეა, რა იყო? — დაფეთებული წამოჯდა ვარდენი.

— რა ვიცი... მეც ავერ დასაძინებლად ჩამოველ, მარა რაღაც მომეჩვენა, აბა, ყური დაუგდე. ეშმაკს თვალი არ უჩანს. დანაღმული არ იყოს ეს ოხერი!

ერთხანს ორთავენი სულგანაბლნი უსმენდნენ წვიმის ხმაურს. ვარდენს ქოშინი აუვარდა, თითქოს აღმართზე აღიოღა.

— გესმის?

— ხან მესმის, ხან არა, — წასჩურჩულა ვარდენმა და ფრთხილად გაჩოჩდა გასასველ ხერელისაკენ.

— მოიცა, ჯერ გავსინჯოთ. იქნებ არაფერია. ამ ძენძებ ღამეში ტყუილა არ დავრჩეთ ვარეთ. — შეაჩერა ვაშალომიძემ და ჯიბის მანათური სწორედ იმ კუთხეს დაუმიზნა, სადაც მათულის ეგულებოდა.

მათულის დავინახეო!

ბურთივით გავარდა ვარეთ ვარდენი.

მეორე ღამეც ასევე ჩამწიფდა ღვენიას.

ლაშინდა, სათოფედ აღარ ეკარებოდა მიწურებს.

მძინარა თვალები, ფუნჩულა ლოყები, წინ გამოშვერილი მსუქანი ტუჩები, თითქოს საწოვარს სწუწნისო, ჯაბან კაცად აჩენდა ვარდენს.

პირველსავე ბრძოლაში სასაცილო საქმე შეემთხვა „ჩვენიას“. ერთხელ, — ეს იყო თერგის ყორღანებში, — გერმანელები მალე გაიქცნენ პირველი ხაზის სანგრებიდან, მაგრამ ალაგ-ალაგ მასიკედლოდ განწირული ჯარისკაცები ჩასტოვეს. ისინი ზურგში გვესროდნენ და წინ აღარ გვიშვებდნენ.

კაბიტანმა გელოვანმა ათიოდე ჯარისკაცი გამოჰყო სანგრების გამაჩხრეკად. „ჩვენია“ და არჩილ ცაგარელი ერთად მოხვდნენ. გახურებული სროლა იყო. სანამ ცაგარელი სანგარში ჩატურდებოდა, სამკეცი ტყავი გადაძვრა მუხლებსა და იდაყვებზე. ორი-სამი საეჭვო ხერელი გასინჯა, მაგრამ ცოცხალი გერმანელის სახსენებელი არსად იყო.

„უეცრად ყვირილი გავიგონეო“, — დღეში ათჯერ მაინც უამბობდა ცაგარელი სიცილისაგან გაგუდულ ჯარისკაცებს:

„ხელები მალლა... ხელები მალლა!“ ღრიალებდა ვიღაცა რუსულად.

„შევხედე, რას შევხედე! — სანგრის თავზე ხელებაწეული გერმანელი დგას. ორნახევარი ვარდენი გამოიჭრება, ისეთი აყლაყულა ვინმეა. ჩვენი ვარდენი კი ცოტა წელში წახრილა და გერმანელს გარშემო უტრიალებს: ხან აქედან შემოუტრბენს, ხან იქიდან მიეჭრება.. ყვირის მარა, რაფერ ყვირის: „ხელები მალლა, თორემ გაგათავე, ხელები მალლა“!.. იმ აყლაყულას შუბლზე ოფლი ასკდება. ვერ გაუგია, რა უნდა მისგან ამ გადარეულს. სდგას და ფიქრობს: თოფი გადაეგდე, — არ დამჯერდა; ხე-

ლები ავწიე — მაინც არ მომეშვა! აბა, სხვანაირად ტყვედ როგორ ჩაებარდე.. ეს რა ქირს გადავეციდე, ნამდვილად, რალაც უცნაურს მიპირებო!

„ვარდენ, კაცო, რა მოგდის, დადუქი!“ შეეძახე და თხრილიდან ამოვედი. ჩემი ხმა რომ გაიგონა, უცბად გამოფხიზლდა, ცქერა დამიწყო, თითქოს ვერ იგონებს, სად შევხვედრიყვარო. მერე თოფი დაუშვა და „უჰ“, წამოიძახა იმ ქვეყნიდან დაბრუნებულეით..

— მერე... მერე! — მიძახებდნენ ჯარისკაცები, როდესაც ცაგარელი ოინბაზობას მოათავებდა.

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ შტერმა გერმანელმა კინალამ ხელზე მაკოცა, „დანკენ, დანკენო“, მითხრა, რომ ამ გოცისაგან დამიხსენიო!

ცოტა რამეს საკუთარი ქისიდანაც უმატებდა ამ ამბავს ენაშეუენახავი ცაგარელი, მაგრამ ბევრი რომ მართალი იყო, ამას თვითონ „ჩვენია“ აღარ უარყოფდა.

ხშირად ჰკითხავდნენ:

— მართლა ასე იყო, კაცო?

— ჰო.

— კი მარა, ხელები რომ ასწია, ვერ დვინახე?

— თვალეები ამიკრებდა, — გამოტყდებოდა გულმართალი ვარდენი

ამ დღიდან მოკიდებული „ჩვენია“ თითქოს განზრახ ცდილობდა ბეჩაფი კაცის სახელი ჰქონოდა. ეშინოდა, ვაითუ ბრძოლაში შევედრეყო.

სწორედ ამიტომ დაუმეგობრდა ვაშლომიძე ყოფილ მასწავლებელს და გასაკვირის დროს მუდამ მხარში უდგა. დაუფასებელი რამ იყო ბრძოლაში ლაღოს მადლიანი ენა.

როდესაც სანგრების თავზე დატრიალებულ ჯოჯოხეთს კაცის გული ვეღარ უძლებდა, მისი ერთი ხეშრობა ხელიდან წასულ ჯარისკაცსაც მოაცილებდა.

შეიძლება, ეს ხეშრობა თავისთავად დიდი არაფერი იყო, მაგრამ მის ხმას

რალაც ისეთი ჯადო ჰქონდა, რომ ყველ სიტყვას სასაცილო ელფიქვად ვინ დასთვლის, „ჩვენის“ გარდა, ამ ხმამ რამდენ კაცს გაუადვილა ბრძოლაში პირველი შიშის გადატანა.

ენაფხიანი, მოუწყინარი მოსაუბრე იყო ის დალოცვილი, და მეც, პოლკში მისვლისას, პირველად ლაღოს მოვინახულებდი, ბრძოლის ამბავს გამოეკითხავდი.

ეხლაც თვალწინ მიდგას ეს ახოვანი, შავთვალწარბა იმერელი.

მაღალი, შეუპოვარი შებლი, მზისგან დამწვარ ლოყებზე ორი სწორი ნაკეცი და ერთმანეთზე მკიდროდ მიკრული თხელი ტუჩები აძლიერებდნენ ჯარისკაცის ეფექტურ შესახედაობას.

მხოლოდ თვალეები, — მშვიდი, კეთილი, ცოტა გულუბრყვილო თვალეები თითქოს ვერ ეგუებოდა ვაშლომიძის სახეს.

ძნელად დაიჯერებდა კაცი, რომ ეს თვალეები ყოველდღე სიყვილილს თვალეებში უეჭვრდნენ..

ეტყობა, ომმა ხელი ვერ ახლო ამ თვალებს, ერთი საყვედურიც ვერ ათქმევინა სიცოცხლეზე.

—

ვაშლომიძეს ხშირად უხედებოდა გერმანელთა ზურგში ყოფნა. ზოგჯერ კვირიდან კვირამდე მარტო ტრიალებდა ცხრა თოკში გამოვლილ ხალხში, მაგრამ როგორც ნადირი იყო, მონადირეც იმგვარი შეხვდა. ხელი იშვიათად მოეცარებოდა გახელთოფებულ ვაეკაცს.

იენისის დამდეგს, უტამის ყორღანებთან გამართულ ბრძოლებში ვაშლომიძე დაიკარგა. მოჰკლეს თუ დამწარილი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, ვერაფერს გაიგო, რადგან იმ დამეს ჩვენებმა ყორღანები დასტოვეს.

როგორ დამწყდა გული, როდესაც მეორე დღესე, დილის საარზე, შემ-

დევმა ვაშლომიძის გვარი აღარ ამო-  
კითხა.

სამთენიანეური მისი არც ავი ისმო-  
და, არც კარგი. აღარც მეგონა, თუ  
ოდესმე კიდევ ვნახავდი ამ სიცოცხლით  
გაუმძაღარ ვაყვას.

### თავი მთავარი

შემოდგომის წვიმები რომ დაიწყო,  
ჩვენებმა ყორღანები გადალახეს და  
მდინარე შამსულის მარჯვენა ნაპირზე  
გაიჭრნენ. იმ საღამოს რედაქციაში  
ცხელ-ცხელი ამბები მოვიტანე, რომ  
ტელეფონთან დამიძახეს.

— სამახარობლო მერგება, სამახა-  
რობლო! შენი ვაშლომიძე დაბრუნ-  
და! — დამახალა ერთბაშად ვილაყამ.

კაპიტანი გელოვანი იყო. მაშინვე ვი-  
ცანი მისი ერთთავად ზამთარ-ზაფხულ  
გაციებული ხმა.

— საიდან, როდის?!

— უტაშში ჩარჩენილა მძიმედ დაჭ-  
რილი. თვეზე მეტია, რაც იქიდან დაბ-  
რუნებულა, მაგრამ ჩვენი ნაწილი ვერ  
უპოვნია და ქვეითი მეზღვაურების ბა-  
ტალიონში ჩაურიცხავთ. გასულ კვირას  
გირლიანის მთასთან წავაწყდი: მაშინ-  
ვე დაგირევე, მაგრამ ვერ გიპოვნეს,  
მალე ჩამოდი, თორემ ვერ ჩამოგვისწ-  
რებ! — გამაფრთხილა კაპიტანმა.

ისინი კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“  
სანახეში იდგნენ. მანქანა ვიშოვე და  
დილა-ადრიან გელოვანის ნაწილში გაე-  
ჩნდი..

საოცრად გადასხვაფერებული მეჩვე-  
ნა ლადო.

შევხედე თუ-არა, მთელი მისი თვა-  
ლადობა ერთბაშად მეუცხოვა. პირვე-  
ლად ვერ გავიგე, საიდან დამუბადა ეს  
გრძნობა.

მერე მივხვდი.. როცა დაილაპარაკა.

ის მომჯადოებელი ღიმილი აკლდა  
ვაშლომიძის სახეს. მხოლოდ ღიმილი  
და ეს იმდენად ასხვაფერებდა ამ ლამაზ  
ვაყვას, თითქოს დიდი რამ ცვლილება

მომხდარიყოს მის ცხოვრებაში.

კაპიტანი გულლიად მიეგება ვაშლო-  
მიძეს.

— დაჯექი, დაჯექი და ენას მე-  
ცელში ნუ ჩაივდებ. ყველაფერში ოქ-  
როა შენი ვაშლომიძე. — მომიბრუნდა  
კაპიტანი: — მაგრამ ამ ბოლოდროს  
სიტყვას ისე იმადლება, თითქოს დი-  
დი ხარჯი მოსდიოდეს!..

ვაშლომიძე და სიტყვის დამადლე-  
ბა?! ნუთუ ასე გამოიცვალა ეს კაცი..

— ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, მო-  
ვრივდებით.

— მაგასაც ვნახავ! — ჩაიცინა კაპი-  
ტანმა.

ვაშლომიძე ქვანე ჩამოვდა. კავალე-  
რისტული ყარაბინი მუხლებშუა ჩაიდგა.  
ისედაც მოკლე თოფი სათამაშოს დაემ-  
გვანა ამ დეკავაცი სელში.

გულგრილად მოიძინა ჩემი და კა-  
პიტანის გადალაპარაკება, თითქოს მისთ-  
ვის გაუგებარსა და უსანდომო მე-  
საიდეს ესწრებოდა.

კაპიტანმა მარტო დაგვეტოვა. ოთხი  
ყური გამოვიბი ლადოს თავგადასავა-  
ლის მოსასმენად. როგორ გამიცრუედა  
მოლოდინი. ორიოდ სიტყვა ძლივს  
გაიმეტა დალოცვილმა. „მძიმედ დაჭ-  
რილი, ერთმა კეთილმა ოჯახმა შემი-  
ფარა, მიბატრონა და ესლა. როგორც  
შედავ, ისევ კარგადა ვარო“, — ეს  
მითხრა და თვალი მომარიდა, თითქოს  
თვითონვე ეჩოთირა, რომ სიტყვა ბან-  
ზე ამივლო.

ბევრი ვეცადე, საუბარი სურვილი-  
სამებრ მომემართა, არაფერი გამოვიდა.

„მეტს ნულარაფერს მკითხავ“, შეუბ-  
ნებოდნენ მისი მოწყენილი თვალები.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. იგი  
შეაწუხა ამ სიჩუმემ.

უეცრად რაღაც საქმე მოიმინეზა და  
წავიდა.

გავშტერდი. ასე რამ დაუგვალა ენა  
ამ ხალისიან იმერელს!

— რაც აქ მოვიდა, პირზე ძვე ბოჭ-  
ლომი ადევს. — მითხრა კაპიტანმა: —



მისი კბილების ფერი დამავიწყდა. ერთ-  
ხელ არ გავლობება, ისე დააღამებს ამო-  
დენა დღეს.

— რა მოვლანდა ასეთი?!

კაპიტანმა ხელები გაშალა.

— ვერაფერი გამოვიდა!.. გამწარებუ-  
ლია რაღაცაზე.

— რაზე ატყობ?

— ამასწინად აფეთქების ტალღამ  
თვალეები დაუხიანა. სისხლი ჩაექცა  
თვალეებში. ცუდად ხედავდა. საექიმოდ  
გავგზავნენ. გამოიპარა. გავუჯავრდი,  
დაისვენე. იწამლე, თორემ თვალი საღ-  
მე გიღალატებს და საქმე ცუდად წავი-  
ვა-მეთქი. კინალამ იტერა: „ეხლა ჩემს  
თვალეებს ოღონდ გერმანელი აქებნიზე  
და არაფერში შეცდებიანო!“

— რაღაცა მაღავეს!

— რას უნდა მაღავედეს, ან ჩვენ რა-  
ტომ უნდა დაგვიმალოს! — ჩაილაპარა-  
კა კაპიტანმა.

იქაური ამბავი ხომ ცხრაკლიტულში  
ჩაპკეტა, აქაურსაც არხსენება დაუ-  
ბედა.

იმკამალ ორხელ კიდეც ვესაუბრე.

ვესაუბრე-მეთქი, ვამბობ, თუ საუბა-  
რი დაერქმეოდა იმას, რაც მაშინ ჩვენს  
შორის ხდებოდა.

არ ვიცი, თავისთავზე ლაპარაკი ეჭ-  
ნელებოდა, თუ სიტყვა ეცოტავებოდა  
ნახულისა და განცდილის გამოსათქმე-  
ლად, — მხოლოდ მე კი დიდი წეწვა-  
გლეჯა მკირდებოდა, რათა ორიოდ  
სიტყვა დამეცდინა მოსთვის.

— გავიგე, წუხელ საქმეზე ყოფილ-  
ხარ, ლადო. — ვეტყვი და ჯიბიდან  
რვეულს და ფანქარს ამოვიღებდი.

ლადო ისე შემომხედავდა, თითქოს  
წამებას თუ-არა, ყოველ შემთხვევაში  
სასიკეთოს არაფერს უპირებდნენ.

— ჰო, იყო რაღაც პატარა..

— მაინც!

2. „მნათობი“, № 20.

— ბლინდაცი უნდა აგვეფეთქებინა..  
— მერე? ეროვნულ  
განმათავისუფლებ

— ავაფეთქეთ.  
— როგორ, რანაირად! მითხარი, შე  
კაი-კაიო!

— როგორ და, ღამე მივეპარეთ და  
ავაფეთქეთ.

— ასე ორი სიტყვით თავიდან ვერ  
მომიშორებ, ჩემო ლადო...

დაღლილი თუ არადმიმჩნევი ღიმილი  
ოდნავ შეურხევედა ბაგეს.

— ცაგარელს დაუფახებ. ერთად ვი-  
ყავით. კარგი მოყოლა იცის.

— იმას მერე ვნახავ, კაიო! ეხლა შე-  
ნი ამბავი მითხარი, როგორც გადმოშ-  
ცეს, პირველად შენ შევარდნილხარ  
ბლინდაცში..

— ყველაფერი გცოდნია და მეტი  
რაღა გითხრა!

— ეს რა ყველაფერია, ლადო, —  
შემიწუხებდებოდა გული: — მე უფრო  
დაწვრილებით მინდა!

— დაწვრილებით? — ფიქრმორეული  
შემეკითხებოდა იგი, თითქოს გულის-  
ყურს იკრებსო.

და სულ გაჩუმდებოდა, და ისევ მისი  
ახლო მეგობარი არჩილ ცაგარელი უნ-  
და მენახა, ან კაპიტანი გელოვანი, რომ  
ანერად მაინც გამეგო ვაშალომიძის იმ-  
ლამინდელი ბრძოლის ამბავი.


ქერჩის მეორე დესანტი ისე დამ-  
თავრდა, „მივეპარე-მოვკალის“ მეტი  
ვერაფერი ვათქმევინე.

ყიობის იერიშის მონაწილე ქართვე-  
ლებზე მასალებს ვაგროვებდი. კაპიტა-  
ნმა გელოვანმა მებრძოლთა სურათების  
აღბომი გამომიგზავნა. წაეკითხე ვაშა-  
ლომიძის სურათზე მინაწერი.

„ბალაკლავსთან, მესამე მალღობზე.  
კაპიტანი გელოვანის მხვერავეები იერი-  
შზე გადავიდნენ: ბტრის პირდაპირი და-  
მინების ქვეშეხმა მათი წინსვლა შეა-  
ჩერა. ფერდობზე განხერილ ქვეგანა-  
ყოფს ზარალი მოსდიოდა, მხვერავემა  
ვაშალომიძემ ქვეშეხის ჯაფაფულს

195737

საქართველოს  
საგარეო  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ზურგედან შემოუარა, ხელჩართულ ბრძოლაში ხუთი გერმანელი მოჰკლა და ქვეშეში ხელთ იგდო. სარდლობამ წითელი დროშის ორდენზე წარადგინა მამაცი მშვერავი“.

იმედი მომეცა, იქნებ ამ გახარებულ გულზე მაინც მოიღოს მოწყალება-მეთქი. საქმე არა გაქვს!

ასე მეგონა, ხელმეორედ ვკითხულობდი სურათზე მინაწერს, — ათიოდე სიტყვა ცივად ჩამიკენჭა და კრიჭა შეიკრა.

— საიდან, კაცო, იქ როგორ გაჩნდი ასე დაბარებულვით! ან ერთი ხუთბროგორ მოერიე, ისიც ხელჩართულ ბრძოლაში?

განზრახ გამოვთქვი ეჭვი, რომ მისი თავმოყვარეობა გამეცენწლა. მინდოდა, სიტყვა შემოებრუნებინა.

აქაც კოვზი ნაცარში ჩამივარდა.

— ხდება ხოლმე: — მშვიდად მომიგო და წამოდგა.

კაცია და გუნება. ვანა მოვალეა გული გადამიშალოს!

ვინ იცის, იქ რა ჭირი გადახდა საწყალს! იქნებ აღარ უნდა იმ უთანასწორო ბრძოლის მტანჯველი წუთების ვახსენება.

ან იქნებ იმ დროს გონება დაუბნელა ვახელბულმა სისხლმა და მეხსიერებამ თავის საქმეს ვეღარ მიჰხედა!

მამ რას ჩავაცივდი ამ აღამიანს! — ეფიქრობდი და აღტაცებული ვუცქერდი ნახანძრალზე მიმავალ ლადოს.

ტანადი, ძარღვიანი, იგი მძიმედ მიაბიჯებდა ხევისაკენ, საიდანაც ხიდის აღდგენაზე მომუშავე ჯარისკაცებმს ხორბოცა ისმოდა.

სწრაფად ჩამუქდა სამხრეთული ხანმოკლე მწუხრი. ფერდობებზე ბნელ ჩამოწვა. მხოლოდ ალაგ-ალაგ, როგორც დაფაზე მიჩენილი ცარცის ნაფხენი, მკრთალად მოსჩანდნენ ვაშლის-ხის ყუავალები. მერე ისინიც წაიშალნენ.

სოფლის თავზე ჯვარედინად ზეზუნებდნენ ყუმბარები. ერთნი მტანჯის მთებზე სკლებოდნენ, მერტუნნი ხეობის ყელს ეძებდნენ, საიდანაც ეხლა ჩვენი ჯარი დაბლობში ჩადიოდა.

რაწმას სროლა მიწყებოდა — ბნელში გამდნარ ბუჩქებიდან ბულბულები დასცხებდნენ. სად იყო ნეტავ ამდენი! ჩემს გარშემო ყოველი ტოტი სალამურს უკრავდა.

— პაი დედასა, — ჩაილაპარაკა ვილაცამ სიბნელეში.

ვერ გავიგე, ბულბულების გალობა მოეწონა, თუ უეცრად რაღაცაზე გული დაწყდა.

მანქანამ მომაკითხა, მთელი გზა თვალწინ მედგა ვაშლომიძის ღიმილის გადაჩვეული სახე.

#### თავი მისამდე

ღილიდანვე სული ამოგვხადა ყირიმის პაპანაქებამ. ბუმბულისებრი ღრუბლები დაბლა ჩამოწვენენ, ნიავმა სუნთქვა შესწყვიტა და მთელი ქვეყანა დახშულ ოთახს დაემგვანა.

ავდარს აბირებდა, მაგრამ მანამდე ჩვენ ჩვენი გვემართებოდა.

— საოცარია, — ძილმღვიძარედ ბუტბუტებდა ტანანკის ჩრდილში მიგდებული გელოვანი: — არ ვმუშაობ, არც დაეღვიარ, არცარას ვფიქრობ და მაინც ოფლად ვიღვრები. მზეა თუ ჯოჯობეთი, ვერ გამოვიდა!

ხელის აქნევა ეზარებოდა გააღმასებული მუმლის მოსაგერიებლად.

ღუბელა ჭაობის-პირას რუსი მუხღვაურები ტანთ იხდიდნენ გამშავებულნი. ზოლიანი პერანგები და ლურჯი ტილოს შარვლები ფრიალ-ფრიალით ცვივოდნენ ბალახებში, როგორც თოფნაკრავი დიდრონი დრინველები.

ეზოდან კარდალებისა და კოვზების ეღარუნი მოისმა.

ჯარისკაცები ზანტად შემოეწყვენენ ორთქლში გახვეულ სალაშქრო სამზა-

რეულოს, რომელზედაც, როგორც მთავარანგელოზი ღრუბლებში, თეთრხალათიანი მზარეული იდგა.

ეზოს კრწკართან ლაღო ვაშლომიძე შემდეგმა შეაჩერა. ჯიბის დანა ამოიღო, აუჩქარებლად გახსნა და ვაშლომიძეს გაუწოდა.

— რამდენჯერ მითქვამს, წესი იცოდე-მეთქი! ეხლავე შეიკვირი!

ხალათის მარცხენა გულჯიბებზე მწვანე დიდი ეკერა ლაღოს. ძელოსა იყო. შეზოლებიანი, ქალები კაბის მოსართავად რომ ხმარობენ.

სამხედრო ხალათზე ასეთი დიდი თვალში ეჩხრიბებოდა მნახველს, და ერთხელ მეც მივაქციე ყურადღება ამ პატარა დაუდევრობას ვაშლომიძის მორთულობაში.

ლაშაში ჩაცმა-დახურვა უყვარდა ლაღოს. ქუდის ვარსკვლავიდან დაწყებული მაღალყელიან ჩექმებამდე. — მის ტანზე ყველაფერს კრიალი გაჰქონდა. ამიტომ ეს მწვანე დიდი კაცის უბრალო გულმავიწყობას მივაწერე. „ფორმის დიდი დაეკარგა, რაც ხელში მოხვდა, პიპირად დაიკერა და მერე გამოცელა მიავიწყდა-მეთქი“.

და აი, შემდეგი საყვედურს ეუბნებოდა ამ გულმავიწყობისათვის.

ჩვეულებრივი ამბავი იყო. მინდოდა გვერდი ამეცლო რადგანაც ვიცოდი, თამოყვარე ლაღოს ჩემი შესწრება ეწყინებოდა, მაგრამ დაეინახე, როგორ შეაშფოთა იგი შემდეგის მიმართვამ.

ხელისგული სწრაფად დიღზე დაიფარა, თითქოს იმ დანას მკერდი უნდა ვაეზო მისთვის.

— ხალათს გამოვიცვლო, ამხანაგო შემდეგო.

ვაშლომიძის მკვეთრი, გულშეჯერებული ხმა ეხლა ბეჩაყად მეჩვენა.

— ხევისურის დედაკაცი ხომ არა ხარ, კაცო, რა ჯანდაბად გინდა ეს პრელ-პრელი დიღები!

— ორდენს გავიყეთებ, დამალავს.

— არ იქნება ძმაო, არა! ხელ გენერალმა პოლკი უნდა გასწავლოს. გინდა, შენი გულისთვის შემახურონი!

— იყოს, სერგო, თუ ძმა ხარ, — მეგობრული კილო შეაპარა ვაშლომიძემ.

— გათავდება ომი და მერე, თუ გინდა, ბებიაჩემის ჯეარისწერის კაბა ჩაიცივი. გაუშვი ხელი!

და სანამ ვაშლომიძე განძრევას მოასწრებდა, შემდეგი ჯიბეს მისწვდა, დანა დაუსვა და მწვანე დიდი ხელში შერჩა.

— ღვინო და არაყი გაწყდა „ვაენ-ტორგში“, თორემ ფორმის დიღები ფუთობით იყიდება! — ჯეერიანად დაუმატა მან და დიდი შორს გადაისროლა.

მწვანე დიდი ტაჩანკის ხელნას მოხვდა, ბალახში ჩავარდა.

ვაშლომიძე დიდხანს ხილავდა ბალახს, ნეშოს, ტაჩანკას დაყრილ თივას, ხან ყორეს ჩაუვლიდა კვირისთავზე ხელგებაბჯენილი, ხან ისევ ტაჩანკასთან დაბრუნდებოდა...

ვერ იპოვნა. გულდაწყვეტილი გაუღვა გზას.

შეიძლება იმ დიღმა ლაღოს გული გამოლოს-მეთქი, გავიფიქრე და ეხლა მე დაეიწყე მისი ძებნა.

ბევრი არც მიძებნია. მწვანე დიღს ლაშქარსა ფოთლებში ჩავარდნილიყო.

—

ნაშუადღევს კოკისპირულად დაუშვა. მოუთავებელ მიწურებში ჩხრიალა ნაკადები ჩაკვიდნენ.

„გვეღირსა, მოვიდა!“ ყივილებდნენ წელზემოდ გაშიშვლებული ჯარისკაცები, ნაპირბჩაქცეულ ორმოებს მოსასხამებს ახურავდნენ. ჩალბულას აყრიდნენ. ღვართქაფში ბალებბივით ფეხებს ატყუაუნებდნენ...

მოაუღიერდნენ, ვაიხარეს.

კარგად ბნელოდა, როდესაც ვაშლომიძის კარავს მივაღვექი.

— შეიძლება, ლაღო?

— მობრძანდით, — გამოშახა კარვის ყუთხეში ჩამუხლებულმა მასპინძელმა: — მიწა დაღბა და პალოს ველარ იმაგრებს.

კარავში ყუმბარის ცარიელი ვაზნისაგან გაკეთებული ქრაქი ბოლავდა. მიწაზე სურნელოვანი თივა ეფიხა. გარეთ წვიმა უშხაპუნებდა.

— მარტო ხარ?

— ცაგარელი ფოსტის მოსატანად წავიდა, სადმე გადაიწვიმებდა.

— ძალიან გვიშველა ამ წვიმამ.

— ძალიან. — ძუნწად ჩამოპართვა სიტყვა და გაჩუმდა.

ქარი ებრძოდა კარავს. მისი დამძიმებული კალთა ბეჭებზე მიტყაპუნებდა.

— შენი ღილი მოგიტანე, ლალო. შეგატყვე, დასაკარგავად არ გემეტებოდა. შენ რომ წადი, მე ვეძებე და ეპოვებ.

— რას ამბობ?

როგორ მომეპარდა, როგორ გაუბრწყინდა შავი, დიდრონი თვალები! ღილი გამოშტაცა. ქრაქის შუქზე შეათვალიერა.

— რა მადლობელი ვარ! — ესლა მოთხრა და დიდიხნის უნახავარ ჩემს ხელს ნობი ღიმილი სახეზე მოეფინა.

— წახვალ თუ დარჩები? — მკითხა უეცრად.

— დავეტყვიო?

— თავისუფლად. თუ ქარმა კარვინად არ წაგვიღო.

ისევ გაჩუმდა, მაგრამ ეხლა ეს სიტყვე—სიტყვე როდი იყო.

თვალებში მოუხვეწნარი შუქი ჩაუღდა.

შევატყვე, ბევრი რამ დაინახა ერთბაშად.

ლაპარაკი რომ დაიწყო, ხმაში თრთოლვა შეეპარა. არ მოეწონა. მღვლეარების დასაფარავად ხმას დაუწია.

— გახსოვს უტამის გზაზე შავებიანი დედაცაკი?

პასუხი აღარ დამაცალა და განაგრძო:

— ენა მწვანე ღილი მისმა გოგომ დამიკერა ამ ხალათზე..

და იმ ღამეს, იმ ქარ-წვიმაში ეს მიაბზო ვაშალომიძემ:

## ნაწილი მეორე

შენს სიყვლილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც

ილია ქავჭავაძე

ფეხში დაქრილმა, მთელ ღამე ნაღუნ ტყეში ვიარე. ტყე კი—არა, რაღაც უსაშველო ბოდვა იყო. ისე არეულ-დარეულიყვნენ ერთმანეთში ნარცეხლა, კატისფრჩხილა და გარეული ვაზი. ჩამიგდეს ხელში და პატარძლის სახემს სე ბალიშით დამხზელიტეს.

სად რამდენჯერ მხარი ვიცვალე, რომ ეს ატრანელი წიწვა-გლეჯა თავიდან ამეცილებინა. საღარობა ვერსად ვიგრძენი.

ჩიტი ფრთას ვერ გაშლიდა ამ ჩახურულ კატაბარდებში, არამცთუ დაქრილი კაცი რამეს ვახდებოდა. არადა,

ღამიანად უნდა გავცლოდი აქაურობას. სანამ დღის სინათლე ყველა გზას შემიკრავდა.

აღარც ჭრილობა მახსოვდა. აღარც დასვენება. თავგადაკლული მივიბრძოდი ცეცხლიან ეკალში.

მდინარე შამსულის შუაწელში იყო ერთი პატარა სოფელი, ქვემო უტამი, რომელიც გაზაფხულზე ორჯერ გადავოდა გერმანელთა ხელში და ორჯერვე ისე დაგვიბრუნდა, რომ შიგ სოფელში ერთი თოფიც არ გავარდნილა.

ომის ბორბალმა განზე დასტოვარკონიგზასა და გზატკეცილს მოწყვეტილი.

უტაში. იგი უსისხლოდ გადადიოდა იმის ხელში, ვინც მდინარის მარჯვენა ნაპირს დაიკავებდა.

პირველად უტაში მარტში დავიბრუნეთ და სოფლებებმა ვერცკი გათვეს, რომ მანამდე, სამი დღე-ღამის განმავლობაში, ისინი გერმანელთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

მშვიდად ხნავდნენ ქაობებში გაბნეულ პატარა-პატარა მინდვრებს.

მეორედაც გადაჩნენ ისინი დაწიოკებას, თუმცა ამჯერად მტერი მერხანს პარპაშებდა მარჯვენა ნაპირზე. დამშეული რუმინელი ჯარისკაცები თუ შეეხებებოდნენ სოფელში დროდადრო. დასაღვეს დაღვედნენ, მოსაპარავს მოიპარავდნენ და გაჰქრებოდნენ.

მტერი ნაკლებ ეტანებოდა უტაშის ლელიან ჭალაკებს. მხოლოდ ალაგ-ალაგ, უმთავრესად ყორღანებზე, გზირები იყენენ ჩასაფრებულნი.

უტაშის უხვედრ ადგილებს კარგად ვიცნობდი. იმედი მქონდა, იმ ყორღანებს მხარს ადვილად ავუქცევდი და სამშვიდობოს გავაღწევდი.

გათენებისას საცალფეხო ბილიკი ვაპოვე, ჯოხი გამოვქერი, ზედ დავებჯინე და ტყეში ჩამოცრილ სინათლეს გავყევი.

გაშორდნენ ლიტაოდ აყრილი ხეები. ეტყობოდა, ტყისპირი მალე იქნებოდა და ეს მამხნევებდა, მაჩქარებდა, თუ აჩქარების თავი კიდევ მქონდა ჩემს მოშლილ სახსრებს.

მოშუადღევდა.

ბნელხაესიან წიფლებს თინათინებია დაეხვივნენ. ზრამუნა ნეშო და ჩახურებული ფოთლის სურნელება პირდაპირ ფეხზე მაძინებდა. ერთი გულაღმა დაგდება სამოთხედ მეჩვენებოდა.

კენძზე ჩამოვჯექი სულის მოსაბრუნებლად. ადგომისას ძვალსა და რბილს თავი ვერ მოვუყარე. მთელი ნახსმანი დაწყვეტილი მქონდა.

მაინც ვიძალე, და როგორც იყო, ეს ტყვეც გათავდა. თორმეტი საათი მო-

ვანდომე ათიოდე კილომეტრის გეგულას. ცოდვის უცხელესი გეგულია უდაბურ ქალას.

კაცი არსად კვანებდა.

ხელმარჯვენით, თიფის სროლის მანძილზე, მოხრიოკებული გორაკები კრტილებდნენ. სოფელი უტაში იმ გორაკების ძირში იყო ჩაფენილი.

სანამ ფეხზე დგომა შემძლო, წელდაუღებლად მივოკლობდი კაცის სიმაღლეზე მიწყობილ ლელიანში.

მაგრვოლებდა, მაზიზინებდა, როგორც ციებ-ცხელებიან ავადმყოფს, თავი მისკდებოდა. ცალკე ჩემი სიცხე მწვავდა, ცალკე ეს დახაშმული ქერთო.

ძვალი არა მქონდა გატეხილი, მაგრამ ძარღვებში სისხლი შემოიგებდა თუ სიარულმა მაწყინა, ფეხი გამიღურჯდა და რუმბივით გამიხდა. ტკივილი მალა ამოვიდა, წელი წამართვა და ნაბიჯი ვეღარ გადავდგი.

ჯოხი დავაგდე.

მიწაზე დავწეკი და ჩემი ბედი იდაყვებს მივანდე.

ვერ გავიგე, ჩამეძინა თუ გული წამივიდა.

შებინდებისას მოკსულიერდი. შრიალეებდა ლელი. საღლაც ბნელში ხრინწიანად ტიხტიხებდა ღალა.

ერთი გუთნის გაშლაზე გავხიხიდი. მერე ერთბაშად ძალღონე გამიდავდა. როგორც წყალი გადაღვარო საფეე კურკლიდან, ისე პირწმინდად დავცარიელდი. ხელის განძრევა აღარ შემძლო.

შვექლიავისდერ ცაზე საღამოს პირველი ვარსკვლავი კრიალებდა.

მამაჩემი გამახსენა ამ ვარსკვლავმა. წესად მქონდა დადებული: «მ ვარსკვლავის ამოსვლამდე კაცი ყანიდან ფეხს ვერ მოიცილიდა; „თუ ჩემთან მუშაობა ვინდა, ბიძი, ჩემი საათი ეს არის... არა და, დღესვე ჩემი ბრივადიდან გაეწერეო! — გაჯავრდებოდა იგი, როცა რომელიმე ჩვენგანს თვალი უღროოდ შინისაკენ წაუვიდოდა.

იმ ზაფხულს ჯანმა უღალატა მამა-ჩემს. მარჯვლად-მოროდის ცეცხლკიდებში მოადრეოდ იღლებოდა. სამგირვანქიანი თოხი სამი ფუთი გაუხდებოდა შხის გაღმავლისას, მაგრამ ჯიუტი კაცი იყო: არცარას შეიმჩნევდა, არც ხმას ამოიღებდა. მხოლოდ ჩუმ-ჩუმად საყორნიას მთას ვახედავდა და მეტყუოდა „ერთი შეხედე. ბიჭო, ღრუბელი ზომ არაა ცაზე. ჩემმა ვარსკვლავმა როგორღაც დაიგვიანაო“.

ეს გამახსენდა მაშინ და იმ წუთში ჩემი თავი კი-არა, მამაჩემი შემებრა-ლა. ალბად იმიტომ შემებრა-ლა, რომ სიკვდილის წინ უფრო მძაფრად ვგრძნობდი, როგორ გაუმწარებდა სიცოცხლეს ჩემი ამბავი.

ჟამიდან ეამზე გული მიღონდებოდა. მერე ისევ ცნობაზე მოვიდიდი და ისევ იმ ქაბუხა ვარსკვლავს ვხედავდი, ისევ მესმოდა ღალღების ხრინწიანი წრიბინი, და სწორედ ეს იყო ყველაზე მტახ-ჯველი: არცა ვკვდებოდი და ვერც ვერაფერს ვაკეთებდი, რომ ცოცხალი დავრჩენილიყავ.

უეცრად ვარსკვლავი შეიჩრა, თვალის დახამებაში ცის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაქროლა და საყორნიას მთაზე შემოჯდა, ზედ იმ მწვერვალს მოკვიდა, საიდანაც ყოველ საღამოს ნოსჩანდა იგი ჩვენი ბრიგადის ყანიდან.

„რა ასლო ყოფილა საქართველო, იქამდე როგორ ვერ მივაღ-მეთქი“, გავიფიქრე, და, მგონი, წამოვდექი...

შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

### თავი მეორე

მახსოვს მხოლოდ, დროდადრო ერთი ნაცნობი სიმღერა მესმოდა, ხან მიყუჩდებოდა, ხან ისევ მოიჭრებოდა საიდანღაც შორიდან და ვერც ტყბილად გამწვავდა გულში, ასე მეგონა ჩემი სახლის პარმალზე ძილმღვიძარე ვიწექ და იმ სიმღერას აყვავებული ბროწეულების ორლობეში მიმავალი ქალი მღეროდა.

არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი ამ ბუ-რანში, მხოლოდ ერთხელ სიმღერა ესეცხადად გავიგონე, რომ თვალმ მართლ-გაეახილე...

ჩემი ტახტი მიწის კედელზე იყო მიდგმული. კედელი გრილი იყო, შეუ-ლესავი და ერთგან ვიწრო სამხირი-ქონდა დატანებული, საიდანაც ელვა-რე, ოქროსფრად დაწინწკლული სი-ნათლის ზოლი შემოდიოდა.

ამ სინათლემ თავბრუ დამხვია და ერთხანს ველარაფერი დავინახე. როცა ისევ გონს მოვედი, დამალი ხილისა-და შმორის სუნნი ვიგრძენი.

ეტყობოდა, საკუქნაოში ვიწექი. ჩემი ტახტის პირდაპირ ბინდიან კუთხეში ათასი ხარახურა ეყარა: ძირგავარდნი-ლი სკამები და შავ-შავი ბოცები, დაშ-ლილი კასრები, ძველი ცალუდი, ძველი-აკვანი, ქოთნები, რაღაც ღვედები და ხელსაწყოები. ჭერში — მტვრიანი ა-ლაბუდები.

წოლისა იყო თუ ჭრილობისა, მთელი-მარჯვენა კედარო მტეხდა. ნასიცხარი-პირი მქონდა, ოფლი მაწუხებდა, და როდესაც საბანი გადავიხადე, ვილაცამ თავზე ხელი გადამიხვა და სწრაფად წამჩურჩულა:

— დაწყნარდი, ჩემო კარგო, დაწყ-ნარდი!

რუსი ყმაწვილი ქალი სასთუმალთან დამიჯდა, პირსახოცი დაბერტყა და თავისერზე ოფლი მომწმინდა.

დამფრთხალი მიმზერდნენ მისი ცის-ფერი ლამაზი თვლები. რაღაც უთქმე-ლი დარდის ჩრდილი მოძვენოდა ნა-ზად დახვეწილ სახეზე.

— სადა ვარ?

— საქართველოში, — მითხრა იმ ქალ-მა, პირსახოცი ისევ დაბერტყა და-ველმეყრდი შემომშრალა.

საქართველოში? ყური მატყუებდა. თუ ისევ ბურანში ვიყავი.

— სადა ვარ-მეთქი, — ხელახლა ვკი-თხე.

— საქართველოში საქართველოში... არა გჯერა?

ბავშვურად გაბუტული წითელი ტუჩები მკრთალმა ღიმილმა გაუხსნა და ერთბაშად, უბრალოდ, როგორც ფრინველებმა იციან, სიმღერა წამოიწყო.

„სულყოლ“ მღეროდა.

გულმა ბაგებუკი დამიწყო.

ეს ხმა იყო და ეს სიმღერა, ცოცხალ-მკვდარს რომ მიაღერებდა იმ გაუთენებელ ღამეებში.

შევეხედე და თვალი ზედ დამჩნა, ისე გამშვენიერდა ესლა ჩემი უცნობი მომღერალი.

მუქი ვარდისფერი ლოყები შეუღვივდა, შუაზე ღამაზად გადატეხილ წარბებში რაღაც ჩემი გოცების ნიშანი ჩაებეჭდა; წრფელი და უმანკო კვლუცობის ღიმილმა გაუბრწყინა დიდრონი ცისფერი თვალები.

მისი სიღამაზის მარტილი ამ შექიან, სანდომიან თვალებში იყო.

ცოტა რუსული სიმღერის ელფერი დაჰკრავდა ამ თვალმაზარა გოგოს „სულყოლ“, მაგრამ ეტყობოდა, უყვარდა, და ღრმად განიცდიდა ჩვენებურ სიმღერას: ხმის ყოველი ძაფი ალერსში უღნებოდა და გულს მიფორიაქებდა.

აღუღებებისაგან თავი მიბრუნოდა. გულის კედლებს განზე მიწვედა უსაზღვრო სინაზის გრძნობა, გამოურყვეველი სიამის ბურანში მხვევდა მისი სიახლოვე და როგორც ბაღლი ვნატრობდი, ნეტავი ერთი დედამამიშვილები ვიყოთ, რომ გულზე მიგკრა და ეგ სათნო სახე დაგიკოცნო-მეთქი.

უცბად სიმღერა შესწყვიტა და სახეზე დამაშტერდა.

დაჟინებული მიმზერდა, თითქოს ველარა მცნობდა.

ლოყებზე აღმერი შოეკიდა.

— კარგადა ხარ? — წამჩურჩულასიხარულისაგან აღუღებელი ხმით.

— რა მომკლავს, გოგო, შენი შეზხედვარე! მითხარი, ვისი ხარ, სადაური ხარ?

— აქური ვარ, უტაშელი.

— ჩვენ ახლა უტაშში ვართ.

— უტაშში.

— მამ წელან რად მითხარი, საქართველოში ვართო!

პასუხად მხოლოდ გამოიღმა. მერე დაიხარა და მკითხა:

— სულ არაფერი გახსოვს?

— არაფერი.

— არც მე გახსოვარ?

— შენი სიმღერა მახსოვს, სად ისწავლე ეგ სიმღერა?

— შარშან ჩვენსას ერთი თქვენებური კაბიტანი ცხოვრობდა. ქართველი, იმან მასწავლა.

— შენ საიდან იცი, რომ მე ქართველი ვარ?

— მართლა არაფერი გახსოვება! — წრფელად შეიკვირვა მან: — მთელი დამე საქართველოზე ბოღავდი. მამ ვინ იქნები! დედა, როგორ შემეშინდა პირველად. მთლად გადაკრული იყავი სიტხისაგან.

— რატომ მაშინვე ჩვენებს არ შეატყობინე, სანბატში გადამიყვანდნენ.

ეს რომ ეუთხარი, სახე შეეცვალა, რაღაც ნაშქარვედ გამოიღმა და მითხრა:

— გაწყენს ამდენი ლაპარაკი, ესლა დაიძინე, გამოშუშდი და მერე ვილაპარაკოთ.

წავიდა და თითქოს შექი რამ დასტოვა ჩემს სასთუმალთან, ისეთი სხივიანი სახე ჰქონდა იმ დალოცვილს.

გული დამწყდა და ცოტა კიდევ გამოიკვირდა, რომ სიტყვა ბანზე ამიგლო და მართო დამტოვა ამ დაღვრემილ გალიაში. ნუთუ უკეთესი ოთახი ვერ გაინეტეს ჩემთვის!

მთელი მინი საქციელი და სიტყვა-პასუხი თავიდანვე უცნაური იყო. ვატყობდი, რაღაცას მიმალავდა, მეტი იყო, ვიდრე მეუბნებოდა, მაგრამ ფიქრისა და გამოძიების თავი საღ მქონდა! მართლა დამასუსტა ამ საუბარმა, თანაც ჩემი ცნობისმოყვარეობა სიხარულმა გამიჩინა: უტაშში ვიყავ, სამშვიდო-

ბოში, ცოცხალი და ვალმოხდილი.. და ეს კალმითნახატი ქალი ჩემი მფარველი ანგელოზი იყო.

ჩემთვის ესეც კმაროდა, რომ თავი ბედნიერ კაცად ჩამეთვალა.

### თავი მისამი

ნადრევი გამოდგა ვაშალომიძის სიხარული, სანამ იგი ტყიდან გამოაღწევადა, ჩვენს ჯარს მდინარის მარჯვენა ნაპირი დაეტოვებინა, უტაშში ისევე გერმანელები შესულიყვნენ.

უტაშელი დედაკაცი და მისი ქალი სვეტლანა თურმე კალოებთან წასწყდომოდნენ გონმიხილ ვაშალომიძეს. დედაშვილს ლელი მოექრათ და შინ ბრუნდებოდნენ, როდესაც ბნელში, ქაობიდან კაცის ხმა გაიგონეს..

ბოდავდა სიცხისაგან აღგზნებული დაქრილი.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გამოუგნებლად ჩურჩულებდა რაღაცას მათთვის გაუგებარ ენაზე. ზოგჯერ თითო-ოროლა რუსული სიტყვაც აღმოხდებოდა აღმოდებულ პირიდან. ბორგავდა. წამოდგომა ეწყადა. პრილობაზე ტოლადი შოშვებოდა.

ვერ მოასულიერეს. ფეხი ხელახლა შეუხვიეს. მერე ყასიდად ცოტაოდები ტვირთი აიკიდეს, დაქრილს მხრებში შეუდგნენ და შინ წამოიყვანეს.

გზაში, ეტყობა, სიცხემ უმატა: ხურცება მოერია. გაშმაგდა.

მკერდზე ხალათს იხვედა, და რაც ყველაზე სახიფათო იყო, — ძველი ქვეყნის გასაგონად ყვიროდა ბედშივი.

ამშვიდებდნენ, ეფერებოდნენ. ქალი პირზე ხელს აფარებდა და ის ხელი თითქოს ცეცხლის აღზე ეჭირა. ისეთი ცხელი იყო დაქრილის სუნთქვა.

პირველად ვერაფერი გაიგეს მისი სიტყვების კორიანტელში, მერე ბოდვას ყური შეაჩვიეს და რამდენიმე სიტყვა გაარჩიეს:

„მალე მივალთ საქართველოში?“  
ყვიროდა საწყალი და დედაშვილს ხელს ლიდან უსხლტებოდა. საოცარი იყო, საიდან ამოჰქონდა ამდენი ძალი! ძლიერ იჭერდნენ გაშმაგებულს.

— დამშვიდდი, მალე მივალთ, სულ მალე! — ემუდარებოდა შიშისაგან გულგახეთქილი ქალი.

გულს უკლავდა მისი საცოდაობა. ახლა უფრო ეცოდებოდა, მისი ბნელი გონების იქით რომ გადაიხედა.

„მალე მივალთ საქართველოში? — მალე მივალთ საქართველოში? — არა სცხრებოდა დაქრილი და მსულბლებშაც აღარ იცოდნენ, როგორ გაეჩუმებინათ იგი.

ხან ალერსიან სიტყვას ჩასძახოდნენ ყურში, ხანაც ამინებდნენ, სოფელში გერმანელები დგანან და ყველანი დავილუპებითო.

ვერაფერი შეაგონეს.

ჯერ ისევე კალოებთან იყვნენ. შორიდან ისმოდა ძაღლების ძილმოარეული ყიფა, ბუნდად მოსჩანდა კორტოზზე აღანდული ბნელფრთიანი წისქვილი.

მაშინ რაღა ჰქნან, კალოებს რომ გასცდებიან და სოფელი დაიწყება! შინ როგორ შეაპარონ ეს ნახევრად გაგივებული კაცი!

იქნებ აქ სადმე ლელიანში დამალოს და ხვალ-ღამ მოაკითხონ, მაგრამ ხვალამდე ბედისამარად როგორ გასწირონ ეს უბედური!

— „სწორედ მაშინ იყო „სულიყო“ რომ გიმღერე! — მაიმობოდა ჩემი გულთმისანი მომღერალი: — მეც არ ვიცო რატომ გიმღერე! უეცრად გამკრა გულში რაღაცამ..

„არ ვიცი, ჩემი სიმღერა ჩაგესმა და შენი თავი მართლა საქართველოში გეგონა, — არ ვიცი, იმდენ წყაღებაში ძაღლონე გამოგელია და ბურანმა წაგიღო, — მხოლოდ სასაწყალი კი მოხდა: მაშინვე გაყურდი..“



„მეზორციელს არაეის გაუგია, აქ ისე მოგიყვანეთ. მხოლოდ ერთმა მეზობელმა მოთხრა: „რა გამღერებდა, გოგო, იმ დილა-ადრიადა... გერმანელების მოსვლა ვაგინარდაო?“

რაღა მეთქვა! დავჯექი და მთელი ღღე ვიტორე.

### თავი მეოთხე

როგორ მოიჩქაროდა ამ დასაქცევ სოფლისავე და როგორ გაუცრუვდა იმედი! მოწყვეტილი, სიცხიანი, ესლა ამ მტერიან საუკუნეაოში ეგდო და ჭერში გაბმულ აბლაბულებს შეჰყურებდა. ეს იყო მისი ბედი!

გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, რომ ყუაზე მიშდგარი საქმე ხელიდან წაუვიდა. ერთი-ღა დარჩენოდა ნუგეშად: იქნებ ჩვენებმა მდინარე ისევ გადმოლახონ და სულზე მომისწროს.

გამიდან ყრუდ მოისმოდა ზარბაზნების სროლა, გათენებისას უფრო ცხადდ ისმოდა, და ვაშალომიძეც მამლის ყვილზე იღვიძებდა, გაფითრებული უსმენდა იმ შორეულ გუგუნს. უსმენდა და გული ეწურებოდა, რომ ბრძოლის ხმა თანდათან შორდებოდა სოფელს, და როდესაც ყოველივე დადუმდა, მისი გულიც დარდიანმა მღუმარებამ შეიპყრო.

საოცარი იყო, ეს მედგარი კაცი როგორ ბავშვივით გულბატარა აღმოჩნდა ავადმყოფობაში, სიცხის საზომი წამდაუნქემ ხელში ეჭირა. ერთი ხაზის დაკლება ან მომატება ისე აღელვებდა სიცხე უმაღვე აუვარდებოდა. მორჩენა ეჩქარებოდა, და რაც უფრო ეჩქარებოდა, ავადმყოფობაც უფრო კერპობდა. გუნებამოშლილ ჯარისკაცს ჭრილობა აღარ უმთელდებოდა.

მაღაც დაეკარგა. ორ-სამ ლუკმას უგებურად გადაჟლავდა და ისევ ძილად მიეგდებოდა. ეს აქ იყო მარგებელი ძილი. ტყვილისა იყო თუ გულის ჯავრისა, მწარე სიცხადე არც მაშინ ასვენებდა, და იმ ძილ-ღვიძილში იგი

კვლავ თავის შედღეს ეომებოდა. და ვინ იცის, საქმე როგორ წარუდგინდა, რომ ეს ღეთისნიერი ქალი არ შეხედებოდა.

როდესაც უტაშელი სარაჯის ქალი სვეტლანა ვერშინინა თავის თავს ბრძოლის ველზე წარმოიდგენდა, მისი გონების თვალი მუდამ ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: აგერ ყველა დაქრილი გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. მხოლოდ იმ გორაკზე ერთი მკლავმოწყვეტილი ლეიტენანტი (რატომღაც მაინცადამაინც ლეიტენანტი) დარჩენილა დაველარ შევლიან. გორაკის თავზე ბუდეაშლილ კრაზანებივით ზუზუნებენ ტყვიები. მიწას ადუღებენ ყუმბარები. კაცი ვერ ბედავს სანგრიდან ამოსვლას. და უეცრად, ამ მეხისტებაში, სვეტლანა წამოდგება და მთელი ჯარის თვალწინ გორაკისაკენ უშიშრად გახიხდება.

„დაბრუნდი, მოგკლავენ!“ — უყვირიან ყოველის მხრიდან.

„გიბრძანებ, დაბრუნდე!“ — მისძახის ვრძელუღვანოანი, ქალარა პოლკოვნიკიც.

სვეტლანა მაინც იჭითენ მიისწრაფვის.

იგი არ შეასრულებს პოლკოვნიკის ბრძანებას, და იმიტომ, რომ არ შეასრულებს, გული ტყბილად და ამაყად უძგერს.

სოლოასა და ცეცხლის ნიაღვარში გაბედულად მიცურდება დაქრილთან. მკლავს მოხვევს და სამშვიდობოს გამოიყვანს. მთელი ქვეყანა გაიგებს შისი გამირობის ამბავს. ომში წაუღლი ძმებიც გაიგებენ, ერთმანეთს გადაბედავენ და იტყვიან: „ერთი უყურეთ ამ ჩვენს ნაცარქექიას, ეს რა გული ჰქონიაო!“.

ამ ფიქრებში აღამებდა და ათენებდა სვეტლანა და ისე შეეჩვიო ამ ოცნებას. შშობლებმა უარი ვეღარ უთხრეს და შარშან ზამთარში ყმაწვილი ქალი სა-

მედიცინო დების კურსებზე გაგზავნეს. ამ გაზაფხულზე ოცნება ერთბაშად ჩაედუნა: მამაც ჯარში წაიყვანეს. ჯაერი-საგან გულამოკმული დედა მარტო ვერ დასტოვა სვეტლანამ დაცარიელებულ ოჯახში.

სწავლას თავი მიანება და სოფელში ჩამოვიდა. ვერ მოისვენა, თავისი ადგილი ვერსად იპოვნა იმედგაცრუებულმა ქალმა. ხან მერტყევობის ფერმაში მუშაობდა. ხან საბავშვო ბაგა ებარა, ერთხანს ტრაქტორის მართვასაც სწავლობდა. გული ვერაფერს დაუღო. ტრაქტორი, საბავშვო ბაგა, ძროხების წველა, ყველაფერი ეს მერტყევობად პატარა საქმედ ეჩვენებოდა გამბრობაზე შეოცნებე ქალიშვილს.

გული ელეოდა, გზად მიმავალ ჯარში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ ქალებს რომ დაინახავდა. თვითული მათგანი სალოცავი გმირი იყო სვეტლანას თვალში. იმ უცნობი ქალების ცხოვრება ასულდგმულვება მას, და რაც წმინდა და კარგი რამ იყო ქვეყანაზე, იმ ქალებს ანიჭებდა მისი ოცნება.

და ამდენიხნის ნატვრა მხოლოდ მაშინ აუსრულდა სვეტლანას, როდესაც იმ ღამეს, კალოებთან, დაპირილი სამჭოთა არმიელი იპოვნა. მისი დამალვა, შოვლა და გადაჩენა ეს ზომ იგივე ბრძოლის ველი იყო, უფრო მიმზიდველი და უფრო სახიფათოც, რადგან ეხლა ამ ბრძოლაში იგი მარტოხელა იყო.

### თავი მესამე

...ჩემდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ეს ქალი გამიჩნდა პატრონად, — მიაპობოდა ვაშალომიძე.

წვიმამ გადაიარა, სარკმელი გამოვადე. დაბუთულ კარავში ნაძვისა და თივის სურნელება შემოიჭრა, და უფრო მკაფიოდ მოისმა აღიდებული მდინარის ხმაური, ვაშალომიძე ერთხანს სარკმელში მიმავალ ღრებულეს შეჰყუ-

რებდა. მერე ისევ ჩემსკენ მოპოვნდა. ამბავი განაგრძო:

„ქვიტციორის ორსართულიანი სახლის და სახელოსნოს შუა დატანებული საკუქნაო კარგად იყო დაფარული უცხო თვალისაგან. მაინც ვწუხდი, ამ კეთილ ოჯახს თავი არ წაეგო ჩემი გადაკიდე.“

— ისინი სოფელში ბევრნი არიან? — ვკითხე ერთხელ სვეტლანას.

— ორი ჩამოვლა კირი ვერ გასწყვეტს, იმდენი არიან.

— სიფრთხილეს თავი არა სტყვი! იქნებ სჯობდეს, ამ სახლს მომამორო. ჩემთვის ლელიანშიც მოინახება ადგილი..

— მაინც რომელმა კარმა გითხრა, გადი აქედანაო! — შემაწყვეტინა მან.

— ვიცი, სვეტლანა, ვიცი, შენი გული და შენი სახლის კარები ერთიენით ლაპარაკობენ, მაგრამ აქ რომ მიპოვონ?! არ გეშინია!

— მე კომკავშირელი ვარ. — მშვიდად. უბრალოდ გამანდო მან თავისი უშიშობის საიდუმლოება. ისე მშვიდად და უბრალოდ, — ეტყობოდა, ეს იყო მისთვის ყველაზე დიდი კანონი ამ ქვეყანაზე.

საუკუნაოდან თანდათან გაჰქრნენ აბლაბუდები, ძირგაყარნილი საკამები და ქოთნები. გაჰქრა დამპალი ხილის სუნი.

მიწაზე დაგებულმა აგურებმა პირდაპირს. ჩაბნელებულ კუთხე-კუჩქულებს მინდვრის ყვავილებმა თვალში გამოახედინეს. სვეტლანას მზრუნველი ხელი ნესტისაგან აქრელებულ კედლებსაც დაეტყო. ერთგან ღამაში ჯეჯიმი ჩამოჰკიდა, მეორეგან წითლად მოქარგული მამლებიანი პირსახოცი.

სასთუმალთან პატარა მაგიდა დამიდგა, ზედ სარკე-საეარცხელი დამიწყო.

მთელი თავისი ოთახის მორთულობა ჩემთან შემოზიდა და მისი ქალიშვილობის ნივთებმა იმდენი სიწმინდე, სიმშვიდე და მყუდროება შემოიტანეს ჩემს გალიაში, ზოგჯერ მეჩვენებოდა, მთელს

დღეამიწაზე ასეთივე სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა.

სვეტლანა მხოლოდ დილა-სალამოს შემოდინოდა ჩემთან.

გაუთენებელში, როცა სოფელს ისევ ეძინა, საღდაც ზემო სართულზე გაიჭრაილებდა კარი და სიფრთხილეს დაძვეულ ფეხისხმას გაეიგონებდი.

ათას ნაბიჯში გამოვიცნობდი სვეტლანას მსუბუქ, ახალგაზრდულ ნაბიჯს; და რაწამს საწოლიდან ახლად ამდგარი, შილიფად ჩაცმული, ფეხშიშველა, ტანად სავსე და მოყვანილი ქალი ჩემთან შემოვიდოდა, ასე მეგონა, ამ ბინდიან ოთახში აყვავებული ვაშლისხის ტოტი შემოიტანესო.

— როგორა ხარ, ჩემო ავადმყოფო?

ჩემო ავადმყოფო! ამ ორ სიტყვას ისე ვერ იტყოდა, ხმაში ფარული სიამაყის ძაფი არ გამოჩნდებოდა. უხაროდა თავი მოსწონდა, რომ მისი ავადმყოფი ვიყავი.

სიცხეს გამიზომავდა, საკმელს მომიტანდა და მაშინვე წაეიდოდა.

მეორედ — სალამოს მომინახულებდა. კრაქის შუქზე კრილობას გადამიხვევდა, ოთახს დამილაგებდა, მერე საწოლზე დამიჯდებოდა, ხან წიგნს წამიკითხავდა, ხან „სულიოს“ მიმღერებდა.

მღეროდა ისე თავდავიწყებულად, თითქოს იცოდა, მთელი მისი ქალობა ამ სიმღერაში იყო.

ზოგჯერ სასაცილო რამესაც მიამბობდა. სულმოუთქმელად ტიტინებდა, კისკისებდა, თითქოს ქვეყანაზე ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მას უნდოდა.

იცინოდა — ყველაფერი უცინოდა: შუქიანი თვლები; მუქვარდისფერ ლოყებზე დამსხდარი ნაკდურები; წითელი, გაბუტული ტუჩები.

ქალის უნახავი გამხადა, იმდენი ქალური კრძალვა, უბიწო ხორციელების სინაზე და კდემამოსილება გამოკრთოდა ამ უბრალო გოგოს ქცევასა და თავის დაქერაში.

მოუბრუნებელიდან მოაბრუნებდა — ციშვილს მისი სიცილიც ვერ მოეხერხებოდა. თივაში ცეცხლი ვერ დაიმალება, სიხარულს ვერ დამალავდი მისი სიმღერის ვაგონებაზე.

წმირად მაგიდაზე ხელუხლებელი დახედებოდა დილას მოტანილი საკმელი. მაშინ თვალთმაქცურად სიმშვილს მოიგონებდა, მოდი, ერთად ვჭამოთო, ისე მეტყოდა, უარის სათქმელად ენას ვერ მოეპარებოდა. ეცვიც არ ეპარებოდა, თუ მისი გაწბილება ვინმეს შეეძლო.

დაიძინეო, მეტყოდა, და მეც ძილის ანგელოზს კირს მოვჭამდი, დამაძინემეთქი.

სახლიდან იშვიათად გადიოდა.

— ეს საზიზღრები ისე უსირცხვილოდ მიტყერიან რომ... აღარ ვიცი, ღმერთმანი! ქუჩაზე გაელა შემაზარეს! — თვალცრემლიანი მუტუნებოდა იგი.

საწყალი დღეამისი შიშისაგან აღარ იყო. ნეტავ, ეს გოგო მაშინვე საღმე გამეხიზნა, მაგრამ რას ვიფიქრებდი. თუ ასე უცბად შემოვიდოდნენო!

— ნუ გეშინია, დედი! ჩვენები მალე დაბრუნდებიან, — ამშვიდებდა სვეტლანა და ამ მოლოდინში დრო მიძიმედ, გელის გამაწყალებლად გადიოდა.

— ეს რა უცნაური წესი გქონიათ ქართველებს! — მოულოდნელად მოთხრა ერთხელ ჩემმა ახალგაზრდა დიასახლისმა.

შეგხედე და გამეცინა, ისე ბეჯითად მებუტებოდა.

— მაინც რას გვიწუნებ, ქალო!

— თქვენში თურმე ქალი და კაცი გვერდიგვერდ ერთმანეთს არასოდეს გაჰყვებიან. კაცი წინ მიდის და ქალი უკან მისივებსო.

— რომელმა ჩიტმა მოგიტანა ეს ამბავი, სვეტლანა?

— რომელმაც ნახა, იმან მომიტანა. — ჯოტად მომხალა მან: — კახეთი ხომ თქვენი ქვეყანაა! იქ ომაშღე ერთი ჩემი ნათესავი ქალი მუშაობდა აბბოთა მეურნეობაში. იმან მიაშბო. გინდ დღეობაში მიდიოდნენ, გინდაც ბაზრობაზე, ყველგან ასე ცალცალკე დადიანო. მე კი მეგონა, ქართველები ყველაფერში კარგები იყავით!

მგ ისე გულდაწყვეტილად მითხრა, სიცილი ვეღარ შევიმაგრე: ჩვენს ხალხში ეს ჩვეულება ლეკიანობის დროიდან დარჩენილა-მეთქი.

— ნაქები ვაჯაკის წესი იყო, სვეტლანა, გზაში თვითონ წინ ევლო და ხიფათს პირველი შეხვედროდა. ჩვენი სოფლის გზაზე დღესაც ხშირად შეხვედები ამგვარ სურათს: კაცი ხელცარიელი მიდის, ქალს კი ბოღმა უჭირავს. ესეც იმ დროის ნარჩენია. ვაჯაკს ხელი მუდამ თავისუფალი უნდა ჰქონოდა.

დაძაბული მისმენდა სვეტლანა.

ჩემი რომ ვუთხარი, ისე გახარებულმა შემომხედა, თითქოს ნახევარი სიცოცხლე მისთვის მეჩქებინოს.

### თავი მეექვსე

ხშირად დილა-ადრიანად სვეტლანას დედა შემოდის ჩემთან. ორთქლიან კარდალას მაგიდაზე შემოდგამს.

ძილბურანიდან უმალ მაფხიზლებს პილბილს, ნიერბა, დაფნის ფოთლისა და ერთი რაღაც სანელის სუნი. კარდალაში ჯერ კიდევ თუხთუხებებს ჩაშლილი თევზის წვენი.

ამ ადრიან საუზმეს საჯობინარს ეძახის მოხუცი ქალი.

— კარგი საჯობინარი ხასიათს გავიკეთებს, შვილო. მთელი დღე გუნებიერად იქნები. ჯერ ეს გადაკარი.

ცალნახად არაყს ქამრიან ჭიქაში და-მისხამს:

— გამოპართვი, იმ გოგომ არ შემოგვისწროს!

— ერთი ჭიქა რას მაწყვენი, დედიქო! — ოღონდაც რომ არ დაგვიყვინოლო, მაგრამ ის ვერ დაეჯერე, გავიჯავრდება.

— ასეთი ავია შენი ქალი?

— ოთხი შვილიდან შინ ესლა დამრჩენია. სანთელივით მინთია, შვილო! ამ მინდა ვაწყვენინო!

მახარებს მათი კარგი დედაშვილობა და უფრო მეტად ის მახარებს, რომ სვეტლანა ჩემზე ამდენსა ფიქრობს და ზრუნავს.

ამ ზრუნვასა და ფერებაში, ამ დარდიან მარტობაში ისე შევეჩვიე სვეტლანას, უმისოდ ყოფნა აღარ შემეძლო.

დალაშება და გათენება იმიტომ მიხაროდა, მისი ხმა ვამეგონა, ნარნარი და ოდნავ ამღერებელი, თითქოს ვერც ამ დღეების სიმწარეს აემღვრიოს იგი. და-მენახა მისი შექიანი თვალები, მორცხვად მიმალულნი, გრძელი, მოუსვენარი წამწამების ჩრდილში.

პირველად მეგონა, ეს სიხარული მისი კეთილი გულის საზღაფრი იყო. თურმე ვტყუებდებოდი. ამ სიხარულში თანდათან რაღაც მოუსვენრობა შემგებარა და გულმა ჩემად და ტკბილად დამიწყო ტკივილი.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ეს სიყვარული იყო თუ-არა. მაგრამ ჩემი ტყვეობის სიმწარეს უკვე ვეღარა ვგრძნობდი და ხანდახან, გულში კიდევ მიხაროდა, რომ ავადმყოფობა გამიგრძელდა.

დღეში ორჯერ მომაკითხავდა სარაჯის ქალი. იმ წუთებს ისე მონატრებული ველოდი და ისე ვშფოთავდი, როდესაც დანიშნულ დროზე კიბის კრიალს ვერ გავიგონებდი, რომ ჩემი თავი აღარ მომწონდა. ჯავრი მომილიოდა, რომ ეს გზადაკარგული კაცი ამდენს ვფიქრობდი არა იმაზე, რაზედაც უნდა მეფიქრა... არც ის მინდოდა, რომ სვეტლანას ჩემი გულის საიღუმლოება გაეგო.

დღეს-არა-ხვალ ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყრებიან. მაშ რად ავაფორიაქო ან ჩემი, ან მისი გული! ჩვენს დარღს რაღა დარღის მიმატება უნდა! როცა იმდენად მოვეჯობინდი, რომ საწოლზე წამოჯდომა შემეძლო, ჩემი დიასახლისის ყოფაქცევაში ახალი რამ შევნიშნე.

ახლა ისე შინაურულად აღარ მექცეოდა, როგორც წინად იცოდა. წიგნის კითხვისას საწოლზე აღარ დამიჯდებოდა, აღარც ისე შილიფად ჩაცმული და ფეხშიშველი მეჩვენებოდა. მუდამ მორთული და თმადეარცხნილი იყო, თითქოს ავადმყოფთან კი-არა, სტუმრად მიდიოდა.

— ომი რომ დამთავრდება, შეხიქვეყანა უნდა ვნახო. ჩამოვიდე? — მითხრა ერთხელ სვეტლანამ.

— ჩამოდი ქალო, ჩამოდი! ისეთ საქმროს ამოგირჩევ. ვარსკვლავებს ეთამაშებოდეს.

— მაგისტოვის თავს ნუ შეიწუხებ. მანქანალი აქაც ბევრი იშოვება — სიტყვა მოურიღებლად მომიჭრა და გაწითლდა.

არ მეგონა, თუ ასეფი გაჯავრება იცოდა. ალბათ, უყვარს ვინმე, გავიფიქრე და ამ ფიქრმა გული დამწყვიტა. ენამ გამისწრო:

— შეყვარებული გყოლია, სვეტლანა!

— დიხაც მყავს, მყავს! მაშ არ იცოდი! — ეს მითხრა და ოთახიდან გავიდა.

სახტად დავჩი. ვერავითარი გასაღები ვერ ვუბოვე ამ უცარ გულისმოსვლას. და ეს ამბავი ისევ იმ უცნაურ ქალურ პირვეულობას მივაწერე, რასაც კაცი ვერასოდეს ვერ გაიგებს.

მეორე დილას პირდასაბანი წყალი ღეღამისმა შემომიტანა.

მზე ამოვიდა.

გუაღვიანი მინდვრების მტვერი და სიცხე შემოაღდა სარკმელს. სვეტლანა

არსად ჰჩანდა. დაუღამებელი ღამე ჩამოვიდა ჩემთვის, სვეტლანა, სვეტლანა, მისი გამოჩენილა.

### თავი მათხიდა

— ღმერთო მომკალი, გაგაღვიძე?! გაღებულ დარაბიდან მზე პირდაპირ თვალებში მანათებდა.

— გუშინ სად დაიკარგე, ქალო? წუნარად, გულსავსედ ჩაიციხა სვეტლანამ.

— მოგწყინდა უჩემოდ?

— კარგი ექიმი ასე მიატოვებს თავის ავადმყოფს! სად იყავი?

— არა, ჯერ შენ მითხარი, მოგწყინდა, მოგენატრე? რას იზამდი, დღესაც რომ არ მოვსულიყავი!

გამეცინა, ისე ჯიუტად და გულუბრყვილოდ მეკითხებოდა.

— რა გაციუნებს?!

ხმა გაებზარა და მეც მაშინვე დაუყვავე:

— მომწყინდა, სვეტლანა, მომწყინდა, კარებისაკენ ცქერით კისერი მომექცა.

მან ისევ ჩაიციხა და მითხრა, ვალმა ვიყავი, მამიდასთან, წუხელ აღარ გამომიშვესო.

ცოცხი დაასველა, ღია გულისპირი მარცხენა ხელში მოიკრიბა და ოთახიდან დაგვას შეუღდა.

წითელყვითლად დაწინწკლული ამრეშუმის კაბა ეცვა.

მძიმე ქსოვილი ცხადად ხატავდა მისი ნატიფი ტანის სილამაზეს. ეს იცოდა მან და თავს უხერხულად გრძნობდა. ნაბიჯს რიდი უბორკავდა. მწრებიც ისე მოეხზრა, თითქოს სავსე ჭებუჭყერლის დამალვა უნდოდა.

დროდადრო უცარი მოწყენის ჩრდილი მიადგებოდა სახეზე. მერე ისევ მალული ღიმილი გაუბობდა ტუჩებს. ეტყობოდა, გულს ებრძოდა.

თვალს ვერ ვამორებდი, ისე შეენოდა ეს ჩემი მღელვარება, — ჩრდილისა და ნათელის დაუცხრომელი თამაში, ეს

წითელ-ყვითელი კაბაც შევწოდა, ეს ფუსფუსიც და დიასახლისობაც.

უცხად თვალი დაეხუჭე და სვეტლანა ჩემი სახლის ეზოში დაეინახე. კადრების ნემსითი გადაყვითლებულ ეზოს ჰგვიდა სვეტლანა და ხელიც სწორედ ასევე ჰქონდა გულისპირზე მიფარებულნი. დედაჩემი უწყრებოდა: კარგი, შვილო, თორემ მეზობლები დაგვცინებენ. გუშინ რძალი მოიყვანეს და დღეს მოახლედ გაიხადესო.

გული სძიდულდა. თვალი სწრაფად გავახილე, რომ ისევ ის აბოლებული სანგრები ჩამდგარიყო იმ კადრებიან ეზოსა და ჩემს შუა.

— რომ იცოდე, რა ცუდი ვარ, ხმა-საც არ გამკემლი!;— მითხრა უეცრად სვეტლანამ.

ვერ ვაევიგე, ხუმრობდა თუ მართლა მეუბნებოდა. პირდაპირ საკვირველი იყო, დღეს როგორ მალმალ ეცვლებოდა გუნება.

— რატომ, ქალო, რა დაგიშავა შენ-მა თავმა!

— წელან ტყუილი გითხარი. გუშინ არსადაც არა ვყოფილვარ.

— მაშ მთელი დღე სად იყავი?

— შინ ვიჯექი.

— რატომ შენი ავადმყოფი არა ნახე?! თავი მოგაბეჭრა?

— არა გრცხვენია?!

— მაშ რატომ?

თავი დახარა, ნაწნავის ბოლოებს გრეხა დაუწყო.

— მინდოდა გამეგო, უჩემოდ მოგწყინდებოდა თუ არა!

თვლებში ცრემლი ჰქონდა, მაგრამ ტუჩები უღიმოდა.

მაჯაში ხელი მოგვიდევ. ვიგარძენი, როგორ მორჩილად მომანდო თავისი პატარა ხელი. რამდენი ენა ჰქონდა ახლა ამ ხელს და როგორ მიჭირდა, ისეთი არაფერი დამცდენოდა, რაც ამდენიხნის ნამალავს ერთ წუთში გამომვლავნებდა.

სარაჯის სახლი ტბის პირას იდგა. ჩემი სამზირიდან მხოლოდ დამტრეწული ნავსაბელი, ღობეზე გადასული მავალი და სიმინდის პატარა ყანა მოსჩანდა.

როინის ტალებშიც იშვიათად მინახავს ასეთი ძარღვებიანი ლოტო სიმინდი. მისი ოქროს კოჭი ვაჟაკის მტკაველს ჰგავდა. ტანიც ხარბად აყვარა, ზედა ტაროს კაცი ძლიერ შესწევდებოდა.

დილიდან საღამომდე მარტო ვიყავი და როცა ძალიან მოვიწყენდი, ეს ყანა იყო ჩემი შემტკევი. სარკმელზე ნიკაბს ჩამოვდებდი და ხან ოთხტარიოან სიმინდს ვეძებდი, ხანაც ჩიტებს ვუტყერდი, გულგაღებულ ტაროებს ეთივლხივლით რომ დახვევოდნენ.

შუადღისას ტბაში ბიჭები ჭყუმპალაობდნენ. მზეს ისე ვაეხუხა მათი ტანი, გეგონებოდა, წყალში მუგუზლები ჩაუყრიათო.

ერთხელ ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა ჩამოიარა ნავსაბელთან. გულგაღებულნი მოდიოდნენ და გზადაგზა მავალს კრეფდნენ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მეუცხოვა, რომ ახლა ისინი ასე შინაურულად უზრუნველად პირდაპირ ჩემსკენ მოაბიჯებდნენ. ალბად ასევე დამართებოდა მონადირეს, რომ უეცრად თავის ეზოში არხეინად მოთამაშე მგლები დაენახა.

„შენ კი აქ იწექი და შენი ღამაში დიასახლისის თვალებს შეაჩერდი!“ — გამკრა გულში.

წამოვდექი. კედელ-კედელ გავლა ვცადე. ძლიერ გადავდგი ორიოდ ნაბიჯი. უჯჯოხოდ ძნელი იყო დახუთული. ძარღვშიშინებული ფეხის განივება.

იქნებ ერთი კარგი ჯოხი გამომიჭრა-მეთქი. შევეხვეწე იმ საღამოს სვეტლანას.

— აღვგომა გეჩქარება?

— დროა, ჩემო სვეტლანა, გუდანაბადი ავიკრა.

— ფეხი აღარ გაწუხებს?

— როდემღი ვუცადო. ცოტას შემაწუხებს და ბოლოს გაიმართება.

— გაგიმიზეხდება...

— მერე და შენ აქ არა ხარ?! ისევ შენ მომარჩენ, არა, სვეტლანა? არაფერი მითხრა.

— რას გაჩუმიდი! არ მომარჩენ?

უეცარმა სიწითლემ ლოყებზე გადაურბინა. მერე შუბლი გაუფითრდა.

— შე უგულო. — ჩემად, სულ ჩემად წამჩურჩულა: — პირველმა მე უნდა ვითხრა, რომ მიყვარხარ!?

გული გამიჩერა ამ უეცარმა აღსარებამ.

— სვეტლანა! — წყნარად დაეუძახე, ხელი მოვკიდე და ჩემსკენ მოვებრუნე.

ნელა ჩამოცურდა სკამიდან. თავი მკერდზე დამადო და ისე ამოშენდა, ქვეყანაზე ყველაფერი დამაიწყდა. მეც არ ვიცი, როგორ ვაკოცე...

ჩემი ხელები მაშინვე მოიშორა და ათრთოლებულმა მითხრა:

— არა... არა! შენ ნუ.. შენ ნუ! — და როგორც ბავშვმა, დამუწული ტუჩები ლოყაზე მომადო და გაიქცა.

თავი მერამ

შეხეთქული დამე იყო. დაზვიანულ ღრუბლებში განუწყვეტლივ ელავდა. შორეული ქუხილი სწრაფად ახლოვდებოდა. ოთახში უფრო ჩამოცხა. კარი გამოვალე და საინიაოზე ჩამოვჯექი.

იელისის პაპანებაში გაბრუნებული ქვიშარები ჯერაც არ განელებულებოდნენ და ბნელში ისევ ბული ტრიალებდა. ტბის პირას აღანდულ ხეებზე ფოთოლი არსად ფაჩუნობდა.

ანაზღად საღვთო სიბნელეში სვეტლანამ ჩემი სახელი ასხენა.

ყური მიუფგდე.

დედა-შვილი ჩემზე საუბრობდნენ. ისინი არა სჩანდნენ. — მეორე სართულის კიბეზე ისხდნენ, მაგრამ ქუხილი რომ მისწყვდებოდა, მათი ყოველი სიტყვა მკაფიოდ მესმოდა.

— იცი, დედა, რა მითხრა? — ელურ-

ტულებდა სვეტლანა: — უშენოდ ცხოვრება არ შემძლია, მოვრჩებოდი მისთვის, წავალ და შენც თან წაგრიყვანო...

— კი მაგრამ, გოგო, იმ უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხთან... — ჩაურთო დედამ, მაგრამ სვეტლანამ ჩიტყვა არ დაანება.

— მეო, მითხრა, დები არა მყავსო. ამიტომ დედამემს უფრო მეტად შეუყვარდები, მისი რძალიც შენ იქნები და ქალიშვილიცო..

ეს რომ გავიგონე, გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

სტყუოდა სვეტლანა. არაფერი ამის მსგავსი მე არ მითქვამს — ყველაფერი მისი მოგონილი იყო, აღბად იმიტომ, რომ დედის გული ჩემსკენ მოებრუნებინა. მე მხოლოდ იმან გამოაცა, ასე სიტყვა-სიტყვით რამ ათქმევინა ჩემი ნაგულეები და ნაფიქრალი.

მათი საუბარი ისევ ქუხილმა დაძვარა. მერე კვლავ მომესმა:

— დედამიღს ტბილად მოექცეო, შვილო! კარგი დედამთილი დედის მაგიერობას გაიწევს. ქმარიც უფრო შეგიყვარებს.

— კი, ჩემო დედა, კი..

კონის სმა გავიგონე.

— გამოივი, გოგო, ნუ დამხარჩვე! — აღურჩიანად გაუწყრა დედა: — ომი აღბად მალე გათვადება. შვილო. მამაშენიც იქნებ მშვიდობით დაბრუნდეს. შენი მისამართი მალე შემატყობინე, თორემ იმისი ამბავი ხომ იცი! მომკლავს, გოგო სად დამიკარგეო..

— კი, ჩემო დედა, კი...

— იცოდე, სწავლას თავი არ მიანებო.

კინამ გამეცინა.

ესენი აქ ისე ლაპარაკობდნენ, ისე იმედინად ლპრიდნენ და ჰკერავდნენ ხვალისდელ დღეებს. თითქოს ქვეყანაზე ომის სახსენებელიც აღარსად იყო.

დედაშვილი, მგონი, დაეიწყებოდა, რომ ამ კედლებს იქით გერმანელები

დადიოდნენ და არავენ იცოდა. ის ხე-  
ლინდელი დღე ვის რაჲ მოუტანდა.

კბე აკრიალდა.

ფეხის ხმაზე ვიცანი, სვეტლანა იყო.  
მეგონა, სიბნელეში ვერ შემამჩნევ-  
და, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ერთბა-  
შად შესდგა, დაიხარა და შემკრთალმა  
მკითხა:

— აქა ხარ? — გვერდით დამიჯდა.

გავეხუმრე:

— მე აღარაფერს მკითხები, სვეტ-  
ლანა, რომ ასე უჩემოდ გადაწყვიტე  
ყველაფერი!

— გაიგონე? მიჯაერდები? — გულის  
მომხარავი ხმით წამჩურჩულა და მკერ-  
დზე მომეკრა.

მერე სიბნელეში ჩემი ხელი იპოვნა,  
ზედ ლოყა დამადო, გაუბედავად მომე-  
ფერა.

ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არა-  
ვინ იქნებოდა, რომ ხვალ ეს ომი გა-  
თავებულიყო..

ღამე უფრო შეიხუთა.

ქუხილი გაძლიერდა. ცას გამალებუ-  
ლი შოლტავდა ელვა, მაგრამ არაფე-  
რი... ცოტა წამოწინწყლა და მაშინვე  
გადიკრა.

უვარსკვლავო ცაზე მოწითალო ბუ-  
რუსში გახვეული მთვარე ამოვიდა.  
გვალის მთვარე.

.....დიდხანს ისხდნენ სანიავოზე, მხა-  
რი-მხარ მინდობილნი.

ტკბილად ფეთქდა სისხლი ქალვავიხ  
შერთებულ ხელსაგულეებში.

ალტაცებული ტიტინებდა სვეტლანა,  
როგორ გადავლენ სამშვიდობოს და  
როგორ გამოცხადდებიან ლადოს ნა-  
წილში და როგორ შეეხვეწება სვეტ-  
ლანა ლადოს უფროსს, თქვენთან სა-  
ნიტრად დამტოვეთო. მერე როგორ  
დამშვენდება სამხედრო ტანსაცმელი და  
როგორ წარბშეუხრებლად გაჰყვება  
ბრძოლაში ლადოს... ახლა ეს ომიც  
გათავდება და საქართველოში ჩავლენ

და როგორ დაქორწინდებიან და რო-  
გორ გაუპირდება პირველი სიბნელეში  
ღედამთილ-მამამთილთან უარსებულად  
ლაბარაკი და როგორი მოსიყვარულე  
ცოლი და დედა იქნება..

და სვეტლანა თვალებს ხეჰქავს, რომ  
ყველაფერი ეს კარგად დაინახოს.

ზოგჯერ ოცნება ისე ცოცხლად დაუ-  
ხატავს ამ სურათებს, რომ ქალი ერთ-  
ბაშად გადასხვაფერდება. ტუჩებზე რა-  
ღაც გამოუცნობი ღიმილი მოეფინება-  
და ისე მიცქერის, თითქოს ველარცო  
მხედავს.

— რა იყო სვეტლანა! — შევეკითხე  
ერთხელ.

— არაფერი.. არაფერი! — ჩურჩუ-  
ლით მითხრა ბურანიდან გამოფხიზლე-  
ბულმა ქალმა: — რა უცნაურია! ხანდა-  
ხან ასე მგონია, მთელი სიცოცხლე შენ  
მიყვარდი და გელოდი... მარტო შენ  
გელოდი...

მუდამ მარტონი იყვნენ ისინი ამ ყრუ  
კედლებში და ეს მარტოობა უფრო  
აფაქიზებდა მათ სიყვარულს. უცოდვე-  
ლად, სისხლათმღვრველად შეჰხაროდ-  
ნენ ერთმანეთს, როგორც ბავშვები.

#### თავი მცხრა

სვეტლანას დედა ჩვენი გამგზავრე-  
ბის თადარიგს შეუდგა. პირველყოფი-  
სა უნდა გაგვეგო, საომარი ხაზი სად  
გადიოდა, მერე ფონი უნდა დაგვენიშ-  
ნა. მდინარეზე ორი ფონი იყო — ღამე  
გადასასვლელად რომელი სჯობდა.

მოხუცი ქალი ყოველ დილა-საღამოს  
ფეხს რაღაც ბალახების ნახარში მზან-  
და. მუხლისთავს მიშელდა... როგორ  
ეჩქარებოდა ჩვენი გამგზავრება. გულ-  
თუ ეუბნებოდა რაიმეს.

იმ დღეებში სოფლად მომარაგების  
კომისარი ჩამოვიდა. სვეტლანამ ფანჯ-  
რიდან დამანახა იგი. ჯირკუტანა, ლო-  
თობისაგან გაფიქვინებული გერმანელი..





ჩაღისფერ ულაცს ტბაში აბანავენდა, დამამახსოვრდა მისი ორკეცი დაბაში და პიტლერის ყაიდაზე დაყენებული უღვაშები. კომისარს უტაშში საში კოლმეურნეობის პური უნდა გაეღწეა და ქალაქს გაეგზავნა.

ამ წელიწადს ნატერისთვალის დატრიალდა უტაშის მინდვრებზე. კედელივით იდგა, ისეთი ხშირი იყო დაუგვალავი, კაცის სიმაღლეზე აყრილი ყანა, მაღლა აფშეკლ თავთავს ვერსად დაინახავდი. მთელი ყანა ღერა-ღერად რომ მოგეხილა, ერთი შერია არ შეგხვდებოდა. დაუბერავდა ქარი ახალ შელამებულში. ნელი ჩხრალით შეირხეოდნენ სიმძიმისაგან დახვეწილი თავთავეები.

სვეტლანას დედა მეუბნებოდა, წელს შრომადღეზე თორმეტი-ცამეტი კილო ხორბალი გვერგებოდაო.

აღარ დასცალდა სოფელს ქირანახულის დაბინავენბა...

კალო სოფლის გასადევარზე გამართეს და ყარაული დაუყენეს.

კომისარმა თავათ შეარჩია მეძნეური, მეფიწლე და გამნიავებელი მუშა-ქალები.

სალეწი მანქანის ტრაქტორის სვეტლანას მეზობელი, მოხუცი თევდორე მართავდა, ის თევდორე, რომელსაც მეტსახელად ლოქოჭამიას ეძახდნენ. ერთხელ იგი ეზოში ფიწალს ეჭებდა და კინალამ ჩემს საკუქნაოში შემოეხეტა. სვეტლანამ დამამწვიდა, კიდევ რომ შემოსულიყო, არაფერი დაშავდებოდა... ეს მოხუცი მამაჩემის ძველისძველი მეგობარი არისო.

მანქანა იყო დამნაშავე თუ თევდორეს სიბერე, ტრაქტორი ნახევარჯერ გამცდარი იყო.

მკათათვის დაულამებელი დღე ისე დაილეოდა, ზოგჯერ ნახევარ-ურემ მნასაც ვერ გალეწდნენ.

შვიდასი ურემი მნა მოზიდეს კალოზე, მაგრამ ფრთამოქცეულებს დადგმა

ვერ მოასწრეს. ერთი მაგარი წვიმა მნას სულერთიანად დაღწედა. კომისარი ჯაერობდა, იტყვიებოდა...

გვალვისაგან მიწა ისე იყო დაფქვილი, პაერში განუწყვეტლივ კორიანტელი იდგა. ამ წვასა და პაპანაქებში კომისარი ხუთჯერ ჩამოაკითხავდა კალო. თავკისერზე ხეითქი გადასდიოდა. ილიებში, საქამრეზე და ბეკებსშუა ოფლის შავი დიდრონი ლაქები აჩნდა. ძლივს დაბაჯბაჯებდა ნაშაჯზე და გულბილწად თათხავდა ბერიკაცს.

წელზემოდ გახდილი, ნათსა და ოფლში ახელილ მტერისაგან გამურული ბერიკაცი დილიდან საღამომდე ტრაქტორის უკირკიტებდა. ჯიუტობა მაინც ვერ მოაშლევინა. ხან ისეთი ტაკა-ტაკები გაჰქონდა იმ დასაწევან, გეგონებოდა, აგერ-აგერ ცაში აფრინდებო; ხანაც ერთბაშად ხმა ჩაუწყდებოდა და ეიდრე ისევ მოასულიერებდნენ, ბინდიც მოატანდა, სამუშაოს ხელს აუშვებდნენ.

გუშინ ტრაქტორის მთლად გაუწყრა ღმერთი. დილიდანვე დადგა და ხმა ვერ ამოაღებინეს. მოშუადღევდა. ლოდინში დაღლილმა ქალებმა ერთი პირი გამოიძინეს.

სვეტლანა სწორედ იმ დროს მივიდა კალოზე, როდესაც ცოფმორეულმა კომისარმა ცხენი ტრაქტორთან მიადლო და მოხუცს მათრაზი თავპირში დაუშინა.

როგორ წამოვარდა საწყალი ბერიკაცი.

სვეტლანამ შინისაგან თვალები დახუჭა. ეგონა, თევდორე ხელს შეუბრუნებდა კომისარს და ერთი უბედურება დატრიალდებოდა.

ხელი შეუბრუნა კი-არა. სვეტლანას გული მოეწვა, ახლა ისე საწყლად, მორჩილად იდგა ეს დროული კაცი კომისარის წინაშე. სახეზე კაცის ფერი აღარ ედგა.

სვეტლანა შეძრწუნდა. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ ამ ხნის კაცს ვინმე ხელს შეახებდა, ეს-კი აღარ ეგონა. გული ისე გაუხდა, თითქოს ქვეყანაზე ყველაზე სამარცხვინო ამბავს ესწრებოდა.

— სანამ ტრაქტორს არ გამართავ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ! არადა, მერე რაც დღე დაგადგება, ეს მათრახი ხმასთან შეჭრად მოგეჩვენება! — უთხრა კომისარმა თავიბრა-პკრე-ლებულ მოხუცს, ჩასქელებულ კისერზე ზოლებიანი აბრეშუმის ცხვირსახოცი ჩამოსვს და ცხენიდან ჩამოხტა.

იგი ისე აბრიალებდა სიცხისაგან წამოწითლებულ თვალებს, რომ ჩეროში შებუდრული ქალები წამოცვივდნენ და ერთად შეჯგუფდნენ.

მიხვდნენ, კომისარი აღარ ხუმრობდა. თევდორემ წარბებზე ჩამოწურული ოფლი შეიმშრალა და ტრაქტორს მიუბრუნდა.

სვეტლანა ხედავდა, როგორ ცოდვილობდა გონებადაბნეული მოხუცი: ხელი უთრთოდა. ქანჩის ქიმებს გასაღები ევლარ მოჰკიდა.

სვეტლანა მაშინვე ტრაქტორთან მივიდა.

— რა იყო, ბაბუ, რა ცეცხლი გაუჩნდა ამ სატიალესს?

— რა ვიცი, შვილო! ამ დღეში კი ჩამავლო და..

მოხუცის ხმაში უმწეობა ამოიკითხა სვეტლანამ.

— შენ ცოტახანს დაისვენე, ბაბუ! იქნებ მე გავაწყო რამე! — უთხრა ყმაწვილმა ქალმა და ქანჩის გასაღები გამოართვა.

გულმოდგინედ გასინჯა ნავთის მილი, დენის განმანაწილებელი. ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. მერე სანთლები მოხსნა. ვანაპირა სანთელს სახსარი არა ჰქონდა.

— მავთულის თავები შეერთებულან! აქ დენი როგორ გაივლიდა, ბაბუ! — წამოიძახა სვეტლანამ, მავთულებს სახსარი

დაუგდო და სახელურს ჩაებლაუქა. ტრაქტორმა ჯერ ერთი-ორჯერ წავი-ველა, ხმა ჩაიწმინდა. მერე ერთბაშად ღონე მოიკრიბა და მწყობრად აგუ-გუნდა...

### თავი მხათი

ვახარებული მოვარდა შინ სვეტლანა, სასთუმალთან დამოჯდა და ერთი ათ-ჯერ მაინც მომასმენინა ტრაქტორის ამუშავების ამბავი.

ღმერთო ჩემო, როგორ აღამაზებდა სიხარული სვეტლანას! ცოდვა იყო, ამ სიკეთით საეესე გოგოს სიხარული მოჰკლებოდა.

ზოლოდ ერთი რამ მადარდებო, მითხრა მან.

— კომისარმა შემაქო და სახელი და გვარი მკითხა. შიშისაგან ენა ძლივს მოვებრუნე და მაშინვე შინისაკენ მოეკურცხლე. გული გადამიტრიალდა, ტრაქტორზე სამუშაოდ არ დამტოვოს-მეთქი. ახლა უნდა ვილოცო, იმ დასაწევას არაფერი წაუხდეს, თორემ უსათუოდ მომაკითხავენ.

— ხეალ სადამომდე გვაკალონ და მერე ნუ გეშინია!

— რატომ ხეალ სადამომდე?

— მეტი დარჩენა აღარ შეიძლება. სვეტლანა... უნდა წავიდე!

— მერე ფეხი? დედაჩემი ამბობს, ერთი დადება მალამო კიდევ უნდა დაედოსო!

— დედაშენს უნდა ბუქნა მაცეკვოს, ჩემო სვეტლანა! სიარული კი ახლაც კარგა შემოიღია. — ვიცრუე მე. ჩენი გამგზავრება რომ დამეჩქარებინა.

წუხელ საწყენი ამბავი მომიტანა სვეტლანას დედამ. სოფელში ხმები დადის, გერმანელები ულელტებილს უახლოვდებიანო.

მეტი თუ არა, ორმოცი კილომეტრი მაინც იქნებოდა იქამდე. მთელი ეს ვზა დაკარგულ ქაობებზე უნდა გვევლო, რომ გერმანელებს არსად წაეწყდომოდით.

სვეტლანა ღონიერი ქალი იყო. ადვილად გაუძლებდა ამ მუხლდაუსვენებელ მგზავრობას, მაგრამ ჩემი დახუთული ფეხი სადამდე მატარებდა, სად მილატებდა, ძნელი სათქმელი იყო. არჩევანი მაინც არ მქონდა. სანამ მტერი უღელტეხილს დაიკავებდა, მანამდე უნდა გავსულიყავ საშვეიდობოს, თორემ მერე ჩემი ფეხის პატრონი კი-არა, ჯიხვიც ვერ გააღწევდა იმ კლდე-ღრეებში.

როდესაც სვეტლანას ჩემი შიში გაეუზიარე, იგი მაშინვე დამეთანხმა.

### თავი მეთერთმეტი

ის არგასათენებელი დილაც გათენდა. სწორედ იმ დილას ეთხოვე სვეტლანას ხალათზე დილის დაკერება.

მთელი სახლი ვადაქექა, უნდოდა როგორმე ფორმის დილი ემოვნა.

— განა აღლუმზე მივდივარ, ქალო! იყოს, როგორც იქნება. გზაში ჯიბიდან არაფერი წამომვარდეს.

— მაშ ამას დაეკერებ. ფერით მაინც მიუდგება ხალათს, — კოლოფიდან ეს მწვანე დილი ამოიღო.

კოქას ერთი მკლავის გაშლა ძაფი მოსწყვიტა, მერე გულისპირზე ხელი მოიფათურა — ნემსი იპოვნა, ძაფი ხელდახელ გაუყარა და დილი კილოს დაატოლა.

მარდი და მოხდენილი იყო მისი თვითელი მოძრაობა.

ველარ მოვითმინე და ვუთხარი:

— როგორ გიხდება ეგ ნემსი და ძაფი, სვეტლანა!

— მართლა?

ლოყებზე სიწითლეგმ გადაურბინა. თავი არ აუღია, ისე მკითხა:

— შენ როგორი ცოლი გინდა, ლადო? კარგი დიასახლისი, თუ კარგი სასახურის ქალი?

— როგორც შენ იქნები, სვეტლანა.

— მართალი მითხარი!

— მართალს გეუბნები.

— ასე ძალიან გიყვარვარ?

— ძალიან.

— არა, მაინც, შენ ვინ ხარ? ვინ ხარ?

— როგორცა ხარ, სვეტლანა. გაუხარდა, მადლიერი თვალები მონანათა და გულსავსედ ჩაიციანა.

ერთბაშად შებლი შეიყრა, კერვას თავი მიანება და მიზეზიანად მითხრა:

— უკაცრავად შენთან! შენ თუ გგონია, დილიდან საღამომდე შინ ვიჯდები და ამ ნემსითა და ძაფით თვალებს ამოვიღებ!

გულიანად გამეცინა, რომ ახლა სვეტლანა მართლა ცოლივით საჩხუბრად ემზადებოდა.

სწორედ მაშინ შემოვიდა დედამისი, თუნგი ხელში მიიჩეჩა და წყალზე გაგზავნა.

ასე ჩაეშალა სვეტლანას ჩემთან პირველი და... უკანასკნელი ჩხუბი.

შუადღემდე სამგზავრო მზადებას მოუწნდა.

სავალი გამოაწყო, ბანდები დამირეცხა და გამიშრო, ჩითის ერთი კაბა, პირსახოცი და დედ-მამის სურათი ჩემი ზურგის ჩანთაში ჩასდო. უნდოდა, რამდენიმე ხელი ტანისამოსი და რაღაც ნივთები კიდევ წამოეღო, მაგრამ დავუშალე. რაც მიგვქონდა, შეიძლება ისიც გზაში გადასაყრელი ვაგებდომოდა.

მერე დედას დაუძახა და ნატყვიარი ფეხი ისე შემიხვიეს, ორ-სამ დღეს გადახვევა აღარ დამპირებოდა.

ნასადილევს მამიდის კანახავად წავიდა. სვეტლანას ნათესავებში მხოლოდ იმ ერთმა ოჯახმა იცოდა სარაჯის სახლის საიდუმლოება.

სვეტლანას დაბრუნების მოლოდინში თოფის წმენდა დაეიწყე.

ვერ გავიგე, კარი როგორ გაიღო და სვეტლანას დედა როდის შემოვიდა. იგი მხოლოდ მაშინ დაეინახე, როცა თოფი კედელზე მივაყუდე.

ჩემად, გაუბედავად იდგა მოხუცი ქალი ღრიჭოდ მოხურულ კარებთან.

საერთოდ, ჩემი და მორიდებული ქალი იყო სვეტლანას დედა, მაგრამ ახლა მისი სიჩუმე რატომღაც გულზე მომხვდა.

— მობრძანდი, დედი, მობრძანდი! მივეგებე და სკამი მივაწოდე.

— მიდიხართ, შვილო? — ჩემად მითხრა მან და ისე შემომხვდა, თითქოს ჩვენი გამგზავრების ამბავი პირველად ესმოდა.

უცრად ვიგრძენი, მოხუცი ქალი უზომოდ იტანჯებოდა.

ხუთი შვილიდან შინ ესლა დარჩენილი და საწყალს, ახლა ისიც სტოვებდა ოჯახს. ერთხელ კიდევ გამიკვირდა, რომ იგი ასე უსიტყვოდ აყვავებდა სურვილს, და მხოლოდ ახლა მივხვდი, როგორ უჭირდა შვილთან დაშორება და ამ დაცარიელებულ ოჯახში მარტოდ დარჩენა.

დღემდე თურმე თვალს გვიხვევდა საწყალი ქალი, მწუხარებას გულში იკლავდა. ცრემლს მალავდა, რომ სვეტლანა გულდამშვიდებული წასულიყო სახლიდან. მარტო დარჩენილი დედის დარდი არ გაპყლოდა.

სირცხულმა დამწვა. სიყვარულით გატაცებულმა, ერთხელაც ვეღარ მოვიცალე, დედის გულში ჩამეხვდა; ერთი ტბილი და გამამხნევებელი სიტყვა ვერ ვუთხარი.

გული ამიჩვილდა. ხელი მოვხვიე და მხურვალედ შევფიცე, სანამ ცოცხალი ვარ, სვეტლანას არაფერს გავეუქირებ-მეთქი.

— ამინ, შვილო! ღმერთმა გისმინოს! — დაილოცა და ისევ გაჩუმდა.

შევატყე, სათქმელი ჰქონდა და ყოყმანობდა. სიტყვა მივაშველე:

— ხომ არ შემდური, დედი!

— სიკვდილი დაგემდურა, შვილო! შერად უნდა გემდუროდე! შენი ბედი უოფილა და მამაშეციერს ვთხოვ, თქვენი ცული არაფერი გამეგონოს..

მერე კარებისაკენ მიიხედა და ჩურჩულით განაგრძო:

— ორი ვაჟი და სამი ქალი გავყარე. დე, შვილო! დედის გულში ჩემი როდის გაურჩევია, მაგრამ ეს გოგოს სხეებზე მეტად მეკიდება გულზე.. იცი, რატომ მეცოდება? ცოტა დაჩაგრული გეყავდა ოჯახში. მისი დები სულ ეზოს გადაღმა იცქირებოდნენ. ეს წარმოდგენა ვარო, ეს მომღერალთა გუნდი ვარო, ეს ქალაქში გასეირნება ვარო.. ამისთანა რამეში ძალიან იცოდნენ მკლავების დაკაპიწება. შინ კი ხბოს არ დამიჭერდნენ, რომ ძროხა მომეწველა. სულ სვეტლანას თავზე გადადიოდა. რაც ოჯახში გასაქცევ-გამოსაქცევი საქმე გამოჩნდებოდა. უენო, ხათრიანი და გამგონი გოგო იყო პატარაობიდანვე. ეს თხები ყოველ წელიწადს ამეკიდებოდნენ საკოლმეურნეო ბაზრობაზე. რასაც ვივაჭრებდი, ნახევარს იქვე დამატოვებინებდნენ. გიტარა გინდა, ქალაქის ფეხსაცმელი გინდა, ბეჭედი თუ მძივები გინდა.. მიყიდე-მიყიდეს მეტი არაფერი მესმოდა მათგან. სვეტლანა კი ყველაფერში გამორჩენილი იყო. სულ დების გამრნაცვალში დადიოდა; სულ დაკრებულნი ეცვა. დაიზარდნენ და, ამ გოგოს მაინც ვერ მივხვდე. უფროსი ქალი კრასნოდარში გავგზავნე სასწავლებლად. შუათანა — ბიძამ მოსკოვს წაიყვანა.. ეს კი ასე დამრჩა ტოლებში გამოთიშული და ახლა სულ ასე მგონია, იქაც, შენთანაც, ასე დაჩაგრული იქნება-მეთქი!

ნაღვლიანად გამიღიმა და თავი ჩაღუნა: თვალზე მომდგარი ცრემლი დამიმაღა.

ამაღელვა მისმა სიტყვებმა.

— ნუ გეშინია, დედი! ყველაფერი კარგად იქნება, სვეტლანას აქედან ისე გაიყვან, ფრჩხილი არ წამოსტყვივება. მაშინვე დედაჩემთან გავგზავნი ზოფელში.

— ეკ, — ამოიხრა მოხუცმა ქალმა: — რა ადვილი იქნებოდა ცხოვრება, რომ დედა სიცოცხლეში შვილის უბედურებას არ გააგონებდეს!

გარედან კიშკრის კრიალი მოისმა.

— მგონი ის არის. არაფერი უთხრა. შენი ჰირიძე, თორემ ეწყინება! — სწრაფად ჩამილაპარაკა და კარი გაიხურა.

### თავი მეთორმეტი

დაღვრემილი, მხრებჩამოყრილი შემოვიდა სვეტლანა.

მიზეზი კითხე.

— ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია! —

გულჯავრიანად მითხრა მან: — გუშინ კაცი უბედურებას გადაეარჩინე, დღეს იმ კაცმა გვერდი ამიქცია. გამარჯვება ვუთხარი და ზედაც არ შემომხედა!

— ვინა? თქვენმა მეზობელმა!

— იმან. თვალმც დაუდგება!

— იქნებ ვერ დაგინახა, სვეტლანა.

— როცა დამინახა, სწორედ მაშინ მომიბრუნა ზურგი, თითქოს ეამიანი ვიყავი.

გამიკვირდა. სვეტლანასაგან ვიცოდი, მოხუცი თევდორე მათი ოჯახის კარგი მეზობელი და მეგობარი იყო.

მაშ ახლა რაღა მოეწინადა!...

თვალი ერთბაშად ამეხილა.

— სვეტლანა, რამდენი ხანია, რაც ტრაქტორზე მუშაობ?

— რამდენი იქნება? შარშან ოქტომბერში დავიწყე და თებერვალში ესენიც შემოვიდნენ.

— ისა? მოხუცი? დიდიხნის ტრაქტორისტია?

— ტრაქტორზე დაბერდა. პირველი მანქანა მაგან შემოიყვანა ჩვენს სოფელში. მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი.

— მაშ ნუ გეწყინება, სვეტლანა, რომ იმ მოხუცმა საღამო აღარ მოგცა.

— რაღა!? — შეკვივრა უსასდეროდ გაოცებულმა ქალმა: — შენს ტრაქტორზე ვეხმარე და იმიტომ?!

— ვის დაეხმარე, სვეტლანა! მოხუცს? არა, ჩემო კარგო! მოხუცს არ უნდა იმ ტრაქტორის ამ უშავებმა! გესმის!

— რას ამბობ!? — წამოიძახა ქალმა და თავში ხელი შემოირტყა: — მაშ მე მტრის საქმე გამიკეთებია! მაშ ქალზე-მაც იმიტომ ჩამიარეს უბრაღ!

ისე გაფიქრდა, მეგონა გული წაუვიდოდა.

— რა ეუყოთ მერე! შენ ხომ იმის გულში არ იჯექი! კაცი შეგებრაღა და იმიტომ მიეშველე.

ხმა არ გამცა. მხოლოდ ერთი შემოშხედა და ფანჯარასთან მივიდა. ხელები თავზე შემოიწყო.

ვხედავდი, შუქი და ჩრდილი ერთმანეთს შებოდნენ ქალის სახეზე. დედაღა სვეტლანა და მეც ჩემად ვიღე-ქი; ველოდი, გულის ჯავრი როდის გაუნელდებოდა.

მზე ჩავიდა. დაიჩრდილნენ-შამსულის მთის ძირები. მხოლოდ შორს, რომელიღაც მწვერვალზე ჯერ კიდევ კიაფობდა გვიანი სხივი. მერე ისიც ჩაჰქრა და ერთბაშად, დაუბინდებლად დაღამდა.

ახლოვდებოდა ჩვენი გამგზავრებულრო.

სვეტლანა უძრავად იდგა ფანჯარასთან. ბნელში ძლივს ვარჩევდი მის მღუმარე ლანდს.

უეცრად ქვითინი გავფიქრე. ნელი, შეკავებული ქვითინი.

ტანში გამცრა, ისე გულადუღებულ სტიროდა სვეტლანა.

მივევარდი. გულში ჩავეყარი მივე-  
ფერე.

— დაწყნარდი, შენი ტირიმი. დაწყ-  
ნარდი! ისეთი რა მოხდა!

შებლზე ჩამოშლილი თმა გავუსწო-  
რე. ცრემლიანი თვალები დავუოცნე-  
გული უფრო ამოუჯდა.

— კარგი თუ გიყვარვარ! ჩაიციე,  
გვაგვიანდება. საცაა მთვარე ამოვა და  
სოფლიდან გასვლა გაძნელდება.

ცოტახანს კიდევ სლუკუნებდა. მერე  
თანდათან დამშვიდდა. ჩემი მკლავები-  
დან თავი გაინთავისუფლა და სახეზე  
მომაჩერდა. ვიგრძენი რომ მომაჩერდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ წუთში  
გული საგულეს აღარა მქონდა. რაღაც  
გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო.

— მე ვეღარ წამოვალ, ლადო! —  
მითხრა სვეტლანამ და ხმის რომელი-  
ღაც ძაფში ერთხელ კიდევ დაიკვნესა  
მისმა გულმა:

— რას ამბობ, სვეტლანა! — შეესძა-  
ბე ელდანაცემმა.

— ყური დამიგდე, ლადო, შენი ტი-  
რიმი! — მუდარით მითხრა მან: — ასე  
შერცხვენილი.. თავმოკრილი სოფლი-  
დან როგორ წამოვიდე! ხვალ მთელი  
სოფელი დედაჩემს პირში მიახლის, შე-

ნი მოღალატე შეილი სად არისო! საწ-  
ყალ დედაჩემს ჩემი დაბადების დღე  
უნდა დაეაწყველინო! ხალხის ამბავი  
ხომ იცი! გახსოვს, იმ დილას მეზობელ-  
მა რა მითხრა! რა გამღერებდა, ვოგო,  
გერმანელების მოსვლა გაგინარდაო!..

ეხლა მისი ხმა უფრო მშვიდი იყო და  
უფრო ნაღვლიანი:

— ომი გათავდება, ლადო! ცხოვრება  
კალაპოტში ჩადგება.. მერე აღარ მიწ-  
და ჩემს სოფელში დაბრუნება? ხალხი  
რას მეტყვის! რას მეტყვიან მეგობრე-  
ბი? მაშინ ვინღა დამიჯერებს, რომ  
ჩემი გული წმინდა იყო...

ერთი-ორი წამი ხმა ვერ ამოვიღე.  
სიკვდილი არ გამიძნელდება ისე, რო-  
გორც მაშინ სიმართლის თქმა გამიძ-  
ნელდა.

— შენ მართალი ხარ, სვეტლანა! —  
ვუთხარი და მთელი ძალღონე მოვიკრი-  
ბე, რომ მეტი არაფერი მეტქვა.. არ  
მეტქვა, როგორ მიქირდა მასთან და-  
შორება“..

ვამალომიძე გაჩუმდა.

ყელში მომდგარი ცრემლი სულის-  
თქმას უშლიდა. წამოდგა, სახე მომა-  
რიდა და კარავიდან გავიდა.

თენღებოდა. ნაწვიმარ მინდორს თხე-  
ლი ნისლი ეფინებოდა.

### დასასრული

ვამალომიძის დაბრუნებას აღარ და-  
ვუცადე. სვეტლანას დაღუპვის ამბავი  
აღრე მქონდა გაგონილი დედამისი-  
საგან.

ლადოს წამოსვლის შესამე თუ მეოთ-  
ხე ლამეს სვეტლანამ ცუხლი წაუკიდა  
უტაშის კალოებს. შეიდაო ურემი მნა  
ისე დაიწვა, ფერფლისა და ნაცრის მე-

ტი არაფერი დარჩენია მტერს. დაიწვა  
აგრეთვე ტრაქტორი და სალენი მან-  
ქანა.

სვეტლანა მოასწრებდა. ვაქცევას, მი-  
უხედავად იმისა, რომ იგი მაშინვე შეა-  
მჩნიეს პოლიციელებმა. ხუთიოდ წუთის  
განამელოებაში ვერც ტყვია მოახვედრეს!

და ვერც დაეწივნენ ჯეირან გოგოს. ერთი ორღობე კიდევ — და სვეტლანა ლელიანს შეერეოდა, რომ ბრმა შემთხვევას არ გაეწირა იგი. ღობეზე გადაბტომის დროს სარი მოუტყდა და უკანვე გადმოვარდა...

მთელი ღამე აწამეს სვეტლანა. გათენებოდას, ჩამოსახრჩობად რომ მოპყა-

დათ, პოლიციელებს ეხვეწებოდა თურმე, ჩემი სახლის წინა კარს გაუღებოდა...

თვრამეტ სექტემბერს ლადო ვაშალომიძის ათეული პირველი შეიჭრა სოფელ უტაში...

დარდისაგან გათეთრებული დედა გამშრალი იდგა ნასახლარზე.

უილიამ შექსპირი

## ს ო ნ ე ზ ე ბ ი

••

როცა ვიქნები საუკუნო ძილით მძინარი,  
სიკვდილის ფერფლი დააყუჩებს სულის გოდებას,  
მერე თუ შეგხვდა ჩემი ლექსი ნაცოდვილარო,  
შენი მიჯნურის სტრიქონები მოგაგონდება.

მათ შეადარებ, რასაც შექმნის ახალგაზრდობა.  
მიხედები მაშინ — არც კი ღირდა შესადარებლად;  
ო, ნუ გამკიცხავ, ჩემი ლექსი არ განაზღვბა,  
მაგრამ ყოველთვის სიყვარულის ცეცხლს ატარებდა.

იფიქრე, რომ არ ჩამქრალიყო ჩემი ცხოვრება,  
რომ არ გაესწრო აწყვეტილი დროის ქენებას,  
ჩემი ლექსები იქნებოდნენ წინამძღოლებად,  
ახალ სტრიქონებს აანთებდა შენი მშვენება.

მაგრამ გახსოვდეს, სიცოცხლისგან ვარ გამოიჯნული.  
ახლებში რითმა დააფასე, ჩემში — მიჯნური.

— — —

••

არ-დამიტირო, ამ ქვეყნიდან თუ კი წავედი,  
თუ კი ამცნობენ დედამიწას ჯმუხნი ზარები,  
რომ სამყოფელად ავირჩიე ბნელი შავეთი  
და მივატოვე სააქაო შესაზარები.

და თუკი მერე გადიკითხავ შენ ამ სტრიქონებს,  
პოეტის ბედზე არ დაღუარო ცრემლი მდლღარე,  
მე მირჩევნია, ნურასოდეს ნუ მომიგონებ,  
თუ ჩემზე ფიქრი ავატირებს და გამწუხარებს.





ო, მოიგონე ამ ტანჯული ლექსის მუდარა,  
იქნებ მე მაშინ უკვე ნაცრად ვიყო ქცეული,  
როცა ჩემს სხეულს გადაფარავს ღამის სუღარა,  
შენ სიყვარულსაც მიაყარე მიწა წყეული.

თორემ ნაღველი შენ სახეზე ღარებს გააჩენს,  
და მაგ ტრფობისთვის გამოგიტანს ხალხი განაჩენს.

—

•  
•

მე ძლიერ მიყვარს, მაგრამ გრძნობას არ გამოვაჩენ,  
რადგან ტრფიალი უნდა იყოს მუდამ ფარული,  
მაშინ მიჯნური სიყვარულით არის მოვაჭრე,  
თუ ხალხს მოუთხრო თავის გრძნობა და სიყვარული.

ვარდობისთვის მიყვარული გვექონდა ახალი.  
ტრფობას უმღერდა ჩემი გული და ჩემი ჩანგი,  
ასე მაისში ზეცას სწვდება მგოსნის ძახილი —  
შემოდგომაზე დადუმდება ბუღბუღლის ჰანგი.

შემოდგომაზე ბუღბუღლები ღამეს სტოვებენ,  
თუმც ღამე დარჩა ძველებურად სათნო და ნაზი,  
ველურ მუსიკით იღლებიან ხეთა რტოები,  
და თუ სიმღერა გაიფლავდა, რაღა აქვს ფასი!

და მეც ხანდახან ბუღბუღლივით სიჩუმეს ვარჩევ,  
რომ სიმღერებით მოწყენილი აროდეს დავრჩევ.

—

•  
•

რადგანაც ხობტა მაგ სიტურფეს არა სჭირდება,  
ნაზი ლექსებით არ მიჭია შენი არსება;  
ვიცი, იმდენად ღამაშია შენი დიდება,  
რომ არ სჭირდება პოეტების შელაშაშება.

შენი სიტურფე მომეფინა გულზე მაღამოდ  
და მის საჭებრად უძღურია ლექსის ღაღადი,  
მაგ მშვენიერებისთვის დღევანდელი მოცედა ყალბი:  
ვინ გაღმობატოს შენი სახე ღმერთის ნახატი?!

შენ ეს სიჩუმე თურმე ცოდვად გაქვს მიჩნეული,  
მე კი ცოდვების გამართლება იმ ცოდვით მინდა,  
რომ შენს დიდებას არ ვაკადრე ლექსი სწეული  
და სიმახინჯეს ავაშორე მშვენიება წმინდა.

შენი უბრალო გამოხედვა უფრო მეტია,  
ვიდრე ის ქება, პოეტებს რომ გაუბედიათ.

•  
•

სარკის არ მჯერა, არ გაჩნდება თმაში კლარა,  
სანამდის შენში სოცმაწვილის თრთიან ფერები,  
მაგრამ თუ ვაგმა ეგ სპეტაკი სახე დაღარა,  
სიკვდილს შეეხედები შენი კენობით დანაბერები.

არ დავიჯერებ, ვიცი, არ ვარ შენზე უფროსი,  
რადგან მე და შენ ერთმანეთში გული გაცევალებთ.  
ასეთი იყო უწმინდესი ნება უფლისა,  
ერთი გული გვაქვს, ერთმანეთის ტანჯვა გვაწვალებს.

თავს მოუფრთხილდი, რომ სიტურფე მზის სადარებთ  
გადამირჩინო და უდროოდ არ მისცე მიწას,  
მეც შენი გული ხელისგულზე მაქვს ნატარები  
და ვუფრთხილდები, ვით პატარას მზრუნველი ძიძა.

დარჩები მარტო, მე თუ მომკლა ბედმა წარმართმა,  
მაჩუქე გული და არასდროს აღარ წამართვა.

თარგმანი ინგლისურიდან  
კვიციანი თაბუკაშვილისა

## ღავით აღმაშენებელი

ბრილოვია

კარი მისამი

XX

დიდ კარავში \*

„როგორც იქნა, ველირსეთ გვარამ ერისთავის შარალანს ჩამოსვლას. იგი ხანგრძლივ მგზავრობისაგან დაქანცული იყო, მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე წარგზავნა ყიფჩალთა უმთავრესის დიდ კარავში ეპისკოპოზი სერაპიონი, არამაის არშარუნი და მე—მიწა მეუღეებისა თქვენისა“. იწერებოდა სტეფანოზ წილენელი შარალანიდან.

„დიაკონს სევასტის და ყიფჩალს შორტაის თან გაატანა დიდძალი ძღვენი: ოქროისა და ვერცხლის სამწდევური, ნახ-ფარდაგნი, ბეწვეულები: მაიმუნისა, წაეისა და მელისანი.

გასზიებული თავაზიანობით მიგვიღო ყიფჩალთა უმთავრესმა მცირე კარავში. უწინარეს ყოვლისა მოიკითხა გიორგი და დავით მეფენი და სათაყვანებელი დიოფალი ჩვენი ელენე, უფლისწული დემეტრე და ყოველნი ნათესავნი, მოკეთენი მეფეთანნი, მღვდელმთავარნი, დარბაზისერნი და სპასალარნი.

სალამი და მადლობა მოახსენეთო საჩუქრების წარმოგზავნისათვის პატრონს:

ბოლოს გვითხრა: როგორც ულუსამ, მეკარავეთაუბუცესმა მაუწყა, დავით მეფეს მოცუქულთა თვისთა წინამდგომად

წარმოგზავნია მცხოვანი სპასალარი, დიდი ციხის პატრონი (მისი სახელად ვერ მოიგონა ულუსამ), მან რად არ ინებაო ჩემს სასახლეში მოსვლა?

ჩვენ ვუპასუხეთ: დიდი ციხის პატრონი ავად ბრძანდებათქო. ღვთით გამოგვობინდებოდა მალე და ზღების ნებას ითხოვსო თქვენგან.

როცა გრავნილი გადაეცი შენს მიერ წარმოგზავნილი შარალანისძეს, მან ახლობინა ერთი ქაჩალი ყიფჩალი, ბერძნული ენის თარჯიმანი, რომელიც მე პირველად ვნახე იმ დღეს.

წინაღ, როცა ყიფჩალთა უმთავრესის სასახლეში რაიმე წიგნი მოვიღოდა ბერძნულად ნაწერი, მე მიხმობდნენ ხოლმე მის სათარგმნელად, ან დიაკონ კუზმას, რუსთაგანს, რომელიც ეს ათი წელია, რაც ტყვედა ჰყავთ შარალანში.

დიდხანს უპვრიტა ამ ქაჩალმა ყიფჩალმა შენს ნაწერს, მამაო გიორგი და დიდი ჯახირით გადაუთარგმნა. მე აქ მცირეოდენი ყიფჩალური ვისწავლე, თვალყურს ვადევნებდი, სწორედ თუ თარგმნის მეთქი და როცა რომელიმე სიტყვას თავს ვეღარ გაართმევდა, წამოვეშველებოდი ხოლმე.

თანაც ვამჩნევდი: ათრახა შარალანისძე ჩემს მიერ შეტანილ შესწორებას მანამდის არ ირწმუნებდა, სანამ ქაჩალი

\* ვაგრძელება. „მნათობი“, № 9.

ყოფილი თავს არ დააქიციებდა და სწორია, არ დაუშოვებდა.

როცა შენს მიერ წარმოგზავნილი წიგნის ამოკითხვა მოთავდა, ყოფილთა უმთავრესმა ზედ წარბეზამდის ჩამოიფხატა ოქრომკედული შიბებით შემკული წაეის ქული და სიქვა:

„ჩვენ ამჟამად რუსებთან ომითა ვართ გაართული, მე იმედი მაქვს უღუღსა აიღებს კიევს და ცხადია, ამ შემთხვევაში დიდძალი სპაი დაგვიკრძება, რათა რუსები კიევის მისადგომებიდან გავრეკოთ იმ ქვეყნამდის, სადაც მზე არც ამოდის და არც ჩადის ოდესმე.

თუ ეს შეეძლოთ, ჩვენ ჯერხნობით ვერ გავცემთ ქირის სპას. ყოველ შემთხვევაში დიდი ციხის პატრონი ნურსად წავა, მე დაუყოვნებლივ ვუბრძანებ ჩემს მეკარევეთაუხუცესს საკლავნი, საგებელნი, ბურახი, თავლი და არაყი არ მოაკლონ სტუმრებს.

მათთვის მიჩენილი კარვებო და ფორნები ტფილად მორათონ, რათა მათ შეეძლოთ კეთილად მოსვენება და ძილი.

ასე რომ დავით მეფის მოციქულთა წინამდგომმა დაისვენოს, სანამ ჩემს სასახლეში ვაწვევდე.

გვარამ ერისთავს იწყინა, როცა მას მოვახსენე, რაც შემოთვალა შარალანისძემ ქირის სპის გამო, მაგრამ, როცა დაესძინე: იგი უგუნებოდ იყო-მეთქო, სახე გაუბრწყინდა და სიქვა:

„უგუნებოდ იყო?

ეს ჩვენთვის კარგია, სტეფანოზ, როგორც სიანს ყოფილდეს, ცუდად მოუღოთ საქმე. თუ რუსის მთავრებმა უღუღსა დაამარცხეს, მაშინ სპაი არ დასჭირდებათ და მშვილობასაც, ძვირად იყიდოთ ალბათ.

ეგ არის მხოლოდ ამ შემთხვევაში დიდ ფულს მოითხოვენ ქირის სპისათვის, ისმაილის ნაშოვნნი<sup>1</sup>.

მესამე ღამეს რუსი დიაკონი კუზმა მოვიდა ჩვენს კარავში და იღუმა-

ლად გეამცნო: ბეწვეულის გავარი ვინმე ბერძენი ჩამოეხეტარს მთელსა და მან გადმომცა: მდინარეც<sup>2</sup> დანახვას სის<sup>3</sup> ნაპირად დიდი ბრძოლები მიმდინარეობს, ვგონებ შეგვეწია უფალი და რუსნი იმარჯვებენ.

მე და სევასტიმ ბურახი ვასვით კუზმას და სამივემ ვილოცეთ ქრისტიანთა გამარჯვებისათვის.

თვეზე მეტი უკვე გასულ იყო მას შემდეგ, რაც მეკარევეთაუხუცესმა უღუღსამ ორმოცდაათი ათასი მონასპა წაასხა დანაპრისის ნაპირებისაკენ და არც მათი გამარჯვებისა, არც დამარცხების გამო ბაიბური არ ისმოდა.

გვარამ ერისთავი ღელავდა, ყოველდღე გვეკითხებოდა მე და სევასტი: ხომ არაფერი ისმისო ახალი? მე და კუზმა დიაკონი დაებორიალობდით შარალანში, მალემსრბოლები დიხაც მიმოდოდნენ დღისით და ღამით, მაგრამ ყოფილთა ნათესავს რაეთი მტკიცე ერთობლივობა აქვს, უბრალო ქორსაც ვერ წავატანეთ უფრი.

ერთ ღამეს ლანდივით შემოიბარა ჩვენს კარავში დიაკონი კუზმა და მიჩურჩულა:

„წუხელ დიდძალი სპაი წაასხა ათარახა შარალანისძემ ბრძოლის ველისაკენ. მას თან გაჰყვნენ ყოფილთა თავადნი და ათიათასისთავნი: ურსობუ და ქჩაი, არსლანაპუ და კიტანოპუ, კუმანაი და ასუბაი, კურტაი და ჩენეგრეპუ, სურბაი და ბელდუზაი.

გამოხდა ხანი.

გვარამ ერისთავი ღელავდა... დაიცავლა შარალანი, ყოფილთა უმთავრესის სასახლეში მხოლოდ მოხუცი მეკარევი და მუღუღენი, მეფორენი და მეჯორენი დარჩნენ.

დიაცებიც თან წაიყვანეს მონასპებმა.

ვიდრე მათი პატრონი აქ იყო, ყოველ დილას საკლავი მოჰყავდათ, პური,

<sup>1</sup> ისმაილის ნაშოვნებს უწოდებდნენ ყოფილდეს იმჟამინდელი ქრისტიანნი.

<sup>2</sup> დანაპრისის მდ. დნეპრს ეწოდებოდა ძველად.

თავლი და ბურახი მოჰქონდათ.

ახლა ჩვენი განმკითხავი აღარავინ იყო, ცხერის ფარები და ხეასტავი წაასხეს ოშში, მე და სევასტი ბეწვეულს ეყიდიო ჩალოსფასად. მისჭირდა საზრდოს მოპოვება.

ნამკედრევე აქლემის ხორცს ძლივსღა ვშოულობდით.

გვარამ ერისთავმა აღარ იცოდა რა გვექნა?

ავყრილიყავით და წამოვსულიყავით? რა პირით უნდა ვჩვენებოდით ჩვენს პატრონს?

ამდენი ხნის წამება და ჯაფა ხომ წყალში გადაგვეყრებოდა ანაზღად?

გვიანი ღამით ისევე მოგვაკითხა დიაკონმა კუზმამ და გვამცნო:

ორმოცდაათი რუსი თოროსანი აზნაური და ათასიოდე დაჰრილი მონასპა მოასხეს წუხელ ყიფჩალებმა, აზნაურებს ბორკილები შეასხეს და ორიოებში ჩაყარესო ფარეხებს გადაღმა.

ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ვერ მივბედეო თვისტომებთან მისვლა და თუხდაც წყლის მიწოდება.

დასძინა ნაღვლიანად კუზმამ.

დაგვალონა ამ ამბავმა.

ეპისკოპოზმა სერაპიონმა თავზე ხელი შემოიკრა:

როგორც სჩანს, გაიმარჯვესო ისმაილის ძეთა.

მეორე დღეს ყიფჩაღთა უმთავრესის სასახლეში მიხმეს, ათასის თავი გამოვიდა, მთლად მიხრწნილი, უკბილო ყიფჩაღი და მითხრა:

თუმცა შენც ქრისტიანი ხარ, უშგულო, მაინც გენდობი, ცოტა რამ მინდა გამოვკითხო რუს ტყვეებს, თან წამოპყვიო!

როგორც გვიან გავიგე, ქაჩალი თარჯიმანი თან წაეყვანა ბრძოლის ველზე შარალანისძეს.

რუსი მეომრები ხელფეხზე ბორკილასხმულნი უდრტყინველად ისხდნენ ორიოებში, მკერდზე მოზრდილი ჯერე-

ბი ეკიდათ სპილენძისა ფეხჩველებად მღეროდნენ.

შევეწუხდი ამ დამშეულ, სამოსშეფოხულ. ბედშავ ქრისტიანთა წამებას რა შევესწარ, გვარამ ერისთავმა დრაკანები გამატანა მათთან, მაგზამ გადაცემა ვერ გავბედე, რადგან მოხუცი ათისთავი არ მაშორებდა მჭერას.

აზნაურთაგანმა ზოგმა კარგად იცოდა ბერძნული.

ბევრს ეცადა მოხუცი ყიფჩაღი, ათისთავი, მაგრამ რაიმე არსებითი ვერაფერი გაიგო ვერც რუს მთავართა ურთიერთობის, ვერც მათ სპათა რაოდენობისა და ვერც ლაშქართა განლაგების გამო.

ხან ლორის ხორცს დაჰპირდა ტყვეებს, ხან ცხერის ჰარისას, ხან არაყს. ბურახს, ცხენის აპოხტს და თავღს, მაინც არავინ ინდომა თვისტოთა ღალატი.

ბოლოს ეს უთხრა ბებერმა ყიფჩაღმა ტყვეებს: თუ სიმართლეს გვეტყვიო, ახლავე აგხსნიოთ ბორკილებს.

ერთმა მსცოვანმა ვაყვაცმა თავი ზეასწია და მომმართა ბერძნულად:

„ვადაუთარგმნე მაგ ბებერ ძაღლს, ძიაკაო, თავი დაგვანებოს, რადგან ამოა მისნი აღთქმანი.“

ჩვენთვის ტუბილია ქრისტიანობისთვის სატარებელი ბორკილებიცა!

ათასისთავმა ყიფჩაღურად ჯიჯღინი ატეხა, ბევრი ლანძღა ტყვენი და გაეცალა ორმოებს.

სალამოს, როცა ამას ყოველივეს გულშემოყრილი ვუამბობდი გვარამ ერისთავს, დიაკონმა კუზმამ თავი შემოპყო კარავში. იგი დიდხანს იჯდა დაზაფრული ჩემს პირდაპირ და მერმე სთქვა:

„დიდია და თვალშეუღდამი ჩვენი ქვეყანა, მაგრამ დაგვიმონეს ისმაილისძეთა, რადგან ერისმთავართა ჩვენთა გულარძნილობასა და შფოთს ბოლო არ უჩანს. მთავარნი ჩვენნი ლოთობენ,

ამათა კვლითა და მდბიორთა საბადებ-  
ლის მიტაცებით არიან გართულნი.

ისმაილისძენი ხელმარჯვედ იყენე-  
ბენ ჩვენს სივგალობესა და დაქსაქსუ-  
ლობას, ხან ერთ მთავარს მისცემენ ქი-  
რის სპას, ხან მეორეს, როგორც კი  
ისინი შერიგდებიან, მყისვე წაართმევენ  
მონასპათ.

ხანაც ვადმოლაზავენ დანაპრისს,  
ცეცხლს შეუგზნებენ ჩვენს სოფლებს,  
ჩვენს ბელღებსა და ძნებს, დიდსა და  
მცირეს გაუუფავენ, ცეცხლს მისცემენ  
როგორც ეკლესიებს, ისე აზნაურთა  
სასახლეებსა და უბოვართა ქოხებს.

შემოასხდებიან თავიანთ უბელო ცხე-  
ნებს და მოჰკურცხლავენ, მიღეჭი და  
სდიე შერმე ქარსა და ქარბორბალს  
ამ ტრამალეებზე“

მე თავათ გიმოწმებთ, ყოვლადნეტა-  
რო მამაო გიორგი, თუ რა ვერაგია  
ყოფილთა მოდგმა. მე მგონია არაიხ  
ჩმდენს არა სტყუის, რამდენსაც ამა  
თუ იმ ქვეყნებში გზადგამეღელი მოგ-  
ზაური, ჩემზე უკეთ მოგეხსენება ჯერ  
ერთი აღამიანის გასაცნობად ათეული  
წელია ხშირად საჭირო, რადგან აღ-  
მიანის სული ღამეა უმთვარო.

თავათ წარმოიდგინე, თუ რა ძნელია  
მთელი ხალხის გაცნობა.

მე მათ ომებშიაც ვხლებიეარ ამ  
წლების მანძილზე. თავათ განსაჯე,  
ნეტარო მამაო, სხვა რა გზა მქონდა  
ამ მოუსაველეთში ჩამოვარდნილ უმწეო  
მოხეტს.

როცა საძარცვად, მისატაცებლად და  
ხანძრის გასაჩენად მიდიოდნენ რუსთა  
მიწაზე ყოფილთა ბრბოები, ხელს წა-  
ნიმბატანდნენ, ჯაგლაგა, უბელო ცხენ-  
ზე შემაგდებდნენ. თან წარმიტანდნენ  
როგორც ვითომც აქიმს, ვითომც დოს-  
ტაქარს და თარჯიმანს (თარჯიმანი  
ესაჭიროებოდათ მათ, ტყვედჩაგარდნილ  
რუს მშვერავთა ვამოსაკითხავად).

დამთრევენდნენ ამ გავერანებულ  
ტრამალეებზე და მე წმიდა ეკლესიის  
მწყემსი, მიწაი ქრისტიისა და თქვენი

მეუფებისა, მე, ვინც მთელი ჩემი სო-  
ცოცხლე ექადაგებდი: არა მხოლოდ  
იძულებული ვიყავი უნებლიე მოწმე  
ყოფილიყავ კაცთა კვლისა და მიმძლავ-  
რებისა.

მაგრამ სხვა გზა არა მქონდა, მეფისა  
ჩვენისა და მამულისა სამსახურში, ძა-  
ლაუნებურად ვიტანდი ამ სატანჯველ-  
საც.

შარალანიდან ხუთიოდე დღის ცხე-  
ნით სავალზე მშის დასაეღისკენ, წყალ-  
მრავალ დანაპრისის ნაპირად მდებარე-  
ობს რუსთა სატახტო ციხე-ქალაქი  
კიევი. მე იმ მხარეში სალაშქროდ  
ვხლებიეარ ყოფილგებს.

ამ რამდენიმე წლის წინად დიდვა-  
ჰარნი ბერძენთაგანნი წარგზავნეს ყოფ-  
ჩალებმა მანდ და მეც თან გამაყოლეს.

მარლი უნდა ეყიდნათ ბერძენებს,  
მე დამაეაღეს: თვალი გეჭიროს ანგა-  
რიში არ მოგატყუონო ბერძენმა ვაჟ-  
რებმა. იციან მე არაიხ გამაჩნია ამ  
ქვეყნად, ნათესავი და მკეიდრი და  
აგრე ფიქრობდნენ, არც იკადრებდო  
დრკანების მითვისებასა, ალბათ.

მე აღარაფერს მოგახსენებ, ყოვლად-  
ნეტარო მამაო გიორგი, თუ რა სიმძი-  
მილი გადამხდა ამ ჯერად, დანაპრისან-  
ღის ვიდრე მივალწვიდდი, ჯაგლაგა ყოფ-  
ჩაღურ ჰქაზე ზედმჯდომმა.

მაშინ მოვილოცე ღეთის შემწეობით  
ბრწყინვალე ტაძარი წ. სოფიას ოჭრო-  
ითა და ვერცხლით შემკობილი სრუ-  
ლად, ისევე დიდშენი და დიდებული,  
როგორიცაა ჩვენი სვეტიცხოველი, გინა  
ბოლნისი, ან ქუთათური ტაძარი სულ-  
კურთხეულის მეფისა ბაგრატისი.

ვინახულე სამასსამოცდახუთი მღვიმე  
წ. სოფიას შემოგარენში, ყოველ მღვი-  
მეში სამარხია წმიდათა.

კიევის მიტროპოლიტმა მითაყენა.  
რა რიგ განცვიფრდა ნეტარი ივი მამა  
როცა ყოფილღური ძალღისტყავის  
კაბა შევიხსენი, პატიოსანი ჯვარი ვაჩ-  
ვენე და ვამცნე, ეპისკოპოზი ვარ მეთ-  
ქი, წილქნის ეკლესიის მწყემსი;

გული მოვიხებთ ლოცვითა და დაც-ტები გალობითა და ღაღადისითა. მერ-მე ტრაპეზზე მიმიწვია კიევის მიტროპოლიტმა და მანუელეშა: ერთხელაც იქ-ნება მოიხედავსო უფალი ჩვენსკენ და ძალოვანად გამოაშუქებდსო ქრისტიანო-ბის მზეი და უცილოდ ვძლეეთო ისძაი-ლისძეთა ბნელს.

სწორედ იმ დღეებში ყიფილთა ურ-დოებმა გადმოლაზეს მდინარე დანაპ-რისი, ცეცხლს მისცეს კიევის შემოგა-რენში მღვდბარე სოფელნი, ციხენი და ეკლესიანი.

კიეველებმა ბრძოლა წააგეს ქალაქის მისადგომებთან, უკუიქცნენ და ციხის კარნი დაბშეს.

ციხარისას ყიფილებმა აიღეს პეჩო-რის ლავრა. ბერები დილის ლოცვით იყვნენ გართულნი. ყიფილთა ათასის თავმა კარიბჭესთან დადგა ყიფილური დროშები. ბოლოს შეღეწეს კარიბჭენი, ცეცხლი შეუგზვნეს მონასტერს, ბე-რები დაატყვევეს, სახატენი დაძარცვეს, შეაგინეს ქრისტიანთა ხატ-ჯვარნი და ნეშთნი წმიდა მამათანი.

ახლა როგორც ყურმოკერით მესმის ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე, რუს ერისმთავართა შორის გამოჩნდა კეშ-პარიტად ღვთისმოსავი ქრისტიანი, დი-დი მთავარი ვლადიმერ მონომახოს, ზუტთა და ბერთა მოყვარული, ლარიბ-თა და ქვრივ-ობოლთა განმკითხავი.

მან თავისი სიკბაბუე და სიქარმავე მამულისათვის ბრძოლას შეაღია. თავის მონასპებთან და აზნაურებთან ერ-თად, ეწეოდა ომის მძიმე ქაანს. და-თოვლილ ტრამალებზე, ქაობებსა და ტყვეებში ღამეებს ათევდა, ანუეეშებდა მუღამ თანამებრძოლთა:

„შეილნო, ნუ გეშინით ნურცა მტრი-სა, ნურცა ნადირისა, როცა საქმეს რა-ნეს განიზრახავთ ვაეკაცურს. რამეთუ უფლის ნების ვანრეშე ველარავინ ვერა-ფერს დაგაყლებთ“.

ხოლო უმრწემსთა ძმათა და შეილ-თა თვისთა აგრე ეტყვის: „როცა თქვენ

მამულში მგზავრობთ, ნურავინ დაანე-ზებთ უპოვართა და ქვრივ-ობოლთა მიმძღაერებასა, სადაც კი შელი მო-ვიწვედეთ, დააბურეთ, შევივროდოეთ უპოვარნი, პატივი მიავეთ სტუმარს, სულ ერთია, მდაბიორი იქნება იგი, თუ ელჩი. რადგან სტუმარს შორს გააქვს სახელი როგორც ბოროტისა ისე გულ-მართალისა.“

•  
•

ბარე სამი კვირა გავიდა, ერთ და-მეს ვახშობისას ისევ მოკვებნა ჩვენს კარავში დიაკონმა ეუზმამ და თვა-ლებგაბრწყინებულმა გამიხმო განზე, რადგან სუფრის ბოლოს იჯდა ყიფილი შორტაი.

ყურმოკრულად გავიგე, ათიოდე ტყვე მონასპა მოიყვანეს დაქრილ ყიფი-ლებთან ერთად, ბორკილები შეასხეს და ორმოებში ჩაპყარესო ფარეხებს გადაღმა.

მე ვერ ვებედავ მოეკითხო თვისტო-მებს, ეინმე წარგზავნეთ და მათ ეცო-დინებათ ომის ამბები, როგორც მაიმბეს ამ ტყვეთა შორის ხუცეს-მონოზონი უნდა იყოს ეინმე ტიხონი. ხუცეს-მონოზონს არც ბორკილი შეასხეს, არც ორმოში ჩაუგდიათ იგი რადგან მღერის წამალი სცოდნიათ.

არც აცივეს და არც აცხელეს, დიდ კარავში წარგზავნეს, რადგან მეკარვეთ-უხუცესს დამართნიათ მღერი.

ეს ამბავი სარწმუნოდ მეჩვენა, რად-გან ყიფილთაგანს თითქმის ყოველ მდაბიორს მღერი სჯირს, ამას ყოველო-ვეს ზედ ერთვის რწყილის სიმრავლე. მათი აურაცხელი ფარებისა და ხეაქტა-ვის მეოხებით განენილი.

ასე რომ არა მარტო მდაბიორი ყიფ-ილთაგანი, თვით მათი დიდებულნი მუ-ღამ ქავილით არიან გართულნი, როცა სუფრას უსხედან. ცხენით მგზავრობენ, ან სტუმარს ესაუბრებნიან, ცალი ზელო

ილიაში აქვთ ჩაყოფილი, იქეჭებიან და თან საუბრობენ, სვამენ, ან კვამენ.

ყოველ ომს ყოველგვარი სიაცე თას მოსდევს და ამ წელს მღერმა იძალა და ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ ის ხუცეს-მონოზონი ტიხონი ორმოებში არ ჩაუვლიათ.

ერთ დღეს დიაკონმა კუწმამ შენობიანა და წამჩურჩულა: ყიფჩალი შორტაი სადმე წარგზავნეთ და აძალამ ხუცეს მონოზონს ტიხონს მოგიყვანთო.

თუ მისი მოსვლის მიზეზი გამოჩხრიკეს, ყიფჩალთა, ასე იტყვიო, მღერი გაგიჩნდათ კარავში და ამაღაც ვიხმეთო.

იცოდეთ, სასიხარულო ამბებსა გიამბობთ, მამა ტიხონი. გვარამ ერისთავი მოუთმენლად მოელოდა ჯერ შედამებას, მერმე ხუცეს-მონაზვნის მოსვლას.

ყიფჩალი შორტაი დავათვრეთ და დავაძინეთ, ხოლო მღერიანობა ათიხთავმა ლათერიაშ გადააბრალა.

აგრე თქვით, თითქოს მე შემყროდესო მღერი.

დიაკონმა სევასტიმ ვახშამი დაუშალა სტუმრებს, მაგრამ ისინი აღარსად სჩანდნენ, ბოლოს როგორც იქნა მოაღწიეს ხუცეს-მონაზონმა ტიხონმა და დიაკონმა კუწმამ.

ქრისტიანებმა ლოცვები ვთქვიოთ და გადავკოცნეთ ურთიერთი, როგორც მრავალწელს უნახავმა ძმებმა.

მამა ტიხონი ანაკოფიაში ნამყოფი აღმოჩნდა, იგი კატარღით ჩასულიყო მუნ და „ობეზების“<sup>1</sup> ქვეყნის პურღვინო და თავაზიანი მიღება სრულიადაც არ იტყვოვა.

„უნდა გაგახაროთ, ერთმორწმუნენო ძმანო ჩემნო, დაიწყო ტიხონმა, მე ჯერით ხელში ვუძღოდი ერთ ათასეულს ყიფჩალებთან ბრძოლაში და ჩვენდა სავალალოდ ჩვენ ისეთ დროს

დაგვატყვევეს იმ დაწყევლილმა ისმაილისძეთა, როცა ჩვენებს უქვეყნებდა ლი პქონდათ ომი.

უფალმა ღმერთმა შთააგონა აზრი კეთილი რუსთა ერისმთავართ ვლადიმერსა და სვიატოპოლქს. ისინი შეხედნენ დოლობსკეში ურთიერთს და ერთ კარავში დასხდნენ სათათბიროდ.

სვიატოპოლქს თავისი აზნაურნი თანახლდნენ და ვლადიმერსაც საყუთარნი.

პირველად სიტყვა დასძრეს სვიატოპოლქის აზნაურებმა:

არ ივარგებსო გაზაფხულზე რომ ველაშქროთ ისმაილის ნამიერთა წინააღმდეგ.

ცხენებს დაუხოცავენ ყამირებზე მომუშავე გლეხთა და ვინდა მოუვლის ჩვენს ნათესებს მერმე?“

მამინ სიტყვა აღო დიდმა მთავარმა ვლადიმერმა:

„მაოცებს თქვენი უბნობა, აზნაურნო, არც კი გაფიქრებთ ის ამბავი, როგორც კი გლეხები სათესად გამოვლენ მინდვრად, თავს დაესხმიან ყიფჩალნი მათ, გუთნისდებებს დახოცავენ და ცხენებსაც გარეცავენ. მერმე სოფლებს მოედებინან, დიაცებსა და ბალებს წაასხამენ და მდაბიორთა ტონებას მიიტაცებენ.

თქვენ ცხენები გეცოდებათ და აღამიანები არ გებრალებათ?“

ეს შეისმინეს თუ არა, დადუმდნენ სვიატოპოლქის აზნაურნი.

ხოლო სვიატოპოლქი წამოდგა და უთხრა ვლადიმერს:

„მე მზადა ვარ სალაშქროდ, მამო“.

ვლადიმერმა მიუგო:

„დიდ სიკეთეს უქადი რუსთა ქვეყანას სვიატოპოლქ.“

მალემსრბოლნი მიუგზავნეს სხვა მთავრებს — ოლეგსა და დავითს: ველაშქროთ ყიფჩალების წინააღმდეგ. ან გავიმარჯვოთ, ან სიკვდილს ვეწიოთო, აგრე შეუთვალეს.

თავადი დავითი დათანხმდა. ოლეგმა მოიბოდიშა: ავადა ვარო...

<sup>1</sup> ობეზებს უწოდებდნენ ქართველებს რუსეთში ოდესღაც.





ხუცეს-მონაზონმა ტიზონმა ბუჩახი მოსვა და განაგრძო:

„ბოლოს თორნი ჩაიკვეს ვაჯაყებმა: ვლადიმერ მონომახმა, მსტისლავმა, იგორის შვილიშვილმა. ვიჩესლავ იაროპოლიძემ და იაროპოლ ვლადიმერისძემან, ჯერ ცხენდაცხენ იარეს, მერმე ნაეებიტა და ბორნებით.

აგრე იარეს დანაპრისის ჭორომებამდის და ბანაი დასცეს ხორტიცისკუნძულზე. ბოლოს დაადეს ნაეები, ოთხი დღე იარეს, კვლავ ცხენდაცხენ და უწიეს სეტუნს.

რა შეიცივნეს, დაიძრაო რუსი, შეკრბნენ ყიფჩაღნი ატრაყხელი სპითა და ითათბირეს.

მაშინ სთქვა ურსობაიმ, ათიათასის თავმა:

„მშვიდობა ვიყიდოთ მტრისგან, თორემ სისხლით გავზღვევინებენ რუსთა მიწისთვის მიყენებულ სიავეს“.

კახუეებმა მიუგეს ურსობაის:

„შენ გეშინია, როგორც ჩანს რუსისა, ჩვენ არა ვერთით მათ წინაშე, ჩვენ მათ შევემუსრავთ და მათ ქალაქებს დაეპატრონებით.“

ამასობაში ჩვენნი მთავარი ილოცვიდნენ მიწაზე დახოქილნი.

წამოვიდნენ ყიფჩაღნი.

მათ მოუძღოდა მამაცი მხედარმთავარი ალტუნოპუ. რუსი მთავრები ემგერნენ ალტუნოპუს სპათა და უაუაქიფეს ისინი.

მაშინ დაიძრა გული ყიფჩაღთა ლამქრისა, როგორც ტვერი უსიერი და თვალმეუღგამი და რუსი შეეგება მათ ისრით, შუბითა და მახვილით.

უფალმა ღმერთმა თავზარი დასცა ის-მაილისძეთა, მათ ცხენებს მუხლის იოგებში გაუდნათ სისწრაფე. უაუქცნენ უშჯულონი, ჩვენებმა მისიღეს და სჩებეს. ამ ომში მოჰკლეს ურსობაი და ჩჩაი, არსლანაპუ და კიტანოპუ, კუმანაი და ასუბაი, ჩანგრებაი და სუსბა-

რაი. ხოლო მთავართაგანუ გრუნე მღელუღუზი ტყვედ ჩაუვარდა მტკნურსსსსსს და როცა დიდ მთავარს ვლადიმერს მიჰკვარეს ტყვე, მან ჰკითხა ბელღუზაის:

„შენ ხომ იცი, რამდენჯერ დაგვირღვიეთ ფიცი და პირობა. რად არ უბრძანე შენთა თვისტომთა ფიცი დაეცვათ და არ ეღვარათ ქრისტიანთა სისხლი? ახლა მათ ნაცვლად უნდა გაზღვევინოთ სისხლი.“

უთხრა და უბრძანა: გაიყვანეთო.

ბელღუზაი გაიყვანეს და აუუწეს.

დიდძალი ხვასტაგი, ცხვრის ფარები, აქლემები, კარვები და საჭურჭლენი ჩაგვივარდა ხელში.“

გვარამ ერისთავმა ბრძანა, პირთ გააღებინეს ხუცეს-მონაზონს და თაფლო ჩაასხა დიაკონმა სევასტიმ მახარობელს პირში.



ამ ამბავმა გაგვიამხნევა, მაგრამ მალე ისევ შეგვეყარა უგუნებობა, რადგან აღარც ყიფჩაღთა უმთავრესი სჩაღდა საღმე, არც მისნი სპასალარნი და სპანი. გვარამ ერისთავს თმენის ღონე ელეოდა.

ხუცეს-მონაზონის ტიზონის ნათხრობი უკვე მიჩნეული გვქონდა როგორც შეპირვებული კაცის მიერ შეთხზული, საამური ზღაპარი.

გუთრამ ერისთავი ღელავდა... ცალკერამ ავადმყოფობა აწუხებდა, ცალკერამ რწყილთა სიმრავლე და ძალღების ყმული.

უკაცრიელი გახდა შარაღანი, მოუვლელი ხვასტაგი და ფარები ბლაოდნენ, ძალღები გარს მოუსხდებოდნენ ფორნებს და მთელი ღამე ისმოდა მათი ამაზრუნეი ყმული.

დიაკონი სევასტი გვარწმუნებდა ალბათ ცუდად წაუვიდათ ყიფჩაღებს

საქმე, ეს ვერანა ძალები ასე გააფთ-  
რებული რომ ყმეიანო.

აღსრულდა სევასტის მოშინური წი-  
ნათქმა.

მარიობის კვირძალში ტრამალები-  
დან მოისმა გაკვირებული და ერ-  
თობლივი კრიალი ყიფჩაღური ფორნე-  
ბისა და საბარგულებისა.

მე ვინ მომცა იმგვარი ნიჭი, უნეტა-  
რესო მამაო გიორგი, გაუწყო, თუ რა  
საშინელია და ამაზრზენი მრავალი  
ათასი გაუსაძნავე ყიფჩაღური ფორნი-  
სა და საბარგულის კრიალი.

კრიალთან ერთად შემოიჭრნენ შარა-  
ლანში გააფთვებულ ცხენებზე მსხდარნი,  
დამარცხებული ყიფჩაღი მეომრები,  
მათარხების ტლაშენი, ცხენების ქიხვი-  
ნი, მგელძაღვლების ყმეილი აირია ურ-  
თიერთში და მთვარიან ღამეში ვისზე-  
დით ჩვენ, დავით მეფის მოციქულნი,  
კარგების წინ და ვხედავდით ათეული  
ათას ცხენოსანთა ღანდების ღასღასს  
ამ წყვილიადისა და ღამის უბეში . . .

•  
•

მეორე ხანი გამოხდა და გვეახლა  
შარალანისძის მეკარვე და გვამცნო,  
ხვალ დილისათვის დავით მეფის მოცა-  
ქულთა წინამდგომს ამალიანად ხმობი-  
ლობსო დიდ კარავში ყიფჩაღთა უმ-  
თავრესი.

არაერთხელ ვხლებივარ მას, მაგრამ  
დიდ კარავში არასოდეს ვყოფილვარ  
უკანასკნელადაც.

მე ვამჩნევდი, გუარამ ერისთავს მთე-  
ლი ღამე არ ეძინა, იგი ღელავდა მოსა-  
ლოდნელი დარბაზობის მოლოდინში.

როგორც ბიზანტიის კეისრებს, ისე  
ყიფჩაღთა უმთავრესსაც ჩვეულებად  
ქონიათ უთენია ხმობა სტუმრებისა  
და დესპანებისა.

გუარამ ერისთავმა საღმასურის თორ-  
ნი ჩაიცვა, მუზარადი თავზე დაიხურა

და გიარგი მეფის მიერ ნაჩუქარე ზე-  
ლი შეირტყა მოოქროვილი ღვინო-  
ლიდხანს გვატარა მეკარვემ შარალა-  
ნის ეიწრო შეუკებში დადგმულ მრავალ  
ათას ფონებსა და კარგებს შორის.

შუკებში მოფუსფუსე ყიფჩაღებს ზედ  
ემჩნეოდათ, დამწუხრებულნი იყვნენ  
წაგებულ ომის გამო, ისინი უღიმლა-  
მოდ დაატარებდნენ უბელო ცხენებს,  
მკახე შეძახილზე ემჩნეოდათ ბრაზი.

ბოლოს მივაღვიძეთ მგლის ორმოებ-  
სა და წყლით გავსილ ბლისკინებს.

ალაგალაგ ბოვირები იყო გადასასე-  
ლელი, გადავივლიდით ერთს, ახლა  
მეორე უნდა გადაგველახა, ყოველ ნა-  
ბიჯზე ჩელტით დაფარული ორმოები  
იყო, მათ კიდეში სარეჯგავეები და ხა-  
ფანგები.

წინდახედულად იარეთო, გვაფრთ-  
ხილებდა კოჭლი მეკარვე.

როცა სასახლეს მივეახლეთ, ბეჭო-  
ბები გამოჩნდა ხელოვნურად დაყოფე-  
ბული, ეს ბეჭობები ნახევარი ფარასან-  
გის მანძილზე გარს ევლებოდა იმ შაი-  
დამს, რომელზედაც დიდი კარავი გა-  
მოჩნდა ექვს სვეტზე გამართული.

მე განაგონი მაქვს შარალანში: ასი  
აქლემიაო საჭირო ამ კარავის გადასა-  
ზიდალ.

ვუახლოვდებით სასახლეს და ეხე-  
დავით თხემიდან ტერფამდის აღქურვი-  
ლი მონასპათა დასტებს, მოისარბესა და  
ხელშუბიანებს, მძიმედ შექურვილ ჯაჟ-  
ვის კურტაკიანებს, ზოგი მათგანი ხან-  
დაკებში ისხდნენ და ისე უთვალთვა-  
ლებდნენ გამვლულებს.

მივეახლეთ თუ არა დიდ კარავს, წინ  
შემოგვეგება ულუსა—მეკარვეთაუხუ-  
ცესი, ხუთი ჯაჟმეზარადიანი ჭარმა-  
გი ყიფჩაღი უკან მოჰყვებოდა მას წე-  
რაქვეცულიანი.

ნოხებითა და ორხოვებით მოფენილი  
დარბაზი გავიარეთ ვრცელი, ყოვლად  
უგემურად მილაგებული გვეჩვენა ირგე-  
ლივ ყოველივე. ცალ კიდეს ყიფჩაღური  
თოჯინები იდგნენ პრელპრულა აბრე-

შემით თავგაქრულნი და პირისპირ შესცქეროდნენ ნაირ-ნაირი აბჯრებით, მუხარადებით, ისრებითა და კაპარქებით შემკულ კუთხეს.

წერაქვეცულიანი ყიფჩალების მწყრივები გავიარეთ, ისინიც ისევე უძრავად იდგნენ, როგორც ის თოჯინები. ბოლოს მივადწიეთ ბეწვეულით ნოხებითა და აბრეშუმით მორთულ დარბაზებში, იქ მოსხანდნენ მარმარილოს სვეტები, რომელთაც ვერცხლისაგან გამოქრილი უჩჩხულები და თუთიყუშები გარს ერტყათ. ოქროისა და ვერცხლის კანდელიაბრები ეკიდა აქაიქ.

ონიქსის სუფრას მოსჯდომოდა ცალ მხარეს ახოვანი დეკაკაი, რომელსაც მწყრისფერი არაბული „ბორდაჰ“<sup>1</sup> ჰქონდა წამოსხმული. მკერდზე მოუჩანდა ღურაჯისფერი პერანგი ჯაქვისა.

სუფრის ცალკიდეს უქუდოდ ისხდნენ მოხუცი დარბაისელნი ყიფჩალოვანნი, რომელთაც ხატაური აბრეშუმის კაჟტანები ეცვათ. ერთ კუთხეში ოქროს მამალი იდგა, რუბინის ბიბილოვითა, ხოლო მეორეში ქარვის აქლეში, ფრუზისთვალეზიანი (ეს განუყრელი მეგობრები ტრამალეზზე, მოხეტიალე ხალხებისა).

შარადან შარადანისძეს კომშისფერი სახე აქვს, იგი სახეებით არა ჰგავს დაწვამალ ყიფჩალებს. როცა გუარამ ერისთავი მიესალმა მას, იგი მოიხიბლა ამ მშვენიერი, მხეითმოსილ ერისთავის ანაგობითა და გაულიმა სტუმარს.

ამ ღიმილში იმდენი სიკეთე და კაიკაცობა ამოვიკითხე, რამდენიც აროდეს შინახავს წლების მანძილზე ამ ბარბაროსთა სახეზე.

აქვე უნდა მოგახსენო, ჩემის დაკვირვებით ყიფჩალებს საერთოდ ღიმილი არა სჩვევიათ. რატომღაც. ისინი ან ხარხარებენ, ან მოღუშულნი სდუმან

და იბნეულად გასცქერიან უსოველ კაცს, უცხოთავანს ფაფიანთა მჭაქურთა თვალების სიღრმიდან. და ასეთი თვალეზი აქვთ მათ ალბათ, ტრამალეზზე ხეტიალსა და შორეთს თვალთვალის მეოხებით.

ზეწამოიჭრნენ მსცოვანი კარისკაცი ყიფჩალოა უმთავრესისა, ყოველ მათგანს იატაგანი ჰქონდათ ფონეზიანი ქამრებში.

და მას შემდეგაც, როცა სტუმრებს მოგვართვეს ოქროქედილი, საეარძლები, ზოგსაც პურპურგადაკრული მაღალი ბალიშები, გახვეებული შესცქეროდნენ ისინი თავიანთი პატრონისა და გვარამ ერისთავის უსიტყვოდ ურთიერთისადმი მისაღწებას.

ქაჩალი თარჯიმანი დადგა მხარმარცხნით და მასპინძელმა კისერი მოიღრიჯა მისკენ და უბრძანა.

„შენ გადაუთარგმნე დიდი ციხის პატრონს, მე დიდად შემაწუხათქო შენმა ავადგახდომამ. ახლა როგორ ბრძანდები თქო, ჯერ ეს უთხარი, გესმის?“

გვარამმა მკერდზე ხელი დაიდო. ვმდლობთ, უკეთ გახლავარო. სთქვა ქართულად და მისი ნათქვამი მე გადავთარგმნე.

ათრახა შარადანისძე მიუბრუნდა კარის კაცებს და ყიფჩაღურად უჩურჩულა რამდენიმე სიტყვა.

თეთრი დათვის ტყავებით შეფარული არე გაიხსნა და მოხუცმა მხარეულმა შემოიტანა მთლიანად შემწვარი კოხაკი, მის უკან მომავალ უწვევრულ ყმაწვილს ციკანი მოჰქონდა რძეში მოხარშული, ასე მოლიოდნენ გაწყაბულნი მსახურნი, ზოგს როცო მოჰქონდა კოტუმას თესლით შეკაზმული, ხატაური ფაფურის მათლაფებით მოჰქონდათ თაფლით დამტკბარი ყუმისი და აქლემის რძე შაქრით დამტკბარი, ვერცხლისა და ონიქსის სურები დადგეს, ზოგში

<sup>1</sup> „ბორდაჰ“ — ერთგვარი წამოსახამია არაბული.

ნუშის ღვინო იყო, ზოგში არაყი. ზოგში ბურახი, ზოგშიაც „დაპაღი“<sup>1</sup>

ყიფჩაღთა უმთავრესი თავათ სთლი-  
და ჩქიფიანი დანით კოზაქისა და ციკ-  
ნის ხორცს, ხანაც როქოს ხელით ააუ-  
ლიდა ბარკალს და ყველაზე უწინ გვა-  
რამ ერისთავს მიართმევდა, მერმე ყო-  
ველ ჩვენთაგანს და გვანიშნებდა თავის  
შწვენიერად, თეთრი საჩეენებელი თი-  
თით და ყიფჩაღურად გვეუბნებოდა:  
თქვენც მიირთვიეთო.

ონიქსის, ვერცხლისა და ფაფურის  
სამწლეურნი დაგვირიგა ყველას სათა-  
თაოდ, თავათ ოქროსი ხელში ეჭირა,  
დაისხამდა არაყს, ბურახს ან ნუშის  
ღვინოს, თვალს დაგვიბაჟუნებდა, გვა-  
ნიშნებდა, ხელში აიღეთო სამწლეურე-  
ბი. თავათ მარჯვენა ხელში ეჭირა სამ-  
წლეური და მარცხენას ზედ აფარებდა  
(ალბათ ეწინოდა ავი სულეები არ ჩაძვ-  
რენო სამწლეურში).

ყიფჩაღებს არ სჭირდებათ მიძალება,  
მათ ისე დახრეს კოზაქის და თხის  
ძვლები, სულხრაზე დაყორებულ უამრავ  
კერძებს მაინც და მაინც დიდად არ  
მიძალაბივართ სტუმრები, რადგან  
ჩვენ გულის ამრევად გვეჩვენებოდა  
დამაჭრელი, რძეში მოხარშული ხორცი.

განციფრდა მასპინძელი, როცა შე-  
ნიშნა გვარამ ერისთავი არც ხორცე-  
ულს ევარებოდა, არც არაყს, არც ნუ-  
შის ღვინოსა და არც „დაპაღის“.

შარალანისძე მე შემეკითხა: დიდი  
ციხის პატრონი ბერი, ან ხელთა წინა-  
მღვლონი ხომ არ არისო?

მე ამ შეკითხვამ დამარწმუნა, რომ  
იგი ჩაცმულობითაც ვერ ამჩნევდა ბერ-  
სა და ერისკაცს ურთიერთისაგან. სერა-  
პიონ ეპისკოპოზი ნუშის ღვინოსაც  
კარგად მიირთმევდა და კოზაქის ხორც-  
საც შეუტია ერთ ორგზის.

როცა მე მივეუგე მასპინძელს, დიდი  
ციხის პატრონი ბერი არ არის მეთქო,

თავის თარჯიმანს მიუბრუნდა და  
აკითხინა:

მაშ რად არა სვამსო ღვინო, მჭიდრ  
სარწმუნო კაცი არაყსა და ბურახს?

თავათ შარალანისძე სვამდა. ურთი-  
ერთში ურევდა არაყს, ბურახს და ნუ-  
შის ღვინოს. თავის კარისკაცთაც აძა-  
ლებდა.

როცა მე მოვახსენე მას, რომ დიდი  
ციხის პატრონი თირკმლების ავადმყო-  
ფობის გამო არა სვამს-მეთქი ღვინოა,  
მან გაიღიმა თავისი შეუდარებელი ლ-  
მილით და სთქვა:

„აგრე გადაეცი მას, ტუბუტაო, ჩვენ  
ყველანი უთუოდ მოვეკედებით-თქო  
და მეორედ აქ მოსვლისას მაინც მოგ-  
ვიხდებამთქო იმის დაღვევა, რაც დაგ-  
ეკალდა.“

„ისევ გაივსო სამწლეური მარცხენა  
ხელი ზედ დააფარა და მკითხა: ცოლე-  
ბი თუ ჰყავსო ჩვენს საპატიო სტუ-  
მარს?

მივეუგე:

არც ცოლი ჰყავს მეთქი და არც  
შვილი.

მერმე ისევ მიუბრუნდა თავის ქაჩალ  
თარჯიმანს:

„შენ შეეკიფხე დიდი ციხის პატრონს,  
თქვენს მეფეს თუ ჰყავსო ცოლები?“

როცა მივეუგე, არც ერთი ჰყავს მე-  
თქი. მხრები აიჩეჩა, რაღაც ჩაიბუტბუ-  
ტა ყიფჩაღურად. რასაც სმენა ვერ წა-  
ვატანე და დაღუშდა.

ხელახლა გაავსო მან თავისი სამწლეუ-  
რი, მარცხენა ხელი ზედ დააფარა და  
გვარამ ერისთავს თვალი გაუსწორა და  
უთხრა:

„მე ბევრი ვიფიქრე ამ დღეებში  
თქვენი პატრონის მიერ მოწერილ წიგ-  
ნის გამო, ჩვენს უხუცესებსაც ვეთათ-  
ბირე... (ესა სთქვა და მოხუც ყიფჩა-  
ღებს გადაჰხედა). „რადგან თქვენი მე-  
ფე მდიდარი და სვიანი ყოფილა, მე გო-  
ვეუზგაზენი მას ქირის სპას, მაგრამ ერ-  
თის პირობით და ამ პირობის გამო  
მე კიდევ დამპირდება დაფიქრება...“

<sup>1</sup> დაპაღი — არაბული ტყილი სასმელია  
ერთგვარი, აღმოსავლეთში ფრიალ გავრცელე-  
ბული.

თქვენ ვერ კიდევ კარგა ხანს იქნებით ჩვენი სტუმარი და როცა დრო იქნება, მე თავათ ვიხმობთ და ჩემს პირობებს მაშინ გავუწყებთ...“



მთლად კმაყოფილი არ დარჩა გვარამ ერისთავი იმდღეინდელ დარბაზობითა. იგი ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ყოფილთა უმთავრესის მიერ ხსენებულ პირობის ქვეშ მარტოდენ ფული არ იგულისხმებოდა.

გვარამ ერისთავი სწუხდა, მისაყვედურებდა: „რად ამცნე თავის დროზე მას, ვაჟი რომ ჰყავს დაეით მეფესა? მე შეშინია დემეტრე უფლისწული არ მოგვთხოვოს მძევლად“.

ნაშუალამემდის ვისხედით ჩვენს ფორანში. ორივე ხელი საფეთქლებზე შემოკდობილი იჯდა ბეჭისციხის პატრონი და ათასგვარ მოსაზრებას მიზიარებდა.

ბოლოს ესა ზთქვა:

„რაჲ რუსებთან ომი წააგეს ყოფილებმა, ცხადია, დიდძალი ფულით უხდა ყოფილთა შვეილობა, მაგრამ შენ რას იტყვი. სტეფანოზ, მარტოდენ ფულის გამო არ შესდგომია შარალანისძეს ჰოჭმანი, ეგ რომ ასე იყოს იმ დღესვე გვაუწყებდა, არა?“

მეც დავემოწმე, რომ აქ მარტო ფულის საკითხი არ არის-მეთქი.



ერთი კვირაც გავიდა, ისევ მოვიდა იგივე კოჭლი მეკარე და გვაუწყა: დიდი ციხის პატრონს ხმობილობსთ ყოფილთა უმთავრესი უამალოდ და უთარჯიმანოდ.

ნაშუადღევს წაიყვანეს გვარამ ერისთავი და ნაშუალამემდის არ მობრუნებულა. როცა იგი კარავში დაბრუნდა, ყველას ეძინა ჩემს გარდა.

მთლად გაფითრებული შემოვიდა გვარამ ერისთავი კარავში და მარტოდენ ლევით წაიქცა საწოლზე.

როცა მივეახლე და უგუნებობის მიზეზი ვკითხე, მომიგო: „თრახა შარალანისძე დამოყვრებას მოითხოვს აგრე ამბობს: უამისოდ ვერ მივეცემა დაეით მეფეს ქირის სპას.“

თავდაპირველად ჩვენ გვინდოდა უფლისწული თქვენი მოგვეთხოვა მძევლად, მაგრამ თქვენ ქრისტიანებს პირის ქცევა გჩვევიათ, რუსის მთავრებმა არაერთხელ მოგვეცეს თავიანთი ვაყები მძევლად, ფიცი გასტეხეს და მძევლები შემოგვატოვესო, ხელში.

მერმე სთქვა:

„ჩემი ერთად-ერთი ქალი რუს მთავარს უხდა გაყოლოდა ერთს. მაგრამ როგორც ჰხდავთ, ჩვენს შორის სისხლი ჩამოსწვა, ამიტომაც თქვენ პატრონთან დამოყვრებას ვარჩევთ. თუ ეს არ შესდგა, აგრე შორს ვერ წარგვზავნით ქირის სპას.“

მე მოვიბოდიშე შჯულის ამბები არის მეთქი აქ. მან მომიგო: მალიქ-შაჰ სულტანი ხომ მუსულმანი იყო, ყოფილის ქალი ჰყავდა მას, ტურკან ხათუნი.


რუსებიც ხომ თქვენებრ ქრისტიანები, მათ მთავრებსაც არა ერთხელ შეურთავთ ყოფილის ქალები.

დიაცს ხომ შჯული არა აქვს, ვინც მას შეირთავს, იგივე მისცემს შჯულს.“

არც მე და არც გვარამ ერისთავს მთელი ღამე არ გეძინებია ამ ამბით დაზაფრულთ, გვარამ ერისთავი ლოგინად ჩავარდა აგრე ამბობს: კარგადაც რომ ვიყვე, მე ვერ მივწერო ამ ამბავს გიორგი ჭყონდიდელს. მეც ფრიად მიძიმს ამის მოხსენება, მაგრამ მიწ ნაბრძანებს ვასრულებ.

მიწა მეუფებისა შენისა  
ქრისტეს მიერ გლახაკი  
სტეფანოზ წილკნელი“

(გავრძელება იქნება)



---

# ახადგაზრდა მწერლების შემოქმედება

პალკინან სალკინი

## პალკინს შემდეგ



მთებმა ფიფქებით აივსეს უბე,  
მწვანე გულ-მკერდი გაილამაზეს,  
ჩადგა ავდარი, არ სძინავს ღრუბელს  
აილამაზე.<sup>1</sup>

ცაში აზიდულ მწვერვალს ქარებმა  
შემოახიეს ნისლის თავშალი,  
არც ღრუბლებია მთების კარებთან,  
არც მტრის ლაშქარი.

პალკინ სულკინი

---

## ღ ე ღ ე



მოველ, აღერსი რომ კვლავ მეგემა  
და შენს ბაგეზე დამხვდა ზაფხული;  
ქველი ოცნება შემომეგება,  
შენს ღრმა თვალეში შემონახული.

აღბათ, იგონებ, თუ წლების იქით  
როგორ გამზარდეთ შენ და თბილისმა  
და განათებულ თვალეებით გიკვირს  
დავაქაცება შენი შვილისა.

ღედა, რა მალე გავიდა წლები,  
შენ თმებზე თოვლი გადაგეყარა.  
მახსოვს, ხელებში ამიტაცებდი,  
რომ დამენახა შენით ქვეყანა.

---

<sup>1</sup> ა ი ლ ა მ ა — მწვერვალია.



მაჩვენე მიწა ათას ფერითა  
და ის მზიბლავდა ფეროვანებით.  
ქვეყანას ვკვრეტდი შენი ხელიდან,  
ქვეყანას ვკვრეტდი შენი თვალებით.

მე რალაც დიადს ვგრძნობდი მაშინვე,  
ფართოდ გამეხსნა ქვეყნის კარები:  
დიდი სიცოცხლე აღმოვაჩინე,  
მოდი, შეხედე ჩემი თვალებით!

განთიადივით ნათელო დედა,  
წლებს ეღიმება დათოვლილ თმაში.  
ეხედავ, უთვალავ ვარსკვლავებს ვხედავ,  
შენს ღრმა თვალებში როგორც ორ ტბაში!

## ჩემი ქრეა



მე მიყვარს ჩემი პატარა ქუჩის  
გამოღვიძება და მღვლეარება,  
როცა თენდება და ერთი მუტა  
მზის სხივი ჰყოფნის აელვარებად,  
მე მიყვარს ჩემი პატარა ქუჩა  
და სართულები თეთრად ნაგები,  
როცა საღამო შემოდის ლურჯად  
მსუბუქი ფრთებით ფარშევანგების.  
როცა საღამო შემოდის ლურჯად,  
მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე.  
იწყება ჩემი პატარა ქუჩა,  
ჩემი ბავშვობაც იწყება იქვე...  
ვიგონებ—ხსოვნას ჩარჩენილ ფერებს  
და ჩემი ქუჩა მზიბლავს სითბოთი.  
მე ჩაეიწყობდი ჯიბეში ხელებს  
და სკოლისაკენ მღერით მივრბოდი.  
როცა შემოდის საღამო ლურჯად,  
მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე.  
თავდება ჩემი პატარა ქუჩა,  
ჩემი ბავშვობაც თავდება იქვე.



არ მქონდა ჩრდილის ნასახიც გულში,  
 ეიყავ მზიანი სიცოცხლით სავსე.  
 ჩემი ლამაზი, პატარა ქუჩით  
 გავედი დიდი ცხოვრების გზაზე.  
 პატარა ქუჩა, პატარა ძალა  
 მიდის და მწვანედ სიცოცხლე ხარობს  
 და უერთდება ბუმბერაზ ქალაქს,  
 როგორც მდინარეს პატარა წყარო.

## მოთა აკოხია

### სოფლის გასენება

★

ჩემი ბოსტანი, ქინძი და კამა,  
 მახლობელ ხესთან მტრედის გალია.  
 მოხუცი დედა, მოხუცი მამა  
 დარწმუნებულად არასდროს რომ არ სცალიათ.

ახალ შარაზე ავტომანქანა,  
 დაფეთებული ცხენის ჭენება.  
 შეივსო გოგონა ჩემი შეფთვალა.  
 ყველაზე თეთრი რომ მეჩვენება.

„კაფე-თესეს“ რომ ამბობს გუგული,  
 მგონია ამბობს „ლექსები წერე“!

ნაჩლარებზე ცეცხლის გუგული  
 წამოშლის ცისკენ მეწამულ ფერებს.

და შემოდგომით იგრძნობს სიმძიმეს  
 მაღალ ბოძებზე მდგარი ნალია,  
 ეხედვ, რამდენი ცვარი ციმციმებს,  
 ცვარი კი არა—ვერცხლოს წყალია.

ეხედვ, რამდენი გმირი იზრდება,  
 ყველა შემტევი, შეუპოვარი.  
 მიწაში ფესვი გამოფხიზლდება,  
 როგორც კალთაში ძებმეწოვარი.

### მეგრული თოხნური

★

მუდამ მახაროს ჩემმა სახნისმა,  
 ჩემმა შეფთვალა დიასახლისმა,  
 ჩემმა ნამგალმა პირგანაღესმა,  
 ჩემმა ნამყენმა და ოჯალეშმა,  
 ჩემმა სიძემ და მისმა მყარმა,  
 ჩემს აივანზე მოთას აყვანმა,  
 ჩემი არტელის ვრცელმა ყანებმა,  
 ზაფხულში ზღვას რომ დაემგვანება,  
 მუდამ მახაროს ჩემმა ბედელმა.

პურაღობაში გაუტეხელმა,  
 ჩემმა ხარებმა, ჩემმა ფერებმა,  
 ჩემი ქურანის ნაფეხურებმა,  
 ჩემმა ბაღემ და ჩემმა ფაცურმა...  
 გმირების სიამ კრემლში ნაწერმა,  
 და იმ სიაში ქართულ გვარებმა  
 ფრთები შეასხას ჩემს გახარებას.  
 მუდამ მახაროს ჩემმა ტყე-ველმა,  
 მიწის დოვლათმა დაულეველმა.





## ლილა ყანაში



როდესაც ლელავს სიმინდის ყანა  
და გემბევიით წინ მთები ჩანან,—  
ყანებს ზღვაური როცა ედება,  
სევასტოპოლი გამახსენდება.

„ცეცხლი“! მეძახდა ჩემი მთა-ველი.  
სიკვდილის გზამდე იყო მტკაველი,  
არსად მოღლილა ჩვენი მარჯვენა.  
ურჩხულს ვებრძოდით ვოლიათები,  
ჩვენ ყველგან მოგვწედა კრემლის  
ნათელი  
და გამარჯვების გზები გვაჩვენა.

კრემლის ნათელმა კვლავ მომიყვანა  
აქ, სადაც ჩემი შრიალებს ყანა,  
გზა გამარჯვების მანახა აქაც,  
ზრიოკს ჩაეაცვი ჯეჯილის ფარჩა.

თვითონ ბელადმა შემეჩო გარჯა  
და მომილოცა მიწის ბარაქა.

კვლავ მინდა თოხი კარგად გავბირო,  
ყანა მოჰგაედეს ზღვას უნაპიროს,  
ტაროებს ჩემი წყრთა გასწვდეს მარტო,  
ლოლაბმა სულის მოთქმა ინატროს.

როცა ზღვაური ყანებს ედება,  
შავი ზღვის ლელვა გამახსენდება,  
მწარეა განცდა და უეცარი,  
არ გაეხსენო არ შემძლია,  
ვინც ვერაგებზე შური იძია  
და ვერ დასველდა ყანების ცვარით...  
ახლა ნიავი მეაღერსება,  
ვეგრძნობ სიმინდს ტარო როგორ ეესება  
და ვით ბელადის მცინარე თვალი  
მზე დამადგება ამომავალი.

## ჩემი სოფლის ერთი შუკა



ჩემი სოფლის ერთი შუკა,  
შუკა მცირე, ბეწვის ტოლა,  
ასე სწორად ბაღებს უკან  
რა ოსტატმა გააყოლა?

ერთი გოგო—იგი სწორედ  
ამ შუკას რომ დილით გაჰყვა,  
ასჯერ ვნახე, ასმეორედ  
რატომ მინდა მისი ნახვა?

ჩემი ლერწმის ღერი მცირე  
რად მგონია იტყვის ახალს?  
სამი ღამე რად გავწირე  
ერთი ჰანვის მოსანახად?

მეც გალობა რატომ მსურდა,  
როს შერცხალი შემოფრინდა?  
მერცხალივით, მისკენ მუდამ  
რომ გაფრინდე რატომ მინდა?

— ჩემს ეზოში იყოს მინდა,  
გარჯის ნაყოფს ვანახებდი,  
ნისლთან ერთად ინგურთან  
სუნი მოვა კალმახების.

ჩემი სოფლის ერთი შუკა,  
შუკა მცირე ბეწვის ტოლა,  
ასე სწორად ბაღებს უკან  
რა ოსტატმა გააყოლა?

ნიკოლოზ თალაკვაძე

## უბნაგე ნინოშვილს

★

გულმართალო შეამბოხევე, გულდამწვარო წინაპარო,  
 დღეს დამშრალა გურიაში შენი ცრემლის წმინდა წყარო!  
 ვერ ჩაქრო ციემა მიწამ, ვერ დააცხრო ჟამთა დენამ  
 შენი სულის ჩატკობა, შენი მძაფრი აღმაფრენა.  
 რა სიმწვავეც განიცადეს გულდიადმა სიმონებმა,  
 გაანათე, გააბრწყინე დაუქცობელ სტრიქონებად.

დადგა ხანა, ნეტარების განცდა დაუცხრომელია.  
 ახლა ჩვენგან რა გაგრისყავს:  
 თუმცა ჩვენთან აღარ იყავ,  
 იმ საზღაპრო თენებაში შენი შუქიც ზომ ერია.

გადახედე ქრისტიანებს, განა თვალზე ცრემლები აქვთ?  
 გარჯით ვაჟთა თანაბრები მტერს არ დაემხველებიან.  
 გადახედე მთას და ქედებს, აგანთებს და გაგახარებს;  
 ნარინჯები მოჰფენია დროიძეთა ნასახლარებს.  
 კრეფენ, კრეფენ, არ იღვევა, მთა-გორებად იზრდებიან.  
 მათი შუქის ელვარება კიდით-კიდეს მისწვდენია.

შოთა ლომსაძე

## მესხეთს ვაუხენებ

★

ჩვენშიც მოფრინდა უკვე მერცხალი.  
 გზა დამილოცე, შენი სულისა...  
 მთიდან ძახილი ისმის მეცხვარის,  
 მოქრის ნიავე გაზაფხულისა.  
 მთაში ამღერდა უკვე გაგაზი;  
 შენც მოიღერე ყელი ლამაზი  
 ამოყვანილი ბროლის სურისა,  
 გამოაჩინე ცრემლი აღმასი,  
 ვაზივით წრფელი სიხარულისა.  
 გზა დამილოცე, მესხეთს ვაუხენებ,  
 თვალთა ნათელი შემომამშველე.  
 მე ვარ სიმღერა სიყვარულისა

და სიყვარული თვითონ მამშვენებს,  
 ამღერებული შენი გულისა.  
 ბაღში გაშლილა უკვე ყაყაჩო,  
 მხარი მომაბი ჰეი, ძმაცაცო,  
 უნდა დაგებაროთ ძველი ზეარები,  
 ფუძედ ვაქციოთ ნაფუძარები.  
 ავაგუფუნოთ მიწა მესხური,  
 წინაპართაგან ზოტბა შესხმული  
 და სიამაყე ჩვენი სულისა.  
 გამატეხინე პური გლეხური,  
 კაცის და მიწის სიყვარულისა.  
 მხარი მომაბი, დაფრგოთ ვენახი,  
 მამაპაპის ძელებს ხელი შევახოთ,  
 ვნახოთ ნამტერევი ღვინის ჭურისა.  
 და ახალ ხმაზე ისე შევძახოთ  
 ჩვენი სიმღერა სიხარულისა,  
 რომ გავაგონოთ თვითონ საფლაგშიც  
 ეს უძლეველი ჩვენი დაფდაფი.  
 გაზაფხულია და ქრის ნიაფი...  
 დამლოცე, აღარ დამაგვიანო.  
 ომიდან შრომის ფრონტზე მივდივარ,  
 გაუტეხელი, როგორც მინდია  
 და გულში ტრფობის ცეცხლი მინთია,  
 ჩვენ თვით მიწასაც ვერ დავეხსნებით,  
 თუ არ აყვავდა მთელი მესხეთი.  
 თუ არ იგრგვინა გმირთა მხარიდან  
 და არ წამოდგა მკვიდრი ხალიბთა.  
 თუ არ გაქვდა რკინა ახალი,  
 უძლეველი და შეუღახავი,  
 რომ ქვეყნის მომხდურს ისე ვმუსრავდეთ,  
 ვერ ბრუნდებოდეს უკან ვერც ერთი.—  
 კიდევ მოველით ახალ რუსთაველს;  
 უშრეტელია მიწა მესხეთის.  
 მე სულ სხვანაირ მესხეთს ვაშენებ,  
 მას ვერ ეღრება ძველი მესხეთი;  
 იმ ძველ დიდებას დღეს თუ ვახსენებ  
 და სიყვარულს მზეს ვესესხები,  
 მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ლტოლვა  
 მოისწრაფოდა დღეის დღემდინა.  
 და ბედნიერი სწორედ მიტომ ვარ,  
 გულზე ნათელი მიტომ მედინა,  
 რომ წილად მერგო ეს დიდი ვალი,  
 ამოძრავება ახალ ცხოვრების.  
 მე ქედღორეკად გავქმედე რვალი  
 და საფრთხეს თვალი გაუსწორევი,  
 ვანგრევე მიწურებს და თვით მიწაზე



დამდაბლებულებს ისე ვამაღლებ.  
 მე სიმღერებით გამოვიცვალე  
 და ჩვენი ტყბილი ყოფა მაღაღებს.  
 ასე ვაბრუნებ ცხოვრების ბორბალს  
 და გამარჯვების ბრწყინავს ისარი.  
 ვაშენებ მესხეთს, სიმხნევე მომდგამს,  
 კრემლიდან მომდის მზე და მიზანი.  
 გაზაფხულია და ისმის მთიდან  
 ტყბილი ღუღუნის სალამურისა,  
 მივდივარ ბალში, სიმღერა მინდა...  
 ზეცით ეუფუნა წვიმა მასველებს.  
 ყურში ჩამესმის ხმა ბუღბუღლისა...  
 ქალო ლამაზო, მესხეთს ვაშენებ,  
 გზა დამილოცე, შენი სულისა.

საგუანა პარუნაი

## სიმღერა



ერთი სოფლელი ბიჭი ვარ,  
 ერთი უბრალო მხრე ვარ  
 და დღეს რუსთავეის ნათელი  
 მათბობს და მხრებზე მეფრქვევა.  
 სხვა მე არ მინდა სახელი,  
 თუ მისი მკვიდრი მერქმევა!

დიდი საამქროს ფანჯრებში  
 მზე რომ შემოდის კაშკაშით,—  
 იქა ვარ, წილი მეც მიძევს  
 ჩემი ქალაქის გაზრდაში.  
 გმირულ შრომაში ნაწროთობი  
 დაზვასთან ვდგევარ ვაჟაკი.

რუსთავეის მიწას ქართველმა  
 როგორ არა ვსცე თაყვანი,  
 აი, აქ უნდა დაირწოს  
 ჩემი შვილების აყვანი,  
 რომ გული სუფთა გამოჰყევთ  
 და ფოლადივით მაგარი.

## მინის სანთქვა

★

ჩაის ფოთლებთან

ზღვა წყნარია, ვიდრე ქარი აიშვებს  
შელივლივებს ნაპირს ზღვა უშფოთველი.  
დილაა და... ხეტუბანში აიშვებს  
კვლავ ელიან დაცვარული ფოთლები.

გადაშლილა წინ ზურმუხტის ფართობი,  
სიმწვანეში ჩაის ველიც ხავერდობს.  
კისკისით და მზიარული გართობით  
ქალთა გუნდი მიაღგება მთა-ფერდობს.

უფარფატებთ თავზე ჩალის ქუდები,  
სწრაფ ავსებენ ბარაქიან კალათებს,  
მეც ოცნებით იმ ბუნქებთან ვბრუნდები,  
სად ღიმილით ნაზიბროლა ანათებს.

სერზე დგანან გოგონები ცქრილა,  
ფოთოლს კრეფენ თვალეუენა ტოლები.  
სიმღერის ხმამ ხევში ჩაიწკრილა,  
ჰქუხს სიმღერა გაღმა მთის გაყოლებით.

ჰქუხს სიმღერა ჯიჯავადის რგოლისა,  
ბანს აძლევენ მთები მზით ნაშუქები.  
...და პასუხად მზრუნველობით მოვლისა —  
შრიალებენ აქ ხეტუბა ბუნქები.

ამ ბუნქებთან იბადება ღირსება,  
სახელი და ჩვენი ხალხის დიდება;  
გული ქვეყნის სიყვარულით ივსება,  
რადგან შრომით მომავალი ბრწყინდება.

ფოთოლს კრეფენ კოლმეურნე ქალები,  
მალე ვნახავთ მათ ნარინჯის ხეებთან.  
საქართველოს ძილშიც ვეტრფივალეებით,  
მისი ემზი მუდამ თვალს ატყვევებდა.

სად ზღვა დღევას ქავლის ალივლივებით,  
ნაპირს რეცხავს ზვირთი ზვირთთა მომღენი,  
გმირ სამშობლოს აყვავებენ შვილები,  
გმირებს მკერდზე უციმციმებთ ორდენი.

## გონიოს ბალავანთაჲ


 ეროვნული  
ბიბლიოთეკა

★

შორ ინდოეთს მიმავალი  
აქ დგებოდა ქარავანი.  
ღრომ წაშალა მისი კვალი,  
დარჩა ციხის გალავანი.

აქ დღე იყო ცისმარადი,  
იქით მთვარე დღენაკულელი.  
ჩვენ სიმაართლეს ვიფარავდით,  
გვერტყა ურდო ვერაგული.

არ გაჰყურებს ზღვას აქლემი,  
არ წკარუნობს ზანზალაკი.  
ილსდგა თურქთა ანაკლები  
ეს მიდამო, ეს ალაგი.

ვინ აჩეხა ტაოს ვაზი,  
ვინ მოსრისა ვაზის კერა.  
ქორობის წინ ოხრავს ლაზი,  
ისმის მისი გულის ძგერა.

სადაც ძველად გაუვლია  
სულხან-საბა ორბელიანს,  
დღეს ნარინჯის ბაღს უვლიან,  
ლიმონების სოფელია.

კვლავ აღსდგება, გაიღვიძებს,  
ეინც ველურმა გააცოფდა,  
შეაერთებს ქართულ მიწებს  
გმირი ხალხის ვაჟაცოფა.

ჰყვავის მიწა ნავგიმრალი,  
ქართველი რომ სისხლით რწყავდა.  
შას ურიცხვი ნადირ-ალი  
სამხრეთიდან მტრებად ჰყავდა.

მოვა ქამი, და ლაზიკაც  
ქართლის ღროშით გაიხარებს,  
გაანათებს დილა იქაც  
თურქთა ნანგრევ ნაციხარებს.

დასაპურობად მოიწვედა  
ოსმალთა ბნელი ტომი.  
რა მოჰქონდა? ერის სევდა,  
აოხრება, წვა და ომი.

შენ გელოდა ბრძოლა ცხარე,  
შენთან მტერი მოდიოდა,  
აყვავდები. ოშკის მხარეც:  
როცა მოვლენ გონიოდან!

## სოფელი ბანთიადი

★

ბათუმის რაიონში იყო ღარიბი სოფე-  
ლი ყარადღრე. აქ ალა ჩარკვიანის  
სახელობის მილიონერი კოლმეურნეობაა.  
აყვავებულ სოფელს განთიადი  
წოდება.

მოდი, ნახე განთიადი,  
სოფელს ჰქვია ეს სახელი.  
წინ ლივლივებს ზღვა დიადი —  
ლაქვარდების შემნახველი.

ნაპირთან და შარა-შარა  
ნარინჯები შარიშურაობს.

აქ ცისკარმა ფრთა გაშალა,  
სხივი როგორ დაიშურას!

ჩაის ბუჩქთა მწვანე ლაშქარს  
დაუფარავს ველ-კორდები.  
ეკალიპტთა ჯარი აკრავს,  
ტურფაა და ვერ შორდება.



წინათ ნალველს ინახავდა,  
მკერდზე აჩნდა ეამთა დალი.  
ნეტავ ახლა ვინ დახატა,  
ვინ შეამკო ოქროს ბალი!

ლიმონები რომ ბრწყინავენ  
სურნელითაც ქართულია.  
უელის ქალი მოწინავე,  
გმირი შრომით გართულია.

შეპყლია ხეს ჩხავერი,  
გარს ფუტკარი ახვევია.  
დგას ეზოში ტალავერი,  
მის პირისპირ მთა-ხვევია.

იმ კორტოხა მთამდი აღი,  
აზიდულა სახლი მაღლა.  
ამ ცხოვრების განთიადი  
აქ ანათებს სახლში ახლა.

ჯერ შავი ზღვის ლეღვა ნახე  
და სიმინდის ყანა მერე.  
დრომ შესცვალა სოფლის სახე,  
ვაქრა ძველი ყარადერე.

★

წალკოტივით ეზო არი,  
ჰყავს გულუხვი ბინადარი.  
აქ ღიაა ოდის კარი,  
ჩანს გულიმზე მზის სადარი.

აიენის წინ ხედავ პალმებს,  
დგანან მწვანე დარაჯებად.  
გმირი შეგვხვდა, მივესალმეთ,  
მიველოცეთ გამარჯვება.

ძმის შეხვედრა იგრძნო სისხლმაც,  
როს კიბეზე ავიდოდით,  
მოსკოვის და თბილისის ხმა  
აქაც ეღერდა რადიოთი.

მაღე სუფრაც გაიშალა,  
აქაც გაჩნდა რქაწითელ  
გვამლერებდა ძმობის  
თამადობდა მასპინძელი.

იგი ომში ნამყოფია;  
მტერს მისდევდა ბერლინამდი.  
მისი ბრძოლის ნაყოფია —  
ცხრა დაფშენილი „ფერდინანდი“.

მკერდს უმშვენებს გმირს ორდენი,  
კარგი ოდაც აუგია.  
მისი ღვაწლი ამოდენი  
კრემლში სტალინს გაუგია.

ჩვენ პირველი სავსე თასით  
ვადღეგრძელებთ დიდი ბრძენი,  
ვინც სიცოცხლეს მისცა ფასი  
და დაატკბო ხალხის დღენი.

ვადღეგრძელებთ ის ქართველი,  
ვინც დღეს ბელადს უდგას გვერდით,  
ჩვენი წელში გამმართველი  
და სამშობლოს რკინის მკერდი.

კვლავ ვადიდეთ საქართველო —  
საბჭოეთის მარგალიტი,  
და ვინც მორთო მთა და მდელი  
მოგვცა შრომის მაგალიტი.

თავს გვეხურა მწვანე მთებთან  
საქართველოს ზეცის თალი.  
წინ ბარაქით გვიანთებდა  
კოლმეურნის ოქროს ბალი.

წინ ლეღავდა ზღვა დიადი,  
შორს წერტილად ჩანდა გემი.  
სოფლად იდგა განთიადი,  
განთიადთან — ნატვრა ჩემი.

## თავისუფლების გზა\*



ვეზლენი შავ, თეთრ, ყვითელსა და ყავისფერ-  
კაცებსა და ქალებს, რომლებმაც სიცოცხლე  
ვასწირეს თავისი წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავი პირველი

### როგორ დაბრუნდა შინ ბიჭონი ჯეკსონი არჩვენებიდან

ნოემბრის ამ გრილ დილას ყვავებ-  
მა აღრე გააღვიძეს რეიჩელი. იგი იწ-  
ვა ლოგინში, ყელამდე გახვეული  
ძველ საბანში, მკერდზე ჯენის სით-  
ბოს გრძნობდა და ყურს უგდებდა  
ყვავების ჩხავილს.

მკერდთან თბილი ადგილი შეინძრა  
და რეიჩელმა წაჩურჩულა: „იწექ  
წმენიდად, ჩემო შეილო, წმენიდად და  
ყური დაუგდე იმ ბებერ ყვავებს, აბა,  
ყური დაუგდე!“

ჯეფმა გაიზმორა და ქუსლები ია-  
ტაკს დაანარცხა. რეიჩელთან ჩახტე-  
ბული ჯენი გამოფხიზლდა და უკან  
გადაგორდა; რეიჩელს ცივმა ჟრუან-  
ტელმა გაურბინა იმ გამოთბარ ადგილ-  
ზე, სადაც აქამდე გოგონას ეძინა.  
მარკუსი ახმაურდა ჰოი, ჰოი! ჯეფმა  
მუჯლუტუნე წააკრა მას და მერე ორი-  
ვენი ბლარძენით გადაგორდნენ ია-  
ტაკზე.

რეიჩელი კიდევ ერთ წუთს მოებ-  
ლაუქა სიბნელეს, მერმე ზეწამოიჭრა  
და ბიჭების დასაშვადებლად წარმოს-  
თქვა:

„ჯეფ, ჩუმალი!“

ჯეფს მარკუსი ფეხებზეა მოემწყე-  
და. იგი თხუთმეტი წლისა იყო მხო-  
ლოდ, მაგრამ ტანად გიდიონს არ ჩა-  
მოუვარდებოდა; ბიჭს გოლიათის აღ-  
ნაგობა ჰქონდა უკვე—სიმაღლით ემე-  
სი ფუტი იყო, შოკოლადის ფერისა,  
რითაც უფრო დედას ჰგავდა, ვიდრე  
შექლიავივით მბზინვარე გიდიონს,  
მაგრამ სახე მამისა გამოჰყოლოდა, ქა-  
ლების წასაწყმედად გაჩენილს—მოგ-  
რო და ლამაზი. თორმეტი წლის მარ-  
კუსი ხმელი და პატარა ტანისა იყო.  
რეიჩელი ჯეფს შეუწყრა:

„ფეხები უშვი, შე მუტრუკო!“

ჯენი შეიდი წლისა იყო. როგორც  
ყოველ დილით. გოგონა ახლაც უბირ-  
ველეს ყოვლისა კარში გაიჭრა—სი-  
ნათლეს მოწყურებული არსება! გა-  
რეთ მას თევგამოდებული ყეფით ძალ-  
ლი შეეგება.

ჯეფი ფეხზე წამოდგა; მარკუსმა  
მას მუშტები დაუშინა, თითქოს კოდა-  
ლა ჭარმაგ მუხას ნისკარტს სცემსო.  
ჯეფი გიდიონით ხათრიანი იყო,  
მაგრამ მას არ ჰქონდა ის რკინისებუ-  
რი შინაგანი სიმტკიცე, რომლითაც  
გიდიონი ყველასაგან გამოირჩეოდა.  
ჯეფი ძნელად თუ გაჯავრდებოდა,

\* იბეჭდება შემოკლებით.



მაგრამ რაკი ბრაზი მოერეოდა, ცეცხლივით აინთებოდა; გიდიონის გულისწყრომა კი ყოველთვის დათარეული იყო.

რეიჩელი აფუსფუსდა; ქოხი სავსე იყო უკვე მზის სინათლით. კარი გაიღო და წვიმის წყლის კასრში თავაშობულ წყლი ჯეფი შემოვიდა ჩინჩხვართ ხელში. რეიჩელიც კასრისკენ გაემართა, თავი და ხელები წყალში ჩაჰყო და ჯენის დაუძახა:

„მოდით, ხელპირი დაიბანე, მოდი ახლავე!“

როცა რეიჩელი ქოხში დაბრუნდა, ჯეფს ცეცხლი გაჩაღებინა უკვე რეიჩელმა ჯამი აიღო და შექამადი დაამზადა, ჯეფმა კი ამასობაში იმდენი უბერა ცეცხლს, სანამ გავარჯარებულ ნაკერცხლებად არ აქცია იგი.

ათიწოდე წლის წინათ კარუელის პლანტაციას ეკირა ოცი თუ ოცდაორი ათასი აკრი სამხრეთ კეროლინის ბარაქიანი მიწისა — ეს იყო მისი დიდების მწვერვალი. ასი მილით დაშორებული ოკეანიდან იგი გადაქიმული იყო იმ მომცრო გორაკებზე, რომლებიც ქმნიან ფართო სამიჯნო სარტყელს ზღვისპირა ტაფობსა და მთიანეთს შორის. როცა იქ ბამბა მეფობდა, ერთ აკრზე ერთნახევარ ნაკრალს ჰკრეფდნენ; კოკრების გაშლისას, სადაც თვალი მისწვდებოდა, თეთრად გადაპენტილი ზღვა იყო.

პლანტაციის დიდი სახლი ყველაზე უმაღლესი ეკემოდა კაცს თვალში. სწორედ პლანტაციის შუაგულში იდგა იგი მაღალ გორაკზე, ოთხსართულიანი, ოცდაორი ოთახით და სვეტებიანი ტალანით ბერძნული ტაძრის მსგავსად. საეტლო გზას ტირიფების ხეივანი მისდევდა. კარმაგი მუხები გალავნად შემორტყმოდნენ სახლსა და ეზოს. ნახევარი მილით დაშორებულ მონების ბინებიდან თუ აპხედავდი

5. „მნათობი“, № 10.

სახლს, იგი კიდევ უფრო წაგავდა ტაძარს, და როცა მის წინაშე მდებარე ღრუბლებს აშლიდა ქარი, ამ სახახაობას ვერაფერი შეედრებოდა სიმშვენიერით მთელს ამ მხარეში.

ასე იყო ძველად. ამ წელს კი, 1867-ში, ბამბა არ დათესილა კარუელის პლანტაციაზე. ამბობდნენ, რომ დადლი კარუელი ჩარლსტონში ცხოვრობსო, ნამდვილად კი არავინ იცოდა. ამბობდნენ აგრეთვე, რომ კარუელის ორი ვაჟი ომში მოჰკლესო. ვალმა და გადასახადებმა პლანტაცია გაურკვეველი მოლოდინის იმ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომელსაც უკვე ამდენი დიდი მამული მოეცვა სამხრეთში. ამბობდნენ, თითქოს პლანტაცია ახლა მთავრობას ეკუთვნისო, და თითქოს კარუელის თითოეული ყოფილი მონა ორმოც აკრ მიწას და ერთ ჯორს მიიღებდა. ამგვარი ხმები ცეცხლივით ედებოდა ირგვლივ, მაგრამ არავის არ შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო. რამდენჯერმე ვილაც თეთრები ამოვიდნენ კოლამბიიდან, მიიხედ-მოიხედდეს და უკანვე წავიდნენ.

ასე იყო თუ ისე. განთავისუფლებული მონები პლანტაციაზე ცხოვრობდნენ. მრავალი მათგანი მთელი ომის განმავლობაში იქ იყო; ისინი მიწას ამუშავებდნენ და კარმიდამოს უვლიდნენ. სხვებმა, გიდიონის მსგავსად, პლანტაცია დასტოვეს და კავშირის არმიაში გაიქცნენ. ზოგმა კიდევ სამალავებს მიაშურა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც თავისუფლება გამოცხადდა, ყოფილი მონების უმრავლესობა ადგილზე დარჩა არა იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ ლტოლვილთათვის დაწესებულ სასტიკ სასჯელისა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მათ სხვა რაიმე ადგილი არ გააჩნდათ წასასვლელად; ეს იყო მათი კერა, მათი მიწა-

წყალი, მათი ქვეყანა — და ასე იყო ოდითგანვე.

უკანასკნელი თაობის მანძილზე კარეულები მეტწილად ჩარლსტონში ცხოვრობდნენ, პლანტაციის კი ზედამხედველებს ჰქონდათ ჩაბარებული. 1865 წელს უკანასკნელმა ზედამხედველმა დასტოვა პლანტაცია და მას აქეთ მონები მარტო დარჩნენ. მათ უკვე აღარ მოჰყავდათ ბამბა. ბამბა ნაღდზე სავაჭრო კულტურა იყო და მათ არც სჭიროდათ და არც არა გაეგებოდათ რა ნაღდი ფულისა. პლანტაციის დაბლობებში მათ სიმინდი და ბრინჯი დათესეს, ბაღებში ზოსტნეული მოჰყავდათ, ღორები და კათმები მოაშენეს და ასე ცხოვრობდნენ.

ისინი უფრო ბედნიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე განთავისუფლებული მონების უმრავლესობა. რეგულარული ჯარის რაზმები სამჯერ მოვიდნენ და პირწმინდად მოაცალიერეს პლანტაციას, მაგრამ მონებმა მაინც გაიტანეს თავი იმ შიმშილობის დროს. დამარცხებით გამწარებულმა ჯარისკაცებმა მხოლოდ ოთხ მათგანს მოუღეს ბოლო, ეს კი არც თუ ისე საშინელი იყო შედარებით იმასთან, რაც ბევრ სხვა პლანტაციაზე დატრიალდა, სადაც კი განთავისუფლებული მონები ცხოვრობდნენ.

ახლა კი შორიდან, კონგრესი რომ ჰქვია, ბრძანება მოვიდა, რომ განთავისუფლებული მონები წასულიყვნენ და ხმა მიეცათ. თქმა არ უნდა, რა ცნობისმოყვარეობის დრო იყო ეს მთელს მხარეში!

ოთხი დღის წინ გილიონმა და მმა პიტერმა შეჰკრიბეს ოცდაერთ წელზე მეტი ხნის ყველა მამაკაცი. წლოვანება ბევრ შემთხვევაში დაახლოებითი გამოანგარიშების საქმე იყო, რადგან საიდან უნდა სცოდნოდათ მათ, ესა თუ ის კაცი ოცისაა, ოცდაერთის, ოცდაორის თუ რამდენის? მმა პიტერს

დასჭირდა მეხსიერების გადაქექვა, რომ შავი ბალებების ურტყურ დაბადებანი ერთმანეთისაგან განეცალკევებინა. დაბოლოს, ბევრი ხმაურისა და ქაქანის შემდეგ, მან, როგორც თავათ გამოსთქვა, ბოორებიდან გამოჰყო მოზურები, სულ ოცდაშვიდი კაცი, რომლებიც უნდა წასულიყვნენ არჩევნებზე.

„ახლა აგერ ამ არჩევნებზე რას იტყვი?“ მიუბრუნდნენ ისინი გილიონს განმარტებისათვის.

მარკუსმა ბუნებრივად ჩასთვალა ის ამბავი, რომ მათ ასეთი რამ გილიონისთვის უნდა ეკითხნათ. სიკვდილისა და ლეთის შესახებ — ჰო, ისინი მმა პიტერს შეეკითხებოდნენ, მაგრამ სხვა ყველაფერში — ყანის, ავადმყოფობის და დანარჩენ საქმეებში — რჩევა-დარიგება გილიონს ეკითხებოდა.

ახლა კი აგერ ისინი არჩევნებიდან ბრუნდებოდნენ. მარკუსმა ორი მილის სიშორეზე დაინახა მტვრიან შარავნაზე ნელი ნაბიჯით ამხანაგურად ერთად მომავალი კაცების ჯგუფი. მარკუსი ყვირილით დაეშვა ფერდობზე: „მოდიან, მოდიან! ჰუიი!“

დანარჩენი ბიჭები გუნდად მიჰყვნენ უკან. მათ ისეთი ყურთასმენის წამლები ყვირილი ასტეხეს, რომელსაც ერთ მილზე გაიგონებდა კაცი; ქოხებიდან ყველა კისრიტეხით გამოცვივდა გარეთ, რომ გაეგოთ რაში იყო საქმე. რეიჩელს ეგონა, სადმე მგვლელობა მოხდაო; მანამდე ვერ გამოიტანა აზრი მარკუსის სიტყვებიდან. სანამ ორჯერ კარგად არ მოსცხო.

„ეინ მოდის?“

„მამი“.

„გილიონი?“ შეეკითხა დაი მერი. და ვილაკამ დაუმატა! „დიდება უფალს!“, რითაც უმრავლესობის განწყობილება გამოსთქვა. საიდუმლოებით იყო მოცული ეს არჩევნები და ავის მომასწავებელი. მთელი მამაკაცობა წავიდა და უკაცოდ დარჩენილნი მარტოობის

ნაღვლიანი გრძნობით ელოდნენ მათ პლანტაციას, მით უფრო, რომ დანადგელებით არაინ იცოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს არჩევნები და ხმის მიცემა.

ახლა ყველამ თვალები მოიჩრდილა და შარავნას გახედა. მართლაც — კაცები შინ ბრუნდებოდნენ. ვინც კი თვლა იცოდა — დასთვალა: თითქოს არცერთი კაცი არ აყლდათ სათვალავში. რეიჩელი უკვე ხედავდა გიდიონს; მისი ზორბა ტანი კარგად გამოირჩეოდა დანარჩენებისგან.

გიდიონს მართლაც რომ არ აყლდა ვაეკაცი ახოვანება; ბუღასავით ნაგები, ფართო, ღონიერი მხრებით, წელში წერილი და ხმელი კანჭებით. ძტყვიან ხოლმე, ასეთი კაცი ყველაფრით ბუღასა ჰგავს, ჰკუა მკლავებში აქვს წასული, მაგრამ გიდიონს ვერ მიუღებოდა ასეთი ანდაზები. იგი ნებისყოფის კაცი იყო და ხალხი მას ტყუილად არ შეჰყურებდა თვლებში; მართალია, იგი ზანტი იყო მოძრაობაშიც და მოფიქრებაშიც, მაგრამ, თუ საქიროება მოითხოვდა, სიმკვირცხლაც არ აყლდა. როცა თავში აზრი მოუვიდოდა, იგი ათასჯერ ასწონდასწონდა მას და საბოლოოდ მოფიქრებული უკვე მისი მტკიცე აზრი იყო.

მან პირველმა მოაღწია ქოხებს. ხელში შაშხანა ეჭირა ისე, როგორც არშიაში ისწავლა ტარება. გვერდით მშა პიტერი მოჰყვებოდა, მალალი, ხმელი, უიარაღოდ, ისე, როგორც ეს ღვთის მსახურს შეჰფერის. მათ უკან მოსდევდათ: ორი მშა ჯეფერსონები, ორივე შაშხანებით ხელში, პატარა ტანის ჰანიბალ უაშინგტონი. და ჯერ კიდევ უგვარო კაცები: ჯეიმსი, ენდრიუ, ფერდინანდი, ალექსანდერი, ჰეროლდი, ბექსტერი და ტრუპერი.

ახლა ჯეფი მოსწყდა ადგილს და კონტრუშით დაეშვა გზაზე მათ შესახვედრად. ჯეფს უკან გოგო-ბიჭების და ქალების ჯგუფი დაედევნა. რეიჩე-

ლი დარჩა; მან ხელი ჩააქლო საყულოში მარჯუს და წაიყვანა რამდენი კიდან ცივი წყლის ამოღებაში მოხმარებოდა — გიდიონი წყურვილს მოიკლავს.

ნოემბრის გვიანი შეადღის პირობაზე ცოტა ცხელოდა. როცა გიდიონი და დანარჩენი კაცები ქოხებთან მოლასლასდნენ, მათ შავ სახეებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და კრიალა ზოლებად რეცხავდა მტვერს.

დამხედურებს ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. მღელვარე შეკითხვები სეტყვასავით წამოვიდა:

„რაა ეს ხმის მიცემა?“

„რატომ არაფერი მოიტანეთ თან? სადაა ეს მოცემული ხმა?“

„იყიდეთ ხმა?“

„იყიდეთ, ფული გადაიხადეთ?“

„რამდენი ხმა ნახეთ იქა, თეთრებთან?“

და ასე, სანამ მშა პიტერმა უიმედო ხმით არ განაცხადა: „მშანო, დანო და ბავშვებო, ცოტა სიმშვიდე, ცოტა სინამდვილე და ყველაფერზე გიპასუხებთ.“

ხალხი მართლა დაწყნარდა.

„მშა გიდიონი გამომოთ ყველაფერს.“ დაიწყო მშა პიტერმა. „ეს ხმის მიცემა ჯვარისწერას ჰგავს ან საშობაო ქადაგებას ყველასთვის. მთავრობა მაგარ მარჯვენას გვიწვდის გაბრიელ ანგელოსივით და გვეუბნება — გამოაცხადეთ თქვენი თავი! ჩვენც გამოვაცხადეთ. მთავრობა გვეუბნება ჩვენ და სულ ცოტა ხუთას სხვა ზანგსა და თეთრს — ამოირჩიეთ დელეგატი! ჩვენც ასე მოვიქცეთ, გიდიონი ამოვირჩიეთ.“

გიდიონი ნელა წამოდგა, ხალხმა მას გაუგებრობის გამოშატეული მზერა მიაპყრო. რეიჩელი ხედავდა, რომ გიდიონი შემჭრათალი იყო. ქალი ცნობდა გიდიონის ყოველ განწყობილებას, მისი სულის ყოველგვარ მოძრაობას. რას ნიშნავდა, რომ იგი ამოირჩეული იყო? რაა დელეგატი?

„ხმის მიცემა“ დაიწყო გიდიონმა... მან მოიგონა, როგორ ჩაეიდნენ ისინი რამდენიმე დღის წინათ ქალაქში ხმის მისაცემად. მათ თავათ ვერ გაერკვიათ რა უნდა ყოფილიყო ხმის მიცემა. გიდიონი და ძმა პიტერი, ორივე შეეცადა აეხსნა იგი, როგორც საკუთარი ბედის თავის კეპუაზე გადაწყვეტა, ისინი თავისუფალი ადამიანები იყვნენ და მათ ჰქონდათ ხმა; თუ საქმე მათ ცხოვრებას შეეხებოდა, ისინი ამ ხმას გამოიყენებდნენ — ესაა სწორედ ხმის მიცემა. მაგრამ ყველაფერი ეს აბსტრაქტული იყო და აბსტრაქტია თავგზას ურევდა მათ. სჯობია მოიყადონ და ნახონ, თუ რა გამოვა აქედან.

როცა ისინი ქალაქში ჩაეიდნენ, გიდიონმა თავისთვის გაიფიქრა, რაც ქვეყანაზე ზანგები და თეთრები, სულ აქ მოგროვილანო. მთავარ ქუჩაში ტევა არაა, სვეტებიანი სამსჯავრო სახლის ტალანი გაქედილია, აქაც, იქაც — ყველგან უზომო ხალხი და ყველა ხმის მიცემის შესახებ, ლაპარაკობს რაც შეუძლიათ ხმამალა. ნახევარი ამ ხალხისა შეიარაღებულია — თეთრებიც და შავებიც თოფით ხელში. კეპუარის ჯარის ერთი რაზმი წესრიგის დასაცავად იყო გამოყოფილი; ამის გამო გიდიონი მადლობას სწირავდა ლმერთს; ძალიან ბევრი თოფი და ძალიან ბევრი ფიცხი კაციოა შეყრილი ერთად, ფიქრობდა იგი.

ძალიან ბევრი იყო ისეთი ზანგი, რომელსაც ეგონა, რომ ხმის მიცემა ორმოც აკრ მიწას ნიშნავდა და ჯორს, რომელსაც შინ წაიყვანდა, ძალიან ბევრი იყო ისეთი, ვინც ფიქრობდა, რომ ხმის მიცემა მას გაამდიდრებდა, ძალიან ბევრი, — ვინც ახლა, ხმის მიცემის შემდეგ, გაცხულებული და გაბოროტებული დაჰყურებდა ცარიელ ხელებს.

გიდიონი ცდილობდა მსმენელებისთვის მოეთხრო, როგორ იყო, მისი ჯერი რომ მოვიდა: ქუჭყიანი, კედლები-

მონგრეული დარბაზი ძველი სამსჯავრო სახლისა, გრძელი მაგისტრის ორგული; მსხდომი რეგისტრატორები უზარმაზარი გაშლილი წიგნებით, მათ უკან თვალსაჩინოდ გაფენილი შტატების დროშა ზოლებით და ვარსკვლავებით, გულშეაღებ მდგარი ექვსიოდე ჯარისკაცი, პატარა საკნები ხმის მიცემისთვის და საარჩევნო ყუთები; როგორ მისცეს მას ქალაქის ფურცელი, რომელზედაც ეწერა: „კონსტიტუციური კონვენტის მომხრე“ და ქვემოთ: „კონსტიტუციური კონვენტის წინააღმდეგ“ და სულ ქვევით: „ხმა მიცემით ერთ-ერთს X დასმით ნაჩვენებ უჯრედში“. მთელი დღე იანკები და ზანგები იმაზე ლაპარაკობდნენ ქუჩებში, რომ ყველა შეგმა ხმა კონვენტს უნდა მისცეს. ამის გაგება ძნელი არ იყო; ისინი ამბობდნენ, კონვენტი ახალ ქვეყანას შექმნისო და სხვა ამდაგვარს. როცა გიდიონი ქალაქს დააკერდა, ერთმა რეგისტრატორმა დადლოლი, თავმობზრებული კაცის ხმით უთხრა მას:

— „კონვენტის მომხრე ან მის წინააღმდეგ, დასვი ნიშანი. საკანში შედი. მერე დაკეცე ფურცელი“.

მეორე რეგისტრატორმა ხმამალა წაიკითხა: „ჯანებში, გიდიონ ჯექსონი“. მაგიდასთან მჯდომარე კაცებმა წიგნების ფურცლები გადაქექეს და ერთმა მათგანმა სთქვა:

— ხელი მოაწერე აგერ აქ, ან ნიშანი დასვი.

გიდიონმა კალამი აიღო და გაჭირვებით გამოიყვანა ბატიფეხური ასოები — „გიდიონ ჯექსონი“, — თანაც შიშით ცახცახებდა, თუმცა უმადლოდა კი ლმერთს, რომ თავისი სახელისა და გვარის მოწერა იცოდა და ნიშნის დამსმით არ მოუხდა თავის დამცირება. მერმე საარჩევნო ფურცელი საკანში შეიტანა და ნიშნის დასმამდე მის წაკითხვას შეეცადა. სხვა დროს გიდიონი იტყოდა, რომ ცოტა კითხვა შეეძლო, მაგრამ ისეთი სიტყვები, როგორც



„კონსტიტუციური კონვენტი“, მისთვის სანსკრიტული იყო. მან ჯვარი დასვა იქ, სადაც ეწერა „მომხრე“, ამის წაქიფება მაინც შეეძლო, მაგრამ მისი სირცხვილის გრძობა ისეთი რამ იყო, რომელიც მას დიდხანს ეხსომებოდა. ახლა კი მსმენელებს უამბო:

„ბალღებზეთ უციცი და შეუსმენელი მივედით იქ. ძმა პიტერი ღმერთს ევედრებოდა, სწორი გზა ეჩვენებინა ჩვენთვის“.

„პალილუია“, ხმადაბლა ჩაილაპარაკა ზოგიერთმა.

„ერთი იანკი იყო, ის გველაპარაკა“, განაგრძო გიდიონმა. „ამოირჩიეთ ერთი დელეგატიო“, გვითხრა და მერე საარჩევნო ფურცლები დაგვირგია. ჯერ ერთმა ზანგმა ილაპარაკა, მერე მეორემ, მერე კიდევ ერთმა თეთრმა ილაპარაკა, წამოდგა ძმა პიტერი და სთქვა: „ჩვენი კაცი გიდიონიაო“.

გიდიონმა მეტი ველარაფერი სთქვა. ახლა უკვე ყველამ გაიგო, თუ როგორ გახდა გიდიონი დელეგატი; მათ ისეთი სიამაყე იგრძნეს, რომლის მსგავსი აქამდე არაფერი გამოცადნათ. მართალია, მათ ყველაფერი არ ესმოდათ, მაგრამ სიამაყეს მაინც გრძობდნენ. ახლა ძმა პიტერმა განაგრძო თხრობა და უამბო მათ იმის შესახებ, თუ როგორ წავა გიდიონი ჩარლსტონს და როგორ მიიღებს მონაწილეობას კონვენტში. რეიჩელს ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდა. გიდიონი მიწას დასცქეროდა და ფეხით ბალახს სრესდა. მარჯესი და ჯეფი მხრებში გაიმართნენ; ისინი ერთი კვირა მაინც იქნებიან ისე გაამპარტავენებული, რომ თავი არავის გაუყადრონ.

„დიდება ღმერთსა“... წარმოსთქვა ძმა პიტერმა.

მათ უპასუხეს: „პალილუია!“  
მერმე პატარა ჯგუფებად დაიშალნენ: ყოველ მამაკაცს თავისი საუცხოო ამბავი ჰქონდა საკეთრად მოსათხრობი.

ამ ღამით რეიჩელს გედვირდუკვე თავისთან ჰყავდა; ისინი იქნენ წითელს ლეიბზე და ყურს უგდებდნენ ბავშვების თანაბარ სუნთქვას; ისინი ყურს უგდებდნენ ბაყაყების ყიყინს გუბეში და ღამის ფრინველთა ჭივილს.

„ნულარა სტირიო“, შეევედრა გიდიონი ქალს.

„მეშინია!“

„რატომ გეშინია?“

„შენ წახვედი და მე ვწუხდი!“

„ახლა ხომ დავბრუნდი!“

„შენ ისევ წახვალ, ჩარლსტონს,“ სთქვა რეიჩელმა და წარმოიღვინა რაღაც ზღაპრული ადგილი სულ სხვა ქვეყანაში.

„და კვლავაც დავბრუნდები, წყნარად სთქვა გიდიონმა, „რა უნდა ჰქონდეს ქალს სატირელი ამ მხიარულების დროს? ასეთი კარგი დრო ჯერ არ ყოფილა შავი კაცისთვის. ეს ნეტარი დროა, ჩემო ტყვილო. ახლო მომეკარ. აგერ, მზე ამოდის ჩვენთვის, მეც მეშინია, მაგრამ ეს შინში ჩემი ქალისა და ბალღების გამო კი არაა.“

„რისიღა გეშინია?“

„მე ერთი რეგვენი ზანგი ვარ, საცოდავად სთქვა გიდიონმა. „შავი კაცი ვარ. აბა მე რა გამეგება? კითხვა მე არ ვიცი და წერა, ჩემი სახელის მეტი.“

„ძმა პიტერი არაა რეგვენი.“

„მერე რა?“

„იგი გამოდის და ამბობს, აგერ კაცი. თქვენი დელეგატი რომ იყოსო. შენ რა გგონია, რატომ ამოვიჩივის იმ ზანგებმა?“

„რა ვიცი!“

რეიჩელი ახლა წყნარად ტიროდა ბედნიერებისაგან. იგი ცრემლებით უხვი იყო, როცა სიხარული იპყრობდა და კარგი ამბები ხდებოდა. მან ქმარს წასჩურჩულა: „გიდიონ, გენაცვალე. გიდიონ, ხომ გახსოვს იანკის ჯართან ერთად საომრად რომ მიემგზავრებოდით? მაშინ, როცა ტირილით გული

ამომივარდა, შენ მითხარი, ესაა, რაც  
კაცმა უნდა ჩაიდინოს და მეც ვშერე-  
ბიო; ახლაც ასეა, გიდიონი“.

„როგორ?“

რეიჩელმა ტუჩები გიდიონის ყურს  
მიადო და ღიღინით წასჩურჩულა:

„ზანგი ველზე ბამბასა ჰკრეფს, ბამბა-  
სა ჰკრეფს, ფიქრი ვფეფს და სხვა რა-  
ღებებს, მას რომ უყვარს“.

და გიდიონს ჩაეძინა ყურში ამ სიტ-  
ყვებით და აფორიაქებულ მოგონებე-  
ბით, იმედითა და შიშით.

## თავი მორა

### როგორ ისაუბრებს გიდიონს ჯამსონმა და ძმა პიტერმა

მეორე დღით მთელი ოჯახი ერ-  
თად შეეცქვოდა საუზმეს, გიდიონმა  
თავმომწონედ გაიფიქრა, ცოტა ვინმეს  
თუ გააჩნიათ ყველაფერი ეს: რეიჩე-  
ლის დარი ცოლი, ორი მაგარი ვაჟი  
და ისეთი მშვენიერი ვოგონა, როგო-  
რიც პატარა ჯენი იყო. ბიჭები შლე-  
გები იყვნენ და თავნება, მაგრამ თვი-  
თონაც ხომ ასეთი იყო თავის დროზე;  
მის ზურგს ასზე მეტი ნაჭდევი აჩნდა  
მათრახისა, რაც მის თავნებობას კარ-  
გად მოწმობდა.

ის იყო ცხელ ქაღებს მოკიდეს ხე-  
ლი ზედ გადასხმული შაქრის შავი ბა-  
დაგით, როცა ღია კარში ძმა პიტერმა  
თავი შემოჰკყო და მიესალმა მათ: „დი-  
ლა მშვიდობისა, ძმაო, დილა მშვიდო-  
ბისა, დაო, დილა მშვიდობისა, ბავ-  
შეებო!“

ბევრი ხვეწნა არ დასჭირებიათ, რომ  
ძმა პიტერი სუფრას მისჯდომოდა.

ჭამას რომ მორჩნენ, ძმა პიტერი  
ჯეფს შეეკითხა:

„შვილო, შევიძლია თავი გაართვა  
გიდიონის სამუშაოს სახლში?“

„მე მგონია, კი“, თავის დაქნევით მიუ-  
ჯო ჯეფმა.

გიდიონი და ძმა პიტერი ბედელთან  
მივიდნენ, ძირს დასხდნენ, ზურგით  
ბეღლის ლარსებს მიყვარდნენ და ფე-  
ხები მიწაზე გაკიმეს.

„როდის აპირებ წასვლას, გიდიონ?“  
შეეკითხა ძმა პიტერი.

„ჩარლსტონს?“

„ჰო“,

როცა ცოტა ხანი გავიდა და გიდი-  
ონმა პასუხი დააყოვნა, ძმა პიტერმა  
კვლავ იკითხა:

„რისა გეშინია?“

„რატომ გგონია, რომ მეშინია?“

„აჰა, გამოიხედე, გიდიონ, აგერ მე და  
შენ, ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიც-  
ნობთ. შობის კვირეში ოცდაათექვსმე-  
ტი წლისა შესრულდები. საიდანაა,  
რომ ასე კარგად მახსოვს? როცა დე-  
დაშენს ლოგინობის დრო დაუდგა, იგი  
გულაღმა იწეა, მუცელში შენა ჰყავ-  
დი, და ღმერთს შეჰკვივოდა, ო, იესო,  
მაცხოვარო, ჩემი აღსასრულის დღე  
მოვიდაო. თითხმეტისა ვიყავი მაშინ.  
მამაშენმა მითხრა, პიტერ, გაიქეცი,  
უფროსს უთხარი, სოფი კვდება-თქო.  
მეც გავიქეცი და იმ ჯიმ ბლეიკმა —  
ზედამხედველი რომ იყო მაშინ, —  
სთქვა, არ მახსოვს, რომ ზანგი ქალი  
ლოგინობისას არ კვდებოდესო. გგო-  
ნია, ეჭიმს დაეუქახეთ? აბა, სწო-  
რედ! ჩვენი გაღია ანა, ბებია ქალი,  
სამი დღე ებრძოდა ეშმაკეულს: სამი  
დღის გასულს შენ დაიბადე, დედა-  
შენმა კი სული დალია. მერე ჯიმ  
ბლეიკმა მათრახით ტყავი გამაძრო და  
მისტერ კარუელთან ღმერთს იფიცებ-  
და, თითქოს მე არაფერი მეთქვას  
მისთვის. ასე მახსოვს შენი დაბადება.  
მახსოვს ის დღეები, ბამბის მინდვრებ-  
ზე რომ ვმუშაობდით ჰაბანაქებაში.  
მახსოვს, იმაზე რომ ელაპარაკობდით,

თუ რისთვის ცხოვრობს ზანგი. შენა სიტყვი, ასეთ სიციოცხლეს სჯობია კაც-მა საუკუნო ძილს მისცეს თავიო; დიდება უფალს და, ეს მე ვიყავი, თვალი რომ ავიხილე და საშინელი ცოდვა დაგანახე ამ სიტყვეებში. ვისთან მიდი, როცა იანკებთან ერთად საბრძოლველად ეშურებოდი?"

„შენთან მოვედი,“ თავის ქნევით მიუვგო გიდიონმა.

„მაშინ მითხარი, რეინელს მიჰხედე, პატარა ბაღს მიჰხედეო. მეც მივხედე.“

„აჰა.“

„ახლა ცხენებით ყალყზე დგები, როცა გეუბნები გეშინია-მეთქი.“

„შენ მეუბნები, ჩარლსტონს წადიო, — ჩაიბუტბუტა გიდიონმა. „ზანგი ვარ, კითხვა მე არ ვიცი და წერა, ჩემი სახელის ასოებსაც ვერ ჩამოვთვლი ხეირიანად, და შენ მეუბნები ჩარლსტონს წავიდე, კონვენტზე, ისეთ ქალაქში, რომელიც სავსეა თეთრი ხალხით, წყეულ რეგვენ ზანგს რო დასცინიან.“

ძმა პიტერი თავის წინ რაღაც ხაზებს ავლებდა სილაზე; მერე წყნარად იკითხა:

„როგორ ჩახვედი ჩარლსტონს პირველად. გიდიონ?“

„იანკებთან ერთად ჩავედი“, გაიხსენა გიდიონმა. „ლურჯი ფორმა მეცვა, ხელში თოფი მეჭირა და გვერდით ათი ათასი კაცი მომყვებოდა პალილუიას გალობით.“

„მაშინ არ გეშინოდა. ახლა მარტო წასვლა გაკრთობს, არც ლურჯი ფორმა გაცვია, არც თოფი გაქვს ხელში. არც პალილუიას გალობა. მარტო კანონი უწყდის ხელს შავ ზანგს და ეუბნება, ჩემო შეილო, თავისუფალი ხარო.“

გიდიონმა არაფერი უპასუხა და ძმა პიტერმა წყნარად განაგრძო:

„საღვთო წერილი ამბობს მოსევზე, მას ეშინოდაო, მაგრამ ღმერთმა უთხრა, გაუტეღ ჩემ ხალსო.“

„მე მოსე არა ვარ.“

„ხალხს წანამძლოლფრქსწიწფუვება, გიდიონ. ზანგმა კითხვა სან-ბეტსქიწჭა არ იცის, ფიქრიც კი არ იცის. ფიქრისთვის მონას მათრახით სცემდნენ ან ქვემო მდინარეზე<sup>1</sup> ჰყიდდნენ. თუ ზანგი კითხვას ისწავლიდა, სამას წყეპელს უთავაზებდნენ. ზანგი ბებერ ძალღვიითაა ახლა, სახლიდან გაგდებულა, რომ თავისი საჭმელი თავათ იშოვოს. მე ჩემს თავს შევეკითხე, ვინ წაუძღვება-მეთქი ამ ხალხს?“.

„რაღა მე დამადე თითი?“, მოითხოვა განმარტება გიდიონმა. „რატომ თვითონ შენ არა?“

„ხალხმა ავირჩია შენ,“ უპასუხა ძმა პიტერმა. „ამერიიდან ხალხის რჩეული იქნები“. ძმა პიტერი წამოიხარა, ძვალტყავა ხელი მუხლზე დაადო გიდიონს. „გამოიხედე, ძმაო გიდიონ, შენ ამბობ, კითხვა არ ვიციო. კითხვის უნარი დაბადებითვე არავის დაჰყოლია; კითხვას ისწავლობს კაცი. შენ ისწავლი კითხვას, ისწავლი წერას. მე—მე ცოტა რამ წერის გამეგება, ერთი თხუთმეტი—ოცი სიტყვისა. ასე, მე ამ სიტყვებს დავეწერ და შენ დაისწავლე, ეს დასაწყისი იყოს.“

გიდიონმა უმწეოდ გააქნია თავი.

„აილე ლაპარაკი, განაგრძო ძმა პიტერმა, „სიტყვები ერთმანეთს ეწყობიან; თეთრი ხალხი ამას გრამატიკას უწოდებს. ვისაც თავი აბია მხრებზე, ის სიტყვებს სწორად ამბობს, ჩემსავით ბებერი ზანგი კი ვერა. ეს როგორღა გინდა დაისწავლო?“

„ღმერთმა უწყისი“. სიტყვა გიდიონმა

„ღმერთი. მან კი უწყისი, მაგრამ მეც ვიცი. შენ ყურს დაუდებ, ყურს დაუდებ თეთრი კაცის ლაპარაკს; ყური უნდა უგდო ყოველ წუთს. შენით ისწავლი ყველაფერს, დრო მოვა,

<sup>1</sup> მდ. მისისიპი და მის ქვემო ნაწილიდან მდებარე უკიდურესი სამხრეთის შტატები.

(შენიშვნები ყველგან მთარგმნელისა)

იქნებ წიგნის წაითხვაც შესძლო. ქვეყანაზე ისეთი არაფერია, წიგნებში რომ ვერ ნახო—სახარების სიმართლეა იქა.“

„კაცის ჰკუთხა მარცვლეულის მოყვანაზე ფიქრობს“, — სთქვა გიდიონმა. „ამაზე მიდის მთელი დღის შრომა. მამ როგორღა უნდა ჩაიდოს კაცმა თავში ამდენი სწავლა?“

„ჯერჯერობით ჯეფს შეუძლია გააკეთოს სახლის სამუშაო. მარკუსიც კარგი ბიჭია. იესო მაცხოვარს დაულოცინიხარ თუჯახში. ახალი ქვეყანა იქნება, გიდიონ; ახალი, ნათელი ქვეყანა იქნება.“ მან გაიღიმა და თითი გაიშვირა ერთმანეთზე მიხორხლილ უფანჯრო ქოხებისკენ.

„ეს მოგვაშორე თავიდან.“ მან გრძელი, გამხდარი ხელები გულზე დაიკრიფა და თავი დახარა. „დიდება ღმერთსა!“

„რას ფიქრობ, რა უნდა იყოს ეს კონვენტი?“ იკითხა გიდიონმა.

„კონვენტი კანონებს აღგენს. კონსტიტუცია ბიბლიის წიგნივითაა. არ შეიძლება, რომ ზანგებმა გარეული ტახებზე ირბინონ ქვეყანაზე. თეთრ ხალხს ზანგი სძულს, ზანგს თეთრი ხალხისა ეშინია. ეს არაა კარგი.“

„როგორ უნდა გავარჩიოთ კარგი კანონი ცუდი კანონისაგან?“

„როგორ არჩევ კარგ კაცს ცუდი კაცისაგან? როგორ არჩევ კარგ ქალს უზნეოსაგან?“

„მეგის საზომი მაქვს!“

„ჰოდა, აქაც გაქვს საზომი,“ სთქვა მმა პიტერმა. „რატომღა, რომ არც კითხვა იცი, არც წერა? იმიტომ, რომ ზანგებისთვის არასდროს არ ყოფილა სკოლა. აი დასაწყისი. დასწერე კანონი სწავლაზე — ეს კარგი კანონი იქნება. აგერა კარუელის მამული, ალბათ ოცი ათასი აკრი მანც იქნება. ვის ეკუთვნის იგი? მისტერ კარუელს? მთავრობას? ზანგებს თუ თეთრ ხალხს? ზანგს შიწა უნდა, ასევე უნდა

თეთრ ხალხსაც. მიწა საქმთა ყველასთვის, ყველასთვის ბლომად.“

„შეეწილო?“

„მე რა ვიცი?!“

„მოთმინება იქონიე, გიდიონ, ნუ ჩქარობ, დიაცადე!“

„რატომ შენ არ მიდიხარ დელეგატად?“ შეეკითხა გიდიონი.

„რატომ მე არ ამომირჩია ხალხმა? ვიცი, რატომ, გიდიონ. მე ერთი ბებერი ზანგი ვარ; რაც საზრიანობა მაქვს — ესაა, არაფერი მომემატება. როდისმე შემომხედავ, გიდიონ, და შენ თავს გაკვირვებით ეტყევი, როგორ იყო, რომ ამ ბებერ ზანგს შეეღასა ვთხოვდიო, ამ ბებერ უეიც ზანგსაო?“

„არასდროს არ ვიტყევი მაგას.“

„ღმერთი გწყალობდეს, შეიძლება არცა სთქვა, გიდიონ. მაგრამ შენ პატარა ბაღივითა ხარ, გამზადებული, გავსება გინდა სასაქელსავეთ, კიდან წყალი რომ ამოაქვს. ამა დიაცადე და ნახავ!“

გიდიონმა თავი გააქნია. „ნეტა კი მჯეროდეს ეს.“

„არაფერს არ ნიშნავს, შენ გჯერა ეს თუ არა, გიდიონ. სულერთია, ასე იქნება. როგორც სახაველა, ცივი, სუფთა წყალი რომ ამოაქვს?“

„რომ დასციინონ და მასხრად აიღონ ზანგი?“

„რა თქმა უნდა, დაგცინებენ, გიდიონ. შეილო, როგორღა ჩვენ რომ ვიცინით, როცა ვინმე საწყალი ზანგი ჰაობებიდან მოდის და კითხულობს, ბატონი სადააო? თავისუფალი ხარო, ვეუბნებით შას, მან კი იმდენი იცის, რაა თავისუფალი, რამდენიც ძაღლმა. მაგრამ დაციწვა უნდა აიტანო, ზიზღიც უნდა აიტანო. პირველად რომ მოგცემენ დელეგატის ჯამაგირს, როგორც იმ იანკიმ სთქვა, შესაძლებელია, ერთი დოლარი დღეში, წადი და იმ დოლარით წიგნი იყიდე. შეიძლება შიმშილით სული გხდებოდეს, მაგრამ



შენ მაინც წიგნი აიღე, სანთელიც იყიდე, რომ წიგნი მის სინათლეზე წაიკითხო, და სიტყვებს დაუკვირდი.“

გიდიონმა თავი დაუქნია, რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მძა პიტერი, მით უფრო იპყრობდა შიში გიდიონს ჩარლსტონის კონვენტზე ფიქრისას, მაგრამ ამავე დროს იგი განიცდიდა ისეთსავე გულის მომცარავ მშვენიერ მღელვარებას, როგორსაც პლანტაციიდან გაქცევისას გრძნობდა, როცა კავშირის არმიისაყენ ეშურებოდა.

„რა წიგნი ეიყილა პირველად?“

„ეთქვათ, მოქალაქე კაცი ბიბლიას იტყოდა, მაგრამ ბიბლია არაა ადვილი, გიდიონ, ისე გაებმები, როგორც დაბლანდულ ქაფში. პირველად სასწავლო წიგნი აიღე, ანბანისა. შემდეგ თუ გინდა, ანგარიშის წიგნი, ამასობაში შენ თავად გეცოდინება, რა წიგნი იქნება მერე შენთვის საჭირო.“

„აჰა“, კვერი დაუქრა გიდიონმა.

„ყველაფერს კი ვერ იპოვნი წიგნებში“. შენიშნა მძა პიტერმა; მან იგრძნო, რომ დრო იყო თადარიგი დაეჭირა.

„ეს როგორ?“

„წიგნი მანამდე არ იწერება, სანამ რაზე არ მოხდება. აგერ ეს ამბავი, ზანგი კაცი რომ თავისუფალია, აქამდე არ მომხდარა. ალბათ ამის მსგავსიც კი არაფერი მომხდარა მას შემდეგ, რაც მოსემ ისრაელის შვილნი ეგვიპტიდან გამოიყვანა. მოსეს წიგნი არა ჰქონდა, იგი ღმერთს მიუბრუნდა, ღმერთმა აუწყა, როგორ უნდა მოქცეულიყო.“

„მე როგორღა გავიგო?“

„გიდიონ, სიყვარულით უნდა აივსო გული, გულისხმიერება უნდა ჩაინერგო დიდი.“

„მე კი ფიცხი ვარ“. გამოტყდა გიდიონი.

„და ვინ არაა ფიცხი? ცოდვითშობილნი ვართ ყველა, მძაო გიდიონ. ვი-

ნაა შენი ფიქრით ყველაზე ტყვეანი კაცი ქვეყანაზე?“

„ცოცხლებში თუ მკვდრებში? ფრთხილად იკითხა გიდიონმა.“

„ცოცხალი გინდ მკვდარი.“

„ჩვენი ეიბი, მე მგონია.“

„აჰა. საიდანაა, რომ ჩვენმა ეიბმა ყველაფერი იცოდა? საიდანაა, რომ მან მთელი ჩვენი ქვეყნის ზანგებს უთხრა, თავისუფალნი ხართო?“

„ალბათ დაინახა, რომ ასე სწორი იქნებოდა.“

„შეიძლება, ასე იყო, გიდიონ. შეიძლება, უფრო კი იმიტომ, რომ მისი გული საესე იყო სიყვარულითა და სიბრალულით, როგორც ამბობენ, ჩვენი ეიბიც ნაძენარ ტყვეებში იყო გაზრდილი, აი შენსავით, მაგრამ გული ჰქონდა იმოდენა, როგორც აგერ ის პლანტაციის სახლი.“

„მართლაც, რომ დიდი გული ჰქონდა.“ აღიარა გიდიონმა.

„ახლა მსაჯულების საქმე ავიღოთ, გიდიონ. ეთქვათ შენთან ორი კაცი მოვიდა ჩვენების მოსაცემად. ერთი — კობტად, კარგად ჩაცმული ქალაქელი, რომელიც ამბობს, ქარი არა ჰქრისო; მეორე — ჩამოგლეჯილი. მშვიერი: ის ამბობს, ქარი კარგა მაგრად ჰქრისო. შენ უნდა განსაჯო, ქარი ჰქრის თუ არა, როგორ განსაჯი?“

„აუწვევ ხელს და ვნახე, ჰქრის თუ არა“

„აჰა, ანდა ხალხს ჰკითხავ. შეიძლება ათ-თორმეტ კაცს, ნუ დაიჯერებ კაცის ჩვენებას მარტო იმიტომ, რომ ეს კაცი ფარშავანგივით მედიდურად დადის, ან იმიტომ, რომ ლამაზად გააფენს ენას. ახლა, გიდიონ, ვიცი,

<sup>1</sup> ები (ბრაკემ) ლინკოლნი (1809—1865) — ა. შ. შ. პრეზიდენტი 1861—65 წლებში; მისი მეთაურობით სამოქალაქო ომში ჩადილეთის შტატებმა დაამარცხეს სამხრეთი; მისა აქტივით (1863 წ. 1 იანვარს) ზანგები განაყოფისუფლებული იქნენ მონაბიდან.

რომ შენთვის ძნელია თეთრ ხალხზე გულის მობრუნება — ბევრი მათრახი გახსოვს ზურგზე და გული გაგქვავებია. ეს ტანჯვის და უბედურების ნიშანია. იცი რა, ამიერიდან აღამიანის კანის ფერს მნიშვნელობა არა აქვს. კარგი კაცი და ცუდი კაცი შეაუბნეოცა და თეთრებშიც.“

„მესმის“, თავის დაქნევით მიუგო გილიონმა.

„ესაა სულ, მე მგონია, დაფიქრებით წარმოსთქვა ძმა პიტერმა. „უფალი გფარვიდეს! დე, იგი გვერდით მოგაყვებოდეს, გილიონ.“

„ამინ.“ სთქვა გილიონმა.

### თავი მესამე

არბორ წავიდა გილიონ ჯმასონი ჩარლსტონს და აბბიბი, რომლებიც მას გზაში შეამთხვა

დღეები გადიოდნენ და ახალი არაფერი ზღებოდა.

არჩევნები ფარული კენჭის ყრით მოხდა და მაშინ მათ უთხრეს, რომ ხმების დათვლის შემდეგ დღეგატებს აცნობებდნენ და გაუგზავნიდნენ სათანადო მანდატებს. მაგრამ აგერ ორი კვირა გავიდა უკვე; გილიონი შიშისა და იმედის შუა მერყეობდა და ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, ხუთასამდე ან ექვსასამდე დათვლას ერთი კარგი დამთვლელი რამდენ ხანს მოუწოდებოდაო. მერმე კი გილიონმა მთელ სმ ამბაზე ხელი ჩაიჭნია: არც ერთი კულათმყოფელი იანკი რეგვენ ზანგებს დღეგატებად არ მოიწვევდაო.

ზამთარი ახლოვდებოდა და საქმე იმდენი იყო, რომ გილიონს მოცლა არ ჰქონდა. ზაფხულში თავის გატანა იოლია, ახლა კი საჭირო იყო, რომ ხალხს კარზე მომდგარ სიცივეებზე ეზრუნა. მთელი კვირის განმავლობაში გილიონი კაცებს ხეებს აჭრევიებდა ტვერში, რომელსაც ქვედა ნაკვეთს ეძახდნენ. ძველად, როცა ამ ადგილს ზედამხედველი ჰყავდა, ახოდან მოკიდებული ზედმიყოლებით სჭრიდნენ ხეებს, არაფერს ზოგავდნენ, და მერე წლობით ღებობდნენ ორი ფუტის სიმაღლის ჯირკვები საჩხეში. გი-

ლიონს არაერთხელ უფიქრია ამაზე და ახლა მისი წინადადება იყო, მიწა გამოეთხარათ და ხეები ძირფესვიანად წაეჭყიათ.

„ორმაგი შრომა იქნებაო“, სთქვეს დანარჩენებმა, რისთვის?

„უფრო ადვილია ხის წაქცევა ძირფესვიანად, ვიდრე ჯირკვის ამოთხრა?“

„ეს ჩვენ არ ვიცით, სთქვა გილიონმა. ახლა არ ვიცით, მიწა ვის ეკუთვნის, მაგრამ როდისმე, შეიძლება, ეს მიწა ჩვენი იყოს.“

„მაგაზე მაშინ ვიზრუნებთ, როცა მიწა ჩვენი იქნება.“

ისინი ალბათ ნახევარი დღე მაინც იკამათებდნენ ამ საკითხზე, გილიონს რომ შთავონება არ მოსვლოდა და წინადადება არ შემოეტანა, კენჭი ეყარათ. თქმით კი სთქვა, მაგრამ თავათ არ სჯეროდა, რომ მისი წინადადება გასჭრიდა; იგი არ იყო დარწმუნებული, რომ ასეთი სასწაულომოქმედი პრინციპის გამოყენება შესაძლებელი იყო ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორც ტყის მოჭრაა. მაგრამ გილიონის წინადადების შემდეგ სამარი-სებური სიჩუმე ჩამოვარდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იღუა ხალხს კულაში დაუჯდა. და გილიონმაც მიმართა ჰოსა და არას მეთოდს. მათ ბევრი იმსჯე-

ლეს იმაზე, ერთსა და იმავე კაცს მხოლოდ ჰოს ან არას თქმა შეეძლო თუ ორივესი, იმისიცა და ამისიც. მაგრამ დაბოლოს პრინციპი სწორად იქნა გამოყენებული და წარმატებითაც: გიდიონის წინადადებაზე ხეების ძირფესვიანად ამოთხრის შესახებ მნიშვნელოვანი უმრავლესობით გაიმარჯვა.

და კვლავ, როცა უზარმაზარმა და ხარივით ღონიერმა ტრუპერმა უკმაყოფილება გამოსთქვა, რომ იგი სამჯერ მეტ ხე-ტყეს ხერხავდა, ვიდრე მას ოდესმე დასჭირდებოდა და ტანდაბალი ჰანიბალ უაშინგტონი კი თავისი წილის ნახევარსაც ვერ ამზადებდა — გიდიონმა ისევ კენჭის ყრას მიმართა. მაგრამ ამჯერად ახალმა წესმა იჩინა თავი: კაცებმა იარაღებს ხელი უშვეს და ერთად მუშაობის მთელი საკითხი განიხილეს. ზედამხედველობის დროს ერთად შრომა ჩვეულებრივი ამბავი იყო მათთვის, ახლა კი, როცა მათ სინამდვილეში შეიგნეს თავიანთი თავისუფლების ფაქტი, ერთად მუშაობის საქმე ბურობის საგნად იქცა. რატომ თითოეულმა თავისთვის არ უნდა იმუშაოს? თუ თავისუფლება ამას არ ნიშნავდა, მაშ რა იყო იგი?

ახალი წესი, რომელიც მათ ძმა პიტერმა ურჩია, მდგომარეობდა საკითხის ყოველმხრივ აწონ-დაწონებაში, სანამ მას კენჭს უყრიდნენ. ჰანიბალ უაშინგტონი შრაზისაგან ანთებული პატარა დაღარული სახით ტრუპერს მიუბრუნდა.

„აქეთ გამოიხედე! გაგვეცალე დხ ცალკე მოსკერი ხე შენთვის! ანგარიშს აქ ადგილი არ ექნება, რასაც ერთად მოვსკრით — თანასწორად ვავიყობთ. ამისთვის მოდი, რომ მასხრად ამიგდო? შე ამძოვრებულს აყლაყუდა!“

ტრუპერმა ნაჯახი შემართა. გიდიონმა და სხვებმა მოჩხუბრები გააშველეს.

მათ ერთი საათი მაინც იქაქანეს, სანამ ხმა არ ჩაუწყდათ, <sup>ქარი მშვენიერად</sup> ცოტა დააკლდა, კინალაშნებში თანაზრად არ გაიყო. შემდეგში გიდიონმა ძმა პიტერს უთხრა:

„ბევრი დავიდარაბა და შფოთი მოგველის.“

„განა აღამიანი ასე არაა?“

„მე კი თავი მტკიცა და... ამოდენა კაცები ბავშვებივით კინკლაობენ და ჰყვირიან.“

„გიდიონ, აბა მათ რა გაეგებათ — ერთად იმუშაონ თუ ცალ-ცალკე. ისინი ბავშვებივით არიან ახლა. დიდ ამბებს ნუ ელი ჯერ. ერთი თუ ორი წელიწადია, რაც ზანგი მონობიდან გამოვიდა. დრო ნელა მიდის.“

მაგრამ დროს სიძნელეები მოჰქონდა. არჩევნები მზის ამოსვლას წაგავდა, ელვარებით თვალს რომ გჭრის, შემდეგ კი — არაფერი, ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. გიდიონმა შენიშნა, რომ ხალხმა მოუხშირა პლანტაციის დიდი სახლის ფანჯრებში ჰვერტას, სახლი სავსე იყო საუცხოო ნივთებით და ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ახლა ამ ნივთების ირგვლივ. ამასთან დაკავშირებით რაღაც გაბოროტებაც კი იგრძნობოდა ხალხში გიდიონის მიმართ. საქმე იმაში იყო, რომ ერთი წლის წინათ სამხრეთ კეროლიანის დემობილიზებულმა რაზმებმა პლანტაციაზე გამოიარეს, დიდ სახლში შეიჭრნენ, რაც უნდოდათ — თან წაიღეს, რაც არა — ირგვლივ მიმოფანტეს. სწორედ გიდიონი იყო, რომ ხალხს ნივთები დიდ სახლში უკანვე შეატანინა და კარ-ფანჯრები ფიცრებით ამოაქედვინა. როცა მათ გიდიონს ჰკითხეს — რისთვისაო, მან უპასუხა: „ეს ნივთები საჩვენო არაა“. „რა განსხვავებაა? ესეც ტანსაცმელია, ესეც სახლია“. „ჩვენი ტანსაცმელი, ჩვენი ქოხები — აუცილებელია ჩვენთვის, ესენი კი — არა“.

ახლა კი გიდიონმა ვერცხლის კოვ-

ში დაუნახა ხელში მარკუსს. საიდან უნდა ყოფილიყო ასეთი კოვზი თუ არა დიდი სახლიდან? და ნაცულად იმისა, რომ გიდიონს სათანადოდ დაესაჯა მარკუსი, მან ყოყმანით ჰკითხა ბავშვს:

„როგორ შედი დიდ სახლში, მარკუს?“

„მე შიგ არ ვყოფილვარ.“

ცხადი იყო, მარკუსი სტყუოდა.

„ეს კოვზი საიდან გაქვს?“ ჰკითხა გიდიონმა.

„ვიპოვე.“

„შენ ეს კოვზი არ გიპოვნია, მარკუს. გირჩევნია, მართალი მითხრა.“

„ვიპოვე!“

„აბა მითხარი, სად იპოვე?“

მარკუსი ასეთ შეკითხვისათვის არ იყო მზად და ნელნელა მთელი ამბავი გამომკვლავნდა: ბიჭები სამზარეულოს სარდაფიდან შეიპარნენ სახლში. დანარჩენებმა სხვა ნივთები — აბრეშუმები და ვერცხლფული წაიღეს და გადამაღეს. გიდიონმა ვერ სცემა მარკუსს; მას არასოდეს დაუჯარებია ხელი თავის ბავშვებისთვის — მისი ხალხი, საერთოდ, არ სცემდა ბავშვებს: გაწყვეტდა თეთრი ხალხის საქმე იყოს! გიდიონმა კარგად იცოდა, რა გემო ჰქონდა წყებულს კაცის ზურგზე. გიდიონმა თავი მოუყარა ხალხს, წინ მარკუსი გამოიყვანა და ყველაფერი უამბო მათ; მისი ყოველი სიტყვა დანასაღით ჰყვეთდა ბიჭს.

იმ დამეს რეჩილმა სლუკუნით უსაყვედურა გიდიონს: „რატომ მოექცი ბიჭს ასე, გიდიონ?“

„ისა ჩავიღინე, რაც უნდა მექნა.“

„ყველას თვალწინ ასე შერცხვენა!“

„მან ბოროტება მოიმოქმედა.“

„ისე სჩანს, ბოროტების მეტი არა გამოდის რა ამ ხმის მიცემიდან.“

„რაო?“

„შენ ჩარლსტონს უნდა წახვიდე; ზანგები ჩივიან, იღრინებიან: არაფერი კეთდება, არაფერი არაა მოგვარებულ-

ლი.“

გიდიონმა თავი მოიფიქრა, რეჩილმა ლაპარაკი შესწყვიტა და გიდიონს დიდხანს ესმოდა მისი ჩუმი ქვითინი.

თხუთმეტი წლის ჯგეფი ბორკილებს ღრღნიდა, აწყვეტას ლამობდა. იგი თავნება იყო და ტყის ნადირივით ჯანინანი. მის თვალში გიდიონი მოხუცი იყო უკვე ისევე, როგორც მამა პიტერი; მათ ქვეყანა მარყუჟად გადააქციეს, ჯგეფს სუნთქვას რომ უკრავდა. ომის წინადრო სიზმარივით ბუნდოვანი დარჩა მის მეხსიერებაში. გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი განსხვავება იყო თავისუფლებასა და მონობას შორის, მასზე არ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას.

ახლა იგი ყრმა გოლიათი იყო და მაინც ჯერ კიდევ ბავშვი. იგი გულნატყენი დარჩა შინ, როცა კაცები ხმის მიცემაზე გაემგზავრნენ. ყოველი გზა სიმღერას მღეროდა მისთვის და იგი გრძნობდა, რომ ოდესმე რომელიმე მათგანს გაუყვებოდა და არაოდეს დაბრუნდებოდა უკან. გიდიონი ხშირად ამჩნევდა ბიჭის გულში ჩახშობილ ბორკვას. ამიტომ იყო, რომ მან ნება დართო ჯგეფს მარტოკა ენადირნა კაობიან დაბლობებში. ჯგეფი მთელი საათობით დააბოტებდა კაობებში და უსიტყვოდ მღეროდა ველურ სიმღერებს. არაფერი ისე არ აცხრობდა მის შმაგ ბუნებას, როგორც ნადირობა, როცა იგი ხეტიალში ცივ მორცეს წააწყდებოდა, მას სხვისი თქმა არ სჭირდებოდა. რომ ირმის ნასვამი წყალი გამოეცნო. მას შეეძლო ზედიზედ ათი საათი წოლილიყო გარინდებულ და მოთმინებით ეცადა რქა ლამაზი ხარირემისთვის, ანდა კაობის დაუნდობელი ტახისათვის. და ასეთ გრძელ, მღუმარე საათებში ჯგეფი თავს აძლევდა გაურკვეველ და უსასრულო ოცნებას.



ერთხელ კაობში იგი ორ თეთრ კაცს წააწყდა. ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს გიდიონისთვის. ისინი ჯარისკაცები იყვნენ დახეულ, ტალახში ამოსვრილ რუხ ფორმებში. ჯეფის დანახვაზე მათ შეიგინეს და მყისვე თოფები შემართეს. ჯეფი გვერდზე გადახტა და ხეს ამოეფარა. ორივე თოფი გავარდა, კაობმა გრილით მისცა გამოძახილი. ჯეფისთვის რომ არ დაეცილებინათ, კიდევ ერთი ზანგი იქნებოდა მკვდარი, მეტი არაფერი; ლაფი ნელნელა ჩაპყლაპავდა და გალორწილი ფოთლები დაჰფარავდნენ წუშემში პირქვე დამხობილს და მერმე დავიწყებდას მიეცემოდა იგი სამუდამოდ. ეს შემთხვევა იყო სწორედ, მიჯნა რომ გაავლო ჯეფის ყრმობისა და კაბუკობის შუა; მას ადვილად შეეძლო მოეკლა ერთი ან მეორე, როცა ისინი კაობებში გარბოდნენ, მაგრამ ჯეფმა არ ესროლა მათ თოფი. იგი გაოცებული უთვალთვალებდა მხოლოდ, სრულებით არ გრძნობდა შიშს და ლამობდა მისწუდომოდა ამ საიდუმლოს — რატომ უნდა ნდომოდათ მათ ასე შეუბრალებლად მისი მოკვლა? ჯეფს არავისთვის გაუშხელია ეს ამბავი.

უკანასკნელი ზედამხედველის წასვლის შემდეგ ეს პირველად იყო, რომ კარუელის პლანტაციასში წერილი მოვიდა. არჩევნების შემდეგ მრავალმა კვირამ გაიარა და ამიტომ არავის მოსვლია აზრად რაიმე კავშირი დაენახა ამ ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას შორის. ერთ ნაშუადღევს კოლამბიის შარავნით პლანტაციას ეტლი მოადგა და ბებერი ფოსტმასტერი კებ ჰოლსტინი აუჩქარებლად, ზღაზუნით ჩამოვიდა ძირს — ასეთი მანერით იგი ხაზს უსვამდა თავის დამოკიდებულებას ყოფილ მონებთან. კებ ჰოლსტინი ფოსტმასტერი იყო შეუცვლელად მთელი ომის განმავლობაში: ჯერ აჯანყ-

ბულების დროს, მერე იანკების დროს, მერე კვლავ აჯანყებულების დროს და მერე ისევ იანკების დროს.

ამიტომ კი არა, რომ კებ ჰოლსტინი-ლოიალური კაცი იყო თითქმის; იგი კონსტიტუციის შეუფერებელი მტერი იყო, რომელიც თამბაქოს დეჰდაწვენს აწიტებდა, გაროერაგიდან დაბინდებამდე კონსტიტუციას სწყველოდა და იგი არასოდეს არ მისალმებია კავშირის დროშას. მაგრამ ის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ყველას ასავალ-დასავალი იცოდა. ომის ქაოსის წლებში და ომის შემდეგაც; ერთადერთმა მან იცოდა, ვინ იყო ცოცხალი და ვინ მკვდარი, ვინ იყო შინ დარჩენილი და ვინ იყო წასული ჩარლსტონს, კოლამბიას, ატლანტას ან კიდევ ჩრდილოეთისკენ და იგი იყო ერთადერთი, რამდენიმე ათას განთავისუფლებულ მონათა უმრავლესობას რომ იცნობდა მთელ ამ მხარეში. და სამხედრო ხელისუფლებაც ითმენდა მას ფოსტმასტერად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცისმარე დღე მათ გინებაში იყო და ფიცავდა, იმ დღეს უნდა მოვესწრო, საყუთარი ხელით ერთი რესპუბლიკელი მაინც მოკვლაო. ახლა იგი ეტლით მოადგა კარუელის კარმიდამოს და დაიღრიალა:

„პეი, თქვე შევო ზანგო ნაბიჭვრებო!“

ხალხი, კაცები, ქალები და გოგობიჭუბი მყისვე მოცივდნენ. ისინი მოსულს გარს შემოერტყნენ, მან თამბაქოს წვენი მტვერში გააფურთხა, ხელები მოიფშვინტა და ჯიბიდან დიდი ყავისფერი კონვერტი ამოიღო, კონვერტს თვალი აღმაცერად შეაელო და მერე მკვახედ იკითხა:

„რომელი ხართ ამ ქურდბაცაცებოდან გიდიონ ჯექსონი?“

გიდიონი წინ წამოადგა: კებმა, რომელიც კარგად იცნობდა მას, თავიდან

ფეხებამდე აათვლიერ-ჩაათვალეირა იგი და მერმე იკითხა:

„შენ გიდიონ ჯეკსონი ხარ?“

„აჰა.“

„ხელი მოაწერე აქა.“

„დიად, ბატონო!“

პოლსტინმა დაღეული ფანქარი გაუწოდა გიდიონს:

„იცი წერა? თუ არ იცი, ზანგურად ნიშანი დასვი აი აქა.“

„წერა ვიცი!“ უპასუხა გიდიონმა, — თავის სახელს მაინც მოაწერს! ხალხი ისე შემოაწევა გიდიონს ყოველი მხრიდან, რომ მას სულის შოთქმა გაუჭირდა: კეპი თვალს არ აშორებდა გიდიონს, რომელსაც უკვე ასოები გამოჰყავდა. მას აქამდე არასოდეს უწერია საჯაროდ და ხალხი ახლა გულთბილ შენიშვნებს არ იშურებდა გიდიონის ოსტატობის გამო. მერე მოხუცი ეტლში ჩაჯდა, მოაბრუნა იგი, ჯორს მათარახი გადაუჭირა და იმავე გზას გაუდგა, რომლითაც მოსულიყო.

გიდიონმა ნელა გადააბრუნა ყავისფერი კონვერტი. ხელმარცხნივ მალლა კუთხეში ბეჭდური ასოებით ეწერა:

თუ ათი დღის განმავლობაში არ იქნა ჩაბარებული, დაუბრუნეთ  
გენერალ ე. რ. სკენბის, შ. შ. ს. ს. ქ.<sup>1</sup>

კოლამბია, ს. კ. მ. ს. ო.

გიდიონს თითქმის ყველაფერ ამის წაკითხვა შეეძლო, თუმც არ ესმოდა, რას ნიშნავდა პირველი ასოების ეს გრძელი წყება. მძა პიტერმა გიდიონის მხრების უკნიდან გადმოჰხედა კონვერტს და სთქვა:

„გენერალი კენბი, ეს ახალი იანკია, ძვალყურის დასაპერად მოსული. აჯერ ეს ს. კ. სამხრეთ კეროლიანის ნიშნავს. მ. ს. ო. იქნებ მეორე სამხედრო ოლქს ნიშნავდეს, როგორც მაშინ, როცა მო-

ვიდნენ და გვითხრეს, არჩევნებზე წადითო. უფალმა უწყის რას ნიშნავს ეს დანარჩენი ასოები.

მოპირდაპირე კუთხეში ეწერა:

სამსახურებრივი საქმე

ჯარიმა გამოყენებისათვის საფოსტო ხარჯის თავიდან აცილების მიზნით — 100 დოლარი.

გიდიონის ირგვლივ თავმოყრილთაგან ვერც მძა პიტერმა და ვერც ვერავინ ამ წარწერიდან აზრი ვერ გამოიტანა. კონვერტის შუაში მისამართი იყო:

გიდიონ ჯეკსონს, ესკევიარს

კარუელის პლანტაცია

კარუელი, ს. კ. მ. ს. ო.

მძა პიტერმა გიდიონის სახელი და გვარი ხმამაღლა წაიკითხა, მაგრამ ესკევიარზე შეფერხდა. მას არასოდეს არ ენახა ეს სიტყვა, წარმოდგენა არ ჰქონდა რას ნიშნავდა იგი და არც მისი გამოთქმა იცოდა. იგი ჩუმად შეეცადა—ტუნებს აცმაცუნებდა; დამბოლოს გიდიონმა სთქვა:

„როგორ გესმის ეს სიტყვა, მძაო პიტერ?“

მძა პიტერმა თავი გაიქნია და ახლა ჰანიბალ უაშინგტონმა მოიკრიბა გამბედაობა: „შეიძლება რამე იყოს მისტერის ან პოლკოვნიკის ან რაღაც ამგვარის მსგავსი.“

„მამ როგორაა, რომ გიდიონის სახელის წინ არა ზის ეს სიტყვა? რატომაა, რომ უკან მოსდევს სახელს?“

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ მძა პიტერი დაარღვევდა მას:

„გახსენი, გიდიონ!“

გიდიონმა ფრთხილად გახსნა კონვერტი. იგი საესე იყო ქალღღებით. ყველა ქალღღს ერთად წერილი ჰქონდა გარედან შემოკეცილი. ზედ გიდიონის მისამართით ისევე, როგორც ეს კონვერტზე იყო დაწერილი. წერილში ეწერა:

<sup>1</sup> შეერთებული შტატების სამხედრო საოკუპაციო ძალები.

„ამით გეუწყებათ, რომ თქვენ არჩეული ხართ კარულ-სინკერტონის ოლქიდან (სამხრეთ კეროლიანა) დელეგატად შტატის კონსტიტუციურ კონვენტში, რომელიც მოწვეული იქნება ჩარლსტონში, ს. კ. შ. ს. ო, 1868 წლის თოთხმეტ იანვარს. აქვე თან ერთვის ინსტრუქციები და რწმუნების მანდატი თქვენთვის. ჩარლსტონში მაიორ ალენ ჯეიმსს ეუწყა თქვენი ამორჩევისა და დამტკიცების შესახებ, იგი ჩაიბარებს თქვენს მანდატს. შეერთებული შტატების მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვენ საპატიოდ და ღირსეულად შეასრულებთ თქვენს მოვალეობას; შეერთებული შტატების კონგრესი გთხოვთ, რომ თქვენ კეთილსინდისიერად და ერთგულად შეიტანოთ თქვენი წვლილი სამხრეთ კეროლიანის შტატის რეკონსტრუქციის საქმეში.

ხელს აწერს

გენერალი ე. რ. ს. კენზი  
შ. შ. ს. ს. კ. შ. ს. ო.“

ეს ეწერა წერილში, მაგრამ რამდენი საათი გავიდა, სანამ ისინი აზრის ნაწილობრივ გამოტანას მიიღეს შესძლებდნენ! ხალხს ინტერესი გაუჩუქდა. მზე ჩავიდა. გიდიონი მშა პიტერსა და ჰანიბალს თავის ქოხში შეუძღვა და სამივენი ხელში ქაღალდებით ცეცხლის სინათლეს მიუსხდნენ. ჰანიბალ უაშინგტონმა სიტყვა:

„იქნებ სჯობდეს, ეს ქაღალდები ქალაქს გავგზავნოთ და იანკის ავახსენეინოთ!“

გიდიონმა ისეთი გაცოფებით დაიდროილა „არაო!“, რომ ყველამ გაკვირვებით შეხედა მას. მარკუსსა და ჯეფს არასოდეს ენახათ მამა ასეთ მდგომარეობაში და ისინი გაყუჩებულნი ისხდნენ; მაგრამ ჯეფსისთვის ეს ამბავი რაღაცის დასაწყისი იყო. იგი ხედავდა სამ ვაჟაკს, რომელთაც თემი ქვემო-დან შეპყრებდა, რომლებიც მაგრებიც იყვნენ. ლეთისმოშიშარნიც, რომ-

მელთაც იცოდნენ კარგი მოსავლის, ძროხის, ხბოს ან ღორის მოსავლის, გატყავების და სხვა მრავალს მისაძლეს ლეიბანი — იგი ხედავდა მათ, მოღუნებულთ და უმწეოდქმნილთ ერთი ნაფლეთი ქაღალდისაგან. ამ ქაღალდში ძალა იყო. და ჯეფი მიხვდა, რომ იგი კითხვას ისწავლიდა, და პირველად თავის სიცოცხლეში მან საკუთარი უპირატესობა იგრძნო გიდიონთან შედარებით.

დაბოლოს სამმა კაცმა, როგორც იყო, დაასრულა წერილის ამოხსნა. ისინი მხოლოდ დაახლოებით თუ ჩასწვდებოდნენ ისეთი სიტყვების აზრს, როგორიც იყო „რეკონსტრუქცია“ და „კეთილსინდისიერად“; ბევრი სხვა სიტყვა მათ მცდარად გაიგეს, მაგრამ წერილის არსს მაინც მიხვდნენ: გიდიონი ჩარლსტონს უნდა წასულიყო — ეს ნათელი გახდა. იგი უნდა დაეთმოთ, იგი მათ რიცხვს აღარ ეკუთვნოდა უკვე. დანარჩენი ქაღალდები და ფურცლები მათ შეათვალიერეს მხოლოდ; ამ ქაღალდებს გიდიონი წაიღებს თან და ბოლოსდაბოლოს მათი აზრიც გამოქვადენდება.

გიდიონმა იკითხა, რა რიცხვი იყო ქოხის კედლების ღრიკოებში ცივი ქარი ზუზუნებდა, იქნებ იანერის თოთხმეტი იყო უკვე. მშა პიტერს ფოსტის ბეჭედი მოაგონდა კონვერტზე:

„აგერ აქ 2 იანვარი სწერია“.

„ჩარლსტონში ფეხით ჩასვლას დიდი დრო დასჭირდება.“ ამოიხენენმა ჰანიბალ უაშინგტონმა; მან, ცოტა არ იყოს, შური იგრძნო გიდიონის მიმართ.

„ასე ვერ წავალ.“ სიტყვა გიდიონმა და მოღუნებით დაიხედა დაგლოჯილ შარვალზე, ოდესღაც ლურჯ სამხედრო ხალათსა და ძველისძველ წაღებზე, რომლებიც არმიიდან მოჰყვა აგრეთვე.

„მართალია, არ ვარგა.“ დაეთანხმა მშა პიტერი. „მე შავი სერთუი მაქვს.

ერთი სახელო გახეულია, რეიჩელი ამონემსავს; შეიძლება ცოტა ვიწროდ გექნეს, მაგრამ ჩაცმით ჩაიცვამ, გილიონ.“

„ფერდინანდს ერთი კარგი შარვალი აქვს.“

„ტრუპერს გამოართვი ის წოწოლა აბრეშუმის ქუდი, სახლში რომ ინახავს. მეტად კარგი ქუდია, ცოტა დაქმუქვნილია, მაგრამ მაინც ძალზე კარგი რამაა.“

„გილიონ, გენაცვალე, ხალათს გაგიტრეცხავ და გაგიმთელებ.“ სთქვა რეიჩელმა.

ჰანიბალ უაშინგტონმა სიუხვის გრძნობით წარმოსთქვა:

„მე ძველი საათი მაქვს, ერთმა იანკიმ მაჩუქა ჯარში, გილიონ“, ეს იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი განძი. გილიონმა არაჩვეულებრივი სითბო იგრძნო ამ ხალხის მიმართ, რომლებმაც ასე უყვარდათ იგი.

„აილე, გილიონ.“ სთქვა ჰანიბალ უაშინგტონმა, „კი არ მუშაობს და დროს ვერ გიჩვენებს, მაგრამ ძალზე ლაბაში საათია სატარებლად.“

„ერთი ცვირსახოცი უნდა გქონდეს.“ დასკვნა მძაპიტრმა. „ზანგის საოფლე ხილაბანდი კი არა, არამედ ისეთი, გულჯიბეში რომ ატარო ისე, როგორც თეთრ ხალხს აქვს. მე მაქვს ერთი კარგი თეთრ-წითელი ჩითის ნაჭერი, რეიჩელი შემოქობავს როგორც წესია“

ასე ამგვარად გილიონ ჯექსონი ფეხით გაუდგა გრძელ გზას ქალაქ ჩარლსტონისაკენ. ორი დღის შემდეგ მას უკვე მრავალი მილით ჰქონდა უკან მოტოვებული კარუელის კარ-მიდამო და ახლა კამკამა დილაადრიან იგი ფართოდ მიაბიჯებდა მტერიან შარაზე. წოწოლა აბრეშუმის ქუდი საექვოდ გადატურებელიყო გვერდზე და გილიონი მგრგვიანევი ბანით მიიმღე-

როდა მისი ლეგიონის ძველ ლაშქარში იქნებოდა.

„ჩემ ფეხქვეშ ბალახი არ იზრდება თაყისფლების გზაზე, ჩემ ფეხქვეშ ბალახი არ იზრდება თაყისფლების გზაზე; მოხუცო ჯონ ბრაუნ, ბაბუაჩვენო, მოვლიყარო, მოვლიყარო, თაყისფლების გზაზე“.

რა შეუბოვარი სიმღერა იყო! სამხრეთ კეროლაინის გზაზე ამ სიმღერის იქმა სიციცხლის ფასად დაუჯდებოდა კაცს, მაგრამ ახლა გილიონის განწყობილება არად აგდებდა ამ საშიშროებას. მას ასზე მეტი მილი ჰქონდა გასავლელი ჩარლსტონამდე, ასი პილი გაშლილ გზაზე. მაგრამ გილიონს მუხლი მაგარი ჰქონდა. ახლა, როცა არჩევანი გაკეთებული იყო უკვე, იგი საოცარ ბედნიერებას და სიმსუბუქეს გრძნობდა ტანში, თითქოს ბიჭი აკრძალულ მდინარეში სათევზაოდ მიდიოდა.

სანამ გილიონი გზას გაუდგებოდა კამათი იყო იმაზე, ჯაზიარი მას თან უნდა წაეღო, თუ არა. მართალია, ხიფათი ბევრი იყო, მაგრამ იგი მაინც მძაპიტრს დაეთანხმა, რომ კარგი არ იქნებოდა თოფით ხელში კონვენტში გამოცხადება.

„იგი უნდა მიხვიდე, რომ მშვიდობა და სიყვარული გქონდეს გულშიც და ხელშიც“, სთქვა მძაპიტრმა.

ასე იყო თუ ისე, გილიონს გულჯიბეში შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოცემული მანდატი ჰქონდა: ვინ გაბედდა რამე ეყო მისთვის? საოცარია, რა მოსდიოდა მის გულს, მის იმედებს—ერთი წუთით შინი იპყრობდა, მეორე წუთით ბედნიერების მღელვარე გრძნობა.

<sup>1</sup> ჯონ ბრაუნის (1820 — 1859) მონობილი ამერიკელი აბოლიციონისტი, ზანგთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი.



წინ, ცოტა მოშორებით, ნაძვნარი შეთხელდა. აქ ათიოდე აკრის ახოზე ქოჩი იდგა. ეს იყო ებნერ ლეიტის მამული, ყოველ შემთხვევაში მას მამულის სახელი შერჩა, თუმცა ებნერ ლეიტი და მამამისიც კარუელების მოიჯარეები იყვნენ. ლეიტი მალალი, ხმელი, წითური კაცი იყო, თეთრკანიანი; იგი დინჯად ლაპარაკობდა და ქვეყანას ეჭვის თვალთ და უნდობლობით უყურებდა. მთელი მისი ცხოვრება სიღუბნეობა და წვალება იყო. ომამდე მას თავიხი სარჩო ძლივს მოჰყავდა ამ მიწაზე; როცა კარგი მოსავალი იყო, კარუელებს მიჰქონდათ, როცა ცუდი — მაშინ ლეიტი კიდევ უფრო ღრმად იფლობოდა კარუელების ვალში. ომის დაწყებისთანავე იგი დადლი კარუელის რაზმს გაჰყვა. სამ წელიწადნახევარში მან ოთხი პრილობა მიიღო და იმდენი ბრძოლა გადახდა თავს, რომ მოსაგონებლად ეყოფოდა, მერმე კი ტყვედ ჩავარდა და ომის ბოლომდე იანკების ტყვეთა ბანაკში იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ცოლი და ოთხი ბავშვი როგორღაც არსებობდნენ, როგორ — არც მან იცოდა და არც მის ცოლს უნდოდა ამის მოგონება. ახლა იგი შინ იყო. მან უკვე ორჯერ აიღო მოსავალი: მდგომარეობა ცუდი იყო, მაგრამ წინანდელს სჯობდა. ყოველ შემთხვევაში კარუელებს მიიწვ დაიწყო და იგი. ასე იყო თუ ისე მუცელი შედარებით საესე იყო ახლა.

ებნერ ლეიტს სძულდა ზანგები იმ ტრადიციული სიძულვილით, რომელსაც ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული — ეს ჩვეულებრივი იყო. პლანტატორები მას სძულდა გარკვეულად, მთელი თავისი შეგნებით. მასა და გიდიონს შორის რაღაც მორიდებული შუღლი იყო. გიდიონის მოახლოებისას ებნერი ლობესთან იდგა, ბარზე დაყრდნობილი.

6. „მნათობი“, № 10.

„დილა მშვიდობისა, მისტერ ლეიტ!“ მიესალმა მას გიდიონმა.

„აბა ასეთ ურჯულს სიმღერას როგორ უნდა მღეროდეს ზანგი?!“

„როცა გზაზე მივაბიჯებ, ყელს სიმღერა ამოსდის!“ ლიპილით სთქვა გიდიონმა. „იანკებს, რომ მივეყვებოდე გვერდით, ამ სიმღერას ვამბობდით.“

„ღმერთსაც შეუჩვენებია.“ ზარმაცად წარმოსთქვა ებნერმა. ასეთ დილაზე გაგულისება ცოცხა იყო. მისი ბიჭები პიტერი და ჯიმი, ორივე ქერა, აბრეშუმისით ნაზი თმებით, მორცხვად მოადგნენ ლობეს. „ნეტავი ერთი, თვალთ მენახე, როცა იმ წყვეულ იანკებთან იყავი“, განაგრძო ებნერმა, „ისე დაგცხრილავდი, როგორც აგერ ეს შავი სერთუქი, ზედ რომ გაცვიაროგორ გაკოქილხარ მაიმუნივით გიდიონ?“

„ჩარლსტონს მივდივარ, კონვენტში.“

„კონვენტი!“ ღმერთმა დასწყევლოს, როგორ აირ-დაირია ყველაფერი!“

„ხმის მიცემით ამომირჩიეს.“

ებნერმა დაისტვინა და სთქვა: „ერთი ამას დამხედეთ! ზანგი კონვენტზე, ჩარლსტონში! მე მგონია, შუენ უმაღლესი ღმერთი გასამართლებას მოგიწყობენ, სანამ პირის გაღებას მოასწრებდეს, გიდიონ.“

„შეიძლება!“ თავი დააქნია გიდიონმა, მაგრამ „მთავრობის მოწერილობა მაქვს აგერ აქა, ჯიბეში. არჩევნებზე იყავი?“

„ვიყავი, მაგრამ ზანგისთვის არ მიმიცია ხმა.“

ისინი კიდევ ცოტა ხანს იდგნენ; ერთმა ბიჭუნამ გამხედლობა მოიკრიფა და ნელა მიუახლოვდა გიდიონს; გიდიონმა მას ნაზად გადაუსვა ხელი ქერა თმაზე. მერე გიდიონმა მშვიდობა სთქვა და კვლავ გზას გაუდგა. ებნერ ლეიტმა მას თვალი გააყოლა და თავისთვის წაიბუტბუტა.

„ჩარლსტონს მიდის. იესო მაცხოვარო, ვის უნახავს, ზანგი ჩარლსტონს მიდიოდეს კონვენტის სხდომაზე!“

დაბინდებისას გიდიონმა თვალით დასაძინებელ ადგილს დაუწყო ძებნა. თუ საჭირო იქნა, იგი ნაძვებში კონკონს დაანთებს და ყავისფერი წიწვის რბილ სარეცელზე წამოწვება; ამაზე უფრო ცუდ ადგილზე გაითევა ღამე. ხმა და სიცილი არ ისმოდა; იგი სევდიანი მარტობისთვის არ იყო გაჩენილი.

ასე, რომ როცა გიდიონმა მინდორზე დაინახა ქოხი, მილიდან, სამაჟრად ამომავალი ლურჯი კვამლის ზოლი, კარებთან სილაში მოთამაშე სამი შოკოლადისფერი ბავშვი, — გულზე შევება იგრძნო. გიდიონმა ქოხის მიმართულებით მინდორი გადასჭრა; სახლიდან პატრონი გამოვიდა მის შესახვედრად; იგი ზანგი იყო, ასე, სამოცდაათი-სამოცდაათი წლისა, მაგრამ ღონიერი აღნაგობისა და ჯანსაღად გამოიყურებოდა, ილიმებოდა თანაც.

„სალამო მშვიდობისა მისურვებია შენთვის.“ სთქვა მან.

„სალამო მშვიდობისა შენაც.“ თავი დაუკრა გიდიონმა და თანაც გაიფიქრა, როგორ ერთნაირი იყვნენ ბავშვები ყველგან — მორცხვი, ცნობის-მოყვარე და უცხო კაცის დანახვით აგზნებულნი.

„რით შემიძლია გემსახურო?“ იკითხა მოხუცმა.

„ჩემი სახელი გიდიონ ჯექსონია, ბატონო. შორი გზით მოვდივარ, კარუელის პლანტაციიდან, ჩარლსტონს მივემგზავრები. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ აგერ იმ ფარდულის კუთხეში ღამეს გამათევინებ. მაწინააღმდეგარა ზანგი არ გეგონო, ლუკმა პურის მათხოვარი, ჩემი საგზალი თანა მაქვს ამ ფუთაში. მთავრობის ქაღალდებიც მიღვეს ჯიბეში.“

მოხუცი ილიმებოდა. გიდიონი გაჩუმდა, სული მოითქვა და დანარჩენი

სათქმელი ჩარლსტონის კონვენტის შესახებ უხმოდ ჩაყვავდა. მოხუცმა სთქვა:

„ჩემი კარები ღიაა მგზავრისთვის და კერაზე ცეცხლს და ლუკმას არავის დავამადლი. ის ფარდული პირუტყვისთვისაა. ტახტს ვერ შემოგთავაზებ, საბანს კი გაგეშლი ცეცხლის პირას, თუ ხელს მოგცემს. რწმუნების ქაღალდს კი, ბატონო, მე არავის ვთხოვ. ჩემი სახელია ჯექსონ ალენბი.“

„ილიად გმადლობ, მისტერ ალენბი.“ სთქვა გიდიონმა, რომელმაც მოხუცის ღიმილზე უფრო თავისუფლად იგრძნო თავი. ალენბი მას ქოხში შეუძღვა. ეს იყო ძველისძველი ძელური, ერთ დროს, ალბათ, დამოუკიდებელი მესაქუთრის ფერმა, რადგან მას ფანჯრებიც ჰქონდა და დარბაზებიც, რასაც მონის ქოხში ვერ ნახავდით. ცეცხლთან ახალგაზრდა ქალი ჩაცუცქულიყო, იგი რაღაცას ურევდა ქოთანში. მათ შემოსვლაზე იგი წამოდგა, მალაღი, დასრულებული ყავისფერი კანით გასაოცრად ღამაში, თავი მალა ეჭირა ყელმოღერებით, თითქოს ღარნაკი უდგას თავზე და წონასწორობას იცავსო. მისი თვალები დიდრონი იყვნენ და ელვარე; გიდიონმა ეს ბინდუნდშიაღი კი იგრძნო; მაგრამ რაღაც უცნაური იყო ყმაწვილი ქალის თვალებში, რაღაც უცნაური იმაში, რომ მას ერთხელ არ შეუჩერებია მზერა გიდიონის სახეზე. ალენბიმ ქალს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

„ჩემო შვილო, ამ საღამოს ჩვენს სტუმარი გეყავს. მისი სახელია გიდიონ ჯექსონი, იგი ჩარლსტონს მიემგზავრება, მას ჩვენთან ღამის გათევა ვთხოვე, მე გგონია, იგი წესიერი და კეთილი კაცი უნდა იყოს.“

მოხუცის სიტყვებში და ყმაწვილი ქალის გახევებულ მზერაში, რომელიც სადღაც მის გვერდით იყო მიმართული, გიდიონმა იმის გასაღები იპოვა, რაც მას უცნაურად მოეჩვენა. იმის

წარმოდგენაზე, რომ ყმაწვილი ქალი ბრმა იყო, მას ერთი წუთით საშინელების გრძობა დაეუფლა. ყმაწვილმა ქალმა წარმოსთქვა:

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო“ და მერე ცეცხლს მიუბრუნდა. გილიონი ნაძვის ტოტებისაგან გაკეთებულ სკამზე დაჯდა; ალენიმ მოკალუღი მათლაფები და კოვზები დაალაგა მაგიდაზე. გარეთ უკვე დამე ჩამოწვა. გილიონი ადვილად პოულობდა საერთო ენას ბავშვებთან; მან ახლაც ჩქარა მოიგო მათი გული და მალე ერთი მათგანი ხელებზე ესვენა, დანარჩენი ორი კი მის მუხლებზე იყვნენ მუცლით გადაკიდებული.

„მათ სიმღერები უყვართ!“ სთქვა მოხუცმა.

გილიონმა სიმღერა წამოიწყო:

„კურდღელი რომ მაყვლის ბუჩქში უდარდელად ცხოვრობს, მღერის, მას ზეცა აქვს სახურავად რაღად უნდა ისლის ჭერი...“

გილიონმა დაასრულა თავისი ამბის თხრობა ხმის მიცემისა და მისი დეღეგატად არჩევის შესახებ. უკვე გვიან იყო, ცეცხლის ადგილას ნაკვერჩხლები ელვარებდნენ. ელენ ჯოუნსი, ყმაწვილი ქალი, მისადგამი კიბით სხვენზე ავიდა, სადაც მისი ლოგინი იყო გაშლილი. ერთ ბავშვს მასთან ერთად ეძინა მალა, ბიჭები — ჰემი და ჯეპეტი — ერთ ტახტზე იწვნენ და უკვე ძილისთვის მიეცათ თავი. მოხუცი და გილიონი ცეცხლთან ისხდნენ.

„მაშ ასე, ახლა ჩარლსტონს მიდიხარ,“ დაიწყო მოხუცმა. „ამდენი ხნის შემდეგ განთიადი უნდა დიდგეს. როგორ მშურს შენი, გილიონ ჯექსონ, ღმერთო შემოიწყალე, და როგორ მშურს შენი. მაგრამ როგორცაა, ასეც უნდა იყოს — ახალგაზრდა, მაგარ, იმედით სავსე კაცისთვის, შენისთანებულსათვის.“

„ჩვენთვის ყველასთვის!“ შეაწყვეტინა გილიონმა.

„ხოო? — შეიძლება.“ გილიონს, როგორ ფიქრობ რამდენი წლის ვიქნები?“

„ასე, სამოცდახუთის.“

„სამოცდაჩვიდმეტის, გილიონ. 1812 წლის ომში ვიბრძოდი ბრიტანელთა წინააღმდეგ. დიად, მაშინ ნება გვქონდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის გვებრძოლა. არა, გული როდი მტკივა. მაშინ ფიქრობდნენ, მონობა თავისთავით მოკვდებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ბამბას დიდი შემოსავალი არ ჰქონდა კიდეც. მონები მაშინ უფრო პასუხისმგებლობის საქმე იყო. მათ მე განათლებაც კი მომცეს, შინამასწავლებელი გამხადეს; მათ მაშინ არ ესმოდათ, რომ, თუ კაცს განათლებას მისცემ, იგი მონად აღარ გამოდგება და თავისუფლების სენს სხვებსაც გადასდებს.“

„ცოტა სწავლისათვის რას არ მიეცემი!“ ჩაურთო გილიონმა.

„მოთმინება იქონიე, გილიონ. სწავლა და თავისუფლება ერთად მოდის ხოლმე. განა არ ვიცი? როცა ბრიტანეთთან ომი დამთავრდა, ბატონმა გაიგო, რომ მე დანარჩენ მონებს წერაკითხვას ვასწავლიდი. როგორ გაბედდო? როგორ შემეძლო არ მესწავლებინა? მაშინ მან ქვემო მდინარეზე გამყიდა, სხვების სამაგალითოდ, გილიონ. სადაც არ უნდა ეყოფილიყავი, ცოტაოდენი სწავლის იმავე წყურვილს ვხედავდი ყველგან. ასე მყიდნენ, მათრახით მცემდნენ, მემუქრებოდნენ. განა სენი ამგვარად განიკურნება? მე წამიკითხავს ვოლტერი, პეინი, ჯეფერსონი, დიად, და შექსპირი. მისი სახელი შენ არასოდეს გაგიგონია, გილიონ, არც მისი ოქრო ხმა, მაგრამ გაიგონებ, იცოდე, გაიგონებ. შემეძლო განა ჩემად ეყოფილიყავი ჩემთვის?“

გიდიონმა მდუმარედ გააქნია თავი „სამჯერ დაეცოლშვილდი, გიდიონ, ყველა მიყვარდა, მაგრამ სამჯერვე გამყიდეს და ცოლს დამაშორეს. ბავშვებიც მყავდა, მაგრამ არცერთი არ ვიცი სადაა, გიდიონ. ოთხჯერ გავუქეცი პატრონს — ოთხჯერვე მიპოვნეს, უკან მიმგვარეს და მათრახით მცემეს, სასიკვდილოდ კი არ მიმეტებდნენ. რადგან მე სიძლიერეს წარმოვადგენდი მათთვის; მოზვერი მკვდარიც ფასობს ზორცად, ჩვენს ზორცს კი ფასი არ აქვს, თუ მასში სიცოცხლე არაა. ასეთ რამეებზე მე იშვიათად ვლაპარაკობ, გიდიონ; შენ გულებზე, რადგან უღარესად მნიშვნელოვანია, რომ შენ ჩვენი წარსული გახსოვდეს, ჩვენი ხალხის ტანჯვა. შენში, გიდიონ, ვულისხმობებოდა, ძალაცა და ცეცხლიც. შენ ჩვენი ხალხის დიდი წინამძღოლი გახდები, მაგრამ არაფრად ელირები, თუ ოდესმე დაივიწყებ ყოველივე ამას. ახლა გატყობ, გაინტერესებს ამ ბრმა გოგონას და ბავშვების ამბავი. გაამბობ.“

„თუ არ გინდა, თავი ანებე, ნუ მეტყვი.“ გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა.

„მინდა, რომ გითხრა, გიდიონ, და ამიტომაც გაამბობ. ეს სამი ბავშვი უპატრონონი არიან. ეს ჩვენი საბრალო სამხრეთის მიწა სავსეა ობლებით, უპატრონო, დაკარგულ ბავშვებით. მე ალაბამაში ვიყავი მონა, როცა ომი დაიწყო. და როცა თავისუფლება მოვიდა, ჯერ ჩრდილოეთისკენ გავსწიე, მერე აღმოსავლეთისკენ; იანკის მხარეს კი არ მინდოდა წასვლა — მე ეს სამხრეთის მიწა მიყვარს, თუმცა ქვემო სამხრეთი კი — არა, ბევრი წამება გამომივლია იქ. ვიფიქრე, იქნებ სადმე კეროლიანში ან ვირჯინიაში მასწავლებელი იყოს-მეთქი საჭირო. გზაზე ამ ბავშვებს წააწყდი და ავიყვანე. ეს გოგონაც შემთხვევით ვნახე. ელენი თექვსმეტი წლისაა. მამამისი აზატი

ზანგი იყო ატლანტაში, ექიმის ცალკე ისტორიაა; შერმანის წასვლის შემდეგ ბევრი საშინელი ამბავი მოხდა. მე არავის ვიცხავ. აჯანყებულთა არმიის რამდენიმე ჯარისკაცმა — ბოროტი და კეთილი კაცი ყველა არმაშია — გოგონას თვალწინ მოკლეს მამამისი, ხიშტები გაუყარეს და თვლები დათხარეს. გესმის, იგი იანკებს ეხმარებოდა. ამას იმიტომ გიყვები, გიდიონ, რომ გულისხმიერება დაიმკვიდრო შენში და არა სიძულვილი. შენ ჩარლსტონს მიდიხარ იმისთვის, რომ კონსტიტუცია, ახალი სახელმწიფო, ახალი ქვეყანა, ცხოვრება შექმნა; მამისიც უნდა გესმოდეს, თუ როგორ შეუძლიათ უბრალო ადამიანებს ეშმაკული ბოროტების ჩადენა, რადგან მათ უკეთესი არაფერი იციან. მამის მოკვლის შემდეგ მათ ნამუსი აჰხადეს გოგონას. მალე იგი დაბრმავდა. მე ასეთი ამბების არა გამეგება რა — ელდას შეუძლია გამოიწვიოს სიბრმავე, თუ მას სენი ჰქონდა რაიმე თვალისა. ასეა თუ ისე, როცა იგი პირველად ვნახე, თავის ჰკუთხე არ იყო, იმის გაგებაც კი არ ჰქონდა, თუ თავათ ვინ იყო; ტყეში ცხოვრობდა ნადირივით და ნადირივით ფრთხილი იყო. მაგრამ მე მომენდო, არ ვიცი კი რატომ, მეც იგი ჩემს პატარა ჯგუფს შევეუერთე“. მოხუცი გაჩუმდა. გიდიონი თვალდაშტერებით უმზერდა ნაკერცხლებს და თან ხელებს იმტვრევდა. „გიდიონ“, წყნარად წარმოსთქვა მოხუცმა.

„პატრონო?“

„გიდიონ, როცა მთავრობის მანდატი ჯიბეში ჩაიღე, შენ ამით ჩვეულებრივი კაციდან მსახურად იქეცი. კაცს, გიდიონ, შეუძლია თავი სიძულვილს მისცეს. მას შეუძლია ვინმეს მოკვლა,

<sup>1</sup> უილიამ შერმანი (1820 — 1891) — ჩრდილოეთის არმიის ცნობილი გენერალი სამოქალაქო ომში. 1864 წ. 16 ნოემბერს შერმანმა დასტოვა ქ. ატლანტა და დაწყო ცნობილი „ლაშქრობა ზღვისკენ“.

რაიმეს განადგურება მოინდომოს, როგორც ეს შენ ამ წუთში გინდა. მსახურს არ შეუძლია, იგი თავის ბატონს უნდა ემსახუროს. შენი ბატონ-პატრონი, გიდიონ, შენი ხალხია. ახლა ყური დამიგდე და დანარჩენსაც გიამბობ.“

„ყურს გიგდებ!“ წარმოთქვა გიდიონმა.

„მე ამ ქოხს წავაწყდი. ღმერთმა უწყის, სადაა ახლა ამის ძველი ბინადარი — ალბათ ომში მოჰკლეს. ათასია ასე დაცალიერებული ქოხი ამ ჩვენს სამხრეთში. ორი წელია აქ ვცხოვრობ. ცოტა, ჩვენთვის საყოფი სარჩო მომყავს. რაც აქა ვართ, არავის შევეუწყუხებივართ. ელენი თითქმის სავსებით ნორმალურია ახლა, მაგრამ ბრმად კი დარჩა. ცხოვრებას როგორ დავემდურები, როცა ოთხი ყმაწვილი მყავს შეგირდად, რაიმე რომ ვასწავლო. დაბაშიც წავედი სამუშაოდ; საშუალოდ დურგლობაც ვიცი, ხარაზობაც, თოქმანობაცა და წერილის წერაც, და ყოველი ხელობით ორიოდ პენი ვიშოვნე, რომ ცოტა ტანსაცმელი და რამდენიმე წიგნი მეყიდა.“

ამ სიტყვებზე მოხუცი გაჩუმდა, კარგა ხანს გიდიონიც ჩუმად იყო. მერე კი იკითხა:

„და როცა მოკვდები?“

„ამაზე ბევრი მიფიქრია. მიუგო ალენბიმ. „ესაა ჩემი შიში და უბედურება.“

„ან, ვთქვათ, ავად გახდი, ანდა, ვთქვათ, შერიფი მოგადგა და ვითბრა, ქოხიდან გარეთ გაეთარიე, ჯანდაბამდე გზა გქონიაო.“

„ამაზედაც მიფიქრია, გიდიონ.“

„გამოიხედე.“ ცოტა არ იყოს ადელ-ვებული ხმით წამოიძახა გიდიონმა.

„შენისთანა კაცი — მცოდნე კაცია. მოხუცი კი ხარ, სამოცდაჩვიდმეტისა, ეს მართლა დიდი ასაკია; მაგრამ შენ ყავისფერი ხარ და კერკეტი, როგორც ძველი კაკალი. შესაძლებელია ზეალ

მოკვდე, აბა კაცმა რა იცის ლეთის განჩინება, შესაძლებელია რაიმე მოხდეს მეთი წელიწადი კიდეც უფროსად.“

„საით უმიზნებ, გიდიონ?“

ერთი აზრი მომივიდა. აგერ მე, განთავისუფლებული ზანგი, ჩარლსტონის გზაზე ქუსლებს ვილღეტ, კონვენტის დეღეგატობით ფარშავანგით ვარ გაყინული, მაგრამ წერა მე არ ვიცი და კითხვა, უმეცრება გონებას მიხშობს. ამ სამხრეთის მიწაზე ალბათ ოთხი მილიონი ზანგი მაინც იქნება, ცოტაოდენი სწავლა რომ სწყურია. თავისუფლება დიდი რამაა, ერთ მილზე ზეცას წვდება, როგორც საამური, ტბილი გალობა, მაგრამ რის მაქნისია ყველაფერი ეს კაცისთვის, რომელსაც უმეცრების გამო თავი მაღლა ვერ აუწევია? შენ სამ პატარა ბავშვს ასწავლი, ძალიან კარგი; იქ კარუელის კარმიდამოზე ჩემიანები ცხოვრობენ, მე მათზე ისევე ვფიქრობ, როგორც შენ შენიანებზე; როგორც სხვა ზანგებმა ჩვენს მხარეში, არც მათ იციან რაა მათი და რა არაა მათი, არ იციან მიწა მათია თუ არა, ძველი მონის ქოხი მათია თუ არა. საიდან უნდა გაიგონ ყველაფერი ეს, როცა ერთი კაციც არაა მათ შორის, წერა-კითხვა ზეირიანად რომ იცოდეს?“

გიდიონი გაჩუმდა, ნერწყვი გადაყლაპა და მერე ყოველი სიტყვის თქმაზე საჩვენებელ თითს იქნევდა: „წალი იქ, შენი პატარებიც თან წაიყვანე. ჩვენებს უთხარი, გიდიონმა გამოგზავნა-თქო. ძმა პიტერს მოელაპარავე, ჩვენი ქადაგია, მას უთხარი, რომ მასწავლებელი ხარ და ხალხს სწავლას მისცემ. კარგად მოგივლიან.“

ალენბიმ თავი გაიქნია.

ერთი ფიქრი, მეც ვიფიქრე ასე, გიდიონ, მაგრამ ძალიან მოეხუცდი. მეშინია; აქ ჯერ ბედს არ ვუჩივი. არსებობს „განთავისუფლებულთა ბიურო“. რომელიც ასეთ საქმეებზე ზრუნავს.“

„გინდ მეორედ მოსვლაზე გიციო და გინდ—განთავისუფლებულთა ბიუროსათვის“, ჩამოართვა სიტყვა გიდიონმა. „რისი გეშინია? გაპყევი ზემოთ ამ გზას, ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის კარუელის კარმიდამოს. უკეთესი იქნება განა, რომ ერთი დღით პატარებმა გაიღვიძონ და შენ მკვდარი გნახონ? არავინ იქნება, რომ დაგასვენოს, წვერი გაგპაროს, არავინ იქნება, რომ სუღარა გადაგაფაროს და ნაძვის კუბო გაგიკეთოს. ვინ იზამს ამას, ის საბრალე ბრმა გოგონა?“

მოხუცი მაინც უარზე იყო და გიდიონიც შეუბრალებლად უტევდა, სანამ დაბოლოს, როცა ცეცხლი თითქმის საესებით ჩაქრა, ელენიმ თავი არ დაიქნია და არა სთქვა, კარგი, წავალ. იგი იჯდა ოდნავ განათებული მბუტავ ნაკერებების მკრთალი შუქით, წელში მოხრილი და კისერი წინ წაეწია, თითქოს სიბნელეში ეძებდაო სანუგეშო რწმენას. მერე იკითხა:

„ხომ სიზმარი გგონია ხანდახან, გიდიონ, ეს თავისუფლების საქმე?“

„სიზმარი როდია, ჩაილაპარაკა გიდიონმა. „იანკებთან ერთად საომრად მივლია, ამ თავისუფლების ერთი ნაწილი საკუთარი ხელებით მომიპოვებია. ეს სიზმარი არაა!“

მეორე დღეს ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც გიდიონი დაარწმუნა იმაში, რომ რამდენიმე საათი გაშლილ შარაგზაზე იგივეა, რაც სოფლური ფერმის ზანტი ცხოვრების მთელი თვე.

გვიან ნაშუადღევს წვიმა წამოვიდა ქვეა-ქუხილით; გიდიონი თავის ძინს

ქვეშ შეძვრა და იქ იყო, სანამ წვიმის შხაპნი არ შეწყდა. ძროხასაც აქვე შეეფარებინა თავი; გიდიონი იწვა ძროხის თბილ ფერდთან და თავისთვის ღიღინებდა:

„ბოხოლებს მოვრეკავ, თუთ პატარა ბოხოლებს, ბოხოლებს მოვრეკავ, ოჰ, დედო!“

მაგრამ ასეთი პატივისცემა ვერაფრად მოუხდა მის შავ სერთუქს. გიდიონმა თანაყოლილი თივა ძლივს ჩამოიწმინდა, წოწოლა ქუდის გადარჩენა კი შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მას აქამდეც ძლივს ედგა სული. ქუდს ცა გასძვრა და გიდიონი დიდხანს ეპაექრებოდა თავის თავს—დაებურა თუ არა ქუდი ასე ცა წავლუჯილი. იგი გრძობდა, რომ წოწოლა ქუდი ცის გარეშე გადაქარბებული ფუფუნება იყო, მაგრამ მისი ასე უბრალოდ გადაგდებაც აუტანელი იქნებოდა მისთვის; ამიტომ გიდიონმა ქუდი შემოინახა და შემდეგ ორ გემრიელ ვაშლში გაუცვალა იგი ერთ მოხუც ზანგს.

იმ ღამეს გიდიონს ღია ცის ქვეშ ეძინა, ნოტიო მიწაზე გაფენილ ნაძვის შტოების სარეცელზე. ეს არ იყო მაინცადამაინც კომფორტაბელური საწოლი, მაგრამ ახლა მისი გული აღმაფრენას მისცემოდა და გიდიონი გამოუთქმელ ცნობისმოყვარეობით ფიქრობდა თავისი მისიის გამო.

მეორე დღეს გიდიონმა ზღვის სანაპირო დაბლობი გაიარა; მეოთხე დღეს კი წინ ჩარლსტონის შენობათა სახურავები დაინახა.

თარგმანი ინგლისურიდან გივი შვანიასი.

(გაგრძელება იქნება)

პალკა უორჩინიძე

## ლ ე ქ ს ე ბ ი

ჟანაში

★

რძერაეს ამოჰყვა ნიავე მკვირცხლი  
მსუბუქი ფრთების აფარფატებით,  
და მდინარეზე ცისმარე დილით  
წამოიფოფრნენ თეთრი ბატები.—

ფრთა-ფრთას შემოჰკრეს, უცებ დგაფუნით  
ლურჯი ქედები გადაიარეს...  
ცამ გადიყარა საადრო ბური,  
და ტირიფებში ცისფერ მდინარეს, —

მოადგნენ გუნდად ამღერებული  
სოფლის ერთგული მზე-ჭაბუკები,  
ბატის ფრთასავით გათეთრებული,  
ყაბალახებით თავგაქრულები.

დაიკარწახეს და გრილ ტალღებში  
სწრაფად ჩაეშენენ შიშველ მუხლებით,  
გავიდნენ გაღმა და ლურჯ ყანებში  
ჩადგნენ ხელმარდი მეთოხურები.

მზემ აიწია, სხივთა ბრიალით  
დაცვარულ ხევში ჩამონათა.  
მოვარდა გოგო კაბის შრიალით  
და მოიტანა სავსე კალათა.

დასხდნენ ჩეროში გულმზიარულნი,  
დადგეს ღოჭები ბატის ნისკარტა,  
აავსეს უიქა და სიყვარულით  
შრომის სურვილმაც უფრო იმატა.

სახეზე აჩნდათ ვაეებს ღიმილი,  
მათ გვერდით ისხდნენ გამრუჯე ქალებიც,  
და თეთრ უიქებში გიშრის დილივით  
დაციმციმებდნენ მყველის თვალები.



ცოტა დანაყრდნენ და მერე ისევ  
მიწას ტორავდნენ თოხით ვეფხურად.  
თვალს სჭრიდათ ვრცელი მზიანი სივრცე,  
მუხის რტოები თავზე ეხურათ.

ვაეებს კენწლავდა გამრჯე ასული  
სიტყვა ფხიანი ქათინაურით,  
და გუგუნებდა ხევში გაბმული  
კოლმეურნეთა ტკბილი ნაღური.

მღეროდნენ ტკბილად გაბრუებულნი,  
ახლადგამარგლილ ყანის სურნელით,  
და ცაზე კენტად გათეთრებული  
ნიაეს მიჰქონდა ქვევით ღრუბელი.

გვიან, ლილისფერ სიმინდის ტბაზე  
მზემ ჩამოშლილი სხივი აყრიდა,  
ჩამოიარეს გუგუნით გზაზე  
და შორს ბატების გუნდიც აფრინდა. —

ფრთა-ფრთას შემოჰკრეს, უცებ ფრთხილით  
ღია ლაქვარდი გასცურეს ისევ.  
და სიმინდები ჩუმი შრიალით  
შეჩურჩულებდნენ დაზინდულ სივრცეს.

### ფერმის ეზოში



ნელა დაიძრა საბალახოდან  
საღამოყვამზე სოფლის ნახირი.  
თითქოს ცა მიწას მიუახლოვდა,  
მთის წვერზე ჩუმაღ დაჯდა მარიხი.

ხეებში თეთრად აბოლდა ნისლი,  
შეწყდა კაკბების ხშირი კაკანი.  
შორს ელსადგურის გუგუნი ისმის.  
და დედას შიშით ეკერის ბატკანი.

მოგროვდნენ ხანტად ნაბალახარი  
ცხვრების ფარა და საქონლის ჯოგი,  
ფერმის ეზოში ვიშერა ხარი  
შებლს ულოკავდა ნიკორა ძმობილს.

დადგეს სარძევე დიდი კასრები  
და ბოჩოლებმა ცქვიტეს ყურები,





იგრძნეს, ზმულით ჯიქანსაცენი  
ფერმის კიშკართან შედგნენ ფურები.

ელდენის შექმა გაჰფანტა ბინდი,  
კრავის პეტელი მოედო სივრცეს  
(საღღაც ხეებში აფრინდა ჩიტი)  
და აოცებდა ქალებს რძის სისქე.

ირგვლივ ნიავი დაჰქროდა ჩუმი,  
გვიან მოთავდა ფურების წველა.  
ქალებს ხელებზე გაჰყვით რძის სუნი,  
ჩვილი ბავშვების საამებელად.

და ჩვეულებრივ იმ საღამოსაც  
თვლემდა ფარეხში სოფლის ნახირი.  
თითქოს ცა მიწას მიუახლოვდა,  
მთის წვერზე ჩუმად დაჯდა მარინი.

მეხველე



დღესაც ღიმილით ეზოს კიშკარი  
ნელა გააღო აჭრისლებით,  
ირგვლივ ხეხილებს არხევდა ქარი,  
თითქოს მღეროდნენ თეთრი ჭადრებიც.

ვახედა, ტრფობით მწვანე ვენახებს  
მიმინოსავით მოაელო თვალი,  
და გაუბრწყინდა კეთილი სახე,  
გზაზე რომ სურით შემოხვდა ქალი...

გაჰყვა სათიბებს დაფიქრებული,  
საბალახოებს ზერავდა დილით.  
შეკრთნენ ბავშვები გაღიმებულნი  
და აედევნენ ნახირს სირბილით.

შედგა ცოტახანს, დარცხვენილ მწყემსებს  
თვალი შეავლო ყველას მზრუნველად.  
კვლავ გადახედა ირგვლივ ნათესებს  
და ქალებისკენ გასწია ნელა.

გაღმით თაკარა მზითგარუჯულნი  
მუხლნაყარ სიმინდს მარგლიდნენ ისევ.  
მასაც ტოლებთან უწევდა გული,  
ტკბილი სიმღერა არხევდა სივრცეს.



მარცხენა ხელი ვადისეა თმებზე  
და მოუწონა ყმაწვილებს ვარჯჯა.  
მერე განედა ცხვრის ფარას მთებზე  
და სიმინდებში გადაალაჯა...

ფრონტულ ხალათზე შვენის ორდენი,  
მოქნილ მუხლებშიც ემჩნევა ძალა!..  
დადის ყანებში ალვისოდენი  
და მარჯვენა ხელს ჯიბეში მალავს.

— . —

### მკათათვე სოფელში

★

მზე გაუსწორდა შუაგულ ზეცას,  
მუხის ფოთლებში წივის კრიკინა,  
ყანებს მოედო შრიალი ხეთა,  
ნიაჲმა ტყეზე გადაირბინა...

ნადგა კალებში პაპანაქება,  
ცხვრებმა ჩირგვებში ჩარგეს თავები,  
ირგვლივ ჩრდილები პატარავდება  
და მუხლს უდრეკენ მზეს თავთავები.

ყანას შეებნენ ცელიანები, —  
თვალს უსწორებენ შუადღის ზეცას.  
და პურის ნამჯებს გლეხიკაცები  
ულოს უპერენ წილზე ორკეცად.

დაგრიბეს წნელის ანუერებიც,  
ყელზე შეაბეს დაუღლულ ხარებს...  
მიბარბაცებენ საძნე ურმები,  
წლის მოსავალი ყველას ახარებს!

და უღლის დევი ნიკორა ხარი  
თვალს აფეთებს გაკვირვებულს,  
მიდის მანქანა უზარმაზარი  
და ერთად მიაქვს ცხრა ზვინეული!

პაერში ვადგა ხმელი ფხის მტვერი,  
და აგროვებენ საბძელში თივას...  
ბრუნავს კალოზე ვეება კვერი, —  
და შინდის სისხო მარცვლები ცვივა.



შეყვითლებულა ჩაღის ფოთოლი,  
 მწიფე ხორბლელის ეღის ბეღელი  
 და საღამომდე მთელი სოფელი  
 შრომობს ჯანღონე გაუტეხელი.

და მუხის წვერზე კრიჰინობელა  
 უკრავს ჰიანურს გრძნობა მორევით,  
 იქვე ჩეროში თავის საბმელთან  
 ქვამარღს ლოკავს რუხი მოზვერი.

შემოდგომა რაჭაში



კაკლის ხეები ჩქარა დაბერტყეს,  
 ჩამოათავეს ჩაღის სამკალიც...  
 ყვითელი ფერი მოედო ტყეებს  
 ჭადრებს ფოთლები ცვივა კანკალით.

შეყვითლებულან მწვანე ჭაღებიც,  
 მხოლოდ ნაქენარი დგას ფერუცვლელი,  
 მთებიდან ნიავს ნაგვიანები  
 ჩამოაქვს ნეღლი თივის სურნელი.

და მწარე ბღების მწარე მერქანით  
 სოფელში ჭურებს რეცხავენ დილით.  
 მწიფე ვენახში მღერის ქედანი,  
 ცვარში გართხულა მტევენების ჩრდილი.

საწნაბღის ღარში აღიდებული  
 მოსჩქეფს დაწურულ ყურძნის ცრემლები,  
 და გრილ მარნებში ჩაფიქრებულნი  
 წვანან ვეება საწნაბელები.

ირგელივ ფუტკრების ისმის ზუზუნნი,  
 მდღლოზე ფოთლებს აბნევენ ხენი,  
 და დილით ზვარში ჩამწყრივებულნი  
 ყურძენს კრეფავენ კოღმეურნენი.

შორით რიონი მოჰქუხს ანკარა,  
 და ქარში მწვანე ნაძვები მღერის,  
 დაუღუღარი ბორგავს „ხვანჭკარა“, —  
 კაბაბერივით გუგუნებს ქვეერი.

ალაზ მისკაი ირი

## ქონრალ პალნროლი \*

★

### პაიღულობის მოთხრობა

სიიდან მოჰქრის ლიტველთა რაზმი? მოჰქრის ღამეულ თაედასხმებიდან, მოაქვთ ალაფი, მოტაცებული მტრის კოშკებიდან და საყდრებიდან, გერმანელები ხელემშეკრულნი, გაღმა გუნდ-გუნდად დატყვევებულნი კისერზე ქამანდ შემოხვეულნი, უკან მოსდევენ ცხენებს—ქურანებს. სეედიოთ გასცქერენ ტყვენი პრუსიას, ღვრიან თვალთაგან ცრემლებს მდუღარეს, კოვნოს დანახვით ზარდაცემულნი ღმერთს მფარველობას შეჰკლადებენ. კოვნოს შუაგულ, როგორც სამსხვეერპლო, გაჰიმულია ველი პერუნის, აქ თავადები, ვპირი ლიტველნი, ფიცხელ ომიდან დაბრუნებულნი სწევენ ჯვაროსნებს, ტყვე გერმანელებს, უძველეს ადათს ალასრულებენ. მხოლოდ უშიშრად მოდის კოვნოსკენ ტყვედჩავარდნილი ორი რაინდი, ერთი ყრმა არის კალმით ნახატი, მეორე წლებით წელში მოხრილი. შათ თვისი ნებით დასტოვეს მტერი, გერმანელების დაჰმეს ბანაკი, თვითონ ჩაბარდნენ ლიტველთ ტყვეებად, თავათ ეახლნენ თავად კეისტუტს. გარს შემოერთყენ ტყვეებს გუშაგნი და კოვნოსაკენ გამოაქანეს. ჰკითხეს: — ვინა ხართ, რომელ მხარიდან, რა მიზნითა ხართ ჩვენთან მოსულნი? „არა ვიცი რა, — ამბობს ჰაბუკი, — რა წოდების ვარ ან რა გვარისა. მხოლოდ ეს მახსოვს, ბავშვობაშივე გერმანელებმა ტყვედ წამიყვანეს. მახსოვს აგრეთვე, როგორც სიზმარი, თითქმის ოდესღაც ლიტვის ქალაქში იდგა მშობლების ჩემის სახლ-კარი, ფიცრული იყო ოგი ქალაქი. მალალ გორაკზე გვედგა შენობა ახალ აგურით წითლად ნაგები. გორაკის ირგვლივ ტრიალ ველებზე ამრიალებდნენ ტოტებს ნაძვები და ტბა კრიალა თეთრად ელავდა დიდ ველთა შორის და ტყეთა შორის. ერთხელ უეცრად შუა-ღამეში გამოგვადვიდა დიდმა ხმაურმა, ააღღარა ცეცხლმა სარკმელი, უცბად დაიშხვრენ ფანჯრის მინები. შინ შემოიჭრა კვამლი ყურუმო, გარეთ გავცვივდით ზარდაცემულნი. ქუჩა იწვოდა ცეცხლის ენებით და ნაპერწკლები ირგვლივ სცივოდა. იყო ძახილი — „შეიარაღით, ქალაქს დაესხნენ გერმანელები“. ზმალშემართული გადვშეა მამა და უკან აღარ დაბრუნებულა. ეზოში მტერი შემოგვივარდა. მე წამეტანა ერთი მხედარი, შე ამიტაცა, ცხენზე შემადგო... მერე რა მოხდა, არა ვიცი რა. მხოლოდ კივილი, დედის კივილი ღიღხანს მესმოდა გონდაყარგულსა. ხმალთა ჩხარუნში და მტრებისაგან ცეცხლმოკიდებულ სახლთა ნგრევაში

\* ვაგრძელება. „მნათობი“ № 9.

მე ეს კვილი ჩამჩა მტანჯველი, გამწარებული დედის კვილი,  
და დღესაც, როცა მესმის ხმაური და ხანძარს ვხედავ აგუგუნებულს,  
კვილი იგი ისმის ჩემს სულში, როგორც მეხის ხმა გამოქვაბულში.

აი ეს არის სრულად ყოველი რაც მე ლიტვიდან გამომყოლია,  
ან შობილებისგან ყრმობის დღეებში მე მიმიღია. მხოლოდ სიზმრებში  
სათაყვანებელ დედ-მამის სახეს და ძმათა სახეს ხშირად ვუცქერი,  
მაგრამ დროთა სვლა დაუზოგავი და იღუპალი მისი ბურუსი  
სქელი ბურუსი, ბნელი ბურუსი მათ სახის ნაკეთებს ფარავს თანდათან.  
ბავშვობის წლები ჰქროდნენ. ვცხოვრობდი გერმანულთ შორის ვით

გერმანელი.

სახელად ყმაწვილს მერქვა ვალტერი და მეტ სახელად ალფსა მეძახდნენ.  
მე გერმანული მქონდა სახელი, სული კი მქონდა მუდამ ლიტვეური.  
მე სიყვარული მქონდა შობილის უცხოელთადმი კი სიძულვილი.  
თვის ციხე-კოშკში მზრდიდა ვინჩიხი, დიდი მაგისტრი ჯვაროსნებისა.  
მზრდიდა შეილივით, თვითვე მომნათლა, როდი მაკლებდა ალერსს გამზრდელი.  
მაგრამ ნაღველი ღრღნიდა ჩემს სულსა, გამზრდელს ხშირ-ხშირად

გავეჭკოდი.

მამინ ცხოვრობდა გერმანულთ შორის ბერი ლიტველი ვაიდლოტი.  
ტყვედ ჩაეარდნილი დიდი ხნის წინათ, ჯვაროსანთ ჯარში თარჯიმანობდა,  
როცა გაიგო ჩემი თბობა და ლიტველობა ჩემი, ნამდვილი,  
თვისკენ მიხმობდა და ტყბილ ლიტვაზე მოგონებებით სულს მიამებდა.  
სულს მიამებდა შობილ მზარეზე ამბების თხრობით და სიმღერებით.  
მას ყმაწვილკაცი ხშირად მიეყავი ნემანის ცისფერ ნაპირებისკენ;  
როგორ მიყვარდა იქედან ცქერა მე შობილური მთავარებისა.  
როს სასახლეში დაებრუნდებოდით, ცრემლებს მომწმენდა მყისვე მოხუცი,  
რომ არ აეღოთ იქვი დამხდურებს. ცრემლს შემისრობდა, მაგრამ ფარულად  
შურისძიებას ჩამჩურჩულებდა და მახსოვს სახლში დაბრუნებული  
დანას ელესავდი ბავშვი ფარულად შურისძიებით გატაცებული,  
ეჭრიდი ვინჩიხის ძვირფას ხალიჩებს, გაბოროტებით ელენდი სარკეებს..  
სილას ვაყრიდი მის ელვარ ფარსა და გამწარებით ზედ ვაფურთხებდი.  
შემდეგ ქაბუკი ხშირად, სულ ხშირად მე კლაიპედის ნავთსადგურიდან  
ფარული ნავით მოხუცთან ერთად ვესტუმრებოდი ლიტვის ნაპირებს,  
იქ გატაცებით ვჭვრეტდი ვარდებს და მათი სურნელი დამათრობელი  
ჩემს სულს ავსებდა რაღაც ნისლოვან შორეულ დღეთა მოგონებებით.  
ამ სურნელებით მოვრალი ზელახლა გადვიჭკოდი თითქოს ყმაწვილად.  
მეჩვენებოდა, თითქოს ჩემს ძმებთან კვლავ ვთამაშობდი მამის ეზოში.  
ჩემს მოგონებებს ტყბილი მოხუცის ავსებდა სიტყვა ყვავილოვანი.  
ყვავილზე მეტად, ბალახზე მეტად იმ წარსულ დღეებს განმიახლებდა.  
რა კარგი არის ტყბილი მამული, ნათესავთ შორის მშვიდი ცხოვრება.  
რაოდენ ლიტველს, ჰაბტუს რაოდენს არ უგემნია ეს ნეტარება,  
ორდენის მძიმე ჯაჭვით შებოროკილს ყრმობა-დაღუწილს და გაწამებულს.  
მე ეს მესმოდა მხოლოდ ველებზე, მაგრამ პოლანგის ლამაზ ნაპირთან,  
ზღვა რომ ღრიალებს დაუქანცველად, ნაპირს რომ ებრძვის მრისხანებითა  
და აქაფებულ თავის ხორხიდან ქვიშას რომ აყრის განუწყვეტელად,  
მოხუცი ჰაბტუს მეტყოდა, ხოლმე: ჰხედავ იმ ნაპირს ნოხისებურსა?  
იქ სურნელოვან ბალახ-ყვავილებს ზღვა აყრის ქვიშას შეუბრალებლად.

წელში გატეხილთ ჰსურთ კიდევ ერთხელ კირთების ქვეშე თავის აწევა, მაგრამ ამჟამად ახალ-ახალი ტალღა ვეება, სილით გავსილი, ვით გველესაში მათეკნ მისცურავს მიჰქრის საზარელ თავის ფართლებით, რომ დაუნდობლად მოსრნას ყოველი და ყრუ უდაბნოდ გარდააქციოს.

შვილო! ჯეჯილი გაზაფხულისა საფლავში ცოცხლად რომ ჩაუშარხავთ, ეს არის ხალხი, თანამომენი ჩენი ლიტველი, მონადჭეველი, ხოლო ქვიშა კი, ქვიშა ურიცხვი და ბობაქარი — არის ორდენი“. ო, როგორ მსურდა ჯვაროსანთ ელეტა მოხუცის სიტყვებს როცა ვისმენდი. მსურდა შინ წასვლა, მაგრამ მოხუცი მყის აოკებდა ჩემს მშფოთვარ სულსა: „რანდს უფლება აქვს თავისუფალს ამოირჩიოს თვით იარაღი. დარჩი ჯერ კიდევ გერმანელებთან იცან სამხედრო ხელოვანება, დაიშახურე ორდენის ნდობა, შემდეგ ხეალის დღე გეჩვენებს გზასა“ — მეტყოდა იგი და მეც მორჩილად თან მივეყვებოდი ტეტონის ჯარებს, მაგრამ როს ენახე ლიტვის დროშები, მე პირველსავე შეჯახებაში როგორც კი ყურში ჩამწედა ნეომარს ჩენი სიმღერა — ძველი ლაშქრული, მყის ჩვენებისკენ გამოვექანე, ჩემი მოხუციც თან მოვიყვანე. როგორც შევარდნის ბარტყი ტყვედქმნილი სადმე გაზრდილი ცივ გალიაში — რომელსაც კუშტი მონადირენი ტანჯვით უხშობენ ჰკუა-გონებას, რათა ჰაერში გაჰყრას კლანჭები და შეუტეოს მძიმე შევარდნებს, როგორც კი იგრძნობს თავისუფლებას და შორს ღრუბლებში შეინაგარდებს, თვალს გადააელებს ბორკილ-აყრილი მშობლიურ ქვეყნის თვალუწვდენ ველებს, ის თავისუფლად ამოსუნთქავს მისივ ფრთების ხმას რა გაიგონებს. — მაშინ დაბრუნდი შინ, მონადირეც, მას გალიაში ნუ ელოდები!“ —

ყრმამ დაასრულა. მას კეისტუტი ჩემად უსმენდა გატაცებული, უსმენდა ჰაბუქს ქალი აღდონა, ტურფა ასული კეისტუტისა. დრო მოცურავდა შემოდგომისა მოცურებდა გრძელ საღამოებს; ქალი აღდონა ჩვეულებრივად დებთან, სწორებთან, ამხანაგებთან საღამოობით დკიმთან ჯდებოდა, ან საერთო ჯარას ატრიალებდა. და როცა მაჭო დასრიალებდა, როცა ელაედა ნემსი ქსოვილში, ვალტერი მშვიდად ქალს უყვებოდა გერმანელთ ქვეყნის საოცრებებსა. უთხრობდა თავის თავგადასავალს; უსმენდა ქალი გატაცებული და ვაყის ამბავს, როგორც მწყურვალი ის მთელის გულით ეწაფებოდა; იგი ზეპირად ყველა ახსოვდა და ხშირად სიზმრად ჰქონდა ქცეული. „ნემანის იქეთ — ამბობდა ვაყი — დგანან ვეება ციხე-კოშკები, ხალხს ტანსაცმელი აქვს უმდიდრესი, მრავალნაირი აქვს გასართობი. ფიცხლად ამსხვრევენ შუბებს გმირები დოღში ურთიერთს შეჯიბრებულნი, იქვე მალღობზე მსხდომი ქალები გვირგვინს უძღენიან გამარჯვებულებს. ქალს უყვებოდა მშვიდად ვალტერი გერმანელთ ღმერთის ერთ-არსებაზე ნემანის გაღმა ის ჰყავთ მფარველად და ღვთის მშობელი წმინდა მოწყალე. ხატი აჩუქა ასულს ჰაბუქმა ყრმობიდან მკერდით რომ ატარებდა წარმტაც სურათზე გამოსახული ღვთის სახე იყო ანგელოსური. ხატი აჩუქა და ქრისტეს სჯულის სარწმუნოებას უქადაგებდა. ის ქალთან ერთად ლოცვებს ამბობდა და რაც იცოდა სურდა ყოველი

ლიტველ ქალისთვის ესწავლებინა, მაგრამ ასწავლა მოულოდნელად ის, რაც თვითონაც ჯერ არ უწყვიდა—მან შეასწავლა ქალს სიყვარული. ქალს შეასწავლა, მაგრამ თვითონაც მისგან სწავლობდა გულანთებულო, ისმენდა მისგან მშობლიურ ენის სანუკვარ სიტყვებს გადავიწყებულს; ყოველი სიტყვა მის მღელვარ სულში სულ ახალ გრძნობებს განაღვიძებდა. როგორც ნაცარში ჰკრთის ნაპერწყალი ისე ელაფენენ ეს გამოთქმები: ნათესაობა და მეგობრობა ტყბილზე ნუგბარი და უნაზესი, მაგრამ ყველაზე ტყბილი სიტყვაა გამოთქმა ტრფობა-სიყვარულისა, მას მხოლოდ ერთი გაუტოლდება: მისი ტოლია სიტყვა „მამული“.

„რად შეიცვალა—სწუხს კეისტუტი—ჩემს ასულს რა აქვს დასალონები? სად გაჰქრა მისი მხიარულება, მისი თამაში დღემდე ბავშვური? კვირა-უქმე დღით ყველა ქალწული სადმე ერთობა ცეკვა თამაშით, ის კი ვაჟთან ზის განმარტობით, ვალტერს მარტოკა ესაუბრება. როს ყველა საქმობს შრომის დღეებში დაზგებთან სხედან მრთველნი, მქსოველნი,

მას უვარდება ნემსი ხელიდან ეხლართებიან დგომში ძაფები. ყველა მიამობს; ჩემი ასული რა უჩვეულოდ დაბნეულია, გუშინ მეც ვნახე: ვარდი ფარდაზე ამოქარგა მწვანე ძაფებით ხოლო ფოთლები ამოქარგა ღია წითელი აბრეშუმითა. დაბნეულია, მამ რა იქნება, როცა ყოველ წუთს მისი თვალები ვალტერს ეძებენ, მათთან შეხვედრას, მასთან საუბარს ელოდებიან. როცა მე ვკითხავ — „სად იყავ, ქალო“, — მეტყვის: — მინდორში

დაესეირნობდი, —

საიდან მოხვალ, ჩემო ასულო, — მეტყვის — მინდვრიდან — იქ ჩემს ქალიშვილს ყრმამ გაუშენა ბალი ლამაზი, მაგრამ ის განა უკეთესია, ეიღრე ბაღნარი ჩემის კოშკისა? მდიდარი არის მამის ბაღნარი, იქ უტყბილესი ხარობს ხეხილი, კოვნოს ასულთა წარმტაცებელი. არა, ბაღები მას არ იტაცებს. ზამთარში ვნახე მისი სარკმელი, რომელიც ნემანს შორით გასცქერის. იმ ფანჯარაში მინა ყოველი ვასარკულია როგორც მაისში, ყინვით არასდროს არ იფარება. იქ დასეირნობს ვაჟი ვალტერი. ჩემი ასულიც მის მოლიდინში ზის ფანჯარასთან და ცხელი ოხვრით ყოველდღე აღნობს ყინულს მინახე. ასე მეგონა, ვაჟი ჩემს ასულს წერას და კითხვას შეასწავლიდა. ახლა ზომ ყველა თავადის ქალმა უნდა იცოდეს კითხვა და წერა. ყრმა კეთილია, კარგი მებრძოლი, წიგნის მცოდნეა მღვდელმსახურით მას მე სახლიდან ვერ გავაძეევებ, იგი საჭირო არის ლიტვისთვის. სამხედრო საქმის არის ოსტატი და სიმავრეებს აგებს საოცარს, ცხელ იარაღსაც იგი ვეასწავლის. ჯარში ერთი მყავს გამორჩეული. მამ, მოდი, ვალტერ, სიძელ მიგიღებ, მშობელ ლიტვისთვის იყავ მებრძოლი“. ვაჟმა შეირთო ნაზი აღდონა. თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, გერმანელებო, რომ აქ მთავრდება მოთხრობა ჩემი, როგორც ეს ხშირად თქვენს რომანსებში, როდესაც გმირი შეირთავს ქალსა — იქ ტრუბადურის დამთავრდა ჰანგიც; მხოლოდ ერთს რასმე დაუმატებენ — დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერადო. ვალტერს უყვარდა ცოლი თავისი. მაგრამ ფაქიზი სული ვაჟისა ბედნიერებას შინ ვერ ჰპოვებდა, რადგან არ იყო იგი მამულშიც.

როგორც კი გადნა თოვლი მიწაზე, როგორც ამდერდა ველში ტორფი (ყოველ მხარეში მისი ტყბილი ხმა ბედნიერების მომლოცველი ხოლო საბრალო ლიტვას ყოველთვის იგი აუწყებს უბედურებას).

დაიძრა ტალღა ჯვაროსნებისა, მოდის ლაშქარი დაუთვალავი, ნემანის გაღმა ხეობებიდან თვითონ კონომდგ ისმის მრისხანე გლარუნი მათი იარაღისა, ჯარის ხმაური, ცხენთა ჭიხვინი. ველებს მოედნენ მრუმე ნისლივით გაქანებული ლეგიონები. აქა-იქ მოსჩანს მალააწყვდილი მეწინავეთა დროშა-ალმები, ვითარცა ელვა ქარიშხლის წინა ნაპირს მოადგნენ გერმანელები. ნემანზე გასდეს მყის ხიდეები, გარს შემოეწყვენ კონოს ალყურად. დღითიღღე ლეწენ კოშკთა ქონგურებს, კლდეებს ანგრევენ მძლე

ურნალები

და ღამლამობით, ვით თხუნელები, მრისხანედ თხრიან მიწას ნაღმები. ცეცხლით ანთებულ ცის კამარაში მიჰქრის ყუმბარა თავზარდამცემი, უცებ ეცემა სახლის სახურავს, როგორც აცხრება ჩიტს შევარდენი. კონო დაინგრა. კაიდნისაკენ უკან იხევენ ლიტვის ჯარები, მაგრამ დაინგრა თვით კაიდანიც, ტყეში გავიდა ხალხი ლიტველი. ლიტველნი ბრძოლით უკან იხევენ, წინ-წინ მოდიან გერმანელები. კეისტუტი და ვალტერი ომში სულ წინ უძღოდნენ მებრძოლ რაინდებს. მშვიდად უცქერის ომს კეისტუტი. ის ბალღობიდან არის ჩვეული მტერთან შეხვედრას, ბრძოლას, დაცემას, დამარცხებას და გამარჯვებას. კარგად იცოდა რომ წინაპრები ებრძოდნენ მუდამ გერმანელებსა. ისიც იბრძოდა წინაპრებივით და არც ელოდა სხვაგვარ მომავალს, ხოლო ვალტერი სხვა რიგ ფიქრობდა, გერმანელთ შორის აღზრდილს ენახა, თუ რა ძლიერი იყო ორდენი. სწამდა მაგისტრის მოწოდებაზე მთელი ევროპა მას გაჰყვებოდა ჯარით, ქონებით, იარაღითა. ორდენს ებრძოდნენ პრუსიელებიც და ტევტონებმა მოსპეს ისინი და დღეს იქნება თუ ხვალ იქნება ლიტვაც ტევტონებს დაემონება. პრუსიელების ბედი იცოდა და ლიტვის ბედზე სწუხდა ჭაბუკი. „შეილო,— შესძახა ვაჟს კეისტუტმა,— ეგ წინააწარ თქმა საშინელია, თვალზე ამხადე დღეს საბურველი და შავს უფსკრულში შენ ჩამახდე. მე მოვისმინე შენი სიტყვები და მკლავთა ჩემთა ღონე დაჰკარგეს, გამბედაობამ სრულად დამტოვა, რადგან დაჰკარგა სულმაც იმედი. „მამა, რას გავხდეთ გერმანელებთან? — იყო ვალტერის მშვიდი პასუხი. ერთ საშუალებას ვიცნობ საშინელს, იგი ნამდვილად ერთადერთია, მას მე ოდესმე შენც გაგიმტკიანებ“. ასე მსჯელობდა ორი რაინდი, როცა დროებით ბრძოლა მიწყნარდა, სანამ ნალარა მათ კვლავ იხმობდა.

ღარღმა მოიცვა კვლავ კეისტუტი: — ვალტერიც როგორ გამოიცვალა, თუმც მზიარული იგი არასდროს მას არ უნახავს, არცა ყოფილა. ბედნიერების წუთშიც კი ეკრა მის სახეს ნისლი ჩაფიქრებისა, მხოლოდ აღღონას ხვეწნა-ალერსში ჭაბუკის სახე განათდებოდა, გაღიმებული ხედებოდა ქალსა და მწველი ცქერით მიაცილებდა. ახლა კი რაღაც სევდამ ფარულმა გაჰყინა მასში გრძნობა ყოველი,



ის ყოველ დილით ჩაფიქრებული, სახლის წინ გულზე ხელდაკრეფილი გასცქერის შორით ცეცხლმოკიდებულ სოფლების თავზე კვამლის ტილოებს და მისი ცქერა არის ველური. დამითაც უცებ საწოლს დასტოვებს, სარკმლიდან გასცქერის ისევ და ისევ სოფლების თავზე ცეცხლის დაფიონს.

„ჩემო ძვირფასო, რა გეშარტება?“ ქმარს ეკითხება ნაზი აღდონა.

„რა გეშარტება? ვფრთხილობ, მძინარეს, თავს არ წაგვადგენენ გერმანელები და გაბაწრულნი მოულოდნელად არ ჩაუფარდეთ ჩვენ მათს ჯალათებს“.

„ღმერთო, ვეაშორე უბედურება, ხომ დარაჯობენ ზღუდეთ გუშაგნი?“ —

„დიად, დარაჯად დგანან გუშაგნი და მეც მზადა მაქვს ხელში მახვილი, მაგრამ თუ გასწყვეტს მტერი დარაჯებს, ეს ჩემი ხმალიც გაილუნება. წარმოიდგინე, სიბერის დღენი როგორ გვექნება გამწარებული“ —

„ღმერთი ბავშვებით ჩვენც ვაგვახარებს“ „მაგრამ როს მოვლენ გერმანელები, ცოლს მომიკლავენ, ხოლო პატარებს მოიტაცებენ, შორს წაიყვანენ, რომ შეასწავლონ მხედრის ხელობა, რათა ესროლონ თავის მამასა. ხომ შეიძლება მეც დამეხოცა ჩემი ძმები და ჩემი მშობლები, რომ არ შენახა ვაიდულოტი — „ო, ჩემო ვალტერ, ჩქარა გავიქცეთ შორს, ჩვენს ლიტვაში გადავიძალოთ, მთებში გავექცეთ გერმანელებსა“.

„როგორ! გავიქცეთ? და სხვა დედები და სხვა ბალები ოხრად დაეტოვოთ? ასე ვარბოდნენ ბრუსიელები, მაინც ლიტვაში სწვდა გერმანელი; ჩვენც დავგუწევა იგი მთებშია“ — „მამ კიდევ უფრო შორს გადავიკარგოთ“.

„კიდევ შორს სადღა? საბრალო ქალო, როგორც კი ლიტვის საზღვარს გავცდებით, თათრებს ან რუსებს ჩაუფარდებით“. მეზდაკრულივით შეკრთა აღდონა.

ენა წაერთო, უცებ დადუმდა. მას ხომ აქამდე მუდამ ეგონა, რომ მისი მხარე, მისი სამშობლო დიდია როგორც მთელი ქვეყანა. პირველად ესმის, რომ მთელს ლიტვაში ვერ ნახავს კაცი თავშესაფარსა.

„მამ რა ვქნათ, ვალტერ, რაღა ვიღონოთ?“ ჰკითხა ქმარს ცოლმა ხელების მტრევეით.

„ჩვენ დაგვრჩა ერთი საშუალება, ერთი გზა დაგვრჩა მხოლოდ ლიტველებს: უნდა დაველწოთ ორდენის ძალა. ვიცნობ ამ ნამდვილ საშუალებას, მაგრამ არ მკითხო, ჩემო აღდონავ, წყეული იყოს იგი საათი, როცა მტერთაგან იძულებული მე მას მიემართავ შესასრულებლად“.

ვაეი დადუმდა, სხვა არღარა სთქვა, არ. შეიწყნარა თხოვნა ქალისა. თვალით ხედავდა, გულით უსმენდა მშობლიურ ლიტვის უბედურებას. შურისძიების უწმინდეს ცეცხლსა გულში უსიტყვოდ დაატარებდა, რაიც სულ უფრო ძლიერდებოდა დამარცხების და ტანჯვის ხილვითა. მან ყველა გრძნობა გულში ჩაიკლა, თვითონ ის გრძნობაც უსიამესიც, რომელიც დღემდე ასულდგმულედა—გრძნობა უწმინდეს სიყვარულისა.

ხეტილობდნენ დიდხანს ლიტველნი მთაში და ტყეში გახიზნულები, მარჯვედ ესხმოდნენ თავზე ჯვაროსნებს, მარჯვედ იხევდნენ

და აი ერთ დღეს თავდამსხმელებთან მოხდა მრისხანე ომი რუდავის, სადაც მრავალი ათი ათასი გაწყდა ჩაუქი მოყმე ლიტველი. გაწყდა დიდი სპა ჯვაროსნებისა, ომში ნაწრთობი მეთაურებით. მაგრამ მანველი ჯარი ჯვაროსნებს ზღვის გაღმა მხრიდან გამოეცხადა. პირჩამსხვრეული ხმლების ტრიალით და შელეწილი ფარის ფარებით, მცირე ამალით მთებში გაიჭრა კეისტუტი და გმირი ვალტერი სისხლში შესერილნი, მტერით გამურულნი სახლში შევიდნენ ნალელიანები. ცოლს არ შესძედა თვალში ვალტერმა, შებრუნდა როგორც დაუბრებელი, ვაიდლოტთან და კეისტუტთან მან გერმანულად იწყო თათბირი. ქალს გერმანული ენა არ ესმის, მხოლოდ გული კი უგაძნობს წინასწარ საშინელ ამბავს რამ საიდუმლოს. და აი ბჭობა რა დაასრულეს, სამთავემ ერთად მძიმე ნალეელით ცქერა მიაპყრეს შემკრთალ აღდონას. ყველაზე დიდხანს ფარული ტანჯვით უცქერდა ასულს ქმარი მწუხარე და მის თვალთაგან ვით ნიაღვარმა უცებ იფეთქა ცრემლმა მდულარემ. მყის ქალის ფერხთან პირქვე დაემხო. ასულის ხელებს მკერდზე იკრავდა და პატიებას სთხოვდა მეუღლეს, რომ ტანჯვა-კმუნეას ვერ განაჩიდა. — „ვაი იმ ქალსა, — ამბობდა ვაჟი, — რომელსაც შმაგი უყვარს ჭაბუკი, ჭაბუკი, ვისი თვალებიც რბიან საკუთარ ეზოს საზღვრის გადაღმა, ვისი ფიქრებიც, ვით სქელი კვამლი სახლებზე მაღლა მარად ფრინავენ და ვისი გულიც სიტკბოდ არა სთვლის მხოლოდ ოჯახურ ბედნიერებას, უზარმაზარი გული, რომელიც ჩემო აღდონავ, სკას მოგვაგონებს, ამ გულს თუ თაფლი არ ამოაცხებს, ხვლიკების ბუდედ გადაიქცევა. ნუ დაიბღონდი, ჩემო აღდონავ, დღეს მაინც მინდა შენთან დარჩენა, სულ დაეიფიყებ მე ყოველივეს. დღეს შენთანა ვარ, მსურს ვიყო მარტო, როგორც ოდესღაც, ხეალ კი, ძვირფასო...“ ჭაბუკმა სიტყვა არ დაასრულა. ბედნიერია ახლა აღდონა. საბრალოს უნდა კვლავ დაოჯეროს, რომ შეიცვლება მისი ვალტერი, ისევ იქნება გულმზიარული. აი, ის უკვე არ ჯავს მკმუნეარეს, თვალებიც უფრო გაბრწყინებია. სახე უცინის. მთელი საღამო აღდონას ფერხთან მან გაატარა, ვადაეიფიყდა, ლიტვა, ომები და ჯვაროსნების გულარძნილობა; ბედნიერ დღეებს მოიგონებდა: მშობელ ლიტვაში შინ დაბრუნებას, მასთან შეხვედრის პირველ სიხარულს, მინდორში პირველ გასიერებას და ყოველივეს, რაც სიყვარულმა ტბილად ხსოვნაში მას შეუნახა. მაგრამ რა არის, სიტყვა „ხვალ“ მყისვე რატომ უწყდება ქმარს საუბარში? რად უცქერს თვალისმოუშორებლად, ცოლს, იღუმალად ჩაფიქრებული? ვაჟკაცსა თვალში ცრემლმორეულსა რატომ ვერ უთქვამს გულის ნაღები, ნუთუ წარსულის ტბილი დღები და ხსოვნა ძველი ბედნიერების მისთვის მოიხზო, რომ ამ წამშივე მათ ყველას ერთად დაემშვიდობოს? ნუთუ ეს ხვეწნა და საუბარი, ამ საღამოს მასთან აღერსი არის ციმციმი უკანასკნელი ტბილ სიყვარულის მწველი სანთლისა? რა, რა იფიქროს! რას მიაწეროს; აღდონა დგება შესფოთებული და დარბაზიდან ჩუმად გასული უცქერს მეუღლეს ჭუჭრუტანიდან. ვალტერი ისხამს ლეინოს ჩქარ-ჩქარა, კიქას კიქაზე სცლის ზედიზედა,

დასვა მოხუცი ვაიდლოტი და მთელი ღამე შინ დაიტოვა.

მზე დიდებული წითლად ამოდის, ისმის ფლოქვების სწრაფი თქარუნნი. ნისლში გამოჩნდა ორი რაინდი. მიჰქრიან, მთებში მიიჩქარიან, თუნდ ათას გუშაგს გზას აუბნევენ, მაგრამ ვერ შესძლეს ერთის გასხლტომა. ფრთხილია თვალი სიყვარულისა — მათი გაქცევა იგრძნო აღდონამ, გზა გადაუჭრა ფიცხლავ რაინდებს. მწუხარე იყო მათი შეხვედრა: „ო, შინ დაბრუნდი, ქალო ძვირფასო, ეძებე შენთვის ბედნიერება, იქნებ ნამდვილი ბედნიერება სულ სხვა ოჯახში აღმოაჩინო. ხარ ახალგაზრდა და თვალწარმტაცი, დარდს გაიქარებ, დაგავიწყდები, რამდენი ვაჟი, დიდი თავადი ესწრაფებოდა შენს შეუღლებას. ამიერიდან თავისუფალი ხარ ქერივი დიდი ადამიანის, ვინც ანაცვალა შენთან სიცოცხლე თავის სამშობლოს ბედნიერებას. იყავ დღეგრძელი, გადამივიწყე, მხოლოდ ხანდახან ცრემლით მახსენე. დღეს ყოველივე უკვე დაჰკარგა, მარტოკა დარჩა ქვეყნად ვალტერი და, როგორც ქარმა უღაბნოშია, სულ მარტომ უნდა იხეტილოს, გასცეს, გაეღიჯოს, ბრძოლით იაროს და სამარცხვინო სიკვდილით მოკედეს. მაგრამ გაივლის წლები და ისევ ახმაურდება აღფის სახელი, ისევ აღსდგება და მოწიწებით იმღერებს ბევრი ვაიდლოტი. შენც გაიგონებ მასზე გალობას, ძვირფასო ჩემო, გაგახსენდება, რომ საოცარი იგი რაინდი ახლა მოცული იღუმალებით შენი ნაცნობი, შენიანია, შენი მეუღლე გადაკარგული. დაე, ეს გრძნობა სიამაყისა შენს ქერივ-ობლობას გიმსუბუქებდეს.“ ქალი უსმენდა გარინდებული და ვერ გაეგო ქმრის ნათბარი; „მტოვებ, მიდიხარ?“ უცებ შეჰკვივლა, თითქოს გაქვავდა ღონემიხილი, „მტოვებ, მიდიხარ?“ მხოლოდ ეს სიტყვა დაუფლებოდა მის გონებასა, მასში წარსულიც და მომავალიც უცებ დაბნელდა და აირია, მხოლოდ გული-და ეუბნებოდა, რომ ვერ ნახავდა ქმარს დაბრუნებულს და ვერც ოდესმე დაივიწყებდა. მწუხარე თვალთა უღონო ცქერა სხივებამქრალი და ცრემლიანი, ხედებოდა ვაჟის ცქერას ნაღელიანს, მაგრამ იქ იგი ახლა სანუკვარს ველარ ხედავდა ნუგეშს ძველებურს. თითქოს ეძებდა თავშესაფარსა, იცქირებოდა შორს დაეინებით, ირგვლივ უღაბნო იყო გაშლილი, შორს, შორს მოსჩანდა ტყე უდაბური. იქ ტყეთა შორის, ნემანის გაღმა თეთრად ელავდა კოშკი ეული, ის, მონასტერი ბერმონაზონთა თავშესაფარი ქრისტიანული, მას მოხვდა უცებ ცქერა ქალისა. მასზე შეჩერდა მისი გონება, ინე ვით მტრედი მღელვარე ზღვაში ქარიშხლის ტალღით მოტაცებული ზომპლდის ანძას ზედ მიიწყდება ღონემიხილი და დაქანცული. ქმარი მიუხვდა ცოლს განზრახულსა, გაჰყვა აღდონას სულგანაბული და საიდუმლო გეგმა თავისი ჩუმად გაანდო, სთხოვა დუმილი. მწუხარე იყო მონასტრის კართან დაშვებობება და განშორება. გაჰქრა აღფი და ვაიდლოტი. მას შემდეგ გაჰქრა მათი ამბავიც. ვაი მას, ვაი თუ აქომამდე ვერ შეასრულა ზრახვა თავისი, თვისი უარყო და აღდონასაც თუ მოუწამლა ბედნიერება. თუ ამოდენა მსხვერპლი გაიღო და დაეკარგა ფუქად ყოველი. ამას გვაჩვენებს დღე ხვალინდელი. მოვრჩი სიმღერას, გერმანელებო“.



„შემდეგ რა მოხდა? რატომ წავიდა?“  
 წამოიშალა სუფრა მდიდრული.  
 მხოლოდ მაგისტრი არ შერხეულა,  
 ზის საფარძელში თავჩაქინდრული.  
 არაფერს ამბობს. არცვის უცქერის,  
 შუბლი შეუკრავს ფიქრებით სავსეს.  
 მხოლოდ ღვინოს სვამს. სულმოუთქმელად  
 აცარიელებს ვეება თასებს.  
 ფიქრი ფიქრს ებრძვის და ამ ბრძოლაში  
 ვეღარ ერევა გულს ნამთვრალევი.  
 როგორც მერცხლები ქარიშხლის წინა,  
 დაწრიალებენ მისი თვალები.  
 აგერ თანდათან სახე ეცვლება  
 და უცახცახებს მთელი სხეული.  
 უცბად მოიძრო მან მოსასხამი:  
 და წამოვიდა განრისხებული:  
 „სად არის ბოლო! სიმღერის ბოლო!  
 რად გიკანკალებს ხმა უმადური...  
 შენ გეშინია? მე დაეასრულებ...  
 ამივსე თასი, მომეც ფანდური...  
 მე კარგად გიცნობთ ვაიდულოტებს...  
 თქვენი სიმღერა ბედს ემღურება.  
 და როგორც ღამე ძაღლების ყმუილს,  
 მოაქვს ჭირი და უბედურება.  
 თქვენი სიმღერა მკვლელებს უმღერის,  
 ხანძარს შეჭხარის თქვენი ოცნება...  
 თქვენი სიმღერა ყრმას აკვანშივე  
 გულზე გველივით შეაცოცდება.  
 შეიცოცდება, შემოეხვევა  
 და უსასტიკეს ასმევს საწამლავს...  
 სახელის ძებნა, მამულის ტრფობა  
 იმ სიმღერების შხამმა გვასწავლა.  
 „იგი ვაჟაკის სასთუმალთან დგას,  
 როგორც აჩრდილი მოკლული მტრისა.  
 იგი ნადიმზე ხშირად გვეწვევა,  
 რომ გაერიოს ღვინოში სისხლად.  
 ბევრი მსმენია მსგავსი სიმღერა  
 და ვიცი თქვენი კაცობის ფასიც...  
 შენ ომი გინდა... დე იყოს ომი.  
 აღსრულდეს აღთქმა... ამივსე თასი...  
 ძველი სიმღერა? ახალს ვიმღერებ,  
 რომელსაც გული დიდხანს მალავდა...  
 როცა ვიბრძოდი კასტილიაში,  
 მავრმა მასწავლა ერთი ბალადა.  
 „მაშ დაუკარი ჩქარა მოხუცო,  
 ტყბილი მუსიკა ჩემი ბავშვობის...



და მეც ვიმღერებ....  
ნეტავი იმ დროს,  
როცა ჭალაში დავთამაშობდი.  
„დაბრუნდი, თორემ ღმერთებს ვფიცავარ!“  
მისი მუქარა მომღერალს სჯერა.  
მყისვე დაბრუნდა და სიჩუმეში  
ისევ გაისმის ფანდურის ქლერა.  
ამასობაში სანთლებიც ჩაჰქრნენ,  
ჩამოუარა ძილმა მაგიდებს,  
მაგრამ კონრადის შმაგი სიმღერა  
ისევ აფხიზლებს დაღლილ რაინდებს.

(დასასრული იქნება).

## შერმა ივრის პირას

მიოთხრობა

★

I

ივრის ნაპირი ცხერის ფარას გადა-  
ეთერებინა. ქალის სიმღერა უფრო  
გაძლიერდა, მეწინავე ვაცებმა ნეკერის  
კორტნა მიატოვეს და თავები შალდა  
ასწიეს. ანკარა იორი თეთრ ლოდებზე  
მიჩხრიალებდა და თითქოს ისიც თავის  
ენაზე მღეროდა.

ბიჭაბატონები ერთი მეორეს ერჩო-  
ლებოდნენ. ყველაზე უფრო გათამამე-  
ბულს სუსტი ბატკანი ძირს დაეგდო და  
ზევიდან დაჰყურებდა.

მათემ კომბლით უბიძგა მრჩოლავ  
ბატკანს და წინ გაიგდო. მას ბამბურა  
ბოხოხი შებლზე ჩამოეფხატა, შავ  
მჯიდა თვალეზში სიხარულის შექი  
უკროდა და სახე წამოწითლებული  
ჰქონდა. ბარკოიან ნაბადში გახვეული  
რსე მიდიოდა, თითქოს თივას ზეინს  
ფეხები გამოხმიაო.

სიმღერა მიწელდა. მათე ბიჭაბატ-  
კანს დაეჰაღნა: ჩხუბი არ გაბედო, თო-  
რემ ჩემს კომბალს მოკაუტებელი თავი  
აქესო. და დინჯად გზა განაგრძო.

ქალის წყრილა ხმით მოჯადოებულ-  
მა მათემ ველარ მოითმინა და ფერმოს-  
კენ გაუხვია. შალდა გომში მართა ეგუ-  
ლებოდა და პირდაპირ კარს მიადგა.  
სიმღერა შეწყდა. ახლა რძის ჩხრიალი  
მოესმა, მათემ შიგ შესვლა მაინც ვერ  
გაბედა და ღია ფანჯარას მიადგა.

მართა ძროხას წველიდა.

— მართა! — აღერსიანად დაუძახა  
მან.

ქალი შეცბა, კაბის კალთა გაისწორა  
და სახეზე წამოწითლდა.

— მათე!

— დიად მათე ვარ, ერთი საწყალი  
მწყემსი, შაქრო ხომ არ გეგარნე. იგი,  
ღღეს თუ ხვალ, აქ გაჩნდება. მას ხომ  
არ უმღეროდი?

— შენ თუ ლაბარაკი იცოდი არც კი  
მეგონა! აი, თურმე, რა გრძელი ენა  
გქონია, ბიჭო!

მართა წამოდგა, ვეცისკენ არ მიუ-  
ხედავს, რძით გაზიზინებული ტაგანი  
კასრში ჩააპირქვევა.

— რა იცი, შაქრო როდის ჩამოვა?—  
ჰკითხა მართამ და მეორე ძროხისკენ  
წავიდა.

— წერილი მოიწერა.

— ყოველშემთხვევაში შენ არ მოგ-  
წერდა!

— მე რატომ! მართა ხომ არა ვარ.

— ნუ სწუხარ, მე ჯერ წერილი არ  
მიმიღია.

— არც უნდა მიიღო!

მუხასავით ტანაყრილი მათე ფანჯ-  
რის რაფას სწრაფად გადაეცლო და ქა-  
ლის წინ ბოძივით დაესო.

შეკრთა ძროხა, ტაგანს ფეხი ჰკრა.  
მართა წამოხტა.

— აქ რა გინდა!— შეჰკვივლა მან.

— შენი სიყვარული!

ეს სიტყვა ძალიან უადგილოდ მოეჩ-  
ვენა მართას და უცებ განრისხდა.

— რა უფლებით, მე როდის მომი-  
ცია დასტური!

— ვარდს არ ეციოხებიან, როცა მოწყვეტენ.

— მე ის ვარდი ნუ გგონივარ! წადი, არავინ დაგინახოს.

მათემ ნაბადი შემოიხვია, ფაფახი ჩამოიფხატა და ამხელა კაცი მუშტის ოდენა გახდა.

— ჩემი აქ ყოფნა გესირცხვილება?! — ნაღვლიანად ჰკითხა მან.

— რას იტყვის სოფელი წადი! — განუყოფა კიდეც.

მათეს ენა ისე როდი უჭრიდა, როგორც მკლავი.

— მშვიდობით! — სთქვა მან და, თითქოს მოწყალეობას ითხოვს, ქალისკენ ხელი გაიშვირა.

— მშვიდობა მაშინ იქნება, თუ აქედან წაბრძანდები! — გათამამდა მართა.

— ჰა, მივდივარ, რა მოგივიდა? კარმა გაიჭრიალა...

მარტოდ დარჩენილი მართა ერთხანს კიდეც იღვა მღუმარედ, მერე ტავანი აიღო...

\*  
\*  
\*

მართა დიდ უარზე იყო. ფერმის გამგედ არ ამირჩიონო და ერთი-ორი დღე კოლმეურნეობის კანტორას ახლოს არ მიჰკარებია, მაგრამ სოფელს სად დაემალებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გელაანთ ხიპაურა ბრაზობდა, შაქროს ემუქრებოდა.

— არა, არსად არ გაგიშვებ ხალხი ისედაც მაკლია.

შაქრო შეშფოთდა, ვაი თუ მართლა არ გამიშვანო და მართას სახლში გაბრაზებული მიიჭრა, ოთახში არ შესულა, კარებში შედგა.

— შენი არ გამკვირვებია, ფერმის გამგედ გეპატიუებიან და უარს ამბობ. მამ სულ ძროხები უნდა წველო.

— დიახ, უნდა ვწველო! ასე მინდა!

— მე არ მინდა ასე, დროებით იმე-

შავე და მერე მე ჩამოვალ. არ გიხარია?!  
ერქონესული

— სრულებითაც არ მინახავს! — სწრაფად შეხარბოდა მართა, მაგრამ, ხომ ხედავ, მუშაობამ როგორ გამიტაცა. ფერმა ჩამორჩენილია, რა უნდა გავაკეთო იქ!

— აჰა, მაკრიტიკებ კიდეც — მწყურალად მიუგო შაქრომ, მაგრამ მაშინვე შეიცვალა გეზი. იგრძნო: ჩხუბით კი არა, კარგი ენითაც ვერაფერს გახდებოდა, რომ რაიკომის ინსტრუქტორი და ხიპაურა არ მოშველებოდნენ.

მართა დაითანხმეს. მეორე დღეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ფერმის გამგედ აირჩიეს. სანამ ახალი მწველავი მოვიდოდა, მართამ მისი მოსაველელი ძროხები ვერავის მიანდო.

— დღეს თუ ხვალ მწველავი მოგივია, არ შემარცხვინო იცოდე, რძე ბლომად მიეცი. უთხრა მან „რძიას“ და მეორე წველა განაგრძო.

II

ახალი გაზაფხულის ციემა ღამემ მოატანა.

მართა შინ გვიან დაბრუნდა. მართას სახლი ქალიგორაზე დგას. მისი ფართო აივნიდან ბალ-ვენახებით მოხატული ივრის ხეობა მოსჩანს. აივანზე მუდამ გრილა, მეტადრე საღამოთი, როცა ივრიდან წამოსული ნიავი ხეებს აამრიალებს.

მართა ფეხბაკრფით შევიდა წინა ოთახში და კარი შიგნიდან გადაკეტა. დედას ეძინა.

მისი ოთახი პატარა იყო. საწოლის გარდა, წიგნებით სავსე მრგვალი მაგიდა და სამიოდე სკამი იდგა. კედელზე პატარა ლამა ეკიდა და მისი შუქი ოთახს საკმაოდ ანათებდა.

მართამ საშინაო კაბა ჩაიცვა, წაბლისფერი თმა გაისწორა. ლურჯი, მოციმციმე თვალები მის სახეს სანდომიან იერს აძლევდა. მარცხენა ლოყაზე პატარა შავი ხალი უხდებოდა. წარ-

ბები მალა ჰქონდა აწეული და ლაპარაკის დროს ოდნავ იღიმებოდა.

მის მაგიდაზე ბროშურებს შორის ერთი წიგნაკი იყო, „ბრძოლა ყველა-ღობის გადიდებისათვის“, რომელიც გუშინ წაიკითხა, ამ დღითაც გადაფურცლა, ზოგიერთი ადგილი შემოხაზა და გაიფიქრა:

ქალამი დალოცვილია. ამ ათფურცლიან წიგნში რამდენი რამე ჩატეულა, მაგრამ მოდი და ყველაფერი ეს საქმედ აქციე!“

მან აიღო ეს ბროშურა, ხელახლა გადაფურცლა, ამოხაზულ ადგილებს თვალი გადაავლო და მერე ბალიშის ქვეშ ამოსდო.

ლამპა სასთუმალთან დაიდგა და დაწყებული რომანის კითხვა განაგრძო, მაგრამ ისე იყო ფიქრებისაგან აფორიაქებული, რომ კითხვა მაშინვე შეწყვიტა... ერთხანს ჰერს უყურებდა, რომელიც ლამპას ისე გაენათებინა რომ ბუხებს თავიანთი ლანდები აფრთხობდა.

მართამ ისევე აიღო ის ბროშურა, ფანქრით შემოხაზულ ადგილებს თვალი ერთხელ კიდევ გადაავლო და ისევე ფიქრებს მიეცა.

— „წიგნში ყველაფერი კარგად სწერია, მაგრამ ერთი ფერმაში შეიხედეთ, რას ჰკვანან ძროხები! რაიკომი კი ამბობს:

... არ ეარგხართო, ვერ მუშაობთო. ნეტავი მალე ჩამოვიდოდეს შაქრო. პა, მისი ფერმა და როგორც უნდა, ისე მოუაროს...“

### III

პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანს ბევრი არ ულაპარაკნია, მაგრამ მისმა მოხსენებამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ხიპაურა მართას გვერდით იჯდა. მას სირცხვილისაგან თავი ძირს დაეხარა და პაპიროსის ნაშწევას სრესდა.

მართა პირველად იყო პარტიული

აქტივის თათბირზე. მას მღვინეობა ბევრად უფრო მძიმედ ეწყობოდა, ვიდრე იქ დამსწრეებს. მისი

მაგიდიდან წილივა გოხივით წვრილი კაცი წამოდგა და სიტყვა მოითხოვა. ეს რაიონის ვეტეკი იყო. მაგრამ მისი ლაპარაკიდან მართას თითქმის ნახევარი არ გაუგონია. იგი ისევე რაიკომის მდივნის სიტყვებს ჰყავდა დატყვევებული.

— ნიენ რომ ფერმის მუშაობას ვირაკევიდით, ამხანაგმა მართამ გითხრა: რა გქნა, დროებით დამავალეს ეს საქმე, მექვის თვეა ემუშაობ, ცოტა ხანს კიდევ ვიმუშავე და მერე ნამდვილი გამგეც მოვაო. ეს რა პასუხია ამხანაგებო. როდემდე უნდა იყოს ეს ფერმა ჩანორჩენილი?!

რაიკომის მდივანი გაჯავრებული იყო. მაგრამ მართას მაინც ღიმილით შეხედა და ქალი მაშინვე წამოდგა.

— მოდი, ამხანაგო მართა, გულზელი დაეიკრიფოთ და შაქროს დაველოდოთ, არა?!

პასუხის მოლოდინში რაიკომის მდივანმა სიტყვა შეწყვიტა. ქალიშვილის არეულ სახეს ცეცხლი ეკიდებოდა.

— დამშვიდდით, დაბრძანდით, სიტყვით რომ გამოხვალთ, სთქვით, რაც ვინდათ. — უთხრა რაიკომის მდივანმა და უფრო დაბალი ხმით განაგრძო ლაპარაკი.

მართა ისევე ზეზე იდგა, მაგრამ ხიპაურამ უჩუროხლა, გადავჩნით, დაჯექით, და ისიც სკამზე დაეშვა.

— ფანქარი გაქვს? — ჰკითხა ხიპაურამ.

— არა.

— საკითხები ჩამოსწერე, თორემ გამოხვალ და ენას ვერ მოაბრუნებ. — მზრუნველად უთხრა მან. მერე დაუმუქნილი ქაღალდი მიაწოდა და ფანქარიც თვითონვე უშოვნა.

— რა დაწერო? — ჰკითხა მართამ.

— როგორ თუ რა! დასწერე, სად რა გიჭირს და სად რა გილხინს!



მართა დედაცა, ხელი უკანკალებდა, ქალღმერთს წერილი ასობით გამოუყვავდა სიტყვები, რასაც იმ წუთში აფორიაქებული გონება უკარნახებდა.

ბევრი ფიქრისათვის დრო აღარ იყო. რაიკომის მდივანი მალე მოხსენებას დაამთავრებდა და იტყოდა: სიტყვა მართას ეკუთვნისო. მართა ჩქარობდა, ფანქარს ისე აწევებოდა, რომ წვერი მესამედ წაუტყვია.

პირველი გვერდი სწრაფად გადააშავა, მეორეც და თავისუფლად ამოიკლესო.

ხიბურამ ნაწერი გამოართვა, ბოლომდე ჩაიკითხა, კმაყოფილმა უღვაწებზე ხელი გადაიხედა.

— კარგია, ჩემო მართა. მხოლოდ ცოტა ბევრი ხომ არ არის? ყველაფერს შეასრულებ, რაც აქ წერია?

— თუ დამეხმარებით, რატომ არა?..

— ახლა თვითელი ძროხა ხუთ ლიტრასაც არ იწველის, მართა არაფერში მოტყუდვ, თორემ ვინანებთ.

— აქ რაიკომია, რაც ითქმება უნდა შესრულდეს.

ხიბურამ ცერად გადახედა და მამაშვილურა სიყვარულით გაუღიმა.

— მართა როსტომიშვილო, რას გეტყვი? — გაისმა რაიკომის მდივნის ხმა და თათბირის ყველა მონაწილემ ქალისკენ მიიხედა.

მართა წამოდგა.

რაონის თავკაცები სულ აქ იყვნენ. პარტიული მუშაკები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, ფერმების გამგეები, ვეტეკინები. ყველა მართაზე უფრო ხნიერი და გამოცდილი. აქ იყო რაიკომის თავმჯდომარე ამხ. თამარ თულაშვილიც.

მართამ ყველას სახეს, კეთილსა და მგრძობიარეს, თვალი მოავლო და შინისაგან ენა დაება. ქალღმერთს დახედა, მაგრამ თვალი აუპრებლდა, ვერც ერთი სიტყვა ვერ გააჩნია და ფანქრით გადაშავებული ქალღმერთი ერთფეროვანი ეჩვენა.

თამარი წამოდგა, გაუღიმა და ალერსით დაუძახა:

— მართა, სთქვი, რასაც ფიქრობ!

ხიბურამაც უჩერჩულა:

— რას გაჩუმებულხარ, ქალღმერთი წაიკითხე.

თითქოს წყარომ ამოხეთქაო. გაისმა მართას წერილა ხმა, ის დაწერილს სულმოუთქმელად, სხაპახუპით კითხულობდა.

— ნელა, ნელ ჩქარობო.—ორ-სამჯერ მიიძახა რაიკომის მდივანმა, მაგრამ მოზღვავებულ გრძობას რა შეაკაცებდა.

— ამხანაგო მართა, ამას ყველაფერს გააკეთებთ?—ყოყმანით ჰკითხა რაიკომის მდივანმა.

— დიახ, გავაკეთებ.

— თქვენ ექვსი თვეა უკვე ფერმის გამგედა ხართ. რატომ დღემდე არ იმუშავეთ ასე?

მართამ ამ კითხვას ცრემლებით უპასუხა. ტირილი აუვარდა და სკამზე მოცელილივით დაეკარდა.

— რა გატირებთ ჩემო დამო? თათბირის შემდეგ დარჩი. უნდა მოგელაპარაკო.

თათბირი რომ დამთავრდა ხიბურამ მართას წასჩურჩულა:

— ფუ, სულ გააფუტე საქმე. დედაშენის კალთაში ხომ არ გიდევს თავი? რა გატირებს? აქ რაიკომია, ტირილი როგორ შეიძლება! სთქვი, დამნაშავე ვარ იმაში, რომ ფერმა ასე ცუდად მუშაობს-თქო. მორჩა და გათავდა.

თათბირის მონაწილეები ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ ეზოში. თამარი მართას წინ გაჩერდა. ქალიშვილი წამოდგა.

„ნუ გეშინია ქალო! ჩვენ ყველა დავგებმარებითო“, ალერსიანად უთხრა და გავიდა. მას ხიბურაც გაჰყვა.

გარედან შემოჭრილმა ნიავმა დარბაზის შეხუთული ჰაერი და თამბაქოს კვამლისაგან დამდგარი ბუდი გაფანტა. მართა მარტო დარჩა დარბაზში. ხამ-

თრის სუსხიანი სალამო იყო. მზე მალე ჩავიდა და მაშინვე ყინვამ პირი შეუქრა ყველაფერს. სხდომათა დარბაზში ეცემ აცივდა. მაგრამ მოლოდინით დაქანცული ქალიშვილისათვის ეს სულერთი იყო. მართა სარკმელს ნელა მიუახლოვდა. ფანჯარა იერის ქალას გადაკუთრებდა. რთვილისაგან გადათეთრებულ ქალაზე ჩონგურის ლარივით გაქიმულიყო გარეკახეთის ლურჯი მდინარე.

მართას ბავშვობა ამ მდინარის პირას ისევ ზეიმობდა. და აი, ახლა, ის უკვე ოცდაორი წლისაა. ამ ასაკისა და სილამაზის ქალს წინათ ეზოს გარეთ არ უშვებდნენ. მის მშობლებს, დღე ერთი იყო და, შუამავალი ათასი მოსდიოდა... მართა კი, პირიქით, შინ ვერ იცდის, სულ ფერმაშია ან, კოლმეურნეობის კანტორაში, რა ქნას!

მართას მამა ადრე გარდაეცვალა, შუა იორში ცხენი დაუფრთხა. გაზაფხული იყო, მდინარე ყველაფერს ლეწდა. აქაფებულმა ტალღებმა ადვილად გაიტაცეს მთვრალი კაცი. მას თვალწინ წარმოუდგა დაბალი, ჯმუხა გლეხი, შუბლზე ჩამოსული ხეშუქი თმით და კეფაზე თუშური ქუდი.

მართა დედისერთა იყო. ამიტომ ადრე დაქვრივებული დედა დოშაქებში ხვევდა შვილს და კინკყლიან ღღეს სკოლაშიც არ უშვებდა. მისთვის სიტყბოსაგან გათთრებული ჩურჩხელა და ატმისჩირი წლიდან წლამდე გამოუღვევი ჰქონდა. სულ ჩრდილში ატარებდა, მზემ არ დაკრასო, და ისეთი ჩაჩი შეუქერა, შეავტუხა გოგო-ბიჭებმა მასხრად აიღეს. ატირებულმა მართამ ეს საგულდაგულოდ შეეყრილი ქუდი იორს გაატანა.

თოთხმეტი წლის მართა მერვე კლასში გადავიდა, მაშინვე კომკავშირშიც შეიტანა განცხადება. ერთხმად მიიღეს... ჩვიდმეტი წლისამ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა. უმაღლესში ვერ შევიდა. დედის ავადმყოფობამ შე-

უშალა ხელი. სახლსა და დედას ზომ მოვლა-პატრონობა უნდოდა. აქინაზე უღიანი შეება ოჯახის მძიმე უღელს.

ამით დედა გაახარა. მოხუცმა ცრემლი ვერ შეიკავა, როცა მართამ უთხრა, შენთან ვრჩებიო! მადლობის ხიშნად დედამ სიბერისაგან გაციებული და გამხმარი თითები ცხელ ლოყებზე შემოაქლო და შუბლზე ეამბორა. სიბაურამ ფერმაში აღმრიცხველობის თანამდებობა შეაძლია, მაგრამ მართა არ დაეთანხმა.

— უკეთესი იქნება, თუ მწველავად გამომიყენებთ! — სთქვა მან.

— მწველავად? — გაოცდა სიბაურას ქალო, მწველავად ითხოვ გაშვებას?!

— დიას, მწველავად, უფრო სახალი-სო საქმეა. ვიდრე კანტორაში ჯდომა და საანგარიშოს ჩხაქუნა... მოგონებებში წასული მართა მაშინ გამოერკვა, როცა დარბაზში შოფერი შემოვიდა.

— რაიკომის მდივანი გელოდებათ! — უთხრა შოფერმა.

აეტომობილში ამხ. შოთა მარტო იყო, როცა მართა გვერდით დაჯდა.

— რა გატირებდა ქალო? — უსაყველურა მან. — მე, ჩემო დაო, კაცი ვარ. მართალი ადამიანის ცრემლი გულს მიჩუყებს. რად იტირე?!

— რომ არ მეტირა, მოვეცდებოდი, — გულუბრყვილოდ უპასუხა მართამ და თანაც დასძინა: — აქ, სოფელში, ამბობენ, ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივავ, თქვენ ეს არ გჯერათ?!

— როგორ არა გჯერა... შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, გამოცდილება გაყლია. აწი არასოდეს არ იტირო. ეს ალბათ ძველი რომანების ბრალია. ვიცი, ბევრს კითხულობ. კარგია.

მართამ სახეზე ხელეები მიიფარა. ამით თითქოს უნდოდა დაემაღლა ანთებული ლოყები.

— ალბათ, ჩვენი კესო კარგ წიგნებს არ გაკითხებთ? — დაუყვავა შოთამ.

საიდან იცოთ ეს ყველაფერი? ეკით-



ხეობდნენ ქალიშვილის თვალები. შოთამ ღარიგებებით საეცე სიტყვა იმით დაამთავრა, რომ მართას მხიარულად განუცხადა:

— შენი სტუმარი ვარ, ალბათ მიმიღებ!

როცა ისინი ფერმაში მივიდნენ ახალი მოსაღამოებული იყო. შოთამ დაათვალიერა ყველა ბაგა, ისე რომ ხმა არ ამოუღია. ძროხები გამხდრები და მოლულენი იყვნენ.

შოთამ ავტომობილის კარი გააღო, მართას ხელით ანიშნა, შებრძანდით. მართა ფრთხილად შევიდა. მის გვერდით შოთა დაჯდა. მან ღარდიან ადამიანივით მძიმედ ამოიხენეშა და მართას გადაყვრით ჰკითხა:

- რამდენი კაცი გყავს ფერმაში?
- თოთხმეტი!
- მერე, რას აკეთებენ ისინი?
- მუშაობენ.

— არა, არ მუშაობენ! — მკაცრად მიუგო შოთამ და მერე ისევ დაუწია ხმას:— რამდენი კაცი მუშაობდა დღეს?

- რვა!
- დანარჩენი?! — სანამ პასუხს გასცემდა, მართამ თავი დახარა და დაიწყო ჩურჩულით თითებზე ჩამოთვლა:
- დათია ავად არის, გოლა ქალაქშია, — ეს ორი, ვანო და გელა წისქვილში წავიდნენ. კოლა და ვიქტორი თავიანთ ვენახს ბარავენ.

შოთას ესმოდა ჩურჩული და ელიმბოდა მის გულუბრყვილობაზე.

IV

ავტომობილი მართას კიშკართან გაჩერდა. აზვავებული ქოფაკი კინალამ შოფრის კაბინს შეახტა. მართა შეუწყრა.

— აქ, აქ, შე სამგლევე! — მასპინძელი პირველი გადმოვიდა ავტომობილიდან და კიშკარი გააღო. ქოფაკი არ ოსვენებდა, გააფთრებით ყვეფდა და მას მეზობლის ძაღლებიც ეხმარებოდნენ.

— კარგი სახლი გქონია, — ვიბეზე ასვლისას უთხრა შოთამ, *არქონეუნი* პატარა ტანისა და ხმელი პირისანის მოხუცმა ქალმა, სტუმარს კარი გაუღო, და, მობრძანდითო, კეთილის გულით მიიბატია.

ეს დედაჩემია, გააცნო მართამ.  
— ბოდიში ბატონო, ხელს ვერ ჩამოგართმევთ, დასერილი მაქვს, მაწონს ედღეებავდი, — მოიბოდიშა მაგდანამ.

შოთამ გაწედილი ხელი მაინც შეახო მაგდანას მკლავს და ჰკითხა:

- კარაქს აკეთებთ?
- დიაღ.
- განა როგორი წველა - დღეება გაქვთ?

— ცუდი, შეიდი ლიტრის მეტს არ გვაძლევს და მთელი კვირისას ვაგროვებ.

— რატომ, დედა, ჩვენი ცურია თხუთმეტსაც იძლევა და მეტსაც. — უცებ წამოსცდა მართას და მაშინვე შეკრთა, თითქოს თავში დაჰკრესო. ეს მართას იმისთვის კი არ მოუვიდა, რომ სიშარტლე სთქვა, არამედ მას მოაგონდა დღევანდელ თათბირზე შოთას შეკითხვა:

- რამდენს იწველის საშუალოდ ფერმის თითოეული ძროხა?
- ოთხ-ხუთ ლიტრს! — მიუგო მართამ.

— ამაზე მეტს მეგრული თხაც კი იწველისო, სიტყვა შეაჭრა შოთამ და ამას მოჰყვა სიცილი. მთელი დარბაზი ხარხარებდა. მართას ცრემლები წასყდა.

— თხუთმეტი ლიტრა კარგია! — მიუგო შოთამ და მერე წიგნებით გაქმგვილ თაროს მიაჩერდა.

- ჰა, ესეც!..
- ჩვენი ცურია, კარგი გამოგვადგა, — გამოასწორა მაგდანამ, — მაგრამ მჯობნის მჯობნს ვინ გამოლევს. კრასნოდარში ყოფილა მწველაგი ქალი მარია დემინოვა, იგი თურმე დღეში 40 ლიტრს ღებულობს ერთი ძროხისა-

გან. აჟი კიდევაც ყველგან აქებენ, მაგრამ ეს თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ. შეისვენა მოხუცმა და ისევ განაგრძო, — მართამ მას წერილი მისწერა. მიწველეთ, მოიბატონა. აბა ვნახოთ, რა გამოვა.

— პოო!

შოთამ კმაყოფილებით შეხედა მოხუცს. მართა მაგიდასთან იდგა დაფიქრებული, სუფრა რომ გავშალო, ხომ არ ეწყინებაო.

— რას უდგებარ, გოგო! — უჩუჩუღლა დედამ.

შოთას ეს სიტყვები არ გაუგონია. კმაყოფილი იყო თავისი უბრალო მიხვედრილობით. მან აღმოაჩინა საერთო საქმისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის მებრძოლი ადამიანი. შოთამ ალერსიანად გაუღიმა მართას, დედამისს და საერთოდ ამ ოჯახში ყველაფერი სიყვარულით შეათვალა. მერე შოთერს უბრძანა: კოლმეურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარეები აქ მოიყვანეთ, ფერმის მომავალ მუშაობაზე უნდა მოვილაპარაკოთო.

## V

ქალაქში ყოფნას უქმად როდი ჩაუვლია. შაქრო მალე გამოიცვალა. გარეგნულადაც ახალი ფორმა მიიღო. სადღა მისი მზით გატყვეული ლოყები და ჯუჯა ქოჩორი, შუბლზე რომ ეფინა. სახე ფერმერთაღი გახდომოდა და თვალეზიცი მინელებულ ნაკვერჩხლებივით ანათებდნენ.

ის სოფელში შევიდა, სწორედ მაშინ. როცა მზე უკვე ჩასული იყო, მაგრამ სხივთა ანარეკლი მაინც ანათებდა გორაკებს.

წიგნებით გამძვავილი პორტფელი ხშირად გადაქონდა ხელიდან ხელში, თხელი საზაფხულო პლაშჩი ეცვა. მის კალთებს ნიაფი თავისუფლად ვერ აბრუნებდა, ხოლო ყელსახვევი კარგად არ ჰქონდა შეკვანძული და გვერდზე

მოქცეოდა. ჭული შუბლაძე ჩამოეფხატა, მახვილი თვალი მისწერდა, შეაჩნედა, რომ ეს კაცი ამ წუთში ტანისამოსს პყავდა დამორჩილებული.

ორღობეში შეუხვია თუ არა, მაშინვე მართას აიფინაბი სახლი გამოჩნდა და შაქრომ მხოლოდ ახლა შეიცნო ის დანაშაული. რაც ამ ხნის განმავლობაში მის გულს ჩუმად აწუხებდა.

„როგორ ვეჩვენო მართას, დატუქსვის ღირსი ვარ. მიმეწერა ერთი-ორი წერილი!“ — გაიფიქრა მან. მერე გულჯიბეში ხელი ჩაიყო და ლალისთვლიანი პატარა ბეჭედი ამოიღო. „ამით გამოვრისყიდი დანაშაულს. ხომ გაეხარდება ეს. მთლად ურიგო ბეჭედი არ უნდა იყოს“.

მართას კარმიდამოს დაყენებით გახედა, მაგრამ ვერაფერს მოკრა თვალი და ისევ გზას გაჰყვა. გალავანს რომ მიუახლოვდა დოღის ხმა მოესმა. შაქრომ ნაბიჯს მოუჩქარა.

— შაქრო! — დაუძახა ვიღაცამ ეზოდან. მან მიიხედა.

— თონა!

— მე ვარ, ბიჭო ძლივს გიცანი! დედა, როგორ გაუხარდება მართას! — თონამ ხელი ჩამოართვა. მერე თავიდან ფეხამდე შეათვალა და გაიცინა.

— სულ გამოცვლილხარ ბიჭო, პროფესორს დამსგავსებოხარ.

შაქროს გაეხარა მის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება ასე ერთბაშად რომ შენიშნა თონამ.

— სხვა, როგორა ხართ? — კითხა მან და პორტფელი მარჯვენა ხელში გადაიტანა.

— ჩვენ კარგად, მაგრამ შენს მართას ცუდი დღე ადგია. დღედაღამ ფერმაში ტრიალებს.

ეზოში შეყრილმა ქალებმა შაქრო რომ დაინახეს, მაშინვე ფუსფუსი ასტეხეს.

— უი, ქა, ჩვენი შაქროა!

— ვერ იცანი?

— როგორ არა, მაგრამ თვალს არ

ეუჯერი, რას ვიფიქრებდი, გლახუნას ბიჭი ასეთი კარგი რომ გახდებოდა.

— ჰო-და, ახლა დაიჯერე.

— ისე ლამაზად აცვია, ფარშევანგი გეგონება.

— მისი ჩაცმა-დახურვა რა თავში მიხლია, ჩვენს ბიჭებს რაა, ნაკლებად აცვიათ თუ? მაგრამ ისე სწავლობს თურმე, პრაფესორები შუბლზე კოცნიანო.

— შენ ეგა სთქვი, ქა, მოჰიდავე და ტაშ-ფანდურის კაცი წიგნს რომ გულს დაუდებდა, ეგ კი არ მეგონა სწორედ...—უთხრა მეორემ და მოახლოვებულ შაქროს გაუღიმა.

— გამარჯობათ. ქალებო! — გულგაშლილად შესძახა შაქრომ და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ყველა მოიციოხა... დედაცაც მამა გაიხარეს.

— ფუ! ფუ! ეშმაკს, თვალი კი არ გეცეს და... მალე ჩამოდი, შეილო, ისევ ძველებურად მწარში ამოგვიღე!

შაქროს გაეცინა, აფუსფუსებულ დედაცაცებს თავმდაბლად ქუდი მოუხადა და ტირიფებს შეერია.

VI

შაქრო სოფელში მიღებული კაცი იყო. ომში წასვლამდე ჭიდაობით ისე გაითქვა სახელი, რომ საქართველოს ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. მაგრამ შეჯიბრებაში მეორე დღესვე მუხლმა უღალატა და დასცეს. ის კი ამბობდა: ბედმა მიიტყუნაო. კოლმეურნეობაში თავგამოდებით მუშაობდა და მისი დამების აღზრდაში ჰალარა მამას ეხმარებოდა.

ღამით ლამის შუქზე წიგნს ჩაკირკიტებდა. ზოოვეტერინარულ ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე სწავლობდა და მის მატრიკულში ხუთზე ნაკლებ ნიშანს იშვიათად ნახავდით.

ომში ორჯერ დაიჭრა, დნებრის გადალახვისათვის ლენინის ორდენით მერდი დაუშვენეს. გამარჯვებული

სოფელში თამამად ჩამოვიდა. მშობი დაეაყვაცებულნი დაუხედავნი მამას სიბერეს უკვე მოეტეხა. ზღაპრულად ჩხირვით დაწერილებულიყო. ომგადახდილი შაქრო სოფელმა სიხარულით მიიღო. მაშინვე ფერმის გამგელ აირჩიეს და ერთი წლის შემდეგ სასწავლებელშიც გაგზავნეს.

შაქრო თავის წიგნებს მართას გადასცემდა ხოლმე და ეტყოდა.

— შენც წაიკითხე, მართა, გამოგადგება!

მართაც კითხულობდა, სწავლობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომელიმე ინსტიტუტში დაუსწრებლად მაინც ესწავლა, მაგრამ ოჯახის საქმეებს თავი ვერ აართვა.

ერთხელ მართა აივანზე იჯდა. წიგნს ჩასწერებოდა. სახე უღიმოდა კითხვას ისე გაეტაცნა, შაქროს მოსვლა არც კი გაუგვია. იგი მხოლოდ ვაყის მოგუგუნე ხმამ შეაერთო.

— მართა, რას კითხულობ. ეგერე რომ ილიმები?

შეშფოთდა ქალი და სახეზე წიგნი აიფარა.

— არაფერს!—დარცხვენით უბასუხა მან, მაგრამ შაქრომ წიგნი გამოსტაცა და შეიოცა.

— „სიყვარულის საიდუმლოებანი!“ მუ კი „ვეტერინარია“ მეგონა! სად იშოვნე ეს წიგნი?

— კესომ მომცა.

— ის ჭოტი, ისა, ასეთ წიგნებსაც კითხულობს!

— ჭოტს ნუ ეძახი, სწყინს.

— რა სწერია ნეტავი, რა საიდუმლოება აქვს სიყვარულს?—იკითხა შაქრომ და დაძეწილი წიგნი გადაფურცლა.

— ეს მორცხვი ვაყების „რეცეპტია“, ვანა შენი! სადაც დამინახე, ყველგან ჩამჩურჩულე: მიყვარხარ, მიყვარხარო.

მართას თვითონვე შერცხვა თავისი

სიტყვებისა და ორივე ხელით სახე და-  
ოფარა.

შაქროს წიგნიდან თავი არ აუღია,  
ისე მიუგო:

— მერე ტყუილს გეუბნები თუ?..  
მოკლილი ყოფილა ამისი დამწერი!—  
დაასკვნა შაქრომ და ძველი წიგნი გა-  
უქმებულ თამასუქივით მაგიდაზე და-  
აგდო.

მართა ამ ფიქრებში იყო, როცა აი-  
ვანზე შაქრო ფრთხილად ამოვიდა.

— გამარჯობა, მართა! ძალიან მემ-  
ღერი?

— არც გემადლიერები, ბიჭო, შე-  
კაი კაცო, ერთი წერილი რა გაგი-  
ჭირდა, გული დამეღალა მოლოდინით.

შაქრომ პასუხის ნაცვლად წიგნი  
აიღო და გადაშალა.

— თუ გული მართლა სუფთა გაქვს,  
რატომ პასუხს არ მაძლევ?

— მართა მამატიე!— ბავშვივით წა-  
მოიძახა მან და გაიცინა.

მართამაც გაიღიმა და გაბუტუღივით  
თვალი მოარიდა ვაქს. ორივე ნაწნა-  
ვი მკერდზე ჰქონდა გაღმოდებული  
და მოზღვავებულ გრძნობებისაგან გუ-  
ლი ისე გამაღებით უძგერდა, რომ ამ  
ნაწნავენს არხედა. შაქრომ ჯიბიდან  
ბეჭედი ამოიღო, მაგრამ ქალს ვერ გა-  
დასცა, შერცხვა, ბევრი რამ უნდა ეთქვა  
და ნახვამდისო, ძლივს წამოიძახა.

მან ნახევარი გზა ისე გაიარა, უკან  
არ მოუხედავს. სააგურესთან ნაბიჯი  
შეანელა, მაგრამ მართას სახლი აღარ  
ჩანდა და გულდაწყვეტილი იქვე, კა-  
ლის ქვეშ დაჯდა.

ყანა მწიფდებოდა. მზის სხივებზე  
ქათქათებდნენ საესე თავთავეები.

ფერმის თავზე დამწეული ქორი ზის  
კენწიროვებს გასწორებოდა. დარეტი-  
ნებულვით ერთ ადგილას ტრიალებ-  
და. ქათმებს გულები უსკდებოდათ და  
კრიახით, კაკანით თავშესაფარს დაე-

ძებდნენ. უცებ იგრილა თოფმა. აყეფ-  
დნენ ძაღლები.

— ყოჩაღ, მათე! — გმანსა! — უშეშა-  
ლი.

შაქროს ტყვიასავით მოხედა ეს სახე-  
ლი. ციდან მოწყვეტილი ქორი სააგუ-  
რეს ეზოში დაფარდა. იმ წუთში სოფ-  
ლის ბიჭებიც იქ გაჩნდნენ. ქორი ჩასის-  
ხლულ თვალებს აბრიალებდა, ფრთებს  
ატლასუნებდა და ბიჭებს გაურბოდა.  
მოთეთრო თიხნარს სისხლი წინწყლავ-  
და.

შაქროს არ უნდოდა მათესთან შეხ-  
ვედრა და ორლობეს გააყვა შინისაკენ,  
მაგრამ მოსახვევეში სწორედ მათეს შე-  
ეჩხვა.

— გამარჯობა მათე, როდის ჩამო-  
ხველ ბარში?! — უთხრა მან.

— გაგიმარჯოს შაქრო, მატყლი ჩა-  
მოვიტანე! — მათემ ხელი ჩამოართვა  
და უგულოდ ჰკითხა: — როგორ მიდის  
შენი სწავლა?

— არაუშავს!

— გეტყობა, რომ არაუშავს! — გაი-  
ღიმა მან.

— რაში მეტყობა?!

— აი ქალაქურად დაგიხურავს... ხა-  
ხა-ხა! აბა მიჩვენე შენი ქუდი, მომიხ-  
ლებ! — მათემ ქუდი მოხადა და თა-  
ვის თუშურ ქუდს ზედ დაახურა. მერე  
ჯიბის საჩყეში ჩაიხედა: — არა, ძმაო,  
ჩემს თავზე ისევ ის იყო. — თქვა მან  
და ქუდი პატრონს დაუბრუნა. ჩემი  
თავი ამისათვის მოწყობილი არ არის!—  
სიცილით დაუმატა მან. მე ჩემო ძმაო  
ტყის კაცი ვარ... საღამოს ჩემთან გად-  
მოდი ხელადა დაეასველოთ.

— სიამოვნებით, მაგრამ...

— რა მაგრამ... იქნებ გადიდკაცი  
და აღარ გეკადრებო? — სიტყვა შე-  
ატეხა მათემ.

— არა ბიჭო! — საწყლად მიუგო  
დადარდინებულმა შაქრომ.

გახარებულმა ბავშვებმა ქორი მო-  
არბენინეს. იგი უკვე მკვდარი იყო.

— მიუტანეთ ფერმის ქალებს, გაი-

ხარებენ! — უთხრა მათემ მოქრიამულე ბავშვებს და გზა განაგრძო.

შაქრომ შინისკენ გასწია იმ იმედით, რომ შებინდებისას მათესთან კი არა, მართასთან მისუღიყო და ბოდინში მოეხალა.

დღემ შაქროს შინ მისტლისთანავე ჰკითხა.

— მართასთან იყავი?

— არა! — ყოყმანით მიუგო მან.

— გენახნა გოგო. შენს ლოდინში თვალეზი ამოულამდა!

შეიღმა არაფერი არ უბასუხებ, პიჯაკი გაიხანდა და სკამზე გადაკიდა.

ნატოს კეთილი სახე ჰქონდა და თითქოს სინათლეს ერიდებო, თვალეზს ყოველწუთს ჰტუტავდა. ნატანჯი ქალი იყო. ცეცხლსა და წყალში გამოვლილი. შვიდი შვილი ისე გაზარდა, არცერთისათვის ცივი ნიავი არ მიუკარებია. ქალიშვილები სულ დათხოვდნენ. შინ მხოლოდ ორი ვაჟი — შაქრო და პატარა ვივი დარჩა.

შაქრო შეიღებში ყველაზე უფროსი იყო. დედა მის დაქორწინებას ჩქარობდა. ამიტომ ახლაც მართაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ ნიადაგი მოესინჯა და ქორწილი ამ ზაფხულს თუ არა, შემოდგომას მაინც არ გადაცილებოდა.

თვითონ ნატოს მართა მოსწონდა. ყოველთვის პატივისცემითა და სიყვარულით ემყრობოდა და თუ მართოს სადმე შეხედებოდა, სიტყვისაც ჩამოუგდებდა ხოლმე:

— გოგო შენი ტოლები უკვე დაინიშნენ, ნუთუ არაინ მოგწონს ამ სოფელში?!

მართას ფერ-ფერი მისდიოდა ხმას როგორ ამოიღებდა. განაბული იყო. სადედამთილოს სიტყვები სიხარულსაც გვრიდა და სირცხვილითაც წვადა.

დღემ სუფრა გაშალა და სიტყვა ისევე შაქროს ჩაუტრა.

— მართა გენახნა, კარგი იყო. ფერმაში დიდი ამბებია. რაიკომის მდივანი

თვითონ ეახლა მართას... მას მერე ქალი დღედაღამ ფერმაშივე მდებარეობდა. მართას შესაძენად კვლავ უკრძალავდნენ დიდძალი ფული გაიღო.

შაქრო ლოგინზე წამოწვა და ფიქრს მიეცა.

## VII

მართა აივანზე ერთხანს მდუმარედ იდგა. — შაქროს ცივად შეეხვლიო — ნაწილობა იგი.

მაგიდაზე კესოს „სიყვარულის საიდუმლოებას“ მოჰკრა თვალი. ეს ძველი ჩითის კაბასავით გახუნებული და გატრეცილი წიგნი მის მღელვარე გულს არაფერს დამამშვიდებელს არ ეუბნებოდა. მაგრამ მაინც გადაფურცლა და მერე აივანიდან გადაავლო.

ეზოში შემოსულმა კესომ თონის ირგვლივ მიმოფანტული ფურცლები რომ დაინახა პირდაპირ ქორივით დაეცა. მართა მოერადა მის შრისხანებას და ოთახში შევიდა. იგი ფარდას მიეფარა და ცალი თვალით გახედა კესოს, ბუზღუნით რომ აგროვებდა ფურცლებს.

— მართა ქალო! — რამდენიმეჯერ დაიძახა მან, მაგრამ არაინ გამოხედა და მოჰყვა თავისთვის ჩივილს. — უი, ჩემო თავო, წიგნს ასე უნდა მოეპყრა? გადასაგდები მეტი ვერაფერი ნახეს, რომ ეს არ გადაეგდოთ? არა, ახლანდელმა ქალებმა რა იციან ასეთი ძვირფასი წიგნის ყადრი.

მართამ ვერ მოითმინა მისი ბუზღუნი და გამოეხმაურა.

— კესო დეიდა, მამატიე, ქარს გადაუგდია!

— დამიდგეს თვალეზი, ქარი გუშინწინ იყო, მას მერე აქ აგდია?!

კესო აივანზე ამოვიდა და ფურცლების დაწყოებას შეუდგა.

— თუ გიყვარდე, ეს წიგნი ვინ გადამოავლო? — აღერსით იკითხა მან. მართას ხმა არ გაუცია.

კესო მარტოხელა ქალი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ ქრა-კერვას მიჰყო ხელი და სოფლის ქალიშვილებს ახალ მოდის კაბებს უკერავდა, ქარავადა. მერე სოფელში სამკერვალო სკოლა გაიხსნა, კესო მის უფროსად დანიშნეს და ივრის ხეობის მრავალ საპატარძლოს ქრა-კერვა შეასწავლა.

ამასწინათ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ჯანგულაიანთ მიტო ესტუმრა.

— გამარჯობა, კესო ძალო! როგორ ცხოვრობ? — ჰკითხა მან.

— როგორ ვიქნები, ბიჭო? — მიუგო კესომ.

— ერთ საქმეში უნდა დაგვეხმარო კესო ძალო!

— რა საქმეში შეილო? — იკითხა მან.

— რუსული ენა უნდა შეასწავლო ბაღლებს.

— ჰოო!

— რად გაგიკვირდა. რუსული შენსავეთ ამ სოფელში ვინ იცის, მით უმეტეს წინათ ხომ მასწავლებლობდი!

— გმადლობთ შეილო! — სიხარულით მიუგო კესომ და თვალწინ წარმოუდგა მოკრიაშულე ბავშვები, სკოლის სიხარული, სწავლა და მასთან ერთად თავისი ყმაწვილქალობაც, თვალეები ცრემლებით აეცსო, ხოლო სახე უღიჟღავნა.

ბედნიერი იყო.

## VIII

თეშმარაზე ცხერის ფარას რქებგადარეხილი ვაცები დინჯად მიუძლიოდნენ. მათ გამძული პეტელით მისდევდნენ ქორთვა ბატყნები. საპალიანი ცხენების უკან სახედრები მიიზლანებოდნენ... ენაგადმოგდებულ ქორთვაები გზის ნაპირებს მიჰყვებოდნენ და ჩაწითლებულ თვალებს უბრიალებდნენ ურჩ ბატყნებს, რომლებიც გულისგამაწყალბელი პეტელით იჭაურობას იკლებდნენ. თუ რომელიმე

მათგანი გზიდან გადაუხვევდა, ანდა უკან ჩამორჩებოდა, მოგეტყობე მშვენიერ ქორთვაები ისე ამზარებენ... შენც კვებენ, რომ თავზარდაცემული ბატყანი იმ წუთში ფარას შეარღვევდა და შეუაღი გაჩნდებოდა.

შეაცირი დაუსრულებელი ზამთარი იყო. ცხვარი დაიმშა, დაილოა და ჩამოდნა. დოღის დროს უსუსურ ბატყნებს ძროხის რძეს ასმევენდნენ, თორემ დედაცხვრების ცურები ჩალასავით გამოშრალი იყო.

მათეს დღედლაშე არ ეძინა, მთელი ფერმა ფეხზე დააყენა და ბატყნები სიკვდილს როდი დაანება. ახლა ამ გასავათებულ ბატყნებს უჭირთ სიარული, ქორთვაები უღრენენ, მაგრამ უძლური ბატყნები მოცულილებით ეცემიან და მწყემსებიც ფარის უკან მოჭრიალე ურამებში ხედიხედ ჰყრიან.

მუხის მორივით მკვრივი, მაგარი მწყემსები გრძელი კომბლებით შუილით მიერეკებოდნენ ცხვრებს.

— ე-პეი... ე-პეი! — ისმის შეძახილები.

ამხედრებულ მეცხვარეებს წინ მათე მიუძღვის. მან წელს ყველაზე ადრე დასძრა ცხვარი. პირველად საძოვრებისკენ გზის გაკაფვა ათას ზიფათთანადაკავშირებული, ამიტომ მისი შუბლი ფიჭვს შეუქმუხავს. თავისი განუყრელი ნაბადი მოუხურავს და ყორანულაყი მაგრად მოუსადავებია.

— რა ხმაურია?! — იკითხა მაჭრომ და სუფრიდან თანჯარასთან მივიდა. იგი თბილისში გასამგზავრებლად გამოწყობილიყო. მართასთან გამოსამშვიდობებლად მისული არაყსა და ტყბილულს შეექცეოდა.

— ცხვარი მიდის, შეილო! — უთხრა მაგდანამ.

მათემ კიშვართან ცხენი შეაყენა.

— მართა, პაი მართა! — მას რაღაც აღერსიანი ხმა ჰქონდა. მართა მამინვე გაწითლდა და მაჭროს სახე მოარიდა.

სამივენი კიშვართან მივიდნენ.



— გოგო, არაყი გამოიტანე, გზა და-  
ველოცოთ! — უთხრა დედამ მართას.

— კარგი ფარა მივიღის! — მიმარ-  
თა შეპქრომ.

— ბარემც კარგი არაა, მაგრამ რაც  
არის, არის!

— რას ამბობ, გღმა უბნის ცხვარი-  
სულ გასაწყლებულია. რა შედარებაა!  
ხოლო ადრე კი ვაგორკეია.

— აქ ბალახი არაა და რას ველოდო.  
იერე სიცხე ერთბაშად დაჰკრავს და  
გვიან იქნება.

მართას ლანგარზე არაყიანი ბოთლი  
დაედგა, ხმელი ხილი დაეყარა, ჩურ-  
ჩხელა და შოთები დაელაგებინა. შეპ-  
ქრომ საარყე ყანწი გაავსო.

— დამილოცინარ, ძმაო, — უთხრა  
მან მათეს. — შემოდგომასზე ისეთი ცხვა-  
რი ჩამოველალას, თითოს თითო ფუ-  
თი დემა რომ ეკიდოს. ყოჩაღად იყავი,  
ჯერჯერობით შესაქონლეებს გვეჯო-  
ბისარ. მაგრამ ვნახოთ მომავალში.

— მომავალშიც ვაგობებთ! — გაე-  
ხუმრა მათე. შეპქრომ არაყი ვადაჰკრა.  
სახე დაემანკა, ემწარა.

მაგდანამაც დაილოცა. მოხუცმა გა-  
შლილი ხელები ცისკენ ამართა და რა-  
ღაც შეჩურჩულა.

მართამ ლანგარი დედას გადასცა და  
ყანწი გაავსო.

მათემ ნაბდის კალთიდან გამოიყვანა  
ხატულა ბატყანი და მართას მიაწოდა.

— გამომართვი!

— არა, რას ამბობ.

მათემ ზურგით დაიჭირა ბატყანი,  
ქალა ასწია და ხელი გაუშვა. მართამ  
ერთი შეკეცვლა და ბურთივით დაიჭი-  
რა შიშისაგან განაბული ბატყანი.

— გყავდეს, მოუარე... მშვიდობით,  
კარგად იყავით! —

ყველას გამოემშვიდობა და ცხენს  
ქუსლი ჰკრა.

მართამ მიუალერსა მკერდზე მიხუ-  
ტებულ ბატყანს, რომლის ტანზე თეთ-  
რი და შავი ფერი ისე ლამაზად იყო გა-

ნაწილებული, რომ მაგდანამაც კი  
სთქვა; ასეთი ხატულა ბატყანი ნების  
სიცოცხლეში არ მინახავსო.

— ეს ბატყანი ვითომ რას ნიშ-  
ნავს? — იკითხა შეპქრომ, როცა მართას  
დედამ ლანგარი წაიღო.

— რას უნდა ნიშნავდეს! გიზრდე-  
ბა და ცხვარი იქნება — ჩაიცინა მარ-  
თამ და არაყის ყანწი ჩამოართვა.

IX

ზაფხულში იორი ჩონგურის ლარი-  
ვით წერილია. გაგანია შზე ფართოდ  
გაშლილ რიყის თეთრ ქვეებს ცეცხლს  
უკიდებს. აქ ნიავი ცხლად უბერავს.  
ფერმის ეზოდან ეს ჭალა კარგად ჩანს.

ძროხები იორს გამოვლენ თუ არა,  
ფერმა მაშინვე აფუსფუსდება. მწვე-  
ლავი ქალები ტაგანებს რეცხავენ, კას-  
რები გამოაქვთ, რძის საწურებსა და  
მაწენის ქილებს თაროზე ალაგებენ...

წნორების ჩრდილში მძინარე ხბოებს  
ეს მოძრაობა და ფუსფუსი უცებ წა-  
მოშლის ხოლმე. ისინი გრძნობენ თა-  
ვიანთი დედების მოახლოვებას, ბლავი-  
ლით მიკუნტრუშებენ ტუძვის ღობისა-  
კენ, აწყდებიან კიშკარს.

ძროხები გზის ნაპირს მოჰყვებიან.  
ყველაზე წინ „რძია“ მოირბევა. მას  
მორჩილად მისდევს წაბლა, გიშერა,  
ჭრელა და თეთრა. რძია შავია, მაგრამ  
შუბლს თეთრი ხალი უფარავს და  
ოთხივე ფეხი კოჭებამდე თეთრი აქვს.  
გრძელ კუდს საზრესავით სცემს აბე-  
ზარ ბუხებს. ის ყველაზე მეტ რძეს იწ-  
ველის და ამიტომაც შეარქვეს შესა-  
ფერი სახელიც.

მართამ ყველა ძროხა სათითაოდ შე-  
ათვალიერა და მწყემს ნიკალას ნამუ-  
შეარი მოუწონა.

— ყოჩაღ, ძროხები მაძლარი რომ  
მოლალე.

— შეხურება მოუხდა! — დაილაპა-  
რაკა თეონამ და ნიკალას აღმაცერად

შეხედა: — ბარე არ მოგწონვარ, მაგრამ...

— ეითომ რაღაც, გოგო! — შეაწყვეტინა ნიკალამ.

— იმადლო, რომ, — დაცინვით მიუვიო თეონამ, — კანტორაში განცხადება შეგიტანია, აქაო-და ქალებთან ვერ ვიმუშაებო, საგზაოში გადამიყვანეთო... მწყემსმა, თუ ის მართლა კარგი კაცია, საგზაო ბრიგადაში რა უნდა გააყეთოს!

— რას ამბობ, გოგო, მე და განცხადება?! — განგებ გაიკვირვა ნიკალამ და დარცხენილმა მართას შეხედა.

ბოჩოლა ტიხარში თავს იკლავდა. დედას ეძახდა, კედელს ერჩოლებოდა.

— წადი, გაიხარე! — უთხრა თეონამ ბოჩოლას და ტიხარის კარი გაუღო. ბოჩოლა კენტრუშით მივიარდა დედას და დარუნჩი ცურზე ისე მაგრად დააძგერა, რომ ძუძუებიდან რძემ იაქრიალა. ბოჩოლამ ერთ წუთს გამოდენა რძე და თეონაც ტავანით ხელში ძროხას მიუტოვდა.

თეონიერი ბოჩოლა თეონას გვერდით იდგა და ნამიან თვალებით უმზერდა რძეს, რომელიც ტავანში ჩხრილით იღვრებოდა.

თეონამ წველა დაამთავრა. რეალიტი რიანი ტავანი გაზიზინებული იყო.

— ბევრი მოიპარე?! — კითხა მან ძროხას. ბოჩოლამ წამომდგარი თეონა რომ დაინახა, მაშინვე ძუძუს მივიარდა და მისთვის შემონახული რძით პირი აიჭაფა.

გომბორის მწვერვალები ნისლში ეხვეოდნენ. უჩინარი ხლებოდნენ სოფლის ხეები და ივრის ქალაზე მძიმე ნისლი ეშვებოდა. ღამდებოდა. აქა-იქ ლამპუბზე გამოაჟყიტეს თვალები და სოფლის ბოლოს თონის ალი ცაში ავიარდა.

მართა და შაქრო ფერმის ეზოში ვაკლის მორზე ისხდნენ. შაქროს უხრიალოდ ეცვა. სატინის ხალხში მამხეჭრთ შარვალში ჩაეტანა და ზედ ფართო ბალთიანი ქამარი შემოეჭირა.

თითქოს ერთი მეორის გულისცემას ვურს უგდებენო, ორივე ღუმდნენ და ამ ღუმელში დრო მძიმედ გადიოდა. მართა ექვიანი არ იყო, მაგრამ შაქროს დაუდევრობამ, ბარათის მოუწერლობამ, მერე „ქალაქრმა“ ჩაცმულობამ ქალს საბაბი მისცა საყუთარი თავისთვის მაინც ეკითხა:

„ხომ არ მატყუილებს!“

მართას საამებლად ახლა შაქროს ძველებურად ეცვა და შუბლზეც გლახურად ქოჩორი ჩამოეშალა.

— რად არ მკითხავ, რისთვის მოვედი?

— განა ეს საკითხავია?! — მოუგო ქალმა და ლოყები ოდნავ შეუწითლდა.

— არა, მაგრამ მიხარია, რომ შეეხვებით.

— განა გემდურადი, რომ შეგრიგებოდი... ეგ რძობ შენ გამასწარი, ეგ არ ვარგა ჩემთვის. აი მეც უნდა ვისწავლო. რუსეთში წავალ და ერთ წერილს არ გალირსებ! — უთხრა მართამ.

— შური გინდა იძიო? — ჩაიციხა შაქრომ.

— ოხ, როგორ მინდა სწავლა! ჩემი ბრალია თავის დროზე არ შევედი უმაღლესში. ახლა ორივე ფეხით ვარ გაბმული. ფერმა ჩემს კისერზეა. რაიკომმა მითხრა, ცუდად მუშაობო და კინალამ დამსაჯა. ასე ხომ არ ივარგებს. თავს ვერ შევირცხვენ. რას იტყვის სოფელი და სწავლაზე ფიქრს დროებით მაინც უნდა გამოვეთხოვო.

შაქრომ ეს სიტყვები უგულოდ მოისმინა და მერე ცივად შეეკითხა:

— ჰო მართლა, აქ დიდი ცვლილებები მოგიხდენია!

— არც ისე დიდი, მაგრამ მოსალოდნელია კი ყველაფრის შეცვლა, და არ ვიცი ამას როგორ შეეძლებ.



— არა უშავს, მალე მოგეშველები.

— შენს ჩამოსვლას თუ დაველოდებ, კარგად წამივა საქმე.

— მეცხოველეობაში წარმატების მოპოებას მთელი წლები უნდა!

— შერე თამამდ და ომის შემდეგ სულ ფერმაში არა ხარ, რა გააკეთე? შენი მკვდარი მე უნდა ვიტყვიო! — მიუღო მართაშა.

— მართა — მრისხანედ მიმართა მან, — კრებაზე ხომ არ ბრძანდები, რას მაკრიტიკებ. ბოლოს და ბოლოს შემიძლია ახლავე შინ დაგსვა. სულ არ მინდა შენი მუშაობა. — გაგულსებულნი შაქრო წამოდგა. ყელში რაღაც ებჯინებოდა, აღრჩობდა.

— მე კი მინდა ვიმუშაო, თუნდაც იმისათვის, რომ ცოცხალი ვარ.

ხმაური მოისმა. მართა შეკრთა.

— ნელა, ნუ ბრახობ. აქ ათასი ყურია.

— ჰა, თქვენ აქ ყოფილხართ! — ნუშის ჩრდილიდან გიგა გამოვიდა. — შაქრო, თუ ხათრი გაქვს, მათესთან წავიდეთ. თავს იკლავს, უიმისოდ პურს ვერ გავტეხო. მე გამოგზავნა, ცხრა მთის იქით იყოს, მოძებნეო. მეც ავდექი და ფერმაში მოვედი. წავიდეთ.

შაქროს მათეს სახელის გაგონება, რაღაც უსიამო, ზიზღისმაგვარ გრძნობებს გვრიდა და მის სუფრაზე როგორ მივიდოდა, მართას შეხედა, აბა რას იტყვისო.

— პურმარილს უარს როგორ ვეტყვი! — შიშნარევი ხმით უთხრა გიგას, ხოლო მართას ცივად შეხედა: — თავიდან ხომ არ მიშორებსო.

გიგამ ხეწნითა და მუდარით სულს არ მოათქმევინა.

— წამომყე, გო, განა რომ სწავლობ, ჩვენთან პურის ჭამა არ გეკადრება? — ეს სიტყვები გულზე ნემსივით მოხვდა.

— კადრება რა შუაშია, ბიჭო! — უსაშველურა ამხანაგს და უგულოდ გაჰყვა.

X

ახალი გათენებული იყო. მართას ეძინა. დედას კარ-ფანჯრები გაეღო და ოთახი გომბორიდან მოდენილი სიგრილით იესებოდა. მართას მალე გამოედგინა, მაგრამ უცებ გონს ვერ მოვიდა. ნუთუ ეს შაქროა, გაიკვირვა მან.

შაქრო სუფრიდან აქ მოსულიყო და მაგდანას წინ სახეზე ხელაფარებულნი ნაცემ ბავშვივით ზღუქუნებდა.

— არა, დედი, ერთი ღმერთი იწამე და შენს ქალსა ჰკითხე, რად არის ეგეთი ურჯულო, რაღა მკლავს!.. მე, ხომ იცი, რა ნატანჯი ვარ. ტყვიის ნატეხებში გერ კიდევ ტანში მაქვს, მაგრამ ეგ არაფერი, რას დამაკლავს. შენი ქალი კი, დედი, ვიცი მკლავს. რად მიხდა სწავლა, თუკი ის განზე გამოდგება! დედი, ცოდო არა ვარ. ერთი ჰკითხე იმ უღმერთოსა, რას მერჩის.

მაგდანა გულჩვილი იყო. ვაჟკაცის ტრემლმა იაიცი აატრია.

— ხო, შვილო, ხო! — ეთანხმებოდა მოხუცი.

— ომში ჰიტლერის ტყვიამ არ მომკლა. და აქ შენი ქალი რომ მკლავს, ცოდო არა ვარ, დედი, შენს იქით გზა არა მაქვს. აი აქ მოგვედები! — შაქრო იქვე დაჯდა. მოხუცს გულს შემოუყარა.

— გავადვიებ, შვილო! — შიშით წარმოსთქვა მან.

— ნუ, დედი, ნუ გაადვიებ. დაიძინოს, გაიხაროს.

მართა დიდი ხნის გაღვიძებული იყო. ჩაცმულ-დახურული ლოგინზე იჯდა და სიცილით კვდებოდა.

— ამ უთენიაზე ვისი მკვდარი გამოიტრეთ! — კისკისით ჰკითხა დედას.

— რა გაციხებს, შვილო, ცოდო და მაღლი არ იცი!?

— მათესთან ქეიდში მთელი ღამე იმღერა და აქ ტირილი მოუნდა?!

დედა და შვილი შაქროსთან მივიდნენ. მას დაძინებოდა, ერთხანს ბევრი იწვალეს, ანჯღრრის, მაგრამ მის გალ-

ვიძებას საშველი არ დადგა, მერე, მართამ, არ გაცივდესო, და თქვის საბანდიდაჭურა. მაგდარამ ხის ქვეშ გაშხლართულ შაქროს ერთი დახედა და კამოფილმა აღერსით თქვა:

— კარგი ვაუკაცია.

მართას ხმა არ გაუცია. გულში კი გაიფიქრა: კარგია და იმიტომ ავირინეო.

იგი ოთახს ალაგებდა. ბალიშები, მუთაქები, საბნებო ხელში მძიმედ ხვდებოდა. რატომ ესენი შაქროს არ უგია ძირს და რბილად არ ისვენებსო. ბოლოს თავისი ოთახის დალაგებას რომ შეუდგა, გული შეუქანდა. იგი მიწაზე წევსო და უჩინარმა ძალამ ეზოში გამოიყვანა.

— შაქრო, აი შაქრო! — ყურში ისე ჩასძახა მან, თითქოს შორიდან მოუხმობსო.

მაგრამ შაქრო არც კი შერხეულა. დედამ მართა გააფრთხილა.

— ნუ ყვირი, სოფელი ხომ არ უნდა შეჰყარო.

ეზოში კესო შემოვიდა. კარგ ვუნიბაზე იყო. აბრეშუმის ძველებური თავსაფარი მხარზე გადაეგდო და ერთი დასტა რვეული მკერდზე მიეხტებინა.

— ქა, ეს ვინ გიწევთ?! — გაიოცა მან.

— აბა, თუ გამოიცნობ, ვინ იქნება. — უთხრა მართამ.

— ალბათ ვიღაც მგზავრია. თქვენ ღმერთი გწამთ? აქ როგორ დააწვინეთ აღამიანის შვილი! — კესო მძინარეს მიუახლოვდა და გაკვირებულმა ჩაინურჩულა: შაქრო ყოფილა, წუხელ ისეთ სუფრას ეჯდა, გასაყვრია, აქამდეც როგორ მოადწია.

— ისეთი რა საქმე გაქვს, რომ უთენია დამიბარე! — ჰკითხა მან მართას. ისინი აივანზე ავიდნენ და წიგნებით ხავსე მაგიდასთან გაჩერდნენ.

— აი, ეს წიგნები, სად არ ვიყავი მის საშოვნელად, აქ რომ წერია, თუ ისე, მოვიტყეით, წინ წავალთ, ჩვენი

ფერმა. სანაქებო იქნება. ცხოველებს მე ვიცნობ, რუსული ენა შენ კარგად იცნობ და თუ ერთი-მეორეს გავუგებთ, მაგ, მეს თავს მოვამბოთ. თანახმა ხარ? —

— განა მე რამეზე უარის თქმა შემიძლია? — გულანუყებით წარმოსთქვა კესომ.

— არ ვიცი, საიდან დავიწყეთ? — იკითხა მართამ და განაგრძო, — ან სტალინური პრემიის ლაურეატის შეიტმანის წიგნი, ეს ყველაზე უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის. მოდი, აქედან დავიწყეთ.

— კეთილი და პატიოსანი, — უპასუხა კესომ და წიგნი გადაფურცლა. ღიღინანს იტყობოდა შიგ, ადგილებს კითხულობდა. მისი ყურადღება მიიპყრო რეკორდსმენმა ძროხამ „კატია“, რომელსაც ერთ წელიწადში თორმეტი ათასი ლიტრა რძე მოუწვევია. კესომ მის შესახებ წიგნში მრავალი ცნობა ამოიკითხა და ბოლოს სურათს დააცქერდა.

— არა, ასეთი ძროხა ჩვენთან ვერ იხეირებს?

— სუ... ეგ არა სთქვა. ამას აქ კოლმეურნეობაში ბევრი იძახის, მაგრამ მე მსურს დავანახო ამ ურწმუნო თომებს, რომ, რაც კარგია, ის სწორედ აქ ჩვენთან გაიხარებს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— ახლა კი შენი ხელის მომართვა მკვირდება და აბა შენ იცი! მთელ ფერმას ჩაეკეტავ ოთახში და ეს წიგნი წაუკითხე, დე, გაიგონ, როგორ უნდა მუშაობა.

— რომელი მეცხოველეობის მცოდნე მე მნახეთ! — გაოკირვა კესომ.

— შენ, რაც წერია, ქართულად მოჰყე, და მეტს არაფერს ვთხოვთ.

— მამ გითარგმნოთ, არა?

— ჰო, ასე გამოდის.

— კეთილი და პატიოსანი! — კესომ წასვლა დააბირა, მაგრამ სიუზნე მზად იყო და არ გაუშვეს. კესო იმ წიგნმა დააინტერესა. სიუზნეს მადიანად შეექ-

ყოფდა, მაგრამ ცალი თვალით წიგნში იტყვირებოდა და ჩურჩულთ კითხულობდა. ბოლოს მძიმედ ამოიოხრა და ყველაფერს მოკლებულმა ინატრა:

— ერთი ასეთი ძროხა რომ მყავდეს, მეტს არაფერს ვინატრებდი. მოუფლდი და მაცხოვრებდა.

— ჯერ საქმე დაეატრიალოთ და მერე ჯიშინი ძროხა სანატრელი არ იქნება... ჰო, მართლა, კიდევ მაქვს პატარა საქმე. — მართამ ქაღალდი აიღო და კესოს მიაწოდა. — ამას დემჩინოვას უწერ, ერთი თვალი გადაავლე, შეცდომა არ მქონდეს, თორემ იტყვის საქართველოში რუსული ენა არ ცოდნიათ.

„ამხანაგო დემჩინოვა!

სალამი მზიურ საქართველოდან. თქვენმა საგმირო საქმეებმა ჩვენი ფერმის მუშაეები ძლიერ დააინტერესა და ამიტომ ვბედავ ბარათის გამოგზავნა.

ჩვენს ფერმაში ჯოჯი არ გვივარგა ძროხები არ იწველიან, ხოლო მოზარდები დაძაბუნებულები არიან. ამიტომ ვთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი მუშაობის საიდუმლოებანი. თქვენი ჩამოსვლით ძლიერ დაგვეხმარებით და ამავე დროს გაცნობით იმ ქვეყანას, სადაც დაიბადა დიდი ჰტალინი. ჩვენ გეპატიეებით. იმედია ჩამობრძანდებით.

პატივისცემით მ ა რ თ ა რ ო ს ტ ო მ ა შ ე ი ლ ი“.

— არც ერთი შეცდომა! — კესომ გამოიწია მართასკენ და ლოყაზე აეცა. — აი რას ნიშნავს, წრეში კარგად რომ მეცადინებო.

— კარგი მასწავლებელი მყავს და ამიტომ. — ქება და კოცნა ერთად შეუბრუნა მართამ.

კესო ბავშვივით იყო. პატარა ალერსიც კი ფრთებს შეჰახამდა. სიხარულით თვალები აუციმციმდა და ჩაიჩურჩულა: — ყველა მოწაფე მათასებდეს, ბედნიერი ვიქნებო.

შაქროს გამოეღვიძა. ცუდ გუნებაზე იყო. ქვასავით დამძიმებული თავი ტკიოდა.

— აქ სადა ვარო? — ზღაპრებით წამოდგა და ყველაფერს მზებდა. დანებდა ვენილი ავიდა ავიანზე, უნდოდა ბოღისი მოეხადნა, მაგრამ მართამ დაასწრო.

— საქმე გაიხარხა. წერილი კარგი გამოვიდა. თუ დაუმატებ რამეს, ურიგო როდი იქნება.

შაქრომ წერილი აიღო, მაგრამ ზედ არ დაუხედავს.

— გონს ვერ მოვსულვარ, როგორ მოგზედი აქ.

— მერე და რა ცუდ ადგილას მოგზედი! არ ღირს, შეილო, ამასე ლაპარაკი — უთხრა მაგდანამ. მოაგონდა, თუ როგორ გულამოსყენილი ტრიაოდა ეს გოლითი ამ ცოტა ხნის წინათ და ვახლიმა. შაქრომ პირზე ხელი აიფარა და დაამთქნარა. იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოძინებული.

— ცოტა წყალი შეისხურე, გუნებაზე მოხვალ! — უთხრა მართამ.

შაქრო ზღაპრით მივიდა ონკანთან და კისერა შეუშვირა. ეამა ცივი წყალი, მაგრამ ფეხებში რალაც ეტყერა და კინალამ როფში გადავარდა. ეს ხატულა ბჭკანი იყო. რქები უკვე წამოზრდოდა და ბიჭების მიერ გაეშმაკებული, მამაკაცს დაინახავდა თუ არა, მამინეგ სარჩოლებლად გაიწედა ხოლმე. ხატულამ უკან დაიხია და ისევე წამოვიდა დაძაბერებლად, მაგრამ შაქრომ კისერი მოუგრისა და ბატების გუბეში გადავადო. მართამ შეჰკილა. მაგდანა და კესოც გაწიწმატდნენ. ეს უხერხულობა რომ გამოეწორებინა, შაქრო მოკრძალებით კესოს მიესალმა და ჭიქა არაყით გაავსო.

— თქვენ გაგიმარჯოთ. იყავით ყველასთვის ასეთი ახალგაზრდა ერთუზიასტი. დიდ ხანს, სულ დიდხანს იტოცხლეთ! — შაქრომ ჭიქა მიუჭახუნა.

კესომ მადლობა გადაუხადა და ოდნავ შეეხო სასმისს.

ნასაუზმევს კესო წაეიდა, ხოლო მაქ-

რომ დემჩინოვასადმი გასაგზავნენ წერილს მიაწერა:

„მარია ალექსეევნა, ხომ მეხვეწებოდით საქართველოში წამიყვანეთ. მაშინ ვერ მოხერხდა. ახლა გეპატივებით, მობრძანდით, პირდაპირ ჩვენთან, ჩვენს კოლმეურნეობაში. რამდინი რძე მასვით მანდ მოსპიტალში, ორ იმდენს ჰხლა კახურს ღვინოს გასმევთ.“

შ ა ქ რ ო ო გ ე ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი .

შაქრო მივიდა წიგნებით სავსე მაგიდასთან და მართას შეგობრული მზრუნველობით უთხრა:

— მე რომ დაებრუნდები, შენ უნდა წამოხვიდე სასწავლებელში თორემ თვითგანვითარებით შორს ვერ წახვალ.

მართას ეამა ვაჟის ეს გულწრფელი სიტყვები: ზრუნავს ჩემზეო, და თვლებში კმაყოფილების შუქი ჩაუდგამს ფერმაში მიეჩქარებოდა. გამოშვებობებისას შაქრომ ხელზე ხელი მოუჭირა და დედას რომ არ გაეგონა, ჩურჩულით უთხრა:

— ბევრი მაქვს სალაპარაკო მაგრამ...

## XI

ივანემ სამოც წელს მიატანა, მაგრამ ყინულზე რომ დაეძინა, თავი არ წამოსტიკვდებოდა. მუხასავით მაგარი და ამტანი იყო. ორმოცი წელიწადი გულმარხის მუხნარში გაატარა და ახლაც გარეული ცხოველივით ტყვეს ვეღარ შორდებოდა.

ახალგაზრდა იყო, პირტიტველი, როცა ერთი დაჯანგებული თოფი მისცეს ხელში და უთხრეს: — ამ მუხნარიდან ერთი ფინიხი არავინ გაიტანოსო. წვერულვაში კარგად რომ აეშალა, შუამავლებმა სახლი აუტალახეს, მაგრამ ყველას გაზეპირებულ სიტყვას ეუბნებოდა:

— ქალს არ ვირთავ, რას ჩამაცდვლით.

თუმცა საქორწინოდ მომზადებულ იყო, მაგრამ სოფლის ყველანაირად უნდა შეესწავლა და მისმა მამამ კინაღამ ხანჯალზე წამოაგო. ქვეყანა არეულია, კანონი და ხანჯალი რას დამაკლებსო, ფიქრობდა იგი.

მოხერხებულ დროს ქალი მოიტაცა მამამ შვილის კვალს ვერსად მიაგნო მუქართაც ვერაფერს გახდა და ბოლოს კანონს მიმართა. მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა დამფრთხალი მენშევიკები გარბოდნენ და მათ სამართალს ძალა არა ჰქონდა... ერთი წლის შემდეგ მათე შეეძინა. ივანე დაწინაურდა, უფროს მეტყვევდ დანიშნეს და დღეს, მინისტრმა რომ დაათვალიერა კარგადმოვლილი ტყე, მოეწონა, ივანე მოიხმო.

— მოხუცო, დიდი ხანია აქ მუშაობ? — ჰკითხა მან.

— ამ საქმეში გაველარავედი! — მიუგო ივანემ და თვითონაც გახედა შვილივით გამოზრდილ ხეებს. მინისტრმა ორი თვის ხელფასით დააჯილდოვა იგი. სიხარულის აღსანიშნავად ივანემ დღეს ძმაცაყვებს კარგი სუფრა გაუშალა. სულ დაავიწყდა ავადმყოფი ცოლი და საღამომდე დუქანში ჰარიარაღეს იძახდა. იქ ცოლის ძმას შეხვდა, სუფრაზე მოიწვია და შეღვინებულს უცებ მოაგონდა. გაჭირვებით შერთული ქალი რომ ავად ჰყავდა, არც აცია, არც აცხელა, დაჰკრა ფეხი და პირდაპირ შინ მივიდა.

ოთახში შემოსვლისთანავე დაიქუხა:

— ჰე, დედაცაცო, თავი ნუ მიეც ავადმყოფობას, მაგრად დადექ... — და ცოლის სასათუმალთან ნაღვლიანი გუჩერდა.

— რა გითხრა აქიმმა? — ჰკითხა მან და, წამლიანი ბოთლებით სავსე მაგონდას რომ დახედა, გაფითრდა: — ეგ რადეთის წყრომას! ნუთუ ეს წამლები სულ შენ უნდა დალიო!

— აბა რა ვიცი! — მისუსტებულ ხმით უპასუხა ცოლმა.

— ახლა შენ ხინკალს უნდა უტრია-  
ლებდე და საბანში კი გახვეულხარ!

— რა? — გაოცდა ავადმყოფი.

— ძმა ჩამოგივიდა! — ცოლს სახე  
გაუბრწყინდა.

— მერე სად არის ალექსი?! — იკით-  
ხა მან.

ათენის იატაკი აჭრაქუნდა.

— აი მოდის! — ივანემ კარი გააღო,  
მობრძანდითო, გაისმა მისი ბოხი ხმა.

ოთახში შემოვიდა სუფთად და სახე-  
დამკვრახული კაცი. მან მძიმე ხურჯინი  
მხრიდან ჩამოიღო და მანძინვე ავადმ-  
ყოფის ლოჯინს მიაშურა.

— შწოლარეს ხელს ვერ ჩამოგართ-  
მევ, წამოდგეი, — დაიბუბუნა, მან.  
ქალმა მისუსტებული ტანი ძლივს ასწია  
ლოჯინიდან. ფეხები ცივ იატაკზე რომ  
დადგა, ეამა. გაფითრებულ ძმას ერთი  
თბილად გაუღიმა და მერე ცრემლები  
წასკდა. ალექსიმ დაბუბული თითები  
მხრებზე მოუჭირა და შუბლზე აკოცა.

— ახლა დაწეი, ნიავე არ მოგხვდეს!  
მათე გვიან მოვიდა.

უქალო ოჯახს მანძინვე შეეტყობა  
ხოლმე. ჯამქურკველი გარეცხილი არ  
იყო, მაგიდაზე მტვერი იდო და მამაკა-  
ცებმა ძლივს გაშალეს ვახშამი.

მათეს კიქისათვის პირი არ დაუკარე-  
ბია. დედის ლოჯინზე იჯდა, შოთსა და  
გულის ყველს ბავშვივით ლოღნიდა.

— რა ბალღივით შორიდან გვიშურ,  
ვაკაცი ხარ, ჩვენთან მოდი! — შეუყი-  
თინა ბიძამ. მათე მძიმედ მიუახლოვდა  
სუფრას, უგულოდ დაეშვა სკამზე. მა-  
მამ კიკა მიაწოდა.

— დედაშენს ერთი სიტყვა უთხარი,  
გულს მოეშვება!

მათემ კიკა მალღა ასწია, დედას  
გაუღიმა, გაუცინა და ვერაფერი უთხრა  
გარდა იმისა, რომ შუბლზე აკოცა: —  
შენი კირიმე, დედი! — დააყოლა მან  
და სასმეი გამოსცალა.

მათე დედის საწოლზე ჩამოჯდა, მა-  
მის სიტყვების გაგონებაზე თანდათან  
წითლდებოდა.

— ოც წელიწადს მიატანა უკვე, რა  
ელოდება? — იკითხა ბიძამ.

— ეშმაკსა და ქაჯს... სულ იმას  
არ ვეჩიჩინებდი, ე, ბიჭო გამოსაშვები  
სისხლი გამოუშვი მეთქი. მავანი ქალო  
გულში ჩაიგდო. ის მამაცხონებულის  
შვილი უარს ეუბნება, დამეწო ბიჭო! —  
გაჯავრებით ლაპარაკობდა ივანე.

მათე მინ საუბარს უკვე ყურს არ  
უგდებდა. იგი უცქეროდა საბანზე დე-  
დის ვადაჯვარედინებულ ხელებს. გრძე-  
ლი, გამხდარი და სისხლისაგან დაცლო-  
ლი თითები წითელ საბანზე ყვითლად  
ანათებდნენ. შავად დაბერილ ძარღვებს  
გაცვეთილი კანი ველარ ფარავდა... რამ-  
დენი სიკეთე და სიხარული მოუტანია  
მათესათვის ამ ხელებს. დედის ჩაცვიფ-  
ნული თვალები მათეს გაფითრებულ სა-  
ხეს აღარ შორდებოდა. მათს გამოხედ-  
ვაში ცხოვრების რამდენი აზრი და  
სიხარულია.

მათემ ფრთხილად გააცოცა თავისი  
ცივი ხელი და დედის გავარვარებულ  
ხელებს მიუაღერსა.

— ჰე, შენ გაიხარე, შვილო! — ამ-  
ბობდნენ დედის თვალები.

ივანე ცოლისძმას ლაპარაკს არ აც-  
ლიდა, ერთთავად თვითონ ბუბუნებდა.

— ტყეში ხომ არა ვარ, კერქვეშ  
ვეჯახირობ და თუ ქალი არ ტრიალებს,  
სიცოცხლე არა ღირს... კაცო, გაგზარ-  
დეთ, ფრთები შეგასხით, ახლა გაფრინ-  
დი რაღა! — მიმართა მან მათეს. —  
არა, სულ მთლად ბავშვია ეს ოჯახქო-  
რი და სოფელში კი პირველი ადგილი  
უქირავს. ათას სულ ცხვარს უელის  
და თავისთავისთვის კი ვერ მიუხედავს!

ალექსი თავის დას უყურებდა და  
გული ეთუთქებოდა.

— შვილო, სახე რად ჩამოგიტირის,  
გაწყენინე რამე?! — ჰკითხა მან მა-  
თეს. — დედაშენს სიხარული უნდა, შენ  
ერთი რძალი მოუყვანე მავას, მერე ნა-  
ხე, თუ არ წამოდგეს... აჰ მო!

მათე წამოდგა.

— რამ დაგაღონა, შვილო! — მამამ

კედლისკენ გაიშვირა ხელი — აი ჩემი თოფი, არ გიმტყუნებს — ნაცადია, ხანჯალი. ორპირი კაცივით, ორივე მხრივ კრის, არ მოგდევს ი ქალი, რძი შიში გაქვს, გზა გაიკაფე.

მათემ მაშინვე უპასუხა:

— არა, მამა, დღეს სიყვარულსა და ოჯახის საკითხს ხანჯალი ვერ გადასწყვეტს, ძველი დრო ხომ არ გგონია, როცა...

ივანემ სათქმელი გააწყვეტინა.

— სიყვარულმა დრო არ იცის, აი მე, — ღიმილით, მაგრამ უფრო დაცინვით გადახედა ცოლისძმას. — ქალს არ მატანდნენ, აქაო და ღარიბი ხარო და ძალით მოვიტაცე! — შუაში გაწყვიტა მან უკანასკნელი სიტყვა, უფრო მეტი ძალა რომ მიეცა. — მერე და რა წავაგე? ვინ იტყვის, ცუდი ოჯახი აქვსო.

— არაეინ, რას ამბობთ! — მიუგო ალექსიმ.

კედლის ხალიჩაზე ეკიდა ძველებური ჩახმახიანი თოფი, ხეცსურული ხანჯალი, გრძელი ხმალი, რომლის ქარქაშზე ოქროსფერად ეწერა: „ივანეს ჩემგან. შიოშვილი“. ეს შიოშვილი

ივანეს მებობელი გენერალი გახლდათ მან ახალგაზრდობა ფუფუნებაში გაიტარა. დაბერდა და სიღარიბეში სწყდა ამოუვიდა. კედელსვე ამშვენებდა გატეხილი დამბაჩა და ადამისდროინდელი ჯაჭვის პერანგი, რომელიც ერთმა ხეცსურმა უსახსოვრა ივანეს.

მათე ამ იარაღებს შესტკეროდა. თუმცა სრულებით არ აინტერესებდა, მაგრამ თვალებს ხომ არ დახუჭავდა, ხომ უნდა შეეხედა რამესთვის.

— მე მგეგხარ შენ... ყოჩაღად უნდა აყო, გეჰმის?! — უთხრა ივანემ და თანაც ქისა გახსნა და ძველებური ბეჭედი ამოიღო. — აქ მოიწიე, შეილო! — და მოხუცმა ჩურჩულით განაგრძო: — ნუ გაგეცინება, ამას თავისი ძალა და ფასი არ დაუქარგავს — და ბეჭედი ხელში ჩაუღო — ამით მე ვაიმიარჯევა. ახლა შენ...

— ი ვილაც ეშმაკისფეხია, პირდაპირ ჩამოაცვი თითზე, მორჩა და გათავდა. — სიტყვა შეაწია ბიძამ და ისევ გაჩუმდა.

მათემ ბეჭედი ჯიბეში ჩაიღვა.

(დასასრული აქნება)



პეჩა ბახუჩიძე

## ლიგარაგურის პარტიულ ობისათვის, მაღალი მხარეული ხარისხისათვის.

★

ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. ამ უღარესად საპატიო და პასუხსაგები სახელწოდების გასამართლებლად თითოეული საბჭოთა მწერალი ვალდებულია მთელი შემოქმედებითი მგზნებარებით, მხატვრული წარმოსახვის მთელი შესაძლებლობითა და ძლიერებით, მთელი სისავესით ასახოს კომუნისტების მშენებელი ადამიანის სულიერი სამყარო, ის ახალი და ყოველდღიურად მზარდი მოვლენები, რომელიც უდიდესი სოციალური სიღრმით და პოლიტიკური სიმამჯილით ხდება ჩვენს საზოგადოებრივ-სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. „სად ნახავთ ისეთ ხალხსა და ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენია? სად ნახავთ ადამიანთა ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორც გამოიჩინა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში და როგორსაც იგი ყოველდღე იჩენს შრომითს საქმეებში, მშვიდობიან განვითარებაზე და მეურნეობისა და კულტურის აღდგენაზე რომ გადავიდა! ჩვენი ხალხი ყოველდღე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღესა ვართ“, — ასე დაახასიათა ამხანაგმა ა. ა. ჟდანოვმა ჩვენი დიადი ქვეყანა და ჩვენი გმირი ხალხი თავის

მოხსენებაში ჟურნალების „ზევზიდა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

აი ეს შესანიშნავი საბჭოთა ქვეყანა, ეს შესანიშნავი საბჭოთა ხალხი, ჩვენი საბჭოთა ადამიანები მათი შესანიშნავი თვისებებით, მათი შეუფერხებელი წინსვლა და განვითარება უნდა ასახოს სოციალისტური ეპოქის შემოქმედმა თავის მხატვრულ ნაწარმოებში.

საბჭოთა ეპოქის შემოქმედი ღრმად უნდა იყოს შეიარაღებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ცხოველყოფელი იდეებით. ეს იდეები უნდა წარმართავდნენ მწერლის მხატვრულ აზროვნებას, მის შემეცნებითს დამოკიდებულებას ნაწარმოების თემატიკურ-სუბიექტური მხარისადმი. ეგრეთწოდებული უპარტიო და განუტრეყიანი გულგრილი დამოკიდებულება ნაწარმოების იდეურ-პოლიტიკური სიწმინდისა და სიმამხვილისადმი მწერალს ობივტულობის ჭიკაბში ჩაადებს, მის მხატვრულ სიტყვას სიმტკიცესა და დამაჯერებლობას დაუკარგავს.

ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში „უპარტიო ახირებულნი“, ჰკმობს რა უპარტიო დამოკიდებულებას სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ამბობს: „უთავო კაცი, ან — უფრო ზუსტად — მხრებზე თავის ნაცულად თალგამის მქონე — აი უპარტიობა“.

ლიტერატურის პარტიულობის საკითხი სოციალისტური ესთეტიკის ქვაკუთხედი. ეს საკითხი მარქსისტულენინურ მოძღვრებაში თავიდანვე აქტუალურ მოვლენას წარმოადგენდა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო ვ. ი. ლენინის ნაშრომებში აღნიშნული პრობლემა და შენდევშიც არაერთხელ დაბრუნებია იგი მის გაშუქებას.

ლიტერატურის პარტიულობის საკითხი მთავარი პირობაა მხატვრული შემოქმედების შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის. ჯერ კიდევ 1905 წელს დაწერილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ვლადიმერ ილიასძე ლენინი წერდა:

„სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა და ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცნი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“. დიდი ლენინის ამ სიტყვებით ნათლად ჩანს, თუ რამდენად დამღუპველია ლიტერატურისათვის საერთო-პროლეტარული საქმისაგან იზოლაცია, კარჩაკეტილი განცალკევება, ობიექტურ-დეკადენტურ ქაობში ჩახვეება. ნამდვილი პრინციპულად მტკიცე ლიტერატურა მუდამ პარტიული იდეების შემსველი ლიტერატურაა. ებრძვის რა ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტებს და უპირისპირებს რა ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას ნამდვილად თავისუფალ, პროლეტარიატთან დაკავშირებულ ლიტერატურას, ვ. ი. ლენინი ამბობს:

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის

იდეა და შრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალხალ მალაქებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების მოყრეპულ „გმირ-ქალს“, არა მოწყენილ და სიმსუქნისაგან დატანჯულ „ზედათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით შრომელებს, რომელნიც ქვეყნის რჩეულთ, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებით და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შექმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც დაავიწყებინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილების შორის (ამხანაგ მუშების ახლანდელი ბრძოლა)“.

რა გენიალური წინასწარგანჭვრეტაა ათეული წლების წინათ ყოველივე იმისა, რაც დღეს ფაქტად არის ქცეული. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურასა და ხელოვნებას, როგორც მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრ საშუალებას.

გასული საუკუნის რუსული კრიტიკული აზროვნების გენიალური წარმომადგენელი ბესარიონ ბელინსკი, ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას მხატვრულ ნაწარმოებს, ამბობდა: „პოეტის სურათებში უნდა იყოს აზრი, მათ მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება უნდა მოქმედებდეს მკითხველის გონებაზე, ამა თუ იმ მიმართულებას უნდა აძლევდეს მის შეხედულებას ცხოვრების გარკვეულ მხარეებზე“. აქედან ცხადია მხატვრული შემოქმედების

უდიდესი დანიშნულება, როგორც ადამიანის შეგების წარმართველი ფაქტორისა ან თუ იმ მიმართულებით.

როგორი უნდა იყოს საბჭოთა მწერლის დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი? საბჭოთა მწერლის შემოქმედების მთავარი საგანი უნდა იყოს გარკვევა მხატვრულ სახეებში იმისა, თუ რას წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი საზოგადოება, როგორი განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება ჩვენი სინამდვილე. რა ძალები ამოძრავებენ მის წინსვლას, მის სოციალურ განვითარებას. როგორია ჩვენი ქვეყნის მომავალი და რა პერსპექტივებს უქადის მას ისტორიული კანონზომიერება. ამ საკითხების ნათლად გათვალისწინებისა და თავის ნაწარმოებში მათი მხატვრულად გადაწყვეტის გარეშე საბჭოთა მწერალი ვერ შესძლებს დაიმსახუროს ნამდვილი შემოქმედის სახელი, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის ღირსეულ ხელოვანის სახელი. იგი ვერ დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს და მისი ავტორიტეტი, როგორც სოციალისტური ქვეყნის მწერლისა, მუდამ მერყევი, ექვსქვეშ დაყენებული იქნება. ამ გარემოებას ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს თითოეული მწერალი, რომელსაც სურს ღირსეულად ატაროს კომუნიზმის მშენებელ ენთუზიასტთა გმირი თაობის საყვარელი მწერლის უაღრესად საპატიო სახელი.

რითი დაიმსახურებს ჩვენი მხატვრული ლიტერატურის დიდმა კლასიკოსებმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვეჯა ფშაველამ, ყაზბეგმა ხალხის ესოდენ ღრმა სიყვარული და პატივისცემა? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ისინი ღრმად ჩასწვრივნი თავიანთი ეპოქის შინაგან მამოძრავებელ ძალებს, აღიპოვნენ ეპოქის მოწინავე იდეებით, უწმინდეს მოვალეობად გაიხადეს ხალხთა მსახურის უანგარო სამსახური, კომუნიზმისა და კეთილშობილური პატრიოტიზმის

მაღალი გრძნობებით გამსჭვალეს თავიანთი შემოქმედება. და კერძოდვე ეს გამოქანდაკებული უდიდესი მხატვრული ოსტატობით, მგზნებარე პოეტური პათოსით, უძლიერესი შთამაგონებელი ძალით. ვერც ერთ ყალბ გრძნობას, ვერც ერთ ნახელოვნურებ და არადაშავებულ პოეტურ ფრაზას მათ შემოქმედებაში ვერ იპოვნით.

ცხოვრობდე და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდე დიად სტალინურ ეპოქაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სიღრმით განიმსჭვალე ამ შესანიშნავი ეპოქის მოწინავე იდეებით, სუნთქავდე იმით, რითაც სუნთქვენ კომუნიზმის მშენებლობის ფრაგმენტზე თავისუფალი, ძლევამოსილი შრომით სეპტემბერი მილიონობით ადამიანები, ჩვენი მრეწველობისა და სოციალური მინდვრის მოწინავენი, ინტელიგენტური შრომის, მეცნიერების, ტექნიკური აზრის, კულტურის მრავალფეროვანი დარგის მოღვაწენი.

საბჭოთა მწერალმა რომ ღირსეულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა, მან ერთი წუთითაც არ უნდა დაჰკარგოს სიახლის გრძნობა. მას შემუშანეველი არ უნდა დარჩეს არც ერთი ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენა. მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი. ამ მოვლენაში მან უნდა განჭვრიტოს პერსპექტივა, მისი მომავალი განვითარების გზები და სახე. ეს უნდა გაიხადოს საბჭოთა მწერალმა თავისი შემოქმედებითი პრაქტიკის მთავარ საგნად.

რა თქმა უნდა, ამით საქმე არ უნდა ამოიწუროს. მხატვრული ნაწარმოების გამარჯვებისათვის მარტო თემის შერჩევა როდი ნიშნავს ყველაფერს. შერჩეული აქტუალური თემა უნდა იყოს მაღალი მხატვრული ოსტატობით დამუშავებული და მისი გადაწყვეტა პრინციპული, იდეურად მტკიცე, გა-

მართულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ამის გარეშე მწერალი გამარჯვებას ვერ მოიპოვებს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში? საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში აშხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა დაასახელა ომის წლებში საუკეთესო ნაწარმოებთა შემქმნელი ქართველი პოეტები, პროზაიკოსები; მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნა გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძღვეის-ქედი“, დემნა შენგელაიას „მერხეულა“ გ. ნატროშვილის „დასავლეთის ფრონტზე“, რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“, შ. დადიანის ზოგიერთი ნაწარმოებნი, კ. გამსახურდიას ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი, აკ. ბელიაშვილის რომანი „თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა“ და სხვ. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა განსაკუთრებით შეაჩერა ყურადღება ლეო ქიაჩელის ახალ რომანზე „მთის კაცი“, რომელიც „უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთაგან შინაარსითა და მხატვრული ღირსებებით ყველაზე შესანიშნავია“, რადგან „ამ ნაწარმოებში მწერალმა დიდი მხატვრული ძალით წარმოსახა საბჭოთა ადამიანები, მათი მორალური თვისებანი, მათი ერთგულება დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი“.

აქვე უნდა აღინიშნოს ახლახან გამოქვეყნებული გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვარზე“, რევაზ პარგიანიას „სიმღერა კომუნისმისა“ და „აქა მშვიდობა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „იმერეთის ცისკარი“ „რაუდენ გვეტაძის „ცხოვრება იწყება თავიდან“, ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „მონადირის ღამეები“ და

კარლო კალაძის ლექსების ციკლი „ისევ მშობლიურ სოფელში“.

ეს ნაწარმოებნი მალაქოშვილის ხარისხისა არიან იმიტომ, რომ ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს ეხმაურებიან. მათში აწერილია ტიპური მოვლენები, გარემო და ვითარება, მოცემულია გმირთა ხასიათის ტიპური თვისებები. ამ ნაწარმოებთა ენა მდიდარი და კოლორიტულია, აღსავსე ზატოვანი გამოთქმებით, გმირის ხასიათის თვისებები გახსნილია არა მარტო მის სიტყვებში, არამედ უმთავრესად მის ქცევაში. მხატვრული შემოქმედების ხერხები და საშუალებანი განსაზღვრულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით.

უნდა აღინიშნოს, რომ იდეურად და მხატვრულად გამართულ ნაწარმოებთა გვერდით კვლავ ქვეყნდება სუსტი ნაწარმოებნი; „ომის შემდეგ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა ჯერ კიდევ არ გამზარა მწერლებისათვის შემოქმედებითი წარმოსახვის საგანი“ (კ. ჩარკვიანი).

ჯერ კიდევ იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ანდა ცალკე წიგნად იცემა ზოგიერთი ნაწარმოები, რომლებიც მოკლებული არიან მთლიანად ან ნაწილობრივ ჭეშმარიტი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ამდენად ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და ყალბ წარმოდგენას აძლევენ მკითხველს ამა თუ იმ მოვლენაზე. მაგალითისათვის დავასახელოთ დავით სულიაშვილის მოთხრობა „მშობლიური მიწა“, რომელიც ახლახან გამოცემა „საბჭოთა მწერალმა“.

ჩვენი მკითხველი დ. სულიაშვილს იცნობს როგორც გულწრფელ შემოქმედს და გამოცდილ ოსტატს. მით უფრო მკაცრი და მომთხოვნი უნდა ვიქნეთ მის მიმართ. ავტორს ხსენებულ მოთხრობის თემად აუღია ისეთი კოლმეურნეობის ცხოვრება, რომელიც არა-

ფრით არ გამოირჩევა. მას გმირიც არა ჰყავს, მილიონერობამდეც ვერ მიუღწევია. ამიტომ, ცხადია, იგი ვერავის გამოადგება მისაბამ მაგალითად. თანამედროვე ადამიანის არც ერთი განმასხვავებელი თვისება არ ახასიათებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. არც ერთ მის ქცევაში არ სჩანს, რომ იგი ხელმძღვანელია ისეთი რთული სამეურნეო ორგანიზაციისა, როგორც არის კოლმეურნეობა. ამოიღეთ ნაწარმოებიდან სიტყვა „კოლმეურნეობა“, მასთან დაკავშირებული რამდენიმე ახლად შექმნილი ტერმინი და თქვენ ხელში შეგრჩებათ ჩვეულებრივი ამბავი ჩვეულებრივ სოფელ ადამიანებზე, რომლებიც რევოლუციამდეც ცხოვრობდნენ ჩვენში და რომელთა შესახებ გაცილებით უკეთესად დაუწერიათ წარსულში ჩვენს მწერლებს. ამ ადამიანთა შეხედულებებსა და განცდებში თითქოს არავითარი ცვლილება არ მომხდარა; მათი ლექსიაც კი იგივეა, როგორც ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ იყო.

ბუნებრივია, რომ მკითხველზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს ნაწარმოები; იგი არავითარ ემოციას არ გამოიწვევს იმ ადამიანში, რომელსაც საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე ეწოდება და რომლის შეგნება, კულტურა და გემოვნება გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ამ რამდენიმე ხნის წინათ იდგა.

ახალი ადამიანის ეს თვისებები ვერ დაუნახავს თინა დონეაშვილსაც, ავტორს მოთხრობისა—„ვერ მივატოვებ“. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოების მთავარ გმირს ექიმ ელენე სულხანიშვილს ავტორი ასეთი არასახარბიელო სახით არ წარმოგიდგენდა. ელენეს საქციელი ყოველნაირად ეწინააღმდეგება საბჭოთა ადამიანის მორალურ, მოქალაქეობრივ თვისებებს. ეს ჩინებული დოსტაიარი, თავისი საქმის კარგი ოსტატი ლამაზი ქალი კერძო ცხოვრებაში ოჯახის სიწმინდის შემ-

ლაღვად გვევლინება. იგი ლალატობს ქმარს, პატროსან, მშრომელ ენციკლოგენტს. ავტორის მიერ ელენეს მხატვრული „დასაბუთება“ ელენეს საქციელისა იმაში მდგომარეობს, რომ „მხოლოდ ერთხელ ნახვით“ შეუყვარდა სხვა ვინმე, რომელსაც „თურმე გული ელოდა“. ვანა ეს არის საბჭოთა ქალის მორალი? რაში უნდა მიბაძოს მკითხველმა მოთხრობის ასეთ გმირს? ვფიქრობთ, იგი ზნეობის ნიმუშად არ გამოადგება.

ნელის არც მოთხრობის მეორე გმირი მიხეილი ჩამორჩება უზნეობაში. ომის მრისხანე დღეებში, ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს დირექტორი მიხეილი ელენეზე ოცნებას შეუპყრია და როცა მისი ქმრის ვლადისლავის დაღუპვის ამბავი შეიტყო, აღფრთოვანებული გაფაციცებით ეძებს ელენეს, რადგან „ხელის შემშლელი“ უკვე აღარ არსებობს. ნუთუ ასეთია საბჭოთა ადამიანის მორალური ღირსება? რა თქმა უნდა არა, და ამდენად ეს ტიპი არ არის მართალი და დამაჯერებელი.

ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ კი თავიდანვე ვერ აუღო ალღო ამ გარემოებას და თ. დონეაშვილის მოთხრობა დაუმსახურებელი ხოტბით შეამკო. ასეთი კრიტიკა ვერ დახმარება საერთოდ შემოქმედს და განსაკუთრებით დამწყებ მწერალს პროფესიული ოსტატობის დაუფლებაში. პირიქით, იგი ხელს უშლის მწერლის ზრდა-განვითარებას.

ამსწინათ გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლის დ. ქუმისიშვილის მოთხრობა „ოქროს მარცვლები“. მოთხრობა აქტუალურ, თანამედროვე თემაზეა დაწერილი. მისი მთავარი გმირი ყარამან აფციური მიჩურინელი საბჭოთა აგრონომია. აფციური სამამულო ომში მონაწილეობდა როგორც მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი. მწერალს მოცემული აქვს ის მომენტი, როცა გერმანელი ფა-

წისტების ნაღმტყორცებმა და ტყვიამფრქვევებმა საშინელი სროლა აუტეხეს საბჭოთა მეომრებს. „ყანას ალაგ-ალაგ ცეცხლი წაეკიდა. აღის პატარა ენებმა გველებივით ასწიეს სიბნელეში თავები... ნაღმები ღმუილით მოჰქროდნენ, ტყვიები ფუტკრებივით ბზუოდნენ... ნაღმები იმდენად ახლო სკდებოდნენ და ყუმბარები, რომ ყარაამანი იძულებული გახდა მიწაზე გართხმულიყო, როდესაც იგი ძირს დაეარდა, ხელში რაღაც საყვირველი მოყვანილობის თავთავი მოხვდა“. განა შეიძლება დაიჯეროს მკითხველმა, რომ ასეთი ჯოჯოხეთური ტყვიის ცეცხლში, როცა ცა და მიწა ზანზარებს სროლისაგან და „ტყვიები ფუტკრებივით ბზუიან“, აღაშინება იგრძნოს, რომ ხელში „საყვირველი მოყვანილობის თავთავი“ მოხვდა?

შემდეგ მძიმედ დაჰკრილი აფციურით ენით გამოუთქმელ წამებას განიცდის ჭრილობის გამო, მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი მაინც თავთავებია, რომლებიც დაჰკრიფა და თან წამოიღო. გონმიხდილი აფციური პოსპიტალში მიიყვანეს. აქ მთელი კვირის განმავლობაში უგრძობად იწვა, აბოდებდა, მეშვიდე დღეს მოვიდა გონს, სიცხე ორმოც გრადუსზე მეტი აქვს და უცებ... ხორბლის მარცვლები მოაგონდა.

არავითარ ბუნებრივ კანონს არ ემორჩილება ასეთი რამ: ეს ზომ თითებიდან გამოწოვილი ამბავია, რასაც სინამდვილესთან იოტისოდენა კავშირი არა აქვს.

ავტორს შეეძლო უფრო ბუნებრივი და დამაჯერებელი სიტუაცია შეექმნა ნაწარმოების გმირის ხასიათის გამოსავლინებლად და მკითხველისათვის იმის დასანახებლად, თუ როგორ უყვარს საბჭოთა აღამიანს თავისი საქმე, როგორ არის იგი დაინტერესებული თავისი პროფესიული ამბებით. რა საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს განზ-

რახ, ხელოვნურად დავუარგოთ ჩვეულებრივი აღამიანური თვისებანი... უახსა საბჭოთა მეომრის ღირსებას... ჩაღმსუქი შელახავდა ის გარემოება, რომ მას სიკვდილის უშუალო საფრთხის მომენტში მაინც თავისი პროფესიით გატაცება თუნდაც დროებით მიევიწყებინა და რაღაც არაჩვეულებრივი ფორმის თავთავის ძებნის ნაცვლად მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემი საშუალებანი, ან, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ამასთან, „შეუდრეკელი ნებისყოფის შენარჩუნების პირობები გამოეძებნა? რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ნაწარმოების მხატვრული დამაჯერებლობა გაცილებით მეტი იქნებოდა, მკითხველზე იგი უფრო ძლიერ ემოციურ გავლენას მოახდენდა.

ახლანს გამოქვეყნდა ჩვენი ნიჭიერი პოეტის მაცყალა მრველიშვილის საქმაოდ მოზრდილი პოემა „ჭირნახული“. ეს ნაწარმოები ბევრი კარგი ღირსების შემცველია. მასში მოცემულია დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა პატრიოტების თავდადებული შრომის სურათები ზურგში. კარგია პოემის ენა, რეალისტური თვლით არიან დანახული აღამიანები და მოვლენები, მასში იგრძნობა ზალზურობა. ლექსის მუსიკალობაც სასიამოვნოდ ქლერს, რიტმი და რითმა შინაარსიდან გამომდინარეობს, პოემის აზრს ემორჩილება, მაგრამ შეცდომებისაგან მთლიანად მაინც ვერ დაულწევათ თავი მ. მრველიშვილს.

ავტორი გაუტაცნია სურვილს, რომ პოემის გმირის ეთერის საქმისადმი სიყვარული და თავდადება ეჩვენებინა. ამიტომ, როცა მისი ქმარი, ფრონტელი გიორგი, ეთერისათვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი აღამიანი, რამდენიმე წუთით შინ შეირბენს თავისიანების სანახავად და ჩაბრობს, რათა გზად მიმავალ თავის სამხეირო ნაწილს დაეწიოს, მინდორში სამუშაოდ გასული ეთერი საქმეს თავს არ ანებებს,

რომ ქმარი ინახულოს. ვინ დაიჯერებს იმას, რომ ქალმა, რომელსაც გიორგიზე ძვირფასი არავინ გააჩნდა ამ ქვეყანად, რამდენიმე წუთით ვერ მიატოვა სამუშაო, რადგან იგი სხვა კოლმეურნესთან იყო ჩაბმული შეჯიბრებაში და შეეშინდა, ვთუ თუ ჩამოვრჩე მასო. არავისთვის და არაფრისთვის არ არის საჭირო საქმისადმი სიყვარულის კეთილშობილური გრძნობის ასეთი გაყვალბება. საბჭოთა ქალმა თავის დროზე შრომაც იცის, სიყვარულიც და მას გმირობის ჩაღვინის ძალაც შესწევს. ამითი გამოირჩევა ის, როგორც კომუნისტების მშენებელი ადამიანი.

ყველასათვის ცხადია ის უდიდესი ყურადღება და მზრუნველობა, რასაც იჩენენ საბჭოთა ქვეყანაში ბოლშევიკური პარტია, მთავრობა, მთელი ხალხი საერთოდ ხელოვნების, კერძოდ კი მხატვრული ლიტერატურის საკითხებისადმი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენენ უამრავი ღონისძიებანი, რაც მიმართულია ჩვენი მწერლობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფისაკენ; და ის საყოველთაო-სახალხო სიყვარული, რომლითაც გარემოსილია მთელი საბჭოთა ლიტერატურა, თვითვე ული საბჭოთა შემოქმედი.

ხალხის წიაღიდან ახალი ლიტერატურული ძალების გამოვლინების საქმეში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს. მათ უნდა შესძლონ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გამოაქვეყნონ მომავლის მქონე ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდა შემოქმედი ძალების ნაწარმოებნი. თავისთავად ცხადია, რომ ეს მუშაობა გაზეთების რედაქციებმა უნდა აწარმოონ უდიდესი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით, მასალების ზუსტად შერჩევით, პირველ რიგში მათი იდეოლოგიური და მხატვრული ხარისხის გათვალისწინებით. ასეთი საკვალდებულო პირობების დაცვის გარეშე სასურველი

ეფექტის და სარგებლობის საცქერად ამ უაღიესად დიდძალი ხელოვნების (მედიუმი) კურსულტურულ საქმეს ჩვენს შემოქმედებებში.

ადგილებზე მოქმედ ლიტერატურულ ძალებთან მუშაობის ერთგვარი გამოცდილება აქვს, ჩვენი რესპუბლიკის სხვა საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებთან ერთად საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ორგანოს „საბჭოთა ოსეთს“.

გაზეთის 15 მაისის ნომერში მოთავსებულია „ლიტერატურული ფურცელი“: ამ მკითხველი ეცნობა ვ. გელაშვილის, დ. ნავარდაშვილის, დ. ასაივის, ვ. ნაშშურიძის, ა. მამისთვალოვისა და ს. ყურაშვილის ლექსებს.

ვ. გელაშვილის ლექსი „ენათის არხის მშენებლებს“ აქტუალურ თემაზეა დაწერილი. მაგრამ მასში არ ჩანს თვით ამ არხის მშენებელ ადამიანთა სულისკვეთება, მათი შინაგანი სამყარო და ეოცხალი სახე. ლექსი ზოგად — დეკლარაციული ხასიათისაა და პლაკატური მოწოდების დონეს ვერ სცილდება. ამდენად სუსტია მისი მხატვრული ღირებულება, რაც უთუოდ გარკვეულ გავლენას ახდენს მის იდეურ-შემეცნებით მხარეზეც.

აქტუალური თემა აუღია აგრეთვე თავისი ლექსისათვის ს. ყურაშვილს. მოცულობით საქმაოდ ვრცელი მისი ლექსი „სიცოცხლის დამკვიდრება“ სამგორის გიგანტურ მშენებლობას ეხება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც იგრძნობოდა ერთგვარი ზოგადობა. ავტორი ლექსში ხშირად ლაპარაკობს მდინარეზე, მის კალაპოტზე, ტალღებზე, ტრაქტორზე, კომბაინზე. მაგრამ მშენებელი ადამიანის კონკრეტული სახე, მისი ფიქრი და გრძნობა არსად ჩანს. ავტორს, თუ კი სადმე მოაგონდება კომუნისტების გმირ მშენებელთა არსებობა, იგი ასეთი ზოგადი ფრაზებით გვიხატავს მათ:

„ეთ ვარდების თოვა ხშირი,  
ისე მოდის კამკავშირი,  
ტანდალური ჭაბუკები  
წითელ დროშებს მოაყვებიან—  
ეს გულციცხლა მეგობრები  
ვეს ტალღებად მოხდებიან“.

მსგავსი არაკონკრეტული სტრიქონები ახალს ვერაფერს ეტყვიან საბჭოთა მკითხველს, რომელიც მოითხოვს ჩვენი მწერლისაგან, რათა მან „აჩვენოს საბჭოთა ადამიანების ეს მაღალი თვისებანი, არა მარტო დღევანდელი დღის მიხედვით აჩვენოს ჩვენი ხალხი, არამედ მის ზვალინდელ დღეშიც ჩაიხედოს, დაეხმაროს—პროექტორით გაუნათოს წინსვლის გზა—ასეთია ყოველი კეთილსინდისიერი საბჭოთა მწერლის ამოცანა“ (ა. ა. ე დ ა ნ ო ვ ი).

შედარებით კონკრეტულობის იერს ატარებენ დ. ნავარდაშვილის ლექსი „ქართლის მიწა“, რ. ასავეის „ღამე სოფელში“; ვ. ნამშურაძის „ვება ფშაველას“ და ა. მაისთვალოვის „შეხვედრა“.

ლიტერატურულ გვერდზე მოთავსებულია დოცენტ ილ. მაისურაძის წერილი სათაურით — „მხარდი პოეტური ძალები“. ასეთი ხასიათის მასალის დანიშნულებაა — სწორი გზა მიუთითოს მწერალს, აღინიშნოს მისი შემოქმედების დადებითი მხარეები, მკაცრად, ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილოს ყველა მისი ნაკლოვანება, რითაც იგი ხელს შეუწყობს მწერლის შემდგომ ზრდა-განვითარებას. ასეთია ჩვენი ნამდვილად პარტიული ლიტერატურული კრიტიკის როლი და დანიშნულება. ნაცვლად ამისა, ილ. მაისურაძის წერილში ვხვდებით ასეთ გადაჭარბებულ და სრულიად დაუმსახურებელ დიფირამბებს ახალგაზრდა შემოქმედთა მიმართ: „საბჭოთა პატრიოტიზმის ღრმა განცდით, მაღალი იდეური შეგნებითა და ნათელი სტილით (ხაზი ჩვენია. პ. ბ.) არის დაწერილი ახალგაზრდა პოეტის ვლადიმერ გელაშვილის ლექ-

სები. მის ლექსთა კრებულიდან უკვე დამოუკიდებელი კრებულები სტილი (ხაზი ჩვენია—პ. ბ.) გამოსტევიეს“.

სტატიის ავტორი, ენება რა ს. ბურნაძის ლექსს „გამოთხოვება“, ამბობს: „სულიყო ბურნაძის ლექსში „გამოთხოვება“ საინტერესო დეტალებით არის მოცემული უხილავი ტრფიალის ძალა, რომელსაც განიცდის სამამულლო ომში ერთხელ დაჭრილი და მედიცინის დისხელით განკურნებული მებრძოლი გმირი ომის ქარცეცხლში გადაშვებისას, იგი“

„ქალაქ გადაეშვა ბრძოლაში  
ამტანი გრძელტყარისა  
უძღვის ნათელი ხატება  
მაღწული დოსტაქარისა“.

ამხ. მაისურაძე ახალგაზრდა პოეტს უწონებს ისეთ ადგილს მისი ლექსიდან, რომელიც სწორედ მიუღებელი და დასაგმობია, როგორც მცდარი, საბჭოთა პატრიოტიზმის ნამდვილი აზრისა და გრძნობის დამახინჯებით გადმომცემი. როგორც ს. ბურნაძის, ისე ი. მაისურაძის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ სოციალისტური სამშობლოს მტერთა წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლაში ჩვენს გმირ მეომრებს წინ უძღოდა და ასალკლდევებდა არა „ქალწული დოსტაქარის ხატება“, არამედ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უძლეველი დროშა, საყვარელი სამშობლოს ძვირფასი სახელი, გენიოსი ბელადის და მხედართმთავრის დიდი სტალინის სახელი. აი რით იყო და არის შთაგონებული თვითველი საბჭოთა პატრიოტი როგორც ბრძოლაში, ისე კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისათვის გმირულ შრომაში.

დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაეხვას შემდეგ გარემოებას: როგორც სჩანს, ოსეთში მომუშავე მწერლები ჯა გაზეთის რედაქციაც ჯერ კიდევ



ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მხატვრულ პროზას, ვინაიდან საკმაოდ მოზრდილი გაზეთის გვერდზე საკიროდ არ ჩაუთვლიათ მხატვრული პროზის თუნდაც ერთი მცირე ნიმუშის მოთავსებაც კი. უნდა გვახსოვდეს და სახელმძღვანელო დებულებად მიგვაჩნდეს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის მიერ გამოთქმული აზრი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე: „ბოლო უნდა მოეღოს ქართული პროზის ჩამორჩენას. პროზა ჩვენი ლიტერატურის მთავარი ენა უნდა გახდეს“.

შეუწევებლად ვიბრძოლოთ ლიტერატურული პროდუქციის მაღალი იდეურ-მხატვრული დონისათვის, სალიტერატურო კრიტიკის ბოლშევიკური პარ-

ტიული პრინციპულობისათვის — ასეთია ჩვენი გადაუდებელი საბჭოთაო ამოცანა და ეს კარგად უნდა იცნოს ლისწინოს თითოეულმა საბჭოთა მწერალმა, აგრეთვე იმ ორგანოთა რედაქციებმა. რომლებიც თავიანთ ფურცლებზე აწვდიან საბჭოთა მკითხველებს ლიტერატურულ პროდუქციას.

თითოეული საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი შთაგონების წყარო უნდა გახდეს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ყოვლისმძლე იდეები. მტკიცე და თანმიმდევრული ბრძოლა ლიტერატურის ბოლშევიკური პარტიულობისათვის, მისი მაღალი მხატვრული ხარისხისათვის — ასეთია კომუნისმის მშენებელი ქვეყნის ლიტერატურის — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნის მოწინავე ლიტერატურის მუშაეთა საპატიო პროგრამული ამოცანა.

ლევროსი ქალანღაძე

## რომანი გაეარჯვებულ აღამიანსა



ლიტერატურული პროცესის ხასიათს არსებითად ყოველთვის მისი მთავარი გმირი განსაზღვრავს. რა წილას ან რა სამოსელსაც უნდა ატარებდეს ეს გმირი—ველადგაქრილი მიჯნურის ვეფხვის ტყავსა თუ პეტერბურგელი განათლებული არისტოკრატის ღენდურ კოსტუმს, რუსი ოფიცრის მუნდირსა თუ ახალგაზრდა ლონდონელი ლორდის მოსასხამს, — მასში ყოველთვის გამოხატულებას პოულობს გარკვეული ეპოქის, გარკვეული ქვეყნისა და გარკვეული სოციალური წრის შეხედულებები, ინტერესები და გემოვნებანი.

მთავარი გმირის შეცვლა ყოველთვის მოასწავებს დიდ თვისობრივ ძვრებს ლიტერატურის განვითარებაში. იგი დაკავშირებულია მთელი სოციალ-პოლიტიკური და მორალურ-ესთეტიკური შეხედულებებისა და იდეალების შეცვლასთან.

ბევრი მთავარი გმირი და ბევრი მათი ცვლა იცის ლიტერატურის ისტორიამ. მაგრამ წარსულ ეპოქათა მთლიანი ლიტერატურული პროცესის მთავარი გმირის რილში არასდროს არ გამოსულა გამაარჯვებული მშრომელი ადამიანი. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს წარსულში მშრომელი ადამიანი არ ყოფილიყო ანა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის ან ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი გმირი. მაგრამ იგი ან თავის ბედს შერიგებულ

ლი მონა ან პასიური პროტესტანტი და ან სტიქიური თუ შეგნებული მემზობხე იყო, ყოველ შემთხვევაში, იგი არ ყოფილა ისეთი გმირი, რომელთანაც დაკავშირებული ყოფილიყო ანა თუ იმ ეპოქის მთლიანი ლიტერატურული პროცესის მთავარი მოტივები.

საბჭოთა ლიტერატურა თავის განვითარებაში, ცხადია, აგრძელებს კაცობრიობის მხატვრული მეგვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებს. მაგრამ ამავე დროს იგი წარმოადგენს ახალ ნაბიჯს ანუ ახალ თვისობრივ ნახტომს მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ამ ახალი თვისობრივობის ერთ-ერთი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა ლიტერატურის მთლიანი პროცესის მთავარი გმირი არის მშრომელი ადამიანი, ხოლო მისი ერთ-ერთი ძირითადი პათოსია სოციალისტური შრომა. ეს არის ახალი ადამიანი, გამარჯვებული არა მარტო სოციალურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. ადამიანი — სამყაროს ახლებურად შემცნობი, ცხოვრების ახალ, უკეთეს ფორმათა შეგნებული მშენებელი, ახალი საზოგადოებრივი მორალისა და გემოვნების დამდგენი.

საბჭოთა ლიტერატურის ამ ერთ-ერთი განმანსხვავებელი თვისების მკაფიო გამოხატულებას ვპოულობთ ჩვენ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში — „იმერეთის ცასკარში“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი არის მშრომე-

ლი ალამიანი არა მარტო იმ აზრით, რომ იგი ნაწარმოების მთავარი მხატვრული სახეა, არამედ იმ აზრითაც, რომ თვით რომანიც მისი თვალით დანახული ქვეყანაა.

ამ რომანს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ ისტორიის გამოკვლევას. ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ მის მხატვრულ და იდეურ ღირსებას, უმთავრესად მისი მთავარი გმირის გამოსახვის მიხედვით.

„იმერეთის ცისკარის“ ადგილი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში განისაზღვრება მით, რომ იგი ერთ-ერთი პირველი ფართო სოციალური ხასიათის რომანია. იგი ასახავს საბჭოთა ეპოქის საქართველოს სოფლის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ეტაპებში პარტია თანდათანობით ამზადებდა ნიადაგს სოფლის მეურნეობის გადასყვანად სოციალისტურ რელსებზე. რომანის მხატვრულ სახეთა სისტემაში გახსნილი და გადაწყვეტილია ამ პერიოდის რთული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ღრმა სოციალური აზრი. ეს აზრი მდგომარეობდა მეურნეობის სოციალისტური ფორმის დამკვიდრებაში და ამასთან დაკავშირებით ალამიანთა სოციალისტური შეგნების ფორმირებაში.

მწერლისათვის სწორედ ეს აზრია ის ზოგადი იდეა, რასაც იგი ყოველ კონკრეტულში, ყოველ მხატვრულ სახესა და სურათში გამოსახავს. ამ ზოგადი აზრით არის შეკრული ნაწარმოების მთელი მხატვრული ქსოვილი. მწერალი ეძებს მოვლენათა საყოველთაო კავშირის ძირითად კვანძს. მისთვის მხატვრული სახე არის ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობა, გააზრებული უშუალობა. ამაში მდგომარეობს მწერლის რეალისტური მეთოდი.

იმპრესიონისტიკისათვის უცნობია მოვლენათა საყოველთაო კავშირი. მას

მოვლენები წარმოდგენილია, იქნეს შემოხვევითობათა უწყსრიგობა, გარკვეულ მისი მხატვრული წარმოსახვა სამყაროს მომენტალური სუბიექტური ხილვია. ამიტომ მისთვის ყოველი ცალკეული მხატვრული სახე თვითმყოფადი ესთეტიკური ფაქტია. იმპრესიონისტს შეუძლია დასწეროს სქელტანიანი რომანი, წარამარა იმეორის სხვადასხვა ვარიანტებში სახეები და სცენები, აღწეროს სხვადასხვა საოცარი შემთხვევები, მაგრამ თქვენ იქ ვერ იპოვით დიდ გამამთლიანებელ იდეას, ნათელ საზოგადოებრივ კონცეფციას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მტკიცედ დგას შემოქმედების რეალისტურ პოზიციებზე. მისი რომანის ყოველი სახისა და სურათის მხატვრული ფუნქცია ორგანულ მთლიანობაშია მათ იდეურ ფუნქციასთან.

თუ თუნდაც პირველივე სცენა; სოფლის მოედანზე კიდაობაა გამართული. კუნთებმაგარმა ბიჭმა ხაყომიამ ხუთი მოჭიდავე დასცა. კვლავ წყვილ-წყვილს იწვევს და იქაღის, რომ ცალი ხელით მოერევა მათ. სანამ ბიძაშვილს წაუქცევდა. ლამაზი გოგო თალიკო ფალავანის მხარეზე იყო, მაგრამ ახლა გადაუდგა მას და ბიჭებს ავულიანებს შესაპილებლად. „უეცრად მეჭი წამოდგა და საგანელიძის გოგოს გაუბედავად შეხედა. მერე მშვიდად გაუღიმა და ამ ღმილში იმდენი უთქმელი მორჩილება გამოკრთოდა, იმდენი უთქმელი დარდი, — კაცი ვერ დაიჯერებდა, თუ ეს კაშტკი მხოლოდ ხუთმეტრი წლისა იყო“. ეს გახლდათ „ქვემო იმერეთში ცნობილი მედუქნის ერემო პირტახიას მოჯამაგირე... მეტისმეტად ბეჩავი, მოკრძალებული და უნირო ბიჭი“, რომელსაც „სიცოცხლე მხოლოდ მაშინ უხაროდა, როდესაც... თალიკო სათამაშოდ დაუძახებდა“. თუ ეს უნდელი მოჯამაგირე დაეჭიდა გაგულდილებულ ფალავანს.

ვინ ვის?

და ჩვენ უკვე ვგრძნობთ, რომ აქ ერთმანეთს დაეკიდა ორი ბიოგრაფია, ორი ფსიქოლოგია, ორი სოციალური სამყარო. ისახება ამ კიდილის განვითარებებსა და გაფართოების ორი გეზიც: ფსიქოლოგიურიც და სოციალურიც. საქმე ეხება არა მარტო ლამაზი თალიკოს გულის დაპყრობას, არამედ რაღაც უფრო მძიმე ბორკილების დაძვინტვასაც. ამიტომაც იფეთქა საოცარი ძალით გამარჯვების ნებისყოფამ ამ ბეჩავ ბიჭში, სიყვარულის უშრეტმა ცეცხლმა კი მხოლოდ შესძრა მისი მთელმარე ადამიანური ძალები. მხოლოდ ვერაგული ხერხით — მხარზე კბენით დასცა შემერთალმა ზაქომიამ მეტი ვაშაიკებ. დასცა, მაგრამ ეს მხოლოდ ბრძოლის დასაწყისია. ვინ ვის? — მომავალში გადაწყდება.

ამრიგად, ეს სცენა რომანის მთელი შენობის უბრალო ჩუქურთმა ან უბრალო სამკაული კი არ არის, არამედ მისი ძირითადი იდეის ერთ-ერთი გრძობადი კონკრეტობაა. ეს სცენა მკითხველსათვის იმდენად არის ცოცხალი, შთაბოძნებელი და ემოციური, რამდენადაც მას იგი შეჰყავს ცხოვრების ღრმა წინააღმდეგობათა სფეროში.

ამავე სცენაში ვიგრძენით ჩვენ ძალთა გარკვეული დაჯგუფებაც. ეს არის მხატვრული მიზნინება რომანის შემდგომი ღრმა კონფლიქტებისაკენ.

„ვინ ვის?“ — ეს იყო იმ პერიოდის ძირითადი საკითხი. ეს იყო სოფლად კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შორის გადაწყვეტი სამკედრო-სასიციტხლო ბრძოლის საკითხი. ეკონომიურად ჯერ კიდევ საქმაოდ მძლავრობდნენ სოფლის ბობოლები და ნემანური ელემენტები. მათ გვერდში ედგათ და აშკარად თუ ფარულად ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას განადგურებული კონტრევოლუციური პარტიების ნაძირალები და სხვადასხვა ჯურის ბანდიტები. ზოგჯერ ბობოლათა ანკესს ეგებოდა არა მარტო საშუა-

ლო, არამედ ღარიბი გლეხებიც. პირველმა „ვინ ვის“ მდგომარეობაშია მთელი თუ რომელი ძალა გაიყოლებოდა მშრომელი გლეხობის ძირითად მასებს — წვრილი სსაქონლო მეურნეობის კაპიტალისტური სტიქია თუ მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია, კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ უდიდესი საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო მეტად რთული და ღრმა კონფლიქტებით აღსავსე სოციალურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ პროცესებთან.

„იმერეთის ცისკარში“ მოცემულია ამ პროცესების ვრცელი მხატვრული განვითარება. მაგრამ რომანის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს მშრომელი ადამიანის სოციალური და სულიერი გამარჯვების დიდი პროცესი. რომანში ნაჩვენებია, თუ როგორ შესცვალა, აამალა და გაამდიდრა საბჭოთა სინამდვილემ ხალხის უღარიბესი ქვედაფენების ბიოგრაფია და როგორ განუმზადა მშრომელი ხალხის მხაგერელ და მყვლეფელ ძალებს ისტორიის მორევეში ჩაძირვა.

რომანის ამბავში ბევრია საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიური ელემენტები. მაგრამ მის ძირითად ფაბულას არც საყოფაცხოვრებო, არც ფსიქოლოგიური და არც ზამათთა წინააღმდეგობის კომპლექსი შეადგენს. რომანი, უწინარეს ყოვლისა, სოციალური ზასიათისაა. მისი მთავარი ლერძი იმერეთში პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისა და მათთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოვლენების პროცესია. სწორედ ამ ლერძის ირგვლივ არის თავმოყრილი რომანის სუბექტი, მთელი მისი ამბავი.

ამბავი, რასაკვირველია, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის ერთ-ერთ არსებით ელემენტს შეადგენს. მაგრამ ამბავის უბრალო მოთხრობა ანუ მოყოლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს

მხატვრული ნაწარმოების შექმნას. მხატვრული შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, მოასწავებს ჩვენებას და თბროსას მძაფრად, საინტერესოდ. ქეშმარიტი მხატვარი არის ის, ვინც საგანთა, მოვლენათა და ურთიერთობათა არსებით, მაგრამ შეფარულ ფეთქებასა და მოძრაობას ნწედება, ვინც ცხოვრების მნიშვნელოვან, მაგრამ უჩინარ დეტალებს პოულობს. სწორედ ეს შეფარული ფეთქება და მოძრაობა, სწორედ ეს დეტალები ქმნიან მხატვრული სახის სიმძაფრეს და ამავე დროს მის უღრმეს სიმართლეს.

„იმერეთის ცისკარში“ უმაღლე იგრძნობა ქეშმარიტი მხატვრის თვალი, მხატვრული დაკვირვების ბედნიერი ნიჭი. რაოდენი მხატვრულ მოულოდნელობაა თუნდაც იმაში, რომ მოჯამაგირე, ვისაც ადამიანისშვილადაც კი არ თვლიდნენ, უეცრად სიყვარულის უფაქიხესი გრძნობის რაინდად აღიმაართება. აგერ, გვგონია, რომ ვერაგულად დაცემული საცოდავი ბიჭი საბოლოოდ ჩაჭრება, ჩაიფერალება. იგი „სატურის ჭალაში, ქაოსისაგან წაქცეულ ზვინზე დაეგდო და მწარედ ატირდა. მაგრამ ამ ტირილში არა მარტო უმწეობა, არამედ ადამიანის სულის ინტენსიური მოძრაობაც ისმის. და სულის ეს ინტენსიური მოძრაობა, გათენების დიდ წყურვილად ქცეული, თითქმის დაეძგერა შემოწოლილი სიბნელის გულცივობას. მექი ღამეს ყურს უგდებს, უნდა კვლავ გაიგონოს მამლების ზრინიანი ყვირილი. „ეს ყვირილი, ეს სიცოცხლის ხმა მარტოობის შიშსა და სიმწარეს უმსუბუქებდა გულამღვრეულ ჰაბუქს“. აქ მწერალმა ყალმის ორიოდ შემოსმით შექნა ცოცხალი განწყობილება. მოიგონეთ შესანიშნავი სურათი, როდესაც მექი მარტო შეხედება გუშინდელ ფალაქანს და სამფუთიანი გრდემლის აზიდვით თავის ღონის დემონსტრაციას მოახდენს მის წინამე. რაოდენი უშუალობა და რაოდენი კე-

თილშობილებაა ამ მოძრაობაში, რა შესანიშნავად მიგნებულა მხატვრული შესანიშნავია შემდგომი მოქმედება როდესაც მეტოქემ ღონე არად ჩაუგდო. მექიმ საყვლო შეიხსნა, ნაკბენი მხარი უჩვენა და უთხრა: — „მამ, ეს იყო ბიჭობა!“. ასეთი სიტყვები თითქოს ყველას გესმენია, მაგრამ ისინი აქ შექმნილი ვითარების ისეთ ნაკვეთშია ჩასმული, რომ მათ განსაკუთრებული სიმძაფრე ეტლევათ. ეს არის კეთილშობილი მორალური რაინდობის პირველი მართალი ხმა. უქვევლად მძაფრი ფსიქოლოგიური შტრიხია ისიც, რომ მექი ცრემლმორეულო სთხოვს ხაჯომის, დამეკიდო, საჩუქრებს ჰპირდება. გაქცეულს უკანაც გამოუდგება ხეწუნა-ვედრებით. ეზოშიაც შესდევს და გაწბილებული მიწაზე დაეცემა, მწარედ აქეთონდება. მას ძლივს გამოაგდებენ ეზოდან. რა მწვავე გათიშვაა ადამიანის გულუბრყვილო, მაგრამ სამართლიან მისწრაფებასა და მისი დამეკიდრების შესაძლებლობას შორის. ამ შეუსაბამობაში არ არის ირონია, თორემ ეს ბიჭი პირდაპირ ღონე-კიხობია, ასე ცოცხლად გამოკვეთილი ქართული სოფლის სინამდვილიდან. მთელი ეს სურათი ნათელი მხატვრული ენით მეტყველებს ადამიანური სიმართლისა და სამართლიანობის დიდ ძიებაზე.

მოვიგონოთ სცენა, როდესაც ბურთობით ვართული თალიკო უეცრად შექვივლებს: — ვინ დამიჭერს! — და ჰალისკენ გაფრინდება, ბიჭები ყვირით გამოუდგებიან. მექი შეყოყმანდება „დამცინებენ, ამოდენა კაცი რომ აყნატრუშებული დამინახონო“, მაგრამ სიყვარულსა და სილამაზის ბუნებრივი წყურვილი მაინც ფრთებს გამოასხამს, სხვებსაც გაუსწრებს. აი სადაც არის კიდევაც დაწვევა სანატრელს. მაგრამ თალიკო ერთბაშად შედგება და შებლმეკრული მიახლის — „რა შენი ტოლი

მნახე, რომ მომდევ, შე გამოთავყავებულაო!..."

ამ პატარა საყოფაცხოვრებო სურათის მხატვრული შესრულების ძლიერება იჭიდანაც ჩანს, რომ ჩვენ ნათლად ვგრძნობთ იმ პირგახსნილ უფსკრულს, რაც სოფლის ბობოლას ნებზერად აღზრდილ ლამაზ გოგოსა და ბედდამწვარ მოჯამაგირეს შორის არსებობს.

კიდევ ერთი დეტალი, რომელშიაც მხატვრული სიმართლის შესანიშნავი მიგნებაა.

მეტი უკვე წელში გამართული ადამიანია. იგი „იმერეთის ცისკრის“ საცდელ ნაკვეთს განაგებს, თალიყო მას მაინც ამრეზილად უყურებს და აბუჩად ივლებს. ერთხელ ბილიკად მიმავალმა მეტიმ „ქალის სიმღერა გაიგონა... ბილიკზე თალიყო მოდიოდა და გზადაგზა მაყვალს ჰკრეფდა. მეტის დანახვაზე სიმღერა შესწყვიტა და ხაბოჯს მოუჩქარა.

თეთრები ეცვა, თითქოს აყვავებულ ტყემალს ფეხი აუდგამსო. და ეს თანთქარა გოგო ცაზე გაკრულ ღრუბელივით მოუფვდომელი მოეჩვენა ქაბუქს, სიზმარივით მიუღვამელი.

და მაშინვე უცნაური სურვილი მოერია: უნდოდა ისეთი რამ ჩაედინა, რომ შედილურ ქალიშვილს თავი დამცირებულად ეგრძნო, ეყვირნა, ეტორნა და წამიერად მაინც საწყალი და შესაბრალისი გამხდარიყო.

— გზა გადაუჭრა და კადნიერად უთხრა:

— არ გაგიშვებ...

— ნუ გამიშვებ. — მაცდუნებელი ღმილით უთხრა თალიკომ და ერთის წამით თითქოს ნაბიჯიც შეანელა... მოულოდნელმა თანხმობამ ქაბუქს იარალი აძყარა...

თალიკომ წყნარად ჩაიცინა და გვერდი ჩაუარა.

ერთი შეხედვით თითქოს უბრალო რამ არის, მაგრამ ეს მოკვეთილი „ნუ

გამიშვებ“ საოცარი ძალით არღვევს ამბავის ინერციას. და სწორედ ეს მკვეთრი შემობრუნება ჰქმნის უფრო მხატვრულ სიმძაფრეს, მაგრამ არა როგორც თავისთავადი კონსტრუქციული მხატვრული ხერხი, არამედ, როგორც ცხოვრების მართალი ასახვა. მექისთან ერთად, ალბათ, ბევრსაც ეგონებოდა, რომ თალიყო მართლაც მორთავდა ყვირილსა და ტირილს, მაგრამ მწერალმა უფრო მართალ ფსიქოლოგიურ შტრიხს მიავნო: თავისი სოციალური უპირატესობის ინსტინქტებით გაყვანილი გოროზი ქალიშვილის საქციელო ყოველთვის როდი ექვემდებარება ბუნებრივ ლოგიკას.

რომანში ბევრია დასამახსოვრებელი ადგილები. მწერალი უეჭველად ხედავს სინამდვილის ისეთ მხარეებსაც ცხოვრების ისეთ მხატვრულ ნაკეთებს, რასაც უბრალო თვალი მნელად თუ შეამჩნევდა, მაგრამ მისი მხატვრული მსოფლშეგრძნება მიმტკნარებულ ინდივიდუალისტურ ესთეტიზმს კი არ ემყარება, არამედ სოცოცხლის დამამაგიდრებელ ჯანსაღ სოციალურ გრძნობებს. ეს არის ძირითადი და არსებითი თვისება, რაც საბჭოთა მწერალს განასხვავებს ყველა სხვა მწერლისაგან. მისი ესთეტიკური იდეალების წყაროს შეადგენს შრომა და მშრომელი ადამიანების სულიერი სამყარო. ამის მიღმა სულ სხვა ნაკადებია.

ბუნებრივია, რომ კონსტანტინელორთქიფანიძეს თავის რომანში ყველაზე დიდ სიღამაზედ წარმოდგენილი აქვს მშრომელი ადამიანის გამარჯვება და ამაღლება.

გვარიშვილობის ბრწყინვალე შარავანდედი არ მოსდევს არც მეტი ვაშაკიძეს და არც ტარაში ხაზარაძეს. არც ძველი დროის სასახლეოთა მატინანებში მოიხსენებთან ეს გვარები. მაგრამ ამ ადამიანებს „იმერეთის ცისკრის“ გვერდებიდან თამამად შეუძლიათ თავიანთი ადამიანური ბიოგრაფია შეატკონ

წარსულის რჩეულ ერთეულთა ბიოგრაფია. რომანში ჩვენ ნათლად ვგრძნობთ: რამდენადაც ახალი წყობილება ამკვიდრებს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ამითსაუკუნებრივი სოციალური და სულიერი მონობის ბოჩილებიდან ათავისუფლებს მშრომელ ადამიანებს, იმდენად მკლავდება იმ უკანასკნელთა შესანიშნავი ადამიანური ძალები.

რომანის ყველა გმირი არ არის შესრულებული ერთნაირ მხატვრული ძალით. მაგრამ მათი უმეტესობა უძველესად ცოცხალი ადამიანებია, მწერალი არ აკეთებს თავის გმირებს, ის მათ კვლავად მოსდევს და ხატავს მათ თავიანთი ბუნებრივი ყოფიქვევით. იგი ზევიდან არ დაჰყურებს თავის გმირებს, ხელოვნურად არ აღარბეჭდს და არ ამოაბიჯებს მათ სულს. მწერალი თავის ყოველ გმირში ხედავს ცოცხალ ორგანიზმს რომლის მიწვევ-მოწვევა, ისე როგორც თქვენ მოგესურებათ, შეუძლებელია.

არც ერთმა საზოგადოებრივმა ეპოქამ არ იცის ადამიანის ისეთი დიდებული გამარჯვება, როგორც ეს მოხდა საბჭოთა ეპოქაში. ამას ვხედავთ და ვგრძნობთ ჩვენ „იმერეთის ცისკარში“.

აი ბედკრული მოჯამაგირე, ვისაც „მველმა უმადურმა ქვეყანამ ბავშვობაშივე გამოაცალა საკუთარი ღირსებისა და თავდაცვის გრძობა — ეს ყველაზე დიდი განძი ცხოვრებაში“ — არამც თუ პოულობს თავის დაკარგულ ადამიანურ ღირსებას, არამედ ახალ ადამიანურ სიმაღლეზედაც აღის.

ესაღია, პირტახის დექნის ატმოსფეროს, სადაც საწყალ ბიჭს ერემოსაგან გინების მეტი არაფერი ესმოდა. მხოლოდ დამაჩლუნგებელი გავლენა შეეძლო მოეხდინა ადამიანის სულის განვითარებაზე... და მეტი „რაც უფრო ასაკში შევიდა სულიერად უფრო დაბეჩავდა“. მაგრამ იგი მანაც ადამიანია,

დიდი ასობით დაწერილი ადამიანი, და არც თუ ისე ღარიბი, მისი ადამიანური არსება. იგი ხშირად იმეორებს თავის მოჯარულ ფიქრებში, მას ბევრი რამ აოცებს ამ ქვეყნად, მაგრამ ვერავის უმხელს „იღუმალ ფიქრებს ცოდნაზე დახარბებული კაბუკი“. მექის გულის ერთადერთი მესაიდუმლე ეს არის დახუნდარა. მეტად მოხლენილად და მართლად აქვს დახატული მწერალს ამ დეკლამირებული ადამიანის სახე. იგი რევოლუციამდელი სოფლის უაუღმართი ცხოვრების ნაყოფია, სისტემიდან ამოვარდნილი, დაკნინებული, გაცუღლუტებული. ერთი პატარა შტრიხი და ნათელი ხდება მთელი მისი სულიერი ავლადიდება: დახუნდარას „თოხისა და ბარის დანახვებზე მკლავი წყდებოდა, ოფლის სუნი თავბრუს ახვევდა“. აი ადამიანი, რომლის შინაგან ქვეყანას უკვე აღარ აშუქებს შრომა და შრომის სიყვარული. ასეთ ადამიანში მოშლილია მტკიცე მორალური საწყისები. ამ თვისების ჩვენების შემდეგ მწერალი მას უკვე ვეღარ დაგვანახებს სხვანაირ ხასიათში. მწერალი უნდა გაჰყვეს სიძარბოებს.

დახუნდარას ბევრი ხელობა და ბევრი ადგილი აქვს გამოცვლილი, უკანასკნელად „სამარქაფო ხელობად შესაფლავებოდა გაიჩინა“. იგი თითქოს ოპტიმისტიც არის, მაგრამ მისი ოპტიმიზმი ცინიკური ოპტიმიზმია. მის არსებაში თითქოს შესულია წარსული სოციალური უკუღმართობის გრძობა. მაგრამ შეგნების ნათელ სხივად არ არის ქცეული. ამიტომ მას არა აქვს რწმენა, მას ერთადერთი დარდი აწუხებს და ისიც სიმთვრალეში — დარდი უნაშეირობისა.

მტკიცე მორალურ საფუძვლებს მოკლებული ადამიანი ადვილად იქცევა სხვადასხვა ბნელი საქმეების ოსტატად და ბნელი ადამიანების ბრმა იარაღად. ამიტომ გასაგებია, რომ დახუნდარა კოლმეურნეობის წინააღმდეგ





რობს: „ცალკე რომ დავსახლებდი, ალბათ, მეც ასე მომიწევს მეზობლებთან შეჯახება“. მას კიდევაც ფსიამოვნა „იმის გაფიქრება, რომ... ოდესმე მასაც მოუწევდა ჩხუბი და აღიაქოთი კარის მეზობლებთან“. ყოფის გარკვეულ პირობებით წარმოშობილი ოცნება და სურვილი თავის ქსელებს ხლართავს ადამიანის სულში. მეტი განმეორებით აღუთქვამს სულს პატარა ეშმაკს — ტომსიკას. „ამ ღობესთან მექიმ ხელაქლა დაიფიცა, ტომსიკა მხოლოდ მაშინ გაეხსნა, როცა ჩასამატებელ ფულს იშოვნიდა“. აქ თითქოს „ვინ ვის“ წვრილი მესაკუთრული ფსიქოლოგიის სასარგებლოდ სწყდება, თითქოს სასწორო ტომსიკასავე იხრება. მაგრამ მეტი მარცხდება ამ გზაზე, მარცხდება ისე, როგორც ამ გზაზე ყოველთვის გარდუვალად მარცხდებოდა ღარიბი გლეხობა, რომელიც თავის წვრილ დაქსაქსულ მეურნეობაში წელეზზე ფეხს იდგამდა, მაგრამ გაპარტახებას თავს მაინც ვერ აღწევდა. ეს გზა საერთოდ მშრომელი გლეხობის განუწყვეტელი დამარცხების გზა იყო. მაგრამ ასეთ დამარცხებას როდი შეეძლო ტომსიკის კლანჭებისაგან უხსნა მექის სული. ამისათვის საჭირო იყო ახალი სოციალური წყობილება, ახალი სოციალური ურთიერთობა, და მწერალიც გვიჩვენებს, როგორ შედის სხვადასხვა არხებით და სხვადასხვა ფორმით ეს ახალი წყობილება თავის გმირებთან ყოფა-ცხოვრებაში: პირტახიას დეუნის საპირდაპიროდ წითელი სასადილო იხსნება; კომკავშირლები უბრძვიან რელიგიურ ფანატიზმს, ხატობის დღეა წარმოდგენასა და სეირნობას მართავენ; თუ აქამდე ბობოლა ბარნაბა საგანელიძის ბაღის ხილს შალომა ებრაელი ყიდულობდა, ახლა „ერთხელ შალომას მაგივრად რეევომი მოვიდა, ხილიც წაიღო და ბაღიც“; მექისაც უკვე მოჯამაგირეთა კრებაზე იბარებენ; მართალია მას ჯერ კიდევ ცოტა

რამ ესმის ამ კრების, მას კიდევაც წაიბუტბუტა „რა მეკრებებოდა“ მაგრამ ამ მოვლენამ მას უმძინესი მხატვრულად ამოაღებინა გაბედული ხმა ეგრეთ პირტახიას წინააღმდეგ. გაიძვერა მედუქნემ იგი შეილობილად გამოაცხადა და ამ საშინელმა სიცრუემ თავარა ცეცხლი მოუკიდა მოჯამაგირის ალალ გულს; პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოფლად ატარებენ კულაკობის შევიწროვების პოლიტიკას; კონტრრევოლუციური ძალები ირახმებიან საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ; ისინი მიმართავენ ტერორსა და საზიზღარ დემაგოგიას; საგანელიძეები და პირტახიები მოქმედებენ გველური სისინით, ჩასაფრებთ, ცდილობენ თავისი მიზნებისათვის გამოიყენონ უნებისყოფო, გადაგვარების გზაზე დამღვარი ტუჩა დაშინანი — თემის აღმასკომის თავმჯდომარე და სხვა ჩამორჩენილი ელემენტები; მთავარი კი ის არის, რომ იმერეთშიაც ეწყობა პირველი კოლექტიური მეურნეობა.

აი ის ახალი მოვლენები და ახალი ძალები, რომლებმაც ტომსიკის გზაზე დამარცხებული მეტი სხვა გზაზე უნდა დაეყენოს, მაგრამ ამ ახალ გზაზე დაღვომა არ ხდებოდა სტატიურად, არ ხდებოდა თავისთავად. ამ პროცესის წარმართველი და ორგანიზატორი იყო ლენინ-სტალინის პარტია. მეტი კი თითქოს სტატიურად, თავისთავად აღგება ახალ გზას. აქ მწერალი უმკველად მოვლენების ემპირიულ ზედპირზე ჩივს. აქ მას არ აქვს მიგნებული ცხოვრების იმ ღრმა პროცესების მხატვრული ძარღვი, რაშიაც მკლავდებოდა ბოლშევიკური პარტიის დიდი დამარაზმავი როლი.

ამავე დროს მწერალი გლეხობის სხვადასხვა ფენების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით ხატავს პირველი კოლექტიური მეურნეობის მოწყობის პროცესს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ იბრძვის თვით ამ პროცესის

შინით ორი საწყისი — სოციალისტური ორგანიზაციის ბოლშევიკური ნებისყოფა და წერილმესაკუთრულისტიქია. აქაც დგას საყიბი — „ვინ ვის“. მწერლის მხატვრული მიწველობის სიღრმეს მოწმობს ისიც, რომ იგი ამ წერილგლეხურ სტიქიაშიაც გვიჩვენებს იმ ჯანსაღ ელემენტს, ურომლისოდაც ყოველი კეთილი განზრახვა ჰაერში გამოკიდებულ უნაყოფო ფანტაზიად იქცეოდა. თუ ღარიბი გლეხი კირილუ მიქაძე იმ თავითვე უყოყმანოდ დგება კოლმეურნეობის მხარეზე, წელმაგარი გლეხი ჯიშკარიანი „ყოველ კრებაზე ფიქტულობდა, კოლექტივის წესდებას ხელს პირველი მოვაწერო, მაგრამ შინ რომ მივიდოდა და თავის კარ-მიღამოს გადახედავდა, მაშინვე იგრძნობდა, მისი წუხანდელი ფიცი ნაჩქარები იყო“. მას ძვალ-რბილში აქვს გააქდარი ის აზრი, რომ „გლეხი მუყაითი მასობ არის, როდესაც მარტო თავის თავზე დანდობილია“. მაგრამ „ყველაფერზე დაქვევებულ გიორგის უხაროდა, როცა ტარასთან კამათში დამარცხდებოდა. ეს დამარცხება ახალი საქმის სიკეთეში აჯერებდა მას“. ამში არის ღრმა სიმართლე. სწორედ ეს მეორე „მე“ მშრომელი გლეხობისა, სწორედ ეს შობრავი ელემენტი მისი ფსიქოლოგიისა, ეს წყურვილი სიკეთისა — იყო ის ჯანსაღი მარცვლი, რომლის გაღვივებითაც შესძლო ბოლშევიკურმა პარტიამ მშრომელი გლეხობის ფსიქოლოგიაში სოციალიზმის სასარგებლოდ გადაეწყვიტა „ვინ ვის“. მაგრამ ამ მარცვლის გაღვივებისათვის საჭირო იყო პარტიის დამარზავი შეგნება და ნებისყოფა, მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

მწერალი უძველად დიდი სიყვარულით ხატავს ბოლშევიკი ხელმძღვანელის — ტარასი ხაზარაძის სახეს. იგი დაჯილდოებულია ბოლშევიკის საუკეთესო მორალური თვისებებით. იგი შეურიგებელია მტრების მიმართ; მას ახა-

სიათებს ადამიანთა ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის მტკიცე ნებისყოფა, სიახლის გრძნობა, ვაჟკაცური დაბირობა, უშიშრობა, თვითკრიტიკისა და შინაგანი კონტროლის უნარი; „მას მუდამ სჯერა თავისი სიტყვების სიმართლე, ამიტომ იგი ნახევრსაც ადვილად აჯერებს ამ სიმართლეში“. ეს არის ბოლშევიკის შესანიშნავი თვისება. მაგრამ ამ სახის მხატვრულ შესრულებაში, ჩვენის აზრით, არსებობს ერთი არსებითი ნაკლი, თითქოს ის ერთი და განსაკუთრებულია, თითქოს მისი შესანიშნავი მორალური თვისებები მისი თანდაყოლილი, კერძობითი სამყაროა, არ ჩანს, რომ ეს თვისებები ნაწითობია ბოლშევიკური პარტიის დიდი კოლექტივით. რომანში არ ჩანს ის პარტიული ორგანიზაცია და მისი როლი, რომლის კოლექტიური ნებისყოფის გამოხატველი უნდა იყოს ხელმძღვანელი ბოლშევიკი. არც ის ჩანს საკმარისად, რომ ის, რასაც ტარასი ხაზარაძე აკეთებს, მომდინარეობს პარტიის დიდი ცენტრალური შტაბიდან. კოლექტიური მეურნეობანი ჩვენში ეწყობოდა არა ცალკეული გამოცდილებების სტიქიური გავრცელების გზით, არამედ ლენინის გენიალური კოოპერატიული გეგმის, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად წარმართვის ბრძნულ სტალინური პროგრამის მეთოდური და თანმიმდევარი განხორციელების გზით. სწორედ ეს ნათელი პროგრამა და პარტიის დიდი კოლექტიური ნებისყოფა აწრთობდა ისეთი ტიპის ხელმძღვანელებს, რაგორიც ტარასი ხაზარაძეა.

მწერალი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ვითარებისა და სხვადასხვა ფსიქოლოგიური პროცესების ასპექტში გვიჩვენებს სოფლად გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლას. რომანის ძირითადი კონფლიქტის გახსნის თვალსაზრისით საყურადღებოა კულაკური შეთქმულებას მხილების ეპიზოდი. ეს ეპიზოდი

რომანის კომპოზიციური წონასწორობის წერტილიც არის, აქ ხდება რომანის ძირითადი გმირის მეტი ვაშაქიძის ახალი აღმინანური განმარტება. აქ მან გაიგონა და იგრძნო მართალი სიტყვა. და როდესაც იგი ასე მოულოდნელად ამხელს საგანგებობისა და პირტახიას ბოროტ მაქინაციებს, როდესაც ასე გულმედგარად შებოჭავს გათავებულ ბუნებულ ხაერომას, იგი უკვე თავდაცვის უნარმოკლებული კაცი კი აღარ არის, არამედ დიდი სიმართლით ანთებული დეკავიცია, მისი გაქანება უხერხული მოძრაობა კი აღარ არის, არამედ ვეფხვის ნახტომია, ამ დღიდან იწყება მისი ახალი ბიოგრაფია. იგი სიხარულით მიიღეს კოლმეურნეობის წევრად. ტარასი ხაზარაძისა და კომკავშირის უჯრედის მზრუნველობა თანდათან აცლის მას სულიერი სიბერეების ბანჯს. იგი მეორედ დაბადებას განიცდის, როდესაც ასე გულთბილად მიიღებენ კომკავშირში.

მწერალი თავისი გმირის სულიერი ცხოვრების განვითარების ბუნებრივ გზას მისდევს. ამით იმ თავითვე დაძლეულია სქემატიზმობა და მხატვრული ნაკვთი ყოველთვის რეალისტური უშუალობით არის შესრულებული. მეტი ნატრობს, რითიმე ზღის ტარასის მზრუნველობა. მექის კიდევაც გაუხარდა, რომ კოლექტივის წევრებმა უარყვეს ტარასის წინადადება ეწრის ამოძირკვის შესახებ. ამით მას საშუალება მიეცა მართო ეკისრნა თავისი მოამბის სურვილის შესრულება და საქმეში გამოეხატა. მადლობის გრძნობა. შემდეგ მწერალი გვიხვენებს, როგორ ბუნებრივად იზრდება და ფართოვდება ეს გრძნობა, როგორ იბადება შრომისადმი ახალი დამოკიდებულება, შრომის დიდი სიხარული და სიმძნელების გადალახვის მტკიცე ნებისყოფა. პირველ დღეს ჯაგნარის ამოძირკვაში მექის ბაჭუა ვარდოშანიძე შეელოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიმძნელს ვერ

გაუძლო და მეორე დღიდან მეტი მართო დაიწყო. ერთი კვირის შემდეგ მოხტოს მექიც შედრკა. შრომისადმი დამოკიდებულება, მაგრამ მალე გამოეხიზლდა: „ბატონის ხელში ხომ არა ვარ, თვალის მოსატყუებლად ვიმუშაო“. აი სათავე შრომისადმი ახალი დამოკიდებულებისა. მექის სიბუნებრივით შერცხვენილი ბაჭუაც ველავ მიუბრუნდება ეწერს „გაუკვირდა მას მეგობრის თვალში შეხედვა... და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა მექის მოულოდნელად წერაკითხვის სწავლებაზე ჩამოუვლო სიტყვა.

— შენ უნდა მასწავლო? — ურწმუნოდ ჰკითხა მექიმ.

— ჰო, წიგნსა და რეჟულებს ხეაღვე ვიშოენი! ისწავლი?

— რას არ ვისწავლი, მაგრამ ვათლევაც გაგიპირდეს და შუა გზაში მიმოტრუო“. — ამ საყვედურში მინიშნებულია აღმინანის ღირსების მართალი საზომი — სიმძნელთა დაძლევის ნებისყოფა.

მეტი უკვე გამარჯვებული აღმინანია და მწერალიც მისი ადრინდელი ბიოგრაფიის ციგსა და მექ ფერებს ცეცხლს ნათელი და თბილი ფერებით. ტრაქტორისტების კურსებზე მიმავალი მეტი უკვე ლაღად მიავლევებს აღმასკომისულაყს. მაგრამ აღმინანური გამარჯვების ყველაზე დიდებული სურათი გვეშლება თვალწინ მაშინ, როდესაც მექიმ ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან ახალთახალი ტრაქტორი გამოიყვანა და პირდაპირ ზემოციხის გზას გაუყენა“. ამ სურათში არის დიდი, ძლიერი განწყობილება, შესანიშნავი მზიური განათება და ფერწერული ხატოვნება. ტრაქტორი მალღაყის ველზე რომ გაციდა. მექიმ გულში დაგუბებულ აზხარულს გზა მისცა და თავისთავს გაეხადებრა: „ეს შენა ხარ, შე საწყალო მოჯამაგირე. პირველი ტრაქტორი რომ მიგყავს სოფელში“. მას გულიდან ამოსკდა საოცარი სიმღერა. „ეს სიმღე-



რა არა ჰგავდა არც ერთ სიმღერას, იმერეთში რომ ოდესმე თქმულა; ამ სიმღერას არც სიტყვა ჰქონდა, არც ნაცნობი კილო, არც დასაწყისი და დასასრული... ამ სიმღერას ვერასდროს ვერ გაიმეორებდა სხვა კაცი“. ყური მიუგდეთ! ეს არის სიმღერა ადამიანისა, რომელმაც მძიმე ხუნდები დაამსხვრია, რომელმაც ოდესღაც სული აღუთქვა ტომიკას და ახლა კი ზეიმობს, რომ თავი იხსნა მისი პატარა, ეგვიპტური უბისაგან. ახლა მეტი კოლექტივის ტრაქტორს მართავს და გრძნობს, რომ განუზომელად დიდია მისი ადამიანური არსება, მისი სიხარული. სინამდვილე გაცდა მექის აღრინდელ ოცნებას. ბუნებაც კი თითქოს გმირის სულის ვითარების გარესახევა: „გუბისწყლის მინდვრებზე ზენაქარი დარეოდა აყვავებულ ტყელებსა და ატმებს და ცაში ყვავილების ერთი წიოკი იდგა“. ეს თითქოს მექის სულიდან აფრენილი სიხარულის ყვავილებია. მეტი თავის ტრაქტორსაც ვარდ-ყვავილებით რთავს და „მაღე მისი მანქანა უზარმაზარ თაგულს დაემსგავსა“. ამ დიდებული თაგულის სახით შედის სოფელში ახალი ძალი, ახალი ადამიანი.

„ვინ ვის“ უკვე გადაწყვეტილია ახალი ძალის სასარგებლოდ, მაგრამ ძველი ქვეყანა, რომელიც ისტორიის შორეულში იძირება, გაბოროტებული კონკულსიებით ეთხოვება სიცოცხლეს. ამ სასიკვდილო კონკულსიების გამოხატულებაა ჩასაფრებული ხაეომეის მიერ გასროლილი ტყვია.

რომანში დასმული და გადაწყვეტილია ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების პრობლემა. ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი ქვეყნის ადამიანებს — ამ პირტახიებსა და საგანგებოებს, ხაეომეებსა და ტურაბელიძეებს, გელოვანებსა და დვალისელებს ჰგონიათ, რომ ისინი თავიანთ აზრებსა და შეხედულებებში, თავიანთ სულში თავისუფალნი

არიან, ნამდვილად კი მათ ჭეშმარიტი შინაგანი თავისუფლების სურვილი არ გააჩნიათ. ისინი შეეწირვილან აზრს ან თავიანთი სოციალური ყოფის ცრურწმენებით და ვიწრო ეგვიპტური მიდრეკილებებით. მათ მოქმედებასა და მათი სულის მოძრაობას განაგებს მღაბალი ინსტიტუტები და ქვენაგაძნობები. მათ არ გააჩნიათ მამაცობისა და გმირობის ზნეობრივი საფუძვლები. მათი გამედობა — განწირულების რეფლექსია, მათი სიყვარული — ეგვიპტის ბლავილია, მათი „ვაკაცობა“ — ევრაგობა და ჩასაფრებაა. თვით ლამაზი თალიკოს ყოფა-ქცევაც კი, მიუხედავად თავისი გარეგნული სილამისა, თავიდან ბოლომდე მწვავე შინაგანი შეპოვრისებაა. მოიგონეთ, რაოდენ უფრო ბუნებრივი და თავისუფალია თავის ინტიმურ არჩევანში დოფინა, ვიდრე თალიკო. დოფინამ ახალგაზრდა ქალიშვილის წრფელი და ბუნებრივი სიყვარულით შეიყვარა მეტი. თალიკოს „გრძნობა“ ხაეომიასადმი კი არსებითად ბოლოა მამის ანგარიშების ნაქარნახევი გრძნობაა.

ამრავალ, რომანში ყოველგვარი სქემების გარეშე, მხატვრულ სახეთა ცოცხალი მოძრაობით ნაჩვენებია ძველი ქვეყნის ადამიანთა სოციალური საფუძვლების რღვევასთან ერთად მათი მორალური რღვევაც. მათი პიროვნების დამალა.

დიდი შინაგანი თავისუფლება მხოლოდ დიდი საზოგადოებრივი გრძნობის აღზრდასთან არის დაკავშირებული. სწორედ ასეთი შინაგანი თავისუფლება იყო საჭირო, რომ მიძიმედ დაჭრილი მეტი კვლავ ფეხზე წამოდგარიყო და ხრამისპირის მისული ტრაქტორი გადაერჩინა.

მეტი დიდხანს რჩება უპასუხო სიყვარულის ტყვეობაში, მწერალი საესეებით მართალი და დამაჯერებელია, როდესაც ამ გრძნობის საკითხს მარტივი, რაციონალური საზომით არ სწყვეტს.

მართალია, ქალ-ვაყის სიყვარულში მელანქოლია არა მარტო ფიზიოლოგიური ელემენტი, არამედ უმთავრესად ის, რაც ადამიანის კულტურას მოაქვს. მაგრამ ეს გრძნობა სიცოცხლის ისეთი ძარღვია, რომელიც ძალიან ძნელად და, შესაძლოა, ძალიან არაპირდაპირად ემორჩილება იდეათა რაციონალურ წყობას. ამიტომაც იყო საჭირო, რომ მექის მეტად ცხადივ დაენახა ლამაზი თალიკოს ანგარებიანი სული, რომ მისთვის გულზე ხელი ეკრა და ეთქვა, მეზიზღებო.

მწერალმა თავისი მთავარი გმირი გვიჩვენა განვითარებაში, ფორმირების პროცესში. ეს არის გამარჯვებული ადამიანი, რომლის სოციალური თავისუფლება აპირობებს და ბადებს მის სულიერ თავისუფლებას. ჩვენ ვგრძნობთ, რაოდენ ლამაზია ამ ადამიანის თვალთ დანახული ქვეყანა... და ჩვენ ვიცით, რომ ათასჯერ მეტად ლამაზი არის და იქნება ასეთ ადამიანთა მიერ აგებული ქვეყანა.

მკითხველი, ალბათ, თავის ფიქრებში გააგრძელებს მექისა და ტარასის, ბაქუსასა და დოფინას ბიოგრაფიას. მათ უმკველად სახელოვნად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული ვალი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ზოგიერთ მათგანს, ალბათ, სოციალისტური შრომის გმირის ორდენებიც უმწვევენს მეგრდს. საესებით ბუნებრივი იქნება ისიც, რომ მექი დღეს ჩვენი რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ კათედრას განაგებდეს.

არანაკლები მხატვრული სიმართლით ჰყავს დახატული მწერალს ძველი ქვეყნის ადამიანებიც. მაგრამ მას გააჩნია საბჭოთა მწერლისათვის აუცილებელი გრძნობა მხატვრული პროპორციისა. რომანის მხატვრულ ქსოვილში დადებითი გმირების ძალა ყოველმხრივ სკარბობს და მკითხველიც ყოველთვის ამ გმირების მხარეზეა. მაგრამ ამავე დროს მწერალს აქვს მისწრაფება და-

ნახოს ადამიანი ცხოვრების უკუღმართ-ფორმების მიერ დაბადებული მსხვერპლები. გეტო გარეშე, დაინახონ ადამიანი რომელიც ასეთი. მწერლის ამ მისწრაფების თვალსაზრისით. შემთხვევითი არ არის, რომ დახუნდარა ტურაბელიძე-საც კი გააჩნია მეგობრობის ერთგვარი გრძნობა, დაზარაულისადმი გულშემატკივრობა და ბუნდოვანი მისწრაფება ცხოვრების უკეთ მოწყობისა.

ლიბ, ადამიანი მშვენიერი არსებაა. ყველაზე თვალნათლივ კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე ამას მოწმობს ის მშვენიერი მორალური საწყარო, რაც სოციალისტურმა სინამდვილემ გამოიმუშავა საბჭოთა ადამიანებში. კომუნისმი კიდევ უფრო ამაღლებს ადამიანის ქეშმარიტ ბუნებას და ცხადპყოფს მთელ მის სიღიადესა და სიმშვენიერეს. ამისათვის კი საჭიროა ისტორიის მორევეში ჩაიძიროს ძველი ექსპლოატატორული საზოგადოებრივ მთელი სიბინძურე.

„იმერეთის ცისკარში“ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იძირავდა ისტორიის მორევეი პირტახიება და სავანელო-ძეებს, დვალიშვილებსა და ხაეშიებს.

რომანის გმირთა შორის მართალი და ცოცხალი მხატვრული შესრულების მხრივ აღსანიშნავია აგრონომი გეგელია. მიუხედავად თავიანთი ბიოგრაფიისა, სოციალური მდგომარეობისა, ცხოვრების პირობებისა და განათლების სრული სხვადასხვაობისა, ჩვენის აზრით, ლადო გეგელია და მექი ვაშაკიძე — ეს ორი ქართველი კაცი ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს, როგორც ეროვნული ხასიათის გამოხატველი.

ლადო გეგელია ძველი ინტელიგენციის იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელიც მხოლოდ დიდი რყევის შედეგ შემობრუნდება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. მაგრამ შემობრუნდა გულწრფელად და მტკიცედ.

ლადოს მამა წერილფეხა ქართველი ბურჟუაა. ვისთვისაც სიცოცხლის უმა-

დღეს მიზანს კაპიტალის დაგროვება შეადგენს. ამ მიზნის მისაღწევად მას ყველა გზა და საშუალება გამართლებულად მიაჩნდა. მისთვის არ არსებობს არც საზოგადოებრივი და არც ეროვნული ინტერესი. მაგრამ ამ ეიწრო სულიერი სამყაროთი იგი საოცარი რეალისტია, მას სიმდიდრის დაგროვების მეტად მახვილი გეში აქვს. მას იამდიდრების საუკეთესო გზად უცხოეთის კაპიტალთან შეთანხმების, მის წინაშე ქედის მოხრის გზა მიაჩნია, და აი ამ იყრება მამისა და შვილის გზა. ლადო გეგელია საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებაზე. საქართველოში კულტურულ მცენარეთა გაშენებაზე ოცნებობს. ალბათ ის ობიექტურად ეროვნული ბურჟუაზიის რადიკალური ნაწილის მისწრაფებების გამოხატულებაა, მაგრამ მასში არის ძლიერი პატრიოტული გრძნობა; მას აწუხებს ის, რომ უცხოეთის კაპიტალის გაბატონება ისედაც უმიწაწყო იმერულ გლეხობას კოდევ უფრო გააღატაკებდა. ამიტომ იგი ებრძვის უცხოურ კაპიტალს და ვერ გრძნობს, რომ ამით იგი ობიექტურად წინ ეღობება საზოგადოებრივ განვითარებას. მას აკლია რეალობის გრძნობა, მის ხასიათში არის რაღაც დონკიხოტური. და მან მართლაც კეთილშობილი მისწრაფებით, მაგრამ უნაყოფოდ გაანიავა თავისი ახალგაზრდობა იმერეთის შარაგზეზე. ენამახვილი ხონელების მიერ შერქმეული „ჩაირამაც“ ამას გამოხატავდა.

თუ მეფის რეჟიმის პირობებში არ ეწერა ლადოს ოცნებებს განხორციელება, მენშევიკების ბატონობამ არანაკლები შავი დღე დაუყენა მათ. მიწათმოქმედების მენშევიკური სანიტისტროს საქმეთამშართელი გელოვანი ეუბნება თავის ლიტეს: „რა დროს ჩაირამაცა, ჩემო ძეგო!... შენ როგორც გეტყობა, უსაქმო ხარ! მე გაგიჩენ საქმეს!— შეპირდა ცოლისძმა და მეორე დღესვე აგრონომი ლადო გეგელია მენშევიკურ

პარტიაში ჩაწერა“. — ამ ერთი შტრიხით მწერალი კარგად ახასიათებს მენშევიკების დამოკიდებულებას ქვეყნის სამეურნეო განვითარებისადმი.

ლადოს ოცნებებს მხოლოდ საბჭოთა პირობებში შეეძლო შეესხა ხორცი, მაგრამ „საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი აგრონომი განგებ ივიწყებდა, რომ მენშევიკებმა მას ბროფესია ჩამოართვეს და ხელობად ენის ქაველი გაუხადეს“. იგი უკვე კატასტროფის პირზეა მისული, აგერაგერ ჩაიძირავს მორევი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას მიერ განაღებულმა გრანდიოზულმა მშენებლობამ განების ძნელად ასახელი თვალი იუხილა მას. უკვე ღრმად მოხუცი აგრონომი დგება ხალხის ნამდვილ სამსახურში და ხორცს ახამს თავის ახალგაზრდობის ოცნებებს.

ლადოც შექისებერ გამარჯვებული აღამიანია.

მწერლის პალიტრას არ აკლია ზალე-ბავები, სადა, ხალხური მეტყველება, დახვეწილი ენა, მოხდენილი და ზოგჯერ გასაოცრად მოულოდნელი მეტაფორები, ფიგურები და შედარებები ქმნიან მწერლის ნათელსა და გამჭვირვალე სტილს. მწერალი იშვიათად თუ მიმართავს პროვინციულ კილოსა, და სიტყვებს, რომანის გმირები, როგორც წესი, მეტყველებენ გამართული ქართული ენით. მაგრამ ამავე დროს მათ მეტყველებას შენარჩუნებული აქვს იმერული ელფერი, ისმის მათი მეტყველების ინდივიდუალური ინტონაცია, რადგან მწერალს კარგად ესმის, რომ მეტყველების თავისებურება აზროვნების თავისებურებისაგან მომდინარეობს. აი სახელდახელო მაგალითი:

„ტუტუტო! სახლი გეწვის თუ საყდარში თამარ მეფე გიცდის ჯვარდასაწერად! გამაგებინე ერთი! დააყე შენი დაფხვილი ცხენები, თორემ ჩემთან, მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება!“

„მამ როგორ გინდა, შეილოსა! ხალხი ქეიფის გუნებაზე მოვიდა, შენ კი კოფოზე დასკუბდი და მათრახი დაიკავე ხელში? თივა გინდა? ნისიად გაძლე-სამინდი გინდა? უარი არასდროს მითქვამს. შენც დამიფასე პატივისცემა: არადა, ეს შენ ვალი და ეს ჩემი შშვილობა“, — სულ ადვილი მისახვედრია რომ ეს ჩარჩი შედუქნის მეტყველება.

„ეკ, ჩემო ბიძი... შენ ამისას რას გაიგებ. უსახლკარო კაცი ხარ! განა ღობე მხოლოდ იპიტომ დაწესდა ქვეყანაზე, რომ ეზო-გარემო საქონელმა არ მოგვეთარეშოს? არა, ჩემო ბიძი, არა. კაცი რომ დაიბადება, სახელი უნდა დაერქვას, სახელი! მიწაც ეგრეა, ჩემო დაბუ! ღობე მიწის სახელია! რასაც ღობე აქვს, იმას ბატრონიც ჰყავს!“ აქაც ადვილი მისახვედრია, რომ ეს არის შესაკუთრე გლეხის სტილი.

მწერალი თავის გმირებს იშვიათად ხატავს დიდ და დამოუკიდებელ ერთეულ პორტრეტებად, გრძელ-გრძელი

ფსიქოლოგიური მონოლოგებიც იშვიათად აქვს. მას უფრო ეტყვიან საყუფრე ფაცხოვრებო ჯგუფური სურათები და მოკლე-მოკლე დიალოგები. მაგრამ ამ სურათებიდან დგებიან გმირთა ცოცხალი სახეები. არც ვრცელ პეიზაჟებს ხატავს მწერალი. ბუნება პატარ-პატარა ეტიუდებად შედის ნაწარმოების მთლიან მხატვრულ ქსოვილში. მაგრამ რომანის მთელს მანძილზე თვალს ეალერსება იმერეთის ფერადოვანი ბუნება თავისი შერბილებული კონტრასტებით.

რომანის მხატვრული აღწერა მოწმობს, რომ მწერალს კომპოზიციის ძლიერი გრძნობა ახასიათებს. აქ ძნელად თუ იპოვით ისეთ სურათს, ისეთ ნაწილს, რომელიც ამოვარდნილი იყოს ნაწარმოების მთლიანი შენობიდან; ვერ იპოვით მოურგებელ მხატვრულ ნაკვთს.

„იმერეთის ცისკარი“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთავარი ხაზის ნაწარმოებია.

პეპელ ინფორმაცია

## გიორგი მერჩულა

ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა

1950 წელს სრულდება ათასი წელი, რაც ქართულ ენაზე დაიწერა კლასიკური ქართული მწერლობის განთქმული ძეგლი: „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. ავტორი ამ ძეგლისა არის მეთე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულა.

დასახელებული თხზულება გიორგი მერჩულისა ბევრნაირად იქცევს ძველი ქართული ლიტერატურისა და ძველი ქართული კულტურის ისტორიკოსის ყურადღებას. გიორგი მერჩულის თხზულების სახით ჩვენ გვაქვს მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები, შეიძლება ითქვას — ეპოქალური ძეგლი, ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანი ძველი ქართული პროზისა.

ამასთან გიორგი მერჩულის თხზულება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე როგორც საისტორიო წყარო.

თხზულება გიორგი მერჩულისა დაწერილია კიდევ საისტორიო ნაწარმოების მიზანდასახულობით.

გიორგი მერჩულის თხზულება განეკუთვნება ბიოგრაფიულ-ლიტერატურულ ჟანრს, რომელსაც ძველ-ქართულ მწერლობაში ეწოდებოდა „ცხოვრება“ და რომელ ჟანრსაც ძველ-ქართულ ლიტერატურაში ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში ისახავს საგნად — აგვიწეროს „შრომა და მოღვაწეობა“ მე-8—9 საუკუნეთა ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელისა (758 — 860 წწ.) და მისი თანამშრომლებისა და მოწაფეებისა.

მაგრამ გიორგი მერჩულის თხზულება ეს არ არის ჩვეულებრივი ტიპის — ვიწროდ შემოფარგლული ბიოგრაფიული შინაარსის ძეგლი. გიორგი მერჩულის თხზულების სახით, ჩვენ გვაქვს ფართოდ გაშლილი ქრონიკა — დიდი ტილო, რომელიც ასახავს საქართველოს სინამდვილეს 8—10 საუკუნეთა მანძილზე.

პრეციზული ანალიზი ძეგლისა ადასტურებს ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულება — როგორც საისტორიო წყარო — უაღრესი ნდობის ღირსია. ცნობები ისტორიული ხასიათისა, რომელსაც გვაწვდის მწერალი, აღბეჭდილია სრულის ზედმიწევნობით და ისტორიული სიზუსტით. უწყება ავტორისა, რომ მან აღწერა თავისი წიგნი „ქეშმარიტად თხრობილი“ — არ არის ლიტონი განცხადება და ისტორიული კრტიკა ამართლებს ამ განცხადებას.

გიორგი მერჩულის თხზულება მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ძველი საქართველოს ისტორიული ვითარების შესახებ და მას გვერდს ვერ აუღ-



ლის ისტორიკოსი ადრეულ საშუალო-საუკუნეთა საქართველოს, ქართული სინამდვილის რომელ მხარესაც არ ეხებოდეს იგი.

სამწუხაროდ გიორგი მერჩულის თხზულება დღემდე სათანადო სისრულთ შესწავლილი არაა.

უფრო მეტიც. ზოგ ნარკვევში გიორგი მერჩულის თხზულებასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული საკითხები სრულიად უაღბოდ არის გაშტეხული. (აქ მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში სამხრეთ საქართველოს ქართული ტერიტორიების ეროვნული კუთვნილების საკითხი, აგრეთვე წყება სხვა საკითხებსა ძველი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიიდან, რომელთა შესახებ სრულებით შემცდარი შეხედულებები იყო წარმოდგენილი).

წინამდებარე გამოკვლევაში, რომელსაც ვუძღვნით გიორგი მერჩულესა და მის თხზულებას, ჩვენ განვიხილავთ გიორგი მერჩულის ნაწარმოებს პირველ რიგში როგორც საისტორიო პირველწყაროს. ჩვენ წარმოვადგენთ განხილვას და ინტერპრეტაციას ძირითადი საისტორიო ცნობებისას, რომელსაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი.

### ძეგლის თარიღი

პირველი საკითხი, რომლის განხილვაზე აქ შეეჩერდებით, ეს არის თვით ძეგლის თარიღი.

მკითხველს მოეხსენება, რომ ძველი მწერლობის ძეგლთა დათარიღება ნშირად დიდ სიძნელეებს წარმოადგენს ხოლმე და არის შემთხვევები, როდესაც ამათუიმ ძეგლის თარიღის გამო არის მერყეობა მთელი საუკუნეებით.

გიორგი მერჩულის თხზულება ამ მხრივ ბედნიერ გამოჩაყლის წარმოადგენს. თუ როდის არის დაწერილი გიორგი მერჩულის თხზულება — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა — ამის შესახებ თვით ნაწარმოებში არის დაცულ-დაწერილებითი ზუსტი ცნობა. ეს ცნობა იმდენად მნიშვნელოვანია, აქ ავტორი ისეთის სისრულთა და ისტორიკოსის ზედმიწევნილობით აღნიშნავს თარიღსა და ჩამოთვლის თავის თანამედროვეებს. საქართველოს მეფე-მთავრებს, აგრეთვე საეკლესიო მოღვაწეებს, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მთელი ტექსტი.

ტექსტში იკითხვის შემდეგი (იხ. უკანასკნელი, L. თავი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა):

„ხოლო იყო გარდაცვალება... გ რ ი გ ო ლ ი ს ი (ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ა) რიცხესა წელიწადთა მისთასა ას-და-შეორესა წელსა

(ე. ი. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა, როდესაც იგი 102 წელს ეთფილა მიწვენილს „ქრონიკონსა 81-სა;

„არამელ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრება ესე მისი შემდგომად 90-ისა წლისა,

„დასაბამითგან გარდასრულთა წელთა 6554-სა წელსა.

„ერუსალემს პატრიარქობასა აგათონისსა,

„მცხეთას კათალიკოზობასა მიქაელისსა,

„ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა დარნერსე ქართველთა მეფისასა,

„აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კონსტანტინე მეთისა,

„ერისთავთა-ერისთობასა სუმბატისსა, ძისა უდუღუღისსა მეთისა,

„შავრტროსობასა ადარნერსეისსა, ძისა ბავრატ შავრტროსისასა,

„ერისთობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისსა;

„ხოლო ესავე მას იყო ანჩს ებისკოპოსი მაქარა,

„და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნენ მამასახლისნი, ნათესავით დიდთა აზნაურთა შეილნი:

„ხანძთას მამა თევდორე, დისწული მცხუედაისა,

„და შატბერდს მამა გრიგოლ, ძე ლიპარიტისი“<sup>1</sup>.

ჯერ გრიგოლ ხანძთელის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის შესახებ.

გრიგოლ ხანძთელი, როგორც აღნიშნულია ზემოთმოყვანილ წყევბაში, გარდაცვლილა 81 ქრონიკონს.

ქრონიკონი იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენს განხილვის საგანს შეადგენს (მე-9 საუკუნიდან — მე-10 საუკუნის ნახევრამდე), როგორც ირკვევა, იანგარიშებოდა 1 სექტემბრიდან. ამ ანგარიშის თანახმად 81 ქრონიკონი დაიწყო 860 წელს 1 სექტემბერს და დასრულდა 861 წელს 31 აგვისტოს.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეორე ცნობაც გრიგოლ ხანძთელის შესახებ: ძველ-ქართულ სვინაქსარებში გრიგოლ ხანძთელის ხსენება აღნიშნულია 5 ოქტომბერს, რა რიცხვით, როგორც სჩანს, აღნიშნავენ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების დღეს.

შეფარდება ამ ორი საქრონოლოგიო ცნობისა — ქრონიკონისა და თვის რიცხვისა — გეძლევენ საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ, რომ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღი არის 860 წელი 5 ოქტომბერი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. გვ. 137 — 139. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტი ციტირებული გვაქვს ახალგან ჩვენის გამოცემით (თბილისი, 1949 წ.)

<sup>2</sup> გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღად დღემდე შეცდომით იყო მიჩნეული არა 860 წელი, არამედ 861 წელი, ვ. ი. მხედველობაში არ იყო მიღებული, რომ ქრონიკონი იმ ეპოქაში იწყებოდა არა 1 იანვრიდან, არამედ 1 სექტემბრიდან (წინა წლისა). ამ შემცდარი დათარიღების გამო ადგილი ეძლეოდა შემდეგს გაუგებრობას, ქრონოლოგიურ შესაბამობას ჩვენ ელემენტარული ერთეულიდან განსხვავებას გიორგი შერჩელის თხზულებაში დატულ ორ თარიღს შორის, რომელთაგან პირველი (ქრონიკონი) აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებას, ხოლო მეორე („დასაბამითიანი წელი“) გიორგი შერჩელის თხზულების დაწერის თარიღს. სინამდვილეში არავითარ ქრონოლოგიურ შეეთანხმებლობას აქ ადგილი არა აქვს.

ჩვენ აქ არ შევიღვართ ძველი ქართული კალენდარის, სპეციალური საკითხების განხილვაში, აღნიშნავთ მხოლოდ შემდეგს, როგორც ირკვევა წყაროების შეწმენდიდან, მე-9 — 10 საუკუნეებში მიღებული ყოფილა შემდეგი გამოსავალი თარიღები სხვადასხვა სახის წყლთარლიცხვისათვის:

წელთარლიცხვა ქრონიკონით იანგარიშებოდა 1 სექტემბრიდან;

წელთარლიცხვა „ქრისტესით“ იანგარიშებოდა 1 იანვრიდან;

წელთარლიცხვა „დასაბამითიანი წელი“ იანგარიშებოდა 1 იანვრიდან resp. 1 მარტიდან.

სამივე ეს სათარიღო დასაწყისები ჩვენ გვხვდება ამ ეპოქის ქართულ წყაროებში.

კერძოდ წლის დასაწყისი 1 სექტემბრიდან აღნიშნულია ქართულ იანგარებში მე-10 საუკუნისა, სადაც 1 სექტემბერს ეწოდება „ავრგვნი წელიწდისა“ (იხ. სიწერი ზენაწერები მე-10 საუკუნისა №№ 59 და 65).

ზემოთ მოყვანილ უწყებაში აღნიშნულია ამასთან, რომ გრიგოლ ხანძთელი გარდაცვლილა ღრმს მოხუცებას მიწვენილი — 102 წლისა; ემანუელ ადამეს გრიგოლ ხანძთელის დაბადების თარიღი არის 758 წელი.

გრიგოლ ხანძთელი

ამის შემდეგ გიორგი მერჩულის თხზულების დაწერის დროის შესახებ. თხზულებაში, როგორც ვნახეთ, ნაჩვენებია, რომ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებითგან „დაწერა ცხორება ესე მისი შემდგომად ოთხმეოც-დაათისა წლისა“. ამის მიხედვით გიორგი მერჩულის თხზულება დაწერილია 950 წელს (860+90).

თხზულებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ იგი დაწერა „დასაბამითგან გარდასრულთა წელთა 6554-სა“, ძველ ქართული სათვალავით „დასაბამითგანი 6554 წელი“ უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 950 წელს (6554 — 5604 = 950 წ.), ე. ი. აღნიშნავს იმავე თარიღს გიორგი მერჩულის წიგნის დაწერისა.

გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, მოხსენებელი ჰყავს მისი თხზულების დაწერის დროინდელი საქართველოს მეფე-მთავრები და აგრეთვე საეკლესიო მოღვაწენი.

საეკლესიო მოღვაწეთაგან აქ მოხსენებელი არიან:

1. იერუსალიმის პატრიარქი აგათონ;
2. მცხეთის (ქართლის) კათალიკოზი მიქელ;
3. ანჩის ეპისკოპოსი მაკარი;
4. ხანძთის მამასახლისი თევდორე;
5. შატბერდის მამასახლისი გრიგოლ;

აქ დასახელებული უკანასკნელი სამი პირი (მაკარი ანჩელი, თევდორე ხანძთელი და გრიგოლ შატბერდელი) — უცნობნი არიან და ამის გამო მათი მოხსენება გიორგი მერჩულის თხზულებაში არ იძლევა რაიმე დასაყრდენს თარიღის შესამოწმებლად. ხოლო, რაც შეეხება პირველ ორ პირს — აგათონ პატრიარქსა და მიქელ კათალიკოზს — ისინი ცნობილი არიან სხვა საისტორიო წყაროების მიხედვითაც. აგათონ იერუსალიმის პატრიარქი მოიხსნება მეთვთავე საუკუნის შუა წლებში (დაახლოებით 936 — 967 წლებს შორის). მცხეთის კათალიკოზი მიქელ აგრეთვე მოიხსენება მე-10 საუკუნის შუა წლებშივე („მოქცევაი ქართლისაის“ მატეანის შატბერდული ბელნაწერის სიაში).

საესებით ზედმიწევნითი და ზუსტი ცნობები გვაქვს საქართველოს მეფე-მთავრების შესახებ, რომელთაც ასახელებს გიორგი მერჩულე. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ისინი მთავრობდნენ სწორედ 950 წელს.

1. აშოტ ქართველთა კურაპალატი, ძე აღარნერსე ქართველთა მეფისა მთავრობდა 937 წლიდან — 954 წლამდე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აშოტ აღარნერსე-ძემ ტიტული კურაპალატობისა მიიღო 923 წელს (იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი De administrando imperio, c 46, ბონის კორპუსის გამ. III, 213) და 923 წლიდან ვიდრე 937 წლამდე იყო თანამმართველი თავის ძმის დავით ქართველთა მეფისა; ხოლო 937 წლიდან, როდესაც გარდაიეცა და ვით ქართველთა მეფე, ვიდრე 954 წლამდე აშოტ არის ქართველთა სამეფოს პირველი ხელისუფალი — კურაპალატის ტიტულითვე (იხ. სემბატ დავითის ძე, გვ. \*580/349, \*581/350).

2. გიორგი კონსტანტინ-ძე, მეფე დასაველეთ საქართველოსი („თხზუ-  
თისა“) მეფობდა 922 წლიდან — 957 წლამდე<sup>1</sup>.

3. სუმბატ, ძე ადარნერსე ქართველთა მეფისა, ერისთავთ-ერისთავთ-  
იყო 941 წლიდან 954 წლამდე<sup>2</sup>.

4. ადარნერსე, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, მაგისტროსად იყო 945 წლიდან  
958 წლამდე<sup>3</sup>.

5. სუმბატ, ძე დავით მამფლისა, მთავრობდა არტანუჯში (ჯერ ერისთავის-  
ხოლო უფრო გვიან ერისთავთ-ერისთავის ტიტულით) 941 წლიდან 988  
წლამდე<sup>4</sup>.

ამრიგად ყველა ეს ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება გიორგი მერჩულის  
თხზულების თარიღის შესახებ, შეთანხმებით უჩვენებენ, რომ გიორგი მერ-  
ჩულის თხზულება დაწერილია 950 წელს.

## II

## ავტორი — ბიოგრაფი მორჩულე

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ავტორი ნაწარმოე-  
ბისა — „წიგნისა ამის აღმწერიელი“ — არის გიორგი მერჩულე.

ჩვენ დრომდე არ მოღწეულა რაიმე ისეთი უწყება ან ლიტერატურული  
ცნობა, რომელიც შეიცავდეს მთლიანს თხრობას გიორგი მერჩულის ბიოგ-  
რაფიის შესახებ. მაგრამ ზოგიერთი ფაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან შე-  
საძლოა დადგენილ იქნას თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით.

## 1. გიორგი მერჩულეს ცხოვრების წლები

(დაიბადა 880/890 წწ. — გარდაიცვალა 950/960 წწ.)

ჩვენ ამ შევეცდებით მიახლოებით განვსაზღვროთ გიორგი მერჩულის  
ცხოვრების წლები.

ირკვევა, რომ ჩვენი ძეგლი — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა — გიორგი  
მერჩულეს დაუწერია თავის ცხოვრების დასაზე, უკვე მოხუცების ეაშს.

<sup>1</sup> თარიღი — „მეფეთა დივანის“ აღდგენილი ტექსტის მიხედვით.

<sup>2</sup> სუმბატ, ძე ადარნერსე ქართველთა მეფისა, ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ღებულობს  
გურგენ დიდის გარდაცვალების შემდეგ ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 941 წელს). სუმბატ  
ატარებდა ერისთავთ-ერისთავის ტიტულს 941 წლიდან 954 წლამდე, ხოლო 954 წელს სუმ-  
ბატმა მიიღო ქართველთა კერპალატის ტიტული. გარდაიცვალა 958 წელს (იხ. სუმბატ და-  
ვითის-ძე, გვ. \* 580/349, \* 580/350, \* 581/350).

<sup>3</sup> ადარნერსე ბაგრატიონ-ძე ატარებდა მაგისტროსის ტიტულს 958 წლამდე, ხოლო 958 წელს  
მიიღო ქართველთა კერპალატის ტიტული. ამის შემდეგ ადარნერსე გადააყენეს მისმა შე-  
ლებმა (ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა და დავით დედამ) და იძულებით ბერად შეაყენეს. ადარ-  
ნერსე გარდაიცვალა 961 წელს (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 580/350, \* 581/351).

<sup>4</sup> სუმბატ დავითის-ძემ არტანუჯი მიიღო სამფლობელოდ გურგენ დიდის გარდაცვალების  
შემდეგ, ე. ი. 941 წელს (იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., p. 207). იგი ჯერ ატო-  
რებდა ერისთავის ტიტულს, ხოლო უფრო გვიან მიიღო ერისთავთ-ერისთავის ხარისხი (966  
წელს, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის შემდეგ). გარდაიცვალა 988 წელს (იხ. სუმბატ დავითის-  
ძე, გვ. \* 580/350, \* 582/351).

გიორგი მერჩულე თავის თხზულების შესავალში წერს, რომ ~~მისი~~ განზრახული აქვს „რათა ვიტყოდო ცხოვრებასა — მამისა ჩვენისა გარდაცვალებისა და მოყვასთა და მოწაფეთა მისთასა... რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა, ქე უშარიტად თხოობილი მოწაფეთაგან და მოწაფთის-მოწაფეთაგან მის წმიდისათა (გრიგოლ ხანძთელისათა)“<sup>1</sup>

გრიგოლ ხანძთელი, როგორც გამორკვეულია, გარდაიცვალა — 860 წელს. გრიგოლ ხანძთელის „მოყვასნი“ (— აქ იგულისხმებიან გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწენი საბან იშხნელი, თევდორე ნემესისა მამუნებელი და ქრისტეფორე კვირიკეთისა მამუნებელი) — გარდაიცვალნენ 860 წელზე ადრე; მოწაფენი გრიგოლ ხანძთელისა, რომლებიც მოიხსენიებიან მის ცხოვრებაში — ეპიფანე, მატეი, ზენონ, მიქელ პარეხელი, მაკარი ოპიზელი, ეფრემ მაწყვერელი და არსენი ქართლისა კათალიკოზი — გარდაიცვალნენ მე-9 საუკუნის უკანასკნელ მესამედში. ხოლო ბასილი ხანძთისა წინამძღვარი გარდაიცვალა არა უგვიანეს 900—910 წლებისა<sup>2</sup>. და რაჟი გიორგი მერჩულე მოსწრებია არა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა-მოწაფეებს, არამედ თვით გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებსაც და მათი „ქე უშარიტად თხოობილი“ მოუსმენია, ამის მიხედვით სავარაუდებელი ხდება, რომ გიორგი მერჩულე დაბადებულა არა უგვიანეს მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, 880 — 890 წლებისა. ამრიგად, გიორგი მერჩულე, როდესაც მან დაწერა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ე. ი. 950 წელს, უკვე მოხუცებას ყოფილა მიწყენილი.

გიორგი მერჩულის ცხოვრების დროის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეორე ცნობას, რომელსაც ვადმოგვეცემს გიორგი მერჩულე თავის თანამედროვე მწერალთა შესახებ. მერჩულე წერს:

„ხოლო ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეტრებისა გზითა, რამეთუ ეკონებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩვენთა:

„დიდი სოფრონ, სანატრელი მამაი, შატბერდისა ეკლესიის განაზღვრებით აღმამუნებელი და უკუნისამდე გვირგვინი მისა.

„და ღმერთმემოსილი მამაი ილარიონ პარეხელი, ...და ღირსნი გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევაარი ეპისკოპოსი პირველი, და სხუანი მსგავსნი მათნი.

„და ეთთარცა მათ ნეტართა და იძინეს, მამინლა რეცა განმეღვითა უცებსა ამას... ხელყოფად და აღწერად ცხოვრება“.

(იხ. თავი XXXVIII. გვ. 100)

აქ ჩამოთვლილი მწერლების შესახებ, რომელთაც ასახელებს გიორგი მერჩულე, შემდეგი ცნობები მოგვეპოვება.

სოფრონ შატბერდელი, რომელიც ყოფილა მესამე წინამძღვარი შატბერდისა (გრიგოლ ხანძთელის შემდეგ) — მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის დასასრულში. (იგი მოხსენებულია 897 წელს, შატბერდის ოთხთავის ანდერძში)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. გვ. 12  
<sup>2</sup> თარიღების შესახებ დაწერილებით იხ. ქვემოთ გამოკვლევაში.  
<sup>3</sup> მხედველობაში გვაქვს ძველი, ცნობილი „მადისის“ ოთხთავის სახელით, რომელიც გადაწერილია შატბერდში.

სტეფანე მტბევიარი პირველი სიანს მე-10 საუკუნის ნებრეველ მეოთხედში, 910-იან წლებში. იგი არის თანამედროვე შავშეთის (საქართველო) თავთ-ერისთავის ამოტ კუხისა (გურჯენ კურაპალატის ძისა), რომელიც მთავრობდა 896 წლიდან—918 წლამდე. ძველი ქართული მემკვიდრეობის სუმბატ-დავითის-ძე აღნიშნავს: „ამოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურჯენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა“.<sup>1</sup> სტეფანე მტბევიარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მარტივობა ვობრონისი, რომელიც დაწერილია 914—918 წლებს შორის.

რაც შეეხება ილარიონ პარეხელსა და გიორგი მაწყვერელს, მათ შესახებ ცნობები არ შენახულა; მაგრამ რადგან მწერლებს ჩამოთვლა ზემოთმოყვანილ უწყებაში სიანს ქრონოლოგიურ თარიღს მისდევს<sup>2</sup> და რაკი ილარიონ პარეხელი და გიორგი მაწყვერელი მოიხსენებიან 9—10 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მწერლის სოფრონ შატბერდელის შემდეგ და მე-10 საუკუნის პირველი მეოთხედის (910-იანი წლების) მწერლის სტეფანე მტბევიარის წინ, — მათი მოღვაწეობა ცხადია ამავე ვიწროდ შეზღავრულულს ქრონოლოგიურ წრეში უწყეს: მე-9 საუკუნის ბოლო—მე-10 საუკუნის პირველი მეოთხედი.

გიორგი მერჩულის ზემოთ მოყვანილ უწყებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულე არათუ მოსწრებია აქ ჩამოთვლილ მწერლებს, — სოფრონ შატბერდელს, ილარიონ პარეხელს, გიორგი მაწყვერელსა და სტეფანე მტბევიარს, — არამედ გიორგი მერჩულე, როგორც სიანს, უკვე მათ დროსვე სამწერლო ასპარეზზე ყოფილა გამოსული. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ იგი არ შეუდგა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერას დასახელებულ მწერალთა სიცოცხლეში, რადგან ვფიქრობდით, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას აღწერდნენ ეს „ბრძენნი და სრულნი“ მწერალნი, „რომელნი იყვნეს ეამთა ჩუენთა“; და როდესაც ისინი გარდაიცვალნენ, „ვეთარცა მათ ნეტართა დაიძინეს“, მხოლოდ მას შემდეგ შევბედეთ ამ საქმეს, „მაშინდა რცეა განმეღვიძა უცებსა ამას... ხელყოფად და აღწერად ცხოვრება“.

ამრიგად ყველა იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება, — ჯერ ერთი გრიგოლ ხანძთელის მოწადეთა შესახებ (რომელთაც გიორგი მერჩულე მოსწრებია, და რომელთა „ქეშმარიტი თხრობილი“ მოუსმენია), და ამას გარდა იმ ცნობების მიხედვითაც, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თანამედროვე მწერალთა შესახებ, — როგორც აღვნიშნეთ სავარაუდებელი ხდება, რომ გიორგი მერჩულე დაბადებულია არა უგვიანეს მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, 880/890 წლებისა.

რაც შეეხება გიორგი მერჩულის გარდაცვალების თარიღს, იგი სავარაუდებელია მე-10 საუკუნის 60-იანი წლების უწინარეს, გიორგი მერჩულემ,

<sup>1</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 579/349.

<sup>2</sup> რომ აქ დატულია ქრონოლოგიური თარიღი, ამას მიუთითებს კერძოდ ის გარემოება, რომ მწერლები აქ არაა ჩამოთვლილი სასულიერო ხარისხის მიხედვით, არამედ ჯერ დასახელებულა უბრალო ბერები (მირველად — სოფრონ შატბერდელი, მეორედ — ილარიონ პარეხელი), შემდეგ კი ეპისკოპოსნი (მესამედ — გიორგი მაწყვერელი, მეოთხედ სტეფანე მტბევიარი).

როგორც გამოჩვეულია, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა დაწერა 950 წელს. ხოლო მათე საუკუნის სამოციან წლებში გიორგი მერჩულეს უკვე აღნიშნული ჩენია გამგრძელბელი: გიორგი მერჩულის თხზულება შეუესია ახალი დამატებით ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს, 961—966 წლებში.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება, და რომელთა მიხედვით შესაძლოა საკმაო მიახლოებით განსაზღვრულ იქმნას გიორგი მერჩულის ცხოვრების დრო: მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი — მე-10 საუკუნის 50-იანი წლები (დაახლოებით 880/890 წწ.—950/960 წწ.).

## 2. განათლება

გიორგი მერჩულის აღზრდისა და განათლების შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოება, მაგრამ თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით ცხადი ხდება, — რომ ავტორი ფართე განათლების ადამიანია, იგი ღვას თანამედროვე ქართული განათლების მთელ სიმაღლეზე.

ხოლო იმ-დროინდელი ქართული მაღალი განათლება, როგორც ეს ირკვევა თვით ავტორის სიტყვებიდან, მოიცავდა არა მხოლოდ საქრისტიანო მწერლობის შესწავლას, არამედ განათლებულ ადამიანს „სიბრძნეცა ამის სოფლისა ფილოსოფისთა“ უნდა შეესწავლა „კეთილად“, ე. ი. საერო ფილოსოფიასაც საფუძვლიანად გაცნობილი უნდა ყოფილიყო. (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება, თავი I, გვ. 14).

ამასთან იმდროინდელი ქართული მაღალი განათლება, როგორც ამას აღნიშნავს ავტორი, არა მხოლოდ საკუთრივ ქართული მწერლობის შესწავლას ჰგულისხმობდა, განათლებულ ადამიანს უნდა სცოდნოდა არა მარტოდენ „სამოძღვროი ქართულსა ენასა შინა ყოველი“, არამედ შესწავლილი უნდა ჰქონდა „მწიგნობრობაცა მრავალთა ენათაი“. უნდა ყოფილიყო — „მრავალთა ენათა წურთილ და მრავალ-მოსწავლე“. (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება, თავი I და XI, გვ. 14, 44).

ამ ცნობაში — „მწიგნობრობაი მრავალთა ენათაი“ — ავტორი, ცხადია, პირველ რიგში იგულისხმებს ბერძნულ ენასა და მწიგნობრობას, ამასთან ერთად მეორე ძირითადს საქრისტიანო ენას — სირიულს, და ამას გარდა ცხადია არაბულსაც, იმდროინდელ საერთაშორისო ენას აღმოსავლეთში<sup>1</sup>.

რომ გიორგი მერჩულემ იცოდა კერძოდ ბერძნული და სირიული ენები, ეს შესაძლოა შემჩნეულ იქნას გიორგი მერჩულის თვით ქართული ტექსტის ზოგიერთი ადგილების მიხედვითაც. ასე გიორგი მერჩულე ერთგან აღნიშნავს: „მონაზონებაი სრქეანი კრძალ ენასა“ (იხ. გვ. 86.6). აქ ავტორს შეგნებულად ხაზგასმული აქვს ტერმინი *ἐκχρηστικὸν* ეტიმოლოგიური ნიუანსი ბერძნული ენის მიხედვით (ბერძნულში ეს სიტყვა დაკავშირებულია როგორც ცნებასთან „კრძალვა“, ისე ცნებასთან „მონაზონება“). სხვა შემთხვევაში კიდევ ავტორი აღნიშნავს, რომ მონაზონი არიან ისინი, რომელთაც „აღირჩევს ღმრთისათვის მწუხარებაი“ (იხ. გვ. 56.8). აქ ავტორს ხაზგასმული აქვს სიტყვა მონაზონის ეტიმოლოგიური ნიუანსი სირიული ენის მიხედვით (სირიულში შესაფარდი სიტყვა „მწუხარე“-ს აღნიშნავს)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> რაც შეეხება არაბულ ენას, ინტერესს ამ ენისადმი აღიფრებდა ის გარემოებაც, რომ არაბულ ენაზე, — იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, — საკმაოდ მდიდარი საქრისტიანო მწერლობა არსებობდა.

<sup>2</sup> შეად. ნ. მარტი. (Цр., VII, 1911, გვ. LVIII) და ივ. ჯეჯეხიშვილი (ქართული სამართლის ისტორია, II-მ, 1929, გვ. 28. სადაც გიორგი მერჩულის ტექსტის უწყება სხვა ასპექტშია განხილული).

ამას გარდა საჭიროა ისიც მოვიხსენოთ, რომ ჩვენი მწერალი, როგორც ეს ქვემოთ იქნება გამოჩვენებული, იყო „მერჩულე“, ე. ი. მეცნიერების მოძღვარი, სჯულის მასწავლებელი; ხოლო სჯულის მოძღვარი — ეს უნდა ვთქვათ ფილიყო, როგორც ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, ფართოდ განათლებული სწავლული, „წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათა ცა წუროილი“ (იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თავი XXXV, გვ. 94 — 95).

### 3. გიორგი მერჩულის მოღვაწეობის ადგილი — ხანძთა

გიორგი მერჩულე, მოხუცობის ეპოს, როდესაც იგი წერდა თავის თხზულებას — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას — ბერად ყოფილა შემდგარი.

გიორგი მერჩულის მოღვაწეობის ადგილი არის განთქმული მონასტერი ხანძთა, რომელიც დაარსებული იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ, და რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ძველი ქართული განათლების ისტორიაში. ხანძთის მონასტერი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მდებარეობდა ძველ-ქართულ პროვინცია კლარჯეთში, ქორხის ხეობაში, ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქთაგან არის მიტაცებული, 9 — 10 საუკუნეთა ძველი სატახტო ქალაქის არტანუჯის ახლო.

თვით თხზულება — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა — გიორგი მერჩულეს ხანძთაში დაუწერია. ეს პირდაპირ აღნიშნულია თითონ ძველში<sup>1</sup>.

### 4. გიორგი მერჩულის თანამშრომელი:

#### თევდორე ხანძთელი და იოვანე ხანძთელი

გიორგი მერჩულეს თავის ნაწარმოების ანდერძში მოხსენებული მკაცრ თანამშრომელი, ხანძთელი მოღვაწე: ხანძთის წინამძღვარი თევდორე და თევდორეს ძმა იოვანე. ანდერძში ნათქვამია, რომ თევდორეს და იოვანეს, ავტორთან — გიორგი მერჩულესთან ერთად „გულს-მოდგინებაი“ გამოუჩენიათ თხზულებაზე მუშაობის დროს. ავტორი წერს:

„ხოლო ხანძთისა წინამძღვრისა [თევდორეისა] და იოვანე ძმისა მისისა, და წიგნი ააა ამის აღმწერელისა — გიორგი მერჩულისა, — სამთავე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა — გრიგოლის ცხოვრებაი ესე“ (იხ. თავი L, გვ. 139).

რაში გამოიხატა „გულს მოდგინება“ თევდორესი და იოვანესი, რომელთაც ავტორი გიორგი მერჩულე თავმდაბლობით მოიხსენებს თავის-თავზე უწინარეს? იყო ეს ლიტერატურული თანამშრომლობა? იქნება მათ დაწერეს ან დაამუშავეს თხზულების ცალკეული ნაწილები? როგორც სჩანს — არი. ანდერძში გარკვევით არის აღნიშნული, რომ „წიგნისა ამის აღმწერელი“ — არის გიორგი მერჩულე (ხოლო ძველ-ქართულად „აღმწერელი“ ნიშნავს მწერალს, ავტორს). ამას გარდა თვით ნაწარმოების ტექსტიდა-

<sup>1</sup> გიორგი მერჩულის თხზულება, თავი L, გვ. 139. — რომ გიორგი მერჩულე ხანძთაში მკვიდრობდა, ეს ჩანს ვარდა L თავისა თხზულების სხვა ადგილებიდანაც. (სმე იხ. 47, 111, 49, 112, 136, 141).





ნაც სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ავტორი ერთი პირია (იხ. წიგნის „წინასიტყუა“. გვ. 11—12, თავი XXXVIII, გვ. 100, — აგრეთვე გვ. 137—141). მაშასადამე, „გულს-მოდგინება“ თევდორე და იოვანე ხანძთელთა, — ეს არ ყოფილა ლიტერატურული თანამშრომლობა; „გულს-მოდგინება“ თევდორე ხანძთელისა საფიქრებელია იმაში გამოიხატებოდა, რომ თევდორე, როგორც წინამძღვარი და „სულიერი მამა“ ხანძთის ძმობისა, იყო მაკურთხეველი და გამამხნევებელი გიორგი მერჩულისა წამოწყებული მუშაობის დროს. ზოლო იოვანე ხანძთელი, ძმა წინამძღვრისა, მეგობრულ „თანადგომა“ — გამხნევებასთან ერთად, შესაძლოა ეხმარებოდა ავტორს ზოგიერთი ცნობების მოწოდებითაც, რომელიც მერჩულემ გამოიყენა როგორც მასალა.

**2. გიორგი მერჩულის ადრინდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.**  
**ჰიმნოგრაფიული პოეზია.**

გიორგი მერჩულეს „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“, როგორც გამოირკვა, დაუწერია 950 წელს, უკვე მოხუცების ეპოქა, როდესაც ავტორი 60 — 70 წლებამდე ყოფილა მიწვენილი.

რასაკვირველია, არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ ცხორება გრიგოლ ხანძთელისა არ არის პირველი ნაწარმოები ჩვენი მწერლისა, რომ გიორგი მერჩულეს ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია ბევრად ადრე, ვიდრე იგი გამოაქვეყნებდა გრიგოლ ხანძთელის ცხორებას, ეს ჩანს კერძოდ იმ ცნობის მიხედვითაც, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თანამედროვე მწერლებზე (სოფრონ შატბერდელის, ილარიონ პარესელის, გიორგი მაწყვერელისა და სტეფანე მტბევაძის შესახებ), და საიდანაც ჩვენ ვეებულობთ, რომ გიორგი მერჩულე ლიტერატურულ ინტერესს იჩენდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედში (იხ. ზემოთ, გვ. 150). ზოლო, რაც მთავარია, საკმაოა გადაკითხვა თვით გრიგოლ ხანძთელის ცხორების ტექსტისა, რათა ცხადი ვახდეს, რომ იგი არაა პირველი ლიტერატურული ნაშრომი ჩვენი მწერლისა. — აქ ყოველ სტრიქონში იგრძნობა გამოცდილი, დახელოვნებული ოსტატის ხელი.

სამწუხაროდ ძველ ქართული მწერლობის საუნჯეც, როგორც ცნობილია, მეტ-წილად დაღუპულია, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან — მხოლოდ ნაწილი, შეიძლება ითქვას — უმცირესა ნაწილია გადარჩენილი, და ამის გამო გიორგი მერჩულის ადრინდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძთელის მოცულობით ჩვენთვის უცნობი რჩება. ირკვევა მხოლოდ, რომ გიორგი მერჩულეს უწერია ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზიის) დარგში. წერდა თუ არა იგი მწერლობის სხვა დარგებშიაც, ასე კერძოდ ბიოგრაფიულ-ჰაგიოგრაფიულ ეპოქაში (ე. ი. იმ ეპოქაში, რომელსაც წარმოადგენს გიორგი მერჩულის გვიანდელი ნაწარმოები — გრიგოლ ხანძთელის ცხორება) — გამოუტყვეველი რჩება.

რაც შეეხება ჰიმნოგრაფიას, რომ გიორგი მერჩულეს აღუბეჭდავს თავისი კვალი ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, — ეს დოკუმენტალურად დასტურდება.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის კრებულში, რომელიც შედგენილია 978 — 988 წლებში განთქმული ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ, მოიპოვება ორი ტექსტი, რომელთა ზედწერილები ჩვენს ავტორზე მიუთითებს.

პირველი ტექსტი, მოკლე საგალობელი („ოხითაჲ“), ატარებს ასეთს ზედწილობს: „მერჩულიული“<sup>1</sup>.

მეორე ტექსტი, საგალობელი დიდი ფორმისა, ეგრეთწოდებული „კახონი“ ანუ „გალობანი“, ატარებს შემდეგ ზედწერილს: „მერჩულიული უცხონი“<sup>2</sup>.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ზედწერილი „მერჩულიული“? აქ ორი ახსნა შესაძლებელი:

ან ეს ჰიმნები ეკუთვნის გიორგი მერჩულეს;

ან-და ეს ჰიმნები დაწერილია იმ ფორმით, რომელიც პირველად შემოუღია ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გიორგი მერჩულეს.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების შესწავლიდან ირკვევა, რომ სწორია მეორე ახსნა (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). სახელწოდება „მერჩულიული“ ეს ყოფილა იმავე ტიპის სახელწოდება, როგორც „ჩახრუხაული“, „მაგნაყორული“, „ბისტაკაური“ და სხვანი. ისევე, როგორც „ჩახრუხაული“, აღნიშნავს ჩახრუხისძის მიერ შემოღებულს პოეტურ ფორმას, „მაგნაყორული“ — მაგნაყორელის მიერ შემოღებულ ფორმას, ასევე „მერჩულიული“, როგორც ირკვევა, აღნიშნავს თავისებურ ფორმას, რომელიც გიორგი მერჩულეს დაუკანონებია ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

გიორგი მერჩულეზე, როგორც პოეტ-ჰიმნოგრაფზე, ჩვენ საგანგებოდ გვეტყება საუბარი ცალკე თავში, სადაც წარმოვადგენთ ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მიმოხილვას მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე, და საიდანაც ნათელი ვახდება ის განსაკუთრებულს ღვაწლი, რომელიც მიუძღვით ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის განვითარებაში გრიგოლ ხანძთელს და მისი ტრადიციების გამგრძელებელს გიორგი მერჩულეს.

დასასრულ — აქ შევჩერდებით კიდევ ერთ გარემოებაზე, რომელიც გვაცნობს გიორგი მერჩულის ინტერესებს ზელოვნების დარგში.

ჰიმნოგრაფიული პოეზია, როგორც ცნობილია, დაკავშირებული იყო მუსიკასთან. ჰიმნები იგალობებოდა ხოლმე. ჩვენ დრომდე მოღწეულა სწორედ ამ ეპოქიდან — მე-10 საუკუნიდან — ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებშიაც ჰიმნები ნოტირებულია, საგალობელი კილო აღნიშნულია თავისებური სანოტო ნიშნებით, ეგრეთწოდებული ნეემებით. (ეს ძველ-ქართულ სანოტო ნიშნები დღემდე ამოშიფრული არაა, თავისი სახეობით ქართული ნეემები განსხვავდება ბერძნული ნეემებისაგან. აგრეთვე აღმოსავლეთში მიღებული ნიშნებისგანაც, რაც რასაკვირველია, მანქნებელია ძველი ქართული მუსიკალური კულტურის თავისებურებისა). ამასთან ძველ-ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს ცნობა მუსიკოს-კომპოზიტორთა შესახებ, რომლებიც ჰქმნიდნენ ჰიმნებისათვის მუსიკას ანუ „ხმა“-ს, როგორც, მაგალითად, იოვანე ქართლისა კათალიკოზი, რომელსაც ერთი ქართული მწერალე (არსენი იყალთოელი) უწოდებს — „კეთილად-მორთული ორღანთი ზელოვანთ-მთავარი“, და რომე-

<sup>1</sup> იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 113.

<sup>2</sup> იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 471 — 473. — „გალობანი“ გამოცემულია ჩვენ მერ (იხ. ძველ-ქართული სახელმწიფო პოეზია, გვ. 310ა — 315კ).

ლიც ყოფილა საგალობელთა „ხმისა დამდებელი“ — ჰიმნების მუსიკის შემსრულებელი.<sup>1</sup>

არაა ინტერეს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ გიორგი მერჩულე, თვით პეტრი-ჰიმნოგრაფი, ამავე დროს მუსიკის მცოდნე და მოყვარული ყოფილა. ეს სწახს იმის მიხედვით, თუ როგორის სიყვარულითა და როგორის წვლილადობით ავეიწერს გიორგი მერჩულე მუსიკის-მცოდნეობას გრიგოლ ხანძთელის მიერ:

„კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღვარი იყო განუკითხველად... განგებაი კეთილად იცოდა... და აქენდა ხმისა ნებეირობაი და ტყბილობისა შეენიერობაი“.<sup>2</sup>

აქ ჩვენ გვესმის მუსიკის მცოდნის, მუსიკის მოყვარულის ხმა.

#### 6. მწერლის ზედწოდება „მერჩულე“.

გიორგი მერჩულის შესახები ბიოგრაფიული ცნობების განხილვის დასასრულს ჩვენ აქ შევეჩერდებით მწერლის ზედწოდებაზე „მერჩულე“.

რას აღნიშნავს ეს ზედწოდება?

არის ეს საგვარეულო ტიპის სახელწოდება? ან იქნებ ეს ზედწოდება ნიჭარმოვბია გეოგრაფიული სახელიდან და აღნიშნავს სადაურობას მწერლის საგვარეულოსას ან თვით მწერლისას? ან აქ გვაქვს პირადად მწერლისათვის მერჩულე სახელი? თუ ეს არის თანამდებობა — პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება?

ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არაა, ანუ უფრო სწორედ ეს საკითხი არც კი ყოფილა სფეროდ განხილვის საგანი.

ძველ-ქართულ მასალების გათვალისწინებიდან შესაძლო ხდება დადგენილი იქმნას, რომ ზედწოდება „მერჩულე“ — ეს არის თანამდებობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება. „მერჩულე“ ეწოდებოდა სჯულის მეცნიერს, კანონიერი სამართლის სწავლელ მცოდნეს. ძველ საქართველოში არსებულა ინსტიტუტი „მერჩულე“-თა, სჯულის მეცნიერთა, და ჩვენი მწერალი ამ კორპორაციის წევრი ყოფილა.

ვიდრე გადავიდოდეთ ძირითადი საკითხის განხილვაზე, აქ საქირთა რამდენიმე წინასწარი განმარტება.

ძველ-ქართულში სიტყვა „რჩული“ ჩვენ გვხვდება შემდეგი ფორმებით: „რჩული“, „სჯული“ და „შჯული“.

ეს სიტყვა რჩული, ანუ ძველ-ქართულად „რჩული“ (სჯული, შჯული) — ჩვენ ამ-ჟამად გვესმის როგორც „სარწმუნოება“. მაგრამ თავდაპირველად სიტყვა „რჩული“ აღნიშნავდა ცნებას: კანონი, სამართალი, ე. ი. სჯულდებით განსაზღვრული წესი, ნორმა. „რჩული“ აღნიშნავდა იმავე ცნებას, რასაც

<sup>1</sup> იხ. ანდრეი არხენსი, დაცული სიხას მთის ქართულ ხელნაწერში № 83 (გამოცემულია აღდ. ნ. შარის მიერ, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, № 203—204).

<sup>2</sup> იხ. გვ. 80.

ბერძნული *νόμος* ლათინური *jus*. ძველ ქართული სამართლის ძეგლებში ბერძნული *νομος* ასე ითარგმნებოდა: „რჩულის კანონი“ (ასე, მაგალითად, 10—11 საუკუნეთა ქართველი მწერლის ეფთხიმე მთავრი მიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებულ წიგნს *νομος*-ს ეწოდება „რჩულის-კანონი“).

აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან, რომ სიტყვა „რჩული“ (სჯული, შჯული) თუმცა თავდაპირველად აღნიშნავდა ცნებას: სამართალი, კანონი, მაგრამ ამ ტერმინს ამავე დროს აღრიდანვე მიეცა აგრეთვე მნიშვნელობა აღსანიშნავად ცნებისა „სარწმუნოება“, რადგან სარწმუნოება ეს არის იგივე „რჩული“, ე. ი. შჯულდებით განსაზღვრული წესი.

შემდეგი საკითხი: როგორ გამოითქმოდა ჩვენი მწერლის ზედწოდება: „მერჩული“ თუ „მერჩული“?

აქედმეოვსა ნიკო მარმა, რომელმაც პირველად გამოსცა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მწერლის ზედწოდება შეცდომით გახსნა როგორც „მერჩული“, მას შემდეგ ეს ფორმა „მერჩული“ გაერცვლებას პოელომს სამეცნიერო ლიტერატურაში და არაეის შეპარგია ეჭვი მის სინამდვილეში.

რახედ ემყარება ნ. მარს, როდესაც იგი აღადგენს მწერლის ზედწოდებას ამ ფორმით: „მერჩული“? აქ საჭმე გვაქვს უბრალო გაუგებრობასთან, რაც შემდეგადან წარმოსდგება.

აქედან ნ. მარს გამოჰყავს დასკვნა, რომ ავტორის ზედწოდება არის „მერჩ ხოლოდ ერთხელ“ ამასთან ეს ზედწოდება მოყვანილია არა სახელობითს ბრუნვაში, არამედ ნათესაობითს ბრუნვაში: „მერჩულისა“. სახელობრ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების I თავში ვკითხულობთ:

„წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა... გულსმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრება ესე“ (იხ. გვ. 139).

აქთან ნ. მარს გამოჰყავს დასკვნა, რომ ავტორის ზედწოდება არის „მერჩული“, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არსადან არ გამომდინარეობს. ძველ-ქართულში ნათესაობითს ბრუნვაში ჩვენ გვაქვს; დაბოლოება „ისა“ არა მართა თანხმოვნინი ფუძის სიტყვებიდან (მაგალითად, ფუძე: სახელობითი კაც-ი; ნათესაობითი კაც-ისა), არამედ სიტყვებიდანაც, რომლების ფუძე სრულდება ბოლოკიდურით „ე“.

მაგალითისათვის მოვიგონოთ იმავე ეპოქის მეორე ქართველი მწერლის სახელი და ზედწოდება: ეფრემ მცირე. სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: ეფრემ მცირე-ე; ნათესაობითს ბრუნვაში: ეფრემ მცირისა.

იმის გამო, რომ ნათესაობითს ბრუნვაში ჩვენ გვაქვს „ეფრემ მცირისა“, რასაკვირველია სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ამ მწერლის სახელი და ზედწოდება იყო „ეფრემ მცირე“ და არა „ეფრემ მცირე“.

ასევე ძველ-ქართული ნორმების მიხედვით ითქმის: „ლექსნი (ხოტბანი) ჩახრუხაისძისა“. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს რომ მე-12 საუკუნის ცნობილ ქართველ პოეტს ეწოდებოდა „ჩახრუხაისძი“; მას ერქვა „ჩახრუხაისძე“ (სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: ჩახრუხაისძე-ე; ნათესაობითი ბრუნვა: ჩახრუხაისძისა).

ამნარადვე ჩვენი მწერლის სახელი და ზედწოდება გამოითქმოდა რო-

გორც გიორგი მერჩულე (სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: გიორგი მერჩულე-ა; ნათესაობითი ბრუნვა: გიორგი მერჩულისა), ამიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ჩვენ ვკითხვლობთ: „წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა... გულმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრება ესე“.

რომ ჩვენი მწერლის ზედწოდება გამოითქმოდა როგორც „მერჩულე“, ეს დოკუმენტალურად დასტურდება თვით ჩვენი მწერლის ეპოქის სამი ხელნაწერიდან, რომლებიც გადაწერილია მე-11 საუკუნეში, და სადაც ეს სიტყვა წარმოდგენილია როგორც „მერჩულე“. მე-11 საუკუნის ამ ხელნაწერთა შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქ კი ჯერ შევჩერდებით ერთ ჩვენებაზე, რომელიც აგრეთვე ეთანხმება იმ დასკვნას, რომ მწერლის ზედწოდებაა „მერჩულე“ (და არა „მერჩული“).

ჩვენ უკვე მოხსენებელი გვექნოდა, რომ ჩვენ მწერალს შემოუღია ახალი ფორმა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რომელსაც მწერლის ზედწოდებიდან დარქმევია: „მერჩულელი“.

საიდან არის ნაწარმოები ეს ტერმინი, ფორმიდან „მერჩულე“ თუ „მერჩული“?

ძველ-ქართლის ნორმების თანახმად, ფორმიდან „მერჩული“ შეუძლებელია მიღებულ იქნას „მერჩულიელი“. ფორმიდან „მერჩული“ ჩვენ გვექნებოდა „მერჩულ-ური“ ან „მერჩულ-ელი“ (რაც როგორც სახელიდან „რუსთველი“ ჩვენ გვაქვს „რუსთველური“ და არა „რუსთველიური“, სიტყვიდან კაცი — კაციური და არა კაციური და სხვ.).

რაც შეეხება ფორმას „მერჩულე“, აქედან, ძველ-ქართლის ნორმების მიხედვით, შესაძლებელია ორგვარი წარმოება:

ა) შეკუმშული: ასეთ შემთხვევაში „მერჩულე“ მოგვეცემდა იმავე ფორმას: მერჩულ-ური, ან მერჩულ-ელი.

ბ) სრული: ასეთ შემთხვევაში „მერჩულე“ მოგვეცემდა ფორმებს: „მერჩულე-ური“ — „მერჩულე-ელი“, რასაც დისიმილაციის წესით კანონზომიერად შეენაცვლება „მერჩული-ელი“.

დისიმილაციური შენაცვლება „მერჩულელი“ = „მერჩულიელი“ ეს იმავე სახისაა, როგორც, მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში ბოლოკიდურით „ე“ (ე. ი. იმავე ბოლოკიდურით, რომელიც გვაქვს სიტყვაში „მერჩულე“):

„ღლე“ — აქედან (ღლეური) ღლეური.

„მზე“ — აქედან (მზეური) მზეური და სხვ.

ამავე ტიპისა შენაცვლება ბგერისა „ე“-ს ბგერით „ი“ სიტყვებში: ქრისტეანი — ქრისტეანი, შირვანი — შირიანი და სხვ.

შეად. აგრეთვე ტერმინი „სახობა“ (ნაწარმოები სიტყვიდან „სახე“ & „სახობა“ დისიმილაციის წესით გვაძლევს ფორმას „სახიობა“. (სხვ. იხილეთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 93, სადაც წარმოდგენილია სწორედ დისიმილაცია-მიღებული ფორმა: ახალსახიობა).

ასეთია ის მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება ჩვენი მწერლის ზედწოდების შესახებ.

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული სურათი:

ა) ერთი მხრით თვით მწერლის ეპოქის ძეგლებში, მე-11 საუკუნის სამს

ბელაშვირში (— რომელთა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი) — ეს ტერმინი პირდაპირ დამოწმებულია ფორმით: „მერჩულე“ (მე-10) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-11) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-12) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-13) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-14) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-15) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-16) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-17) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-18) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-19) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-20) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-21) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-22) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-23) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-24) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-25) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-26) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-27) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-28) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-29) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-30) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-31) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-32) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-33) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-34) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-35) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-36) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-37) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-38) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-39) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-40) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-41) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-42) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-43) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-44) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-45) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-46) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-47) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-48) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-49) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-50) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-51) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-52) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-53) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-54) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-55) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-56) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-57) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-58) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-59) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-60) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-61) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-62) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-63) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-64) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-65) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-66) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-67) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-68) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-69) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-70) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-71) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-72) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-73) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-74) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-75) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-76) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-77) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-78) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-79) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-80) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-81) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-82) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-83) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-84) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-85) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-86) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-87) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-88) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-89) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-90) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-91) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-92) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-93) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-94) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-95) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-96) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-97) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-98) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-99) და ნაწილობრივ „მერჩულე“ (მე-100).

გადავხილეთ ამის შემდეგ განხილვაზე ძირითადი საკითხისა, თუ რას აღნიშნავდა რეალურად ზედწოდება ჩვენი მწერლისა: „მერჩულე“.

ეს ზედწოდება, ცხადია, დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულ ტერმინთან „ჩული“ — სჯული. „მერჩულე“ — ეს არის იგივე „მესჯული“.

მაგრამ აქ იბადება ასეთი საკითხი: რისთვის მიემართებოდა ჩვენს მწერალს ეს ზედწოდება „მერჩულე“: არის ეს პირადად ნისთვის შერქმეული სახელი — იმის გამო, რომ იგი „ჩულის“ მეცნიერების განსაკუთრებული ავტორიტეტად ითვლებოდა? თუ „მერჩულე“ ეს იყო თანამდებობა — პროფესია „ჩულის“ მეცნიერისა.

როგორც ირკვევა, ჩვენ მეორე გარემოებასთან გვაქვს საქმე: „მერჩულე“ ეს არ ყოფილა პირადად ჩვენი მწერლისათვის შერქმეული სახელი, არამედ თანამდებობა — პროფესია.

როდესაც ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ჩვენი მწერლის სახელწოდება „მერჩულე“ დაკავშირებულია სიტყვასთან „ჩული“, ჩვენ მივმართეთ ჩვენი ლექსიკოგრაფების შრომებს, მაგრამ აქ ტერმინი „მერჩულე“ არსად არ აღმოჩნდა აღნიშნული. აქ ნაჩვენებია მხოლოდ ამ ტერმინის გვიანდელი ფორმა „მესჯული“ და ამასთან მითითებულია მხოლოდ მე-17 — 18 საუკუნეთა წყაროები (ფარსადან გორგიჯანიძე, ვახტანგის სამართალი და ანტონ კათალიკოსის მარტირია).<sup>1</sup>

საკითხის გამოსარკვევად მართო ეს გვიანდელი წყაროები, რასაკვირველია, საქმარისი არ იყო, რადგან მე-17 — 18 საუკუნის ძეგლების მიხედვით გადაწყვეტა საკითხისა, რომელიც მე-10 საუკუნეს ეხება, ცხადია უსაფუძვლო იქნებოდა.

ამასთან, არც ის მასალები, რომელიც გამოყენებულა აქცა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ შრომაში „ქართული სამართლის ისტორია“ არ იძლეოდა რაიმე ჩვენებას მერჩულეთა (ან მესჯულეთა) ინსტიტუტის არსებობის შესახებ ძველ საქართველოში.

საბედნიეროდ, ძველ-ქართულ ტექსტებში ჩვენ მოგვეცა შემთხვევა აღმოგვეჩინა საძიებელი ტერმინი „მერჩულე“, რის შემდეგაც საკითხს უჭეი მოეფინა. „მერჩულე“ — მოხსენებულია მე-10 — 11 საუკუნეთა ქართველი მწერლის ეფთიმე მთაწმიდელის ერთი შრომაში. ის გარემოება რომ „მერჩულე“ მოიხსენება ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხისათვის, რადგან ეფთიმე მთაწმიდელი არის უდიდესი ავტორიტეტი ძველ-ქართულ „ჩულის“ მეცნიერების ისტორიაში, ამას გარდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეფთიმე მთაწმიდელი მოღვაწეობდა სწორედ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს.

<sup>1</sup> იხ. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, სიტყვები: მერჩულე, მესჯული.

ეფთიმე მთაწმიდელმა თარგმნა ბერძნულიდან ქართულად ერთი ძეგლი, რომელიც ეკუთვნის ბერძნული თეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ვერ-გოლ ნაძიანძელს (სახელდობრ ნაწარმოები: „ნათლისღებისათვის უფლებიანად დღესა განცხადებაჲა“).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეფთიმეს ტექსტი არ წარმოადგენს თარგმანს ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ ადგილ-ადგილ განმარტებით გადმოცემას შეიცავს; ეს არის, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი მანერა ეფთიმე მთაწმიდელისა. ეფთიმე უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა თეოლოგიაში, და მას, როგორც აღნიშნავს ერთი ძეგლ-ქართული ავტორი, „ხელ-ეწიფებოდა შემატებაიცა და კლებაიცა“.

დასახელებულ ძეგლში გრიგოლ ნაძიანძელი ეკამათება მწვალების (ერეტიკოსის) ნ ა ე ა ტ ი ს მოძღვრების მიმდევართ.

მოგვყავს აქ ამ ძეგლის ერთი ადგილი ეფთიმე მთაწმიდელის განვრცობილი განმარტებითი თარგმანის თანახმად (იხ. ხელნაწერი A—92, მე-11 საუკუნის დასაწყისისა, გადაწერილი ეფთიმე მთაწმიდელის სიცოცხლეში, 1028 წლის უწინარეს გვ. 701—704):

„ხოლო შენ რასა იტყვი, რასა სჯულის-მღებლობ, შ ახოლო ფარისევლო...“

„არა ეპაძე მე წესსა ამასი და ვინ დამიდგინა მე ნავატ მე რჩულედ და მისი იგი კაცთ-მოძულეჲა სახელ!“

ამრიგად, ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტში დადასტურებულია სახელწოდება: მ ე რ ჩ უ ლ ე, რაც აქ აღნიშნავს „რჩულის“ მოძღვარს, სჯულის ნორმების გამრიგებელს, რჩულის კანონის გამწესებელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელწოდება „მ ე რ ჩ უ ლ ე“, როგორც ირკვევა, არ მომდინარეობს ბერძნული დედნიდან, არამედ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ეფთიმე მთაწმიდელის ქართულ ტექსტში, საიდანაც ცხადი ხდება, რომ „მერჩულე“ ქართული სინამდვილიდან აღებული სახელწოდებაა.

გრიგოლ ნაძიანძელის ბერძნულ დედანში უკანასკნელი ამზაცი ივითხვის ამრიგად: <sup>1</sup>

„Και τις πα: η Νουατιου παρρησιον“.

რაც სიტყვა-სიტყვითს თარგმანში შემდეგს აღნიშნავს: „და რით არის ჩემთვის კანონი (ნაძიანძე) ნავატის კაცთ-მოძულეჲა“.

ამრიგად ეფთიმე მთაწმიდელი იძლევა ტექსტის განვრცობილს განმარტებითს გადმოცემას, რაც, როგორც მოვიხსენეთ, ჩვეული წესია ეფთიმე მთაწმიდელისა. გრიგოლ ნაძიანძელის ტექსტი: „რით არის ჩემთვის კანონი (ნაძიანძე) ნავატის კაცთ-მოძულეჲა“, — ეფთიმეს, როგორც ვხედავთ, შეუცვლია ასეთი განვრცობილი განმარტებით:

„და ვინ დამიდგინა მე ნავატ მე რჩულედ (ე. ი. რჩულის მოძღვრად, რჩულის კანონთა გამრიგებლად) და მისი იგი კაცთ-მოძულეჲა სახელ (ე. ი. ნორმად)“.

აქედან მაშასადამე, უცილობელი ხდება, რომ „მერჩულე“ ეს ყოფილა ცოცხალი ტერმინი ქართული სინამდვილისა მე-10 — 11 საუკუნეებში, როდესაც მოღვაწეობდა ეფთიმე მთაწმიდელი, ძველ-ქართული „რჩულის“ — შეცნობების ეს უდიდესი ავტორიტეტი.

<sup>1</sup> იხ. Migne. PG. t. 36, p. 557.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გავეცნოთ ამის შემდეგ ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტის არსებულ ხელნაწერებს, თუ როგორის ვარიაციებით არის წარმოდგენილი ტერმინი „მერჩულე“ სხვადასხვა ეპოქის დედნებში.

ჩვენს განკარგულებაში არის შეიღი ხელნაწერი ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტისა, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა დროს მე-11 საუკუნის დასაწყისიდან — ვიდრე მე-18 საუკუნემდე.<sup>1</sup>

ამ ხელნაწერებში ტერმინი „მერჩულე“ წარმოდგენილია შემდეგნაირ ფორმებით:

ხელნაწერი A — 92 (გადაწერილია მე-11 საუკუნის დასაწყისში, 1028 წლამდე), გვ. 70ა;	„მერჩულე“
ხელნაწერი A — 1 (გადაწერილია 1031 წელს) <sup>2</sup> , გვ. 403;	„მერჩულე“
ხელნაწერი A — 87 (გადაწერილია 1065 წლის ახლო), გვ. 154;	„მერჩულე“
ხელნაწერი S — 383 (გადაწერილია მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში), გვ. 36 ა;	„მეშჯულე“
ხელნაწერი S — 80 (გადაწერილია მე-13 საუკუნეში), გვ. 126 ა;	„მესჯულე“
ხელნაწერი A — 518 (გადაწერილია 1708 წელს), გვ. 170 ა;	„მესჯულე“
ხელნაწერი S — 3683 (გადაწერილია 1799 წელს) გვ. 342;	„მესჯულე“

ამრიგად ფორმა „მერჩულე“ დადასტურებულია სამ უძველეს ხელნაწერში მე-11 საუკუნისა.

ხელნაწერებში წარმოდგენილი პარალელური ტექსტებიდან მკითხველსათვის ისიც აშკარაა, რომ „მერჩულე“ ყოფილა იგივე „მესჯულე“ („მეშჯულე“); ეს ფორმები „მერჩულე“ და „მესჯულე“ ერთიმეორის ნაცვლად იხმარება ხელნაწერებში.

7. „მერჩულე“-თა („ჩრდის მოძვართა“) ინსტიტუტის ისტორიისათვის ძველ საქართველოში. — გიორგი მერჩულე — როგორც თეოლოგი და კანონიერი სამართლის მეცნიერი.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლიდან ირკვევა, რომ მე-10 11 საუკუნეებისათვის სამართლის მეცნიერებას საქართველოში განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია.

კერძოდ, დაკავშირებით იმ საკითხთან, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს („მერჩულე“-თა ინსტიტუტის რაობა) — აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მე-10 — 11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურისტები, რომელთაც ეწოდებოდათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვევოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს — სახელმწიფო დარბაზის — სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს.

<sup>1</sup> ხელნაწერები დაცულია საქართველოს მუზეუმის ძველ-ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში.

<sup>2</sup> ვარდა ხელნაწერისა A — 1, რომელიც გადაწერილია 1031 წელს, მოიპოვება აგრეთვე ამ ხელნაწერის პირი A — 16; ამ უკანასკნელშიც (გვ. 136 B) წარმოდგენილია ფორმა „მერჩულე“.



აქ შესაძლოა აღიძრას საკითხი, ხომ არ არიან ეს „მეცნიერნი საქმეთა საქმეთანი“ — ფიგურა „მერჩულე“-ნი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როგორც ირკვევა, არა, ქართული ძეგლების შესწავლიდან დასტურდება, რომ დასახელებულ ეპოქაში „საბჭოთა“, „საბჭოთა საქმენი“ — საერო სამართლის დარგს წარმოადგენდა.

ხოლო „რჩული“ ამ ეპოქაში აღნიშნავდა სპეციფიურად კანონიკურ სამართალს, ხოლო უფრო ფართე გაგებით — მთელ საქრისტიანო მოძღვრებას, რამდენადაც ეს მოძღვრება აღბეჭდილია წერილობითი ძეგლების სახით („დაწერილი რჩული“).

„მერჩულე“, როგორც ირკვევა — ეს იყო მეცნიერი „რჩულისა“, სპეციფიურად კანონიკური სამართლის სწავლული მცოდნე, და ამავე დროს მეცნიერი მთელი საქრისტიანო მოძღვრებისა, „დაწერილი რჩულისა“, ე. ი. თეოლოგი მეცნიერი.

ძველი ქართული თეოლოგია, და კერძოდ ძველი ქართული კანონიკური სამართალი დაკავშირებული იყო თავისი საწყისებით ბერძნულ ორთოდოქსალურ თეოლოგიასთან და ბერძნულ კანონიკურ სამართალთან (—რამდენადაც ქართული ეკლესია ორთოდოქსალურ მოძღვრებას იზიარებდა).

„მერჩულე“ — თავისი პირდაპირი მნიშვნელობით — ეს არის ზუსტად ბერძნული *νομαρχ* (*ნომაქ* = „რჩული“, აქედან *νομαρχ* = „მერჩულე“).

იმისათვის, რომ ზედმიწევნით გავითვალისწინოთ ჩუაღწერილი შინაარსი „მერჩულე“-თა ინსტიტუტისა, აქ საჭიროა გავეცნოთ, თუ როგორ გადმოსცემდნენ ქართულად ამ ტერმინს.

*Νομαρχ* — ე. ი. „მერჩულე“ ახალი აღთქმის წიგნების ძველ-ქართულ თარგმანებში ასეა გადმოცემული):<sup>1</sup>

1. რჩულის მეცნიერი (ლუკა VII, 26; X, 25; XI, 2).
2. რჩულის მოძღვარი (მათე XII, 26; ლუკა XI, 22; XIII, 2).
3. რჩულის მდებელი (მათე XXII, 26; — პაღის ოხთავში).
4. რჩულის მწერალი (ეპისტოლე ტიტესადმი III, 2).
5. რჩულისაგანი (ლუკა XIII, 26 — პაღის ოხთავში).

დასახელებული ტერმინები ძველ-ქართულ ტექსტებში ერთიმეორის მაგვირანდ იხმარება.<sup>2</sup>

რომ შევეუფარდეთ ძველი ქართული ტექსტების ეს ჩვენება იმ ცნობებთან, რომელსაც შეიცავს ეფთიმე მთაწმიდელის ზემოთდასახელებული ტექსტი, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ზუსტად განესაზღვროთ „მერჩულე“-თა ინსტიტუტის რაობა.

<sup>1</sup> ჩვენ შეუაყამეთ შემდეგი დედნები: პაღის ოხთავი 897 წლისა, ოხთავის ხელნაწერები მე-10 საუკუნისა H—1660, A—1453, A—28, ეპისტოლეთა წიგნი მე-9—10 საუკუნეთა ხელნაწერებით S—407 და S—1138, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტები ოსთავისა და ეპისტოლეთა წიგნისა.

<sup>2</sup> პაღის ოხთავში მთ. XXII, 26 იქითვის „რჩულის-მდებელი“, ხოლო დანარჩენ დედნებში „რჩულის მოძღვარი“. — ლკ. VII, 26 იქითვის „რჩულისაგანი“, ხოლო დანარჩენ დედნებში „რჩულის მეცნიერი“.

„მერჩულე“, როგორც ირკვევა, ყოფილა არა მხოლოდ თეოლოგი, სწავლული მცოდნე ქრისტიანული მოძღვრებისა და სპეციალურად კანონიერებასა და სამართალისა, („რჩულის კანონი“-სა), არამედ მერჩულე, როგორც „მერჩულეს მეცნიერი“ და „რჩულის მოძღვარი“ (ე. ი. რჩულის მასწავლებელი) — უფლება-მოსილი იყო აგრეთვე მოეხდინა განჩინება „წესთა“ (ე. ი. დადგენა საეკლესიო ნორმებისა) ქრისტიანული მოძღვრების ანუ „რჩული“-ს საფუძველზე. ამას ძველ-ქართულ კანონიკურ სამართალში ეწოდებოდა „წესისა და დება“<sup>1</sup>.

„წესისა და დება“ — ეს არის იგივე „რჩულისა წესისა და დება“ და ამიტომ არის, რომ მერჩულეს მიემართება აგრეთვე სახელწოდება: „რჩული-ს მდებელი“<sup>2</sup>.

ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტიდან ირკვევა ამასთან, რომ „მერჩულე“ ეს იყო არა მხოლოდ „მეცნიერი“ რჩულისა, ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ ამავე დროს „რჩული“-ს სიწმიდის მცველი; მერჩულე „განაწესებს კანონსა“ — მათთვის, რომლებიც გარდახდნენ ქრისტიანული „რჩული“-ს წესებს, ე. ი. მერჩულე უფლება-მოსილია იკისროს ამავე დროს კანონიკური სამართლის მსაჯულის ფუნქციები<sup>3</sup>.

დასასრულ, აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ „მერჩულე“ (ყოყანა) ძველ ქართულ ტექსტში მოიხსენიება როგორც „რჩული-ს მწერალი“<sup>4</sup>. „მერჩულე“ — რჩულის მოძღვარი, როგორც ირკვევა, აწარმოებდა „მოძღვრებას“ არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ წერილობითი ძეგლების სახითაც გადასცემდა თავის მოძღვრებას.

„მერჩულეთა“ ანუ „რჩულის მოძღვართა“ ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში ქართულ ძეგლებში დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები, რაც ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის ისტორიის ვასათვალისწინებლად, არამედ საერთოდ ქართული განათლებისა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის.

რჩულის მოძღვრება“ ძველ საქართველოში, როგორც ირკვევა, არ წარმოადგენდა მარტო ეკლესიის უპირატეს უფლებას, არამედ ყოფილან აგრეთვე

<sup>1</sup> „წესის და დებას“ შესახებ იხ. ცხობება გრიგოლ ხანძთელისა 95<sup>ე</sup>. ეფთიმე მთაწმიდელის ზემო-დასახლებულ ტექსტში ნათქვამია: „აჲ ეპხამაჲ შე წესისა ამას“ ე. ი. წესისა და დებულსა ნავატის მიერ; ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტის პირდაპირი ჩვენების თანახმად ნავატი რჩულის ახალი „წესი“-ს დადებით — თავის-თავზე დებულობდა „მერჩულე“-ს ფუნქციას.

<sup>2</sup> იხ. ჰაღინის ოთხთავი მთ. XXII<sup>ე</sup>, აღსანიშნავია ამასთან, რომ ეფთიმე მთაწმიდელის იმავე ტექსტში, ნავატს, როგორც ახალი „წესის“ დამდებელს, აგრეთვე ეწოდება „სჯულის მდებელი“ (იხ. ტექსტში: „ხოლო შენ რასა სჯულის-მდებელი“... „რომელი ეგე სჯულის მდებელი“).

<sup>3</sup> იხ. ეფთიმე მთაწმიდელის დასახელებული ტექსტი, სადაც იკითხვის: „შემსგავსებულად სინანელისა განაწესებ კანონსა“. გამოთქმა „კანონთა განაწესება“ აქ აღნიშნავს სასულიერო სასჯელის დანიშნებას მათთვის, ვინც დაარღვევდა ქრისტიანული „რჩული“-ს წესებს. (რომ „მერჩულე“-ს ეკისრებოდა ფუნქცია მსაჯულისა კანონიკური სამართლის დარღვი, ეს სინან ვახტანგის კანონების მიხედვითაც, იხ. § 238).

<sup>4</sup> *Нормы* (ე. ი. „მერჩულე“) გადმოცემულია როგორც „რჩულის მწერალი“ ეპისტოლეში ტიტესადმი III<sup>ე</sup> (იხ. ხელნაწერი S — 407 და გაიარგი მთაწმიდელისეული ტექსტი).

ერისკაცნი „რჩულის მოძღვარნი“ („რჩულის-მასწავლებლნი“; ანუ „რაც იგივეა „მერჩულე“-ნი).

ერისკაცთა უშუალო ჩარევას „რჩულის მოძღვრების“ საქმეში ვერცხვანა ვის თვალთ უცქეროდა.

საკითხი, უფლებამოსილნი არიან თუ არა ერისკაცები იყვნენ „რჩულის-მოძღვარნი“, იმდენად საკვირბოროტო ყოფილა, რომ ეს საკითხი გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგნად სრულიად-ქართლის (იბერიის) საეკლესიო კრებაზე, რომელიც შეიკრიბა ჯავახეთში 845—850 წლებში ქართლ-მესხეთის მთავარის გვარამ მამფალის მოწვევით.

ამ კრების ისტორია და მსჯელობის ამბავი დაწერილებით აქვს აღწერილი ჩვენ მწერალს გიორგი მერჩულეს.<sup>1</sup>

გვარამ მამფალმა ამ კრებაზე საგანგებოდ მიმართა ეკლესიის ხელმძღვანელ წრეებს შემდეგის შეკითხვით:

„უკეთუ ქვეყანისა ჩვენისა ერისკაცნი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი მიიწიოს იერუსალემად და სხვათა წმიდათა ადგილთა (— იგულისხმება კონსტანტინეპოლისი და „საჩინონი საბერძნეთსა ადგილნი“), — და იხილოს რაიმე კეთილი წესი, რომელი ქრისტიანობასა შვენოდის და ჩვენ შორის არა იყოს, ვინათუ წიგნთაგან გულისსმა ყოს, და თავით თვისით ერსა უსწავლულს ასწავებდეს, — კეთილ არსა ანუ არა?“ (იხ. გვ. 94).

ხლსანიშნავია ამასთან ის გარემოება, რომ თვით ამ ჯავახეთის საეკლესიო კრებაზედაც წარმოდგენილნი ყოფილან, როგორც წევრები, ეს ერისკაცნი, რომელნიც ყოფილან „წესისა და შჯულისა (რჩულისა) მასწავლებლნი“ და რომელნიც „წესსა დაუდებდეს ერსა“.

გვარამ მამფალის მიერ აღქრულ საკითხზე ეკლესიის ხელმძღვანელმა წრეებმა შემდეგი განაცხადეს:

„წერილ არს: «ტვირთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკეთუ დაუძმომო — დაინთქას, და უკეთუ სუბუქად იყოს — ქართა და ლელვათა წარიტაცონ». ვგრეთვე ტვირთი შჯულისა და წესი ქრისტიანობისა, რომელ აწ ქვეყანასა ჩვენსა უპყრიეს, ფრიალ კეთილ არს“ (იხ. გვ. 95).

ეს ცნობები გრიგოლ ხანძთელის ცხობებისა ბევრნაირად არის საყურადღებო.

ჯერ ერთი, როგორც იჩვენება, ერისკაცთა მიერ „რჩულის მოძღვრება“ — ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ამას საქართველოში ფართე გავრცელება ჰქონია. ამასთან ეს ერისკაცნი მაღალი მომზადებით ყოფილან აღქურვილნი, ისინი ყოფილან „საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი და ენათაცა წურთილნი“ (ე. ი. ენათა სწავლულნი) და მდგარან სათანადო სიმაღლეზე, რათა ეწარმოებინათ „რჩულისა გამოძიება“ და „მოძღვრება“. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ერისკაცნი — „წესისა და რჩულისა მასწავლებლნი“, ცოდნისა და გამოცდილების შესავსებად მოგზაურობდნენ საზღვარ-გარეთაც, — იერუსალიმს, კონსტანტინეპოლისს და „საჩინოთა საბერძნეთსა ადგილთა“, და ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათ უცხოეთში შეუნიშნავთ „კეთილი წესი“, რომელიც „ქრისტიანობასა შევნოდა და ჩვენ შორის არა იყო“ და სცდილან მათ გადმონერგვას საქართველოში.

<sup>1</sup> იხ. ცხობება გრიგოლ ხანძთელისა, თავები XXXIV — XXXV (გვ. 88 — 96)

ამასთან ეს ერისკაცნი ხელმძღვანელობდნენ არა მარტოოდენ უცხოეთში მიღებული გამოცდილებით და მაგალითით, არამედ „კეთილთა წესობა“ საქართვება მათ გაუთვალისწინებიათ „წიგნთა საღმრთოთა მეცნიერებისა“<sup>1</sup> გზით, ე. ი. საქრისტიანო თეოლოგიურ მოძღვრების შესწავლის საფუძველზე მათ აუცილებლად უცნიათ ამა თუ იმ „კეთილი წესის“ შემოღება. ხოლო, რაც მთავარია, ამ ერისკაცთა საქმიანობა განისაზღვრებოდა არა მარტოოდენ თეორეტიული დადგენით ამათუიმ „ახალი წესი“-ს შემოღების საქარებისა, ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ „რჩულის გამოძიებით“, არამედ ისინი საგაროდ ქადაგებდნენ თავის მოძღვრებას, მოძღვრიდნენ ხალხს, „ერსა ახალსა წესსა დაუდებდეს“.

ეს გარემოება, სხვას რომ თავი დავანებოთ, მაჩვენებელია ქართული განათლების მაღალი დონისა დასახელებულ ეპოქაში. (ნუ დაგვაფიქვდება, რომ ეს არის ხანა, როდესაც დასავლეთ ევროპაში საერო წრეებში თვით წერა-ლითხვის ცოდნაც კი იშვიათი ამბავი იყო, და ზოგჯერ თვით მთავრები და ძეგეები უწიგნურნი იყვნენ; დასახელებულ ეპოქაში განათლების საქმე აქ უპირატესად ეკლესიის ხელში იყო). ხოლო საქართველოში საერო წრეები, როგორც ირკვევა, არ კმაყოფილდებოდნენ საერო მოღვაწეობის ასპარეზით, არამედ თვით საეკლესიო საქმეებშიაც უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ; საერო წრეებში ყოფილან არა უბრალო მცოდნენი ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ სწავლულნი ქრისტიანული თეოლოგიისა, „საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი“ და „ენათაცა წერტილნი“ („მრავალ-მოსწავლენი“).<sup>2</sup>

მეორეს მხრით ქართული განათლებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ის პასუხი, რომელიც ჩვენ გვესმის მოწინააღმდეგე პანაკიდან. ისინი აღიარებენ, რომ ქართული ქრისტიანული მსოფლიოსათვის არაა სავალდებულო ის წესები, რომელიც მიღებულია უცხოეთში, თუნდაც ეს იყოს თვით საბერძნეთი და იერუსალიმი, ე. ი. ჩვენ არ ვართო სხვებზე მოწიფე, არამედ საქართველოს ეკლესია თვითმყოფი და დამოუკიდებელი; ამასთან ქართულმა თეოლოგიამ მიიღწიაო სრულყოფას და მის მიერ დაწესებულ ნორმებს ახალსა და კარგს ვერას შემატეხსო სხვების მაგალითი. ეს თვალთახედვა მკვეთრად არის გამოსახული იმ პასუხში, რომლითაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლნი მიმართავენ გვარამ მამფალს: „წერილ არს — ტვირთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკეთუ დაუმიძიო — დაინთქას, და, უკეთუ სუბუქად იყოს — ქართა და დღესათა წარტაცონ; ეგრეთვე ტვირთი შჯულისა (რჩულისა) და წესი ქრისტიანობისა, რომელ აწ ქუეყანასა ჩვენსა უპყრის, ფ რ ი ა დ კ ე თ ი ლ ა რ ს“ მისაბაძი მაგალითის აღება ჩვენ სხვებისაგან აღარ გვექრდებაო.

ჩვენ ამგზის ამათ დავასრულებთ საუბარს ჯავახეთის კრების საკითხთა გამო და მახე უფრო დაწერილებით შემდეგ გვექნება საუბარი, როდესაც საგანგებოდ შევიჩრდებთ გრიგოლ ხანძთელის ცხარების ისტორიულ ცნობათა ინტერპრეტაციაზე.

აქ კი დაგვრჩენია აღვნიშნოთ შემდეგი.

ის გარემოება, რომ ჩვენი მწერალი გიორგი მერჩულე ყოფილა „რჩულის მოძღვარი“, „მერჩულე“-ს ხარისხით აღჭურვილი, გასაგებს ხდის ბევრ მხა-

<sup>1</sup> კერძოდ „ენათა წერტილობის“ და „მრავალ მოსწავლეობის“. შესახებ (მრავალ-მოსწავლე, (-Πολύμαχοί) — შეად. გრიგოლ ხანძთელის ცხარებაში 94<sup>22-23</sup> და 44<sup>24</sup>.

რეს ჩვენი მწერლის თხზულებსა; გასაგებია ამის შემდეგ, რომ ჩვენი მწერალი, როგორც მეცნიერი თეოლოგი და „რჩული“-ს საკითხთა მკვლევარი მცოდნე, უხალისეს და უშუალო ინტერესს იჩენს „რჩული“-ს წესთა, კანონიკური სამართლისა და თეოლოგიური პრობლემებისადმი. გიორგი მერჩულის თხზულებებში სპეციალურად მიძღვნილია მთელი რიგი ადგილებისა ასეთი წყების საკითხთა გასაშუქებლად.

ასეთია, მაგალითად, მსჯელობა მწვალეებლათვის (პავლიაკიანთა და ერთბუნებიათა შესახებ)<sup>1</sup>; სწავლა სამებისათვის<sup>2</sup>; სწავლა ბუნებისათვის კაცი-სა<sup>3</sup>; მსჯელობა მღვდელობის ინსტიტუტის შესახებ<sup>4</sup>; მთელი რიგი მსჯელობათა მონაზონების შესახებ, აგრეთვე ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთობის გამო, საეკლესიო და საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობის შესახებ<sup>5</sup>; ასევე განუქება კანონიკური სამართლის საკითხებისა; რაც ასეთი წვლილადობით არის წარმოდგენილი ჯავახეთის საეკლესიო კრების მსჯელობის აღწერის დროს<sup>6</sup>, აგრეთვე ცქირის ისტორიის გადმოცემის დროს<sup>7</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მერჩულე ბრწყინვალე თეოლოგოსი არის და „რჩული“-ს მეცნიერების საკითხთა მართლაც ავტორიტეტული სწავლული მცოდნე. ამას ემატება ავტორის დიდი ლიტერატურული ტალანტი, იგი ბრწყინვალე ლიტერატურულ ფორმაში იძლევა მკვეთარ ფორმულირებას თეოლოგიურ და კანონიკურ დებულებათა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მწერალი „რჩულის“ მეცნიერების საკითხთა გამო ზოგჯერ არ ეთანხმება ორთოდოქსალური ეკლესიის კანონიკურ მწერლობაში განმტკიცებულს შეხედულებას და შესაძლოდ მიაჩნია ავტორიტეტულის ტონით უარყოს კანონიკურ „წერილ“-ში განსაზღვრული წესი (ასე იხ. მსჯელობა მწვალეებლათა შესახებ, გვ. 128 — 129).

არა ინტერესს მოკლებული აღვნიშნით ამასთან, რომ საეკლესიო მშენებლობის საკითხებში ჩვენი მწერალი რესპუბლიკანური იდეოლოგიის დამცველად გამოდის; მწერალი აღიარებს, რომ არჩევნებითი პრინციპის დარღვევა „არა სათნო არს სამართალითა სბჰოითა“; თუ კი არ არის „ერის“ ერთნებობა და თანადგომა არჩევის დროს, — ასეთი არჩევანი „რჩული“-ს დარღვევის წარმოადგენსო (იხ. გვ. 114<sup>18-21</sup>, 115<sup>1-11</sup>, 118<sup>9</sup>, 89<sup>10-11</sup>).

გიორგი მერჩულეს იტაცებს ძველი ქრისტიანული მოძღვრების იდეალები. ასე, შრომის საკითხის გამო ჩვენი მწერალი აცოცხლებს ძველი ქრისტიანული მოძღვრების ტრადიციას და აღიარებს, რომ შრომა საფუძვლად უდევს ეკლესიასათვის; „რომელი არა შურებოდეს ნუცადა ჰამნ“-ო, ამ დებულებით გამოხატავს ჩვენი ავტორი თავის დამოკიდებულებას შრომის საკითხისადმი (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება, გვ. 120<sup>16-17</sup>).

ასეთია „რჩულის-მოძღვრების“ საკითხთა ის წრე, რომელთაც ეხება ჩვენი მწერალი თავის თხზულებებში.

<sup>1</sup> იხ. გვ. 128<sup>4</sup> — 129<sup>5</sup>.

<sup>2</sup> იხ. გვ. 129<sup>18</sup> — 130<sup>3</sup>.

<sup>3</sup> იხ. გვ. 30<sup>18-19</sup>, 135<sup>10-21</sup>.

<sup>4</sup> იხ. გვ. 16<sup>14</sup> — 18<sup>10</sup>.

<sup>5</sup> იხ. გვ. 55<sup>18</sup> — 56<sup>17</sup>, 65<sup>20</sup> — 66<sup>18</sup>, 69<sup>9</sup> — 70<sup>22</sup>, 82<sup>10</sup> — 83<sup>11</sup>, 29<sup>18</sup> — 30<sup>2</sup>.

<sup>6</sup> იხ. გვ. 88<sup>22</sup> — 96<sup>8</sup>.

<sup>7</sup> იხ. გვ. 114<sup>14-21</sup> და შემდგომში.

## III

## ეპოქა, ასახული ბიოგრაფი მერჩულის ეპოქაში



გიორგი მერჩულის თხზულება, როგორც მოხსენებული გვექონდა, დაწერილია მეათე საუკუნის ნახევარში, 950 წელს. ძველი ეხება ამის წინარე ორი საუკუნის ეპოქას, დაწყებული მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-10 საუკუნის ნახევრამდე.

ეს ხანა, მე-8 საუკუნიდან — მე-10 საუკუნემდე, არის ის დრო, რომელსაც არაბთა მფლობელობის „ემათა-სიავის“ შემდეგ, საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა ახალი ფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ-საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა, რომლებიც უფრო გვიან, მე-11 საუკუნეთა მიჯნაზე, ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს სახით.

გიორგი მერჩულის თხზულება გვისურათებს „ახლად შენებას“, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ქვეყანა ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენის ამ ხანაში, ასახავს ისტორიულ-კულტურულ გარემოს იმ ეპოქისას, რა დროიდანაც დაიწყო აღმავლობა საქართველოს სახელმწიფოებრივობისა და ქართული კულტურის ახალი აღორძინება.

ვიდრე შევეუდგებოდეთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელსაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება მე-8 — 10 საუკუნეთა საქართველოს „ახლად შენების“ შესახებ, აქ საკიროა წინაქსწარ გავითვალისწინოთ ის ისტორიული ვითარება, რომელიც წინ უსწრებდა ამ ახალ ეპოქას, ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენას და ახალი აღორძინების დასაწყისს.

საქართველოს ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიაში ამის წინარე ხანაში, მე-6 — 7 საუკუნეთა მანძილზე, ჩვენ გვაქვს ორი დიდი ტეზილი: ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულთა დამოუკიდებლობის გაუქმება მე-6 საუკუნეში, ხოლო შემდეგ არაბთა მფლობელობის დამყარება მე-7 საუკუნეში.

მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება:

1. ი ბ ე რ ი ს (ქართლის) სამეფო, რომელზეც აერთიანებდა მთელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს (— შემდეგ-დროინდელს ქართლს, კახეთ-ჰერეთსა და მესხეთს).

2. ლ ა ზ ი კ ი ს (ეგრისის) სამეფო, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებული იყო დასავლეთ-საქართველოს ქვეყნები.

მე-6 საუკუნის მანძილზე ორი მეზობელი დიდი იმპერია — ირანისა და აღმოსავლეთ რომისა (ბიზანტიისა) — განამტკიცებენ თავის პოლიტიკურ გავლენას საქართველოს ქვეყნებზე.

პირველად, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში ირანმა დაიპყრო და შეიერთა ი ბ ე რ ი ს (ქართლის) სამეფო, რომელსაც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივ

ტრადიციები, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული ჰქონდა. იბერიის ძველი სამეფო — ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით ანტიკურ ხანაში, და იგი არსებობდა როგორც ერთიანი სახელმწიფო „სამეფო“ — ვიდრე საშუალო-საუკუნეთა დასაწყისამდე, მე-6 საუკუნის პირველ ნახევრამდე ჩვენი წელთ-აღრიცხვისა, რა დროსაც, ძველი ქართველი მემკვიდრის გამოთქმა რომ გავიმეოროთ, „და ეს რ უ ლ ა მ ე ფ ო ბ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა“, მოხდა იბერიის დაპყრობა ირანის იმპერიის მიერ.

იბერიის (ქართლის) სამეფოს დაცემას მოჰყვა ლაზიკის (დასავლეთ-საქართველოს) სამეფოს დაცემა. მას შემდეგ რაც ირანმა შეიერთა იბერია, სწრაშობებს ხანგრძლივი დიდი ომები ირანისა და ბიზანტიის (აღმოსავლეთ-რომის) იმპერიებს შორის პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში. ეს ომები იმით დასრულდა, რომ ლაზიკა საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება. ამის შემდეგ, მე-6 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებულ, ბიზანტიის იმპერია თანდათანობით აუქმებს სახელმწიფოებრივობის ინსტიტუტებს ლაზიკაში, სობს „მეფობა“-ს.

ჩვენ აქ აღარ ვჩერდებით საქართველოს ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიის სხვა მომენტებზე მე-6 — 7 საუკუნეთა განმავლობაში ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც კავკასიაში პირველად ჩნდება ახალი პოლიტიკური ფაქტორი — არაბობა, რამაც ახალი მიმართება მისცა კავკასიის ხალხთა ისტორიას, ისევე როგორც მთელი აღმოსავლეთის ისტორიის მსვლელობას.

აღნიშნავთ მხოლოდ, რომ იბერიაში მე-6 საუკუნის 70-იან წლებში მოხდა აჯანყება ირანელთა მატრონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში. მაგრამ მდგომარეობა იბერიის ამ ახალი ხელისუფლებისა არ იყო შტიკი; ამის გამოსახულებაა კერძოდ ის ფაქტი, რომ იბერიის ხელისუფლების მეთაური ატარებს არა „მეფის“, არამედ „ერისმთავრის“ ან-და „დიდი ერისთავის“ ტიტულს; იმ დროს არსებულს საერთაშორისო ვითარებაში იბერიის ძველი „სამეფო“-ს აღდგენა ვერ მოხერხდა.

იბერიის ამ ახალ ხელისუფლებას უხდება მერყეობა ორ გარეშე ძალას — ირანსა და ბიზანტიას შორის. 590 — 604 წლებში იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა. შემდეგ, 605 წლიდან — ვიდრე 620-იან წლებამდე იბერიაში ისევ ირანის მფლობელობა დამყარდა, ხოლო 620-იანი წლებიდან, ირაკლი კეისარის აღმოსავლეთში ლაშქრობის დროიდან, იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული.

ასეთ მდგომარეობაში, პოლიტიკურად დაშლილი და მკვიდრ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებული შეხვდა საქართველოს ქვეყნები — ახალი ძალის, არაბების გამოჩენას კავკასიაში — მე-7 საუკუნის შუა წლებში. ამ დროიდან, მე-7 საუკუნის ნახევრიდან, იწყება არაბთა მფლობელობა საქართველოში.

ჩვენ აქ შეგვიძლია არ გავაგრძელოთ სიტყვა იმის შესახებ თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არაბული ხალიფატის დაარსებას, თუ რა ძირითადი მნიშვნელობის ძვრები გამოიწვია ამ ახალმა მსოფლიო-ისტორულ-

მა-ფაქტორმა როგორც აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში, ისე ავით და-  
სავლეთის ქვეყნების ისტორიის მიმართებაში.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მაგისტრალურ ხაზებს საქართველოს ისტორიის  
ტიკური ისტორიისას მომდევნო ეპოქაში.

მომდევნო ეპოქა, მე-7 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-8 საუკუნე, — ეს  
არის ხანა, როდესაც საქართველოს ქვეყნებში პოლიტიკური უპირატესო-  
ბის მოპოვების მიზნით ისევ იბრძვის ორი ვარეშე ძალა — არაბთა ხალიფატი  
და ბიზანტია. არაბები მტკიცედ დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ საქართველოში.  
დრო-გამოშვებით არაბები ავრცელებენ თავის გავლენას დასავლეთ-საქართ-  
ველოზედაც, მაგრამ არა ხანგრძლივად, დასავლეთი საქართველო ამ ეპოქა-  
შიაც უპირატესად ისევ ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული.

ამ ხნის მანძილზე საქართველოს ქვეყნებში არ შეწყვეტილა ბრძოლა უც-  
ხოელთა ბატონობის წინააღმდეგ; ქართველი ხალხი, რომელსაც მრავალ-  
საუკუნოვანი დიდი ისტორიული წარსული ჰქონდა, არ შერიგებია სახელმწი-  
ფობრივი დამოუკიდებლობის მოსპობას. ბრძოლა იმ პირობებში, რომელიც  
მე-7 — 8 საუკუნეებში შეიქმნა, უსწორო იყო, და ქართველ ხალხს ბევრ  
სისხლად დაუჯდა ეს ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისათვის. საკმაო  
შოვიგონოთ არაბთა მხედართმთავრის მურვან-ყარუს დამსჯელი ექსპედიციები  
მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. ეს ექსპედიციები ჩატარებულ იქმნა 80 წლის  
შემდეგ, რაც არაბები პირველად დამკვიდრდნენ საქართველოში, და ჩვენ  
ვხვდებით, რომ ხანგრძლივი ბატონობის შემდეგაც არაბთა მხედართმთავარს  
უხდება ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გასატეხად ცეცხლითა და მახ-  
ვილით გაიაროს საქართველოს მიწაწყალზე. მურვან-ყარუს ამ ლაშქრობამ  
ხანგრძობად აქცია საქართველო. თუ რა გამანადგურებელი შედეგები მო-  
ჰყვა მურვან-ყარუს ამ ლაშქრობას, ამის შესახებ ჩვენ უფრო დაწერილებით  
გვექმნება საუბარი, როდესაც შევეხებით ქართლ-მეხეთის ახალი ფეოდალური  
სამეფოს დაარსების ისტორიას.

მე-7 — 8 საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ქვეყნები თუმცა არა  
ხანგრძლივად მაგრამ მაინც ახერხებენ დრო-გამოშვებით თავი დააღწიონ  
არაბთა ბატონობას. ასე მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ერის-  
მთავარი ნერსე I ამხრცეებს არაბთა სარდალს ბარაბას და განდევნის  
არაბებს.

უფრო გვიან, მე-8 საუკუნის 40-იან წლებში, იბერიაში ისარგებლებენ იმ  
დიდი არეულობით, რომელიც დაიწყო არაბულ ხალიფატში, და რაც შემდეგ  
ხალიფების პირველი დინასტიის (ომეიადების) დამხობით დასრულდა. ამ-  
დროს საქართველოს დიდი ნაწილი განთავისუფლდა არაბთა მფლობელობი-  
დან და აღდგენილ იქმნა, თუმცა არა ხანგრძლივად. „მეფო ბ ა ქ ა რ თ-  
ლი ს ა“.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში ამ დროს სდგას გორგასლიანთა  
ძველი ეროვნული დინასტიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი არჩილ II,  
რომელმაც განაახლა ძველი ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივი ტრადიცია  
იმითაც, რომ მან მიიღო — „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს“ ტიტული. მიღება  
„ქართველთა მეფის“ ტიტულისა, რომელსაც აღარ ატარებენ საქართველოს  
მფლობელი მთავრები ამის წინარე ორი საუკუნის განმავლობაში (მე-6 საუ-  
კუნიდან — მე-8 საუკუნემდე). — ეს ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებ-  
რივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებას.



ქართველთა მეფის სამფლობელოში მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში გაერთიანდა საქართველოს ძირითადი პროვინციები: კახეთ-ჰერეთი, ქარაზ-ლი (გარდა თბილისის მხარისა, სადაც არაბები ისხდნენ), მესხეთი, აგრეთვე ნაწილი ლაზიკისა (დასავლეთ საქართველოსი). ქართველთა მეფის სამფლობელო სწვდებოდა ცენტრალური კავკასიიდან (ნუხის მხარიდან) — ვიდრე შავ ზღვამდე (ჭოროხის ხეობაში). ამაქ გარდა ქართველთა სამეფოს გავლენის ზონაში მოქცეული იყო აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის მთიელთა ზოგიერთ პროვინციები (დაღისტანის სანაპირო თემები).

არჩილმა, როგორც ირკვევა, ფართე მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობა წამოიწყო. მის დროსვე ჩატარდა აგრეთვე დიდი მნიშვნელობის საეკლესიო რეფორმაც — სახელდობრ არჩილის დროს მოხდა საქართველოს საკათალიკოსოს გამოყოფა ანტიოქიის პატრიარქატიდან დამოუკიდებელი ეკლესიის სახით. (ამ ფაქტს, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას — ცხადია ჰქონდა არა მარტოოდენ ეიწრო-საეკლესიო მნიშვნელობა, არამედ ეს პირველ რიგში განსაკუთრებული მნიშვნელობის ზოგადპოლიტიკურს აქტს წამოადგენდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფობის გამტკიცებას მოასწავებდა).

მაგრამ არჩილის დროს შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ქართველთა სამეფო — ხანმოკლე დროის მანძილზე არსებობდა, მან იარსება ძე-8 საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე. ამ დროისათვის ხალოფატში განმტკიცდა აბასიდების ახალი დინასტია და კავკასიაშიც არაბობამ მოიკა ძალა. ხალიფის მანსურის დროს არაბთა სარდლობა რამდენჯერმე ილაშქრებს არჩილის სამეფოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ არჩილის დროს შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორც ირკვევა, არ იყო ეფემერული, იგი მნიშვნელოვანს ძალას წარმოადგენდა და არაბებს ისე ადვილად ვერ მოუხერხებიათ მისი დაპყრობა. მაგრამ ქართველობას ძვირად დაუჯდა ეს უსწორო ბრძოლა.

არაბთა ჯარმა ჯერ დალაშქრა ქართლი (მოაოხრა და შემუსრა ყოველი მუნებელი ქართლისა“ — როგორც გადმოგვცემს ძველი საისტორიო წყარო) და მოადგა კახეთს, სადაც ამ დროს იყო არჩილის სამეფოს მთავარი ცენტრი. მაგრამ არაბებმა ვერ შესძლეს შესვლა კახეთში და არაბთა ეს პირველი ექსპედიცია, როგორც ირკვევა, დამარცხდა. არაბთა ისტორიკოსი იაკუბი მოგვითხრობს, რომ აბუ-ჯაფარის (მანსურის) ხალიფობის დროს წანართა (კახეთ-ქართლის მთიანეთის) წინააღმდეგ გაილაშქრა არაბთა მმართველმა კავკასიაში ალ-ჰასანმა კახტაბის-ძემ. შეებრძოლა მათ, მაგრამ ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ, როგორც მოგვითხრობს იგივე ისტორიკოსი იაკუბი, ჰასანმა აცნობა ხალიფს მდგომარეობის გაართულება, მოწინააღმდეგე ძალის ძლიერება და როგორც გადმოგვცემს იგივე ისტორიკოსი მათი მრავალრიცხოვანობა. რისთვისაც ითხოვედა ხალიფისაგან დამხმარე ჯარს. ხალიფმა გამოგზავნა დამხმარე მხედრობა ამირა ალ-ჰარისის ისმაელის-მის სარდლობით. არაბთა ჯარე შევიდა კახეთში და გაიმართა სისხლის-მღვრელი ბრძოლები. გადამწყვეტი ბრძოლა არაბებსა და ქართველთა ჯარს შორის რამდენიმე დღე გაგრძელებულა და ბოლოს არაბების გამარჯვებით დასრულებულა. იაკუბის სიტყვით ქართველთა ჯარის მხრით ამ ბრძოლაში დახოცილა 16.000 კაცი, გარდა ტყვეებისა რომლებიც არაბებს წამოუყვანიათ. იაკუბი გადმოგვცემს, რომ გამარჯვებუ-

ლი არაბთა მხედართმთავარი ალ-ჰარისი გამოემართა თბილისისაკენ. გზაში ამოსწყვიტა ყველა ტყვე, ხოლო არაბთა რაზმები სათარეზოდ ქართლ-კახეთის (ქართლ-კახეთის მთიანეთის) თემებზე.

ასე დასრულდა ეს ბრძოლა.<sup>1</sup>

მე-8 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოცილებული აღმოსავლეთი საქართველო ისევ არაბთა ბატონობის ქვეშ იმყოფება.

ის ვითარება, რომელიც არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, კარგად აქვს დასურათებული ამ ეპოქის ქართველ ძეგრალს იოანე საბანის-ძეს:

„ვართ — მძლავრებასა ქუეშე (არაბთასა) დამონებულ, — შერულნი ვითარცა რკინითა გუმულნი და ქენჯინნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი“

მაგრამ როდესაც ვეცნობით იოანე საბანის-ძის იმავე ძეგლს, რომელიც წარმოადგენს ქართული ეროვნული იდეოლოგიის დეკლარაციას, ვეცნობით იმ შემოქმედებითი პატრიოტიზმის სულს და აქტივიზმის იდეოლოგიას, რომლითაც გამსჭვალული არიან მოწინავე ქართული წრეები, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ წინააღმდეგობის ძალა ქართველი ხალხისა არ არის გატეხალი; საკმაო ოდნავ ხელსაყრელი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რათა ქართველმა ხალხმა „ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს ა ე ბ რ მ ა მ უ ლ ი ს ა ს ლ ე ი ს ა“ — ისევ შეუხრელად განაგრძოს ბრძოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ახალი ხანა, მოსაბრუნე თარიღი სამუშაო-საუკუნეთა საქართველოს ისტორიაში იწყება მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც საქართველოს ცალკეული მხარეები თანდათანობით თავს დააღწევენ უცხოელთა ბატონობას და საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებს.

ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ჩამოყალიბება იწყება საქართველოს სანაპიროებიდან; ცენტრი — შიდა-იბერია — ძველი კალბუზური და პოლიტიკური პეტროპოლია ქართული ქვეყნებისა, სადაც უფრო ძველდრად იყო ფეხმოცილებული არაბობა, თავისუფლდება შედარებით უფრო კვიან.

პირველად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილ იქმნა დასავლეთ საქართველოში — მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ამ დროს, მე-8 საუკუნის დასასრულისათვის, — როდესაც ძველი ქართველი ისტორიკოსის გამოთქმა რომ გავიმეოროთ — „მოუძღურდეს ბერძენი“, საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ-საქართველოს „სამეფოს“, ცენტრით ქალაქ ქუთაისში.

ამავე ხანებში, მე-8—9 საუკუნეთა საზღვარზე, შეიქმნა ქართული ფეოდალური სამთავროები საქართველოს აღმოსავლეთ სანაპიროზე: კახეთსა და ჰერეთში. ეს ორი ფეოდალური სამთავრო კახეთისა და ჰერეთისა — არის უშუალო შემკვიდრე არჩილ II-ის დროს შექმნილი ქართველთა სამეფოსი. მას შემდეგ რაც არჩილის სამეფო, ხანმოკლე არსებობის შემდეგ, დაეცა, არჩილის შემკვი-

<sup>1</sup> არჩილ II-ის ეპოქის შესახებ იხ. უფრო დაწვრილებით ჩვენს წერილში: ლეონტი მროველი (ენიქის მოამბე, X, 1941 წ., გვ. 142—148).

<sup>2</sup> იოანე საბანის-ძის სიტყვებია.

დრენი, როგორც ეს ირკვევა ძველ-ქართულ მატრიანეთა უწყების მიხედვით. გამაგრებულან კახეთ-ჰერეთის თემებში. არაბებმა მე-8 საუკუნის შუა რიგებში ვარში თუმცაღა დალაშქრეს „წინარეთი“, მაგრამ საბოლოოდ და შევიდრად, როგორც ირკვევა, აქ არაბობამ ფეხი ვერ მოიდგა. ხოლო მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესც „მოუძღვრდეს სარკინოზნი“ (არაბნი), აღმოსავლეთ საქართველოს ამ სანაპიროზე შეიქმნა ქართული ფეოდალური სახელმწიფოები — კახეთისა, რომლის სათავეში სდგას კახეთის „ქორეპისკოპოსი“, და ჰერეთისა, რომლის სათავეში სდგას ჰერეთის მთავარი „პატრიკი“ (რომლებიც უფრო გვიან „მეფის“ ტიტულს ღებულობენ).

ამის შემდეგ, მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში, 809 — 826 წლებში, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ სახელმწიფოებრივობას ცენტრალურ იბერიაში, ქართლ-მესხეთის მხარეებში, რომელიც ძველი იბერიის („ქართლის“) სახელმწიფოებრივი ტრადიციების შემკვიდრედ გამოდის და იწოდება „ქართველთა სამეფოდ“.

მომდევნო ხანა, მე-9 — 10 საუკუნეები, ეს არის ეპოქა, როდესაც სწარმოებს კონსოლიდაცია ამ ოთხი ქართული ფეოდალური სახელმწიფოსი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ-საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა.

მე-10 საუკუნის დასასრულსა და მე-11 საუკუნის პირველ წლებში ეს ოთხი ქართული ფეოდალური სახელმწიფო პირველად ერთიანდება ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულის სახით.

ხოლო ამ დროიდან იწყება ის აღმაშენებელი ქართული სახელმწიფოებრივობისა, რაც შემდეგ, დაეით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში დასრულდა დიდი ქართული სახელმწიფოს შექმნით, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა მთელი კავკასია და წინა-აზიის მეზობელი ქვეყნები, და რომელმაც მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მისია შეასრულა.

გეორგი მერაბულის ძველი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი როგორც საისტორიო ნაწარმოები, რომ აქ ჩვენ ვეცნობით „ახლად შენების“ დასაწყისს ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენის პირველ ხანაში, ვეცნობით ისტორიულ-კულტურულ ვითარებას, ვეცნობით მთელ რიგს ახალ ფაქტებს საქართველოს ისტორიიდან, ვეცნობით კონკრეტულ ისტორიულ გარემოში ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე ეწევიან „ახლად შენების“ საქმეს, საფუძველს უყრიან ახალ საქართველოს.

(გაგრძელება იქნება)

## ბიბლიოგრაფია



შალვა აფხაძე „ლექსები“ „საბჭოთა მშობლი“, 1949 წ.

პოეტმა ბავშვობისა და ყრმობის დაუფიქარი წლები თურბის პატარა, მივარდნილ სოფელში ვაატარა. ცხოვრების ვარემოებამ დიდი ხნით დააშორა იგი მშობლიურ კუთხეს, მაგრამ ხან-ღანაშულობაში პოეტი დროებით ისევ უბრუნდება საყვარელ მიდამოებს.

და აი, იგი გასცქერის თავის სოფელს, საკვირველთა, თითქოს არაფერი შეცვლილა ირგვლივ. ბებრები ცაცხვები ისევ შრიალებენ ძველებურად და ფართო ჩეროს აფენენ ვარშემო. წაბლნარი ვუვუნებს ქარში. მაღალ ბალახებს ჩხრიალით ჩურბის ანჯარა ნაკადული. შორს, ლურჯი ცის კაბადონზე, მოჩანს თეთრულდის მბრწყინავი გვირგვინი. უფრო ახლოს — ხეაღის ქვიანი ფერცხლები, ძირს, შვენივ კალაში, ყრუ ხმაურით მიიკლავება წყალწითელა. ბუნება თითქოს იგივეა, რაც წინათ იყო. ღრუბლის ნაფლეთი ცაზე, მთები და მდინარე, ყაყაჩო და პერცხალი, — ყველაფერი აღეიჭებს ბავშვობის მოგონებას და წინათ იყარება შვებობა დროთა ბრუნვისა.

მაგრამ არა. ეს მხოლოდ მოჩვენებითი განცდაა. პოეტი შედის სოფელში და ის უკვე ხელსახებლად ვრძნობს ეამთა მიმავლობას. იგი ვეღარ ცნობს თავის ნაცნობ არე-შარეს. საშყარო გამოცვლილა. ნიეთები დამრულან ადგილიდან, სადღაც გამჭრალან ჩაქვარტლული ქოხები, ფეტურო ღობეები. მთ ადგილას აივნიანი ოღები კოჭიაობენ. შვენივ მოქარტულ ეზოებში მზის შუქი დაღვრილა. ბოსტნები, ლურჯად დაფორაქებული ვენახები თვალს ახარებენ. აღარსად სჩანან გვიშრთა და ოხმელით დაფარული სერები, ახლა იქ ჩაის პლანტაციებია გამეწნებული. ნიავს მოაქვს ბრქებების გრილი სერნელება.

გაოცებული პოეტი შეცქერის თავისი სოფლის ამ საკვირველ შეტამორფობას. იღვები მატრიორიად ხელსახები ზღებთან. მის არსებას ეუფლება გრძნობათა სიქარბე. ის აღსაყვება ბედნიერებით, სიხარულის ცრემლი ადგება თვალზე...

ასეთია თემატურა შინარსი შალვა აფხაძის რამდენიმე ლირიკული ლექსისა. კონტრასტის ხერხით ის ვეჩვენებს ახალს გამარჯვენას ძველზე. რეალური სინამდვილე სცვლის მის წარმოდგენაში ჩაბეჭდილ მოგონებათა სურათებს. პოეტისათვის ამას აქვს ღრმა აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ სოფლის ორლობის იქით მისი გონების თვალს ხედავს უფრო დიდსა და მოშიბობლავ საშყაროს. ის ხედავს თავის საშობლოს ახალ ცხოვრებას, მის შთაბრწყინებს და კიდევ უფრო შუქმოსილ მომავალს, ის ხედავს კომუნისმის ელვარე ვარიორავს, რომელიც უკვე ანათებს ჩვენს ქვეყანას თავის ცხოველყოფილი ბრწყინვალებით.

„შალვა აფხაძე ნაზი, ლირიკული განცდების პოეტია. მის ლექსებში უჩვეულო მღელვარებით და დიდის სიფაქიზით იჩენს თავს საბჭოთა მოქალაქისა და პოეტის ყველა ის კეთილშობილი გრძნობა. რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სინამდვილის განუმეორებელ დღეებთან, ბელადისა და პარტიისადმი ერთგულებასთან. მშობლიურ ქვეყნისა და ბუნების საყვარულთან. მისი ლექსების ოქანასენელი კრიტიკული თავის საგრძნობ ნაწილში მოიციავს ამ მთავარ თემებს, რომელთაც პირველი და საშობო ადგილი უკავია ჩვენი საბჭოთა პოეზიის დღევანდელ გტაზე.

ეს კრებული თვალსაჩინოდ ხდის პოეტის იღვურსა და მხატვრულ ფიზიონომიას, მისი შემოქმედების თავისებურობას.

შ. აფხაძის წიანში უტრადლებას იმეორებს ბეგრე კარგი ლექსი. გამსქვალული წრფელი გრძნობითა და ვანათებელი ჩვენი საბჭოთა სინამდვილის დიდი იღვებით. ამ შრეივ აღსანიშნავია დიდი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელთა შორის ყველაზე უკეთესად მიგვანია „სიმღერა“. ამ ლექსში ნათელი სიშარტივითა და გულწრფელობითაა გამოხატული ჩვენი ქვეყნის „ებრალი ადამიანების“ ღრმა საყვარული და მაღლობა ბელადისადმი:

ის არის, რომ უკრობ სიბრძნით ჩემს მშობლიურს მარწყავს მდელს, — არ მივიწყებს პირშილივარე მრავალთავანს, უსახელოს, სულ უბრალო კაცს მადიდებს, მახსენებს და კიდევ მაქვს, ამქვეყნიურ სამოთხეში წმინდა შრომის მიზარაქებს.

მას დიდება, დღევანდლობა, ვინც შეამკო შენი ზღაპარი, მისი მამულებს, რომ ერთგულად შენს სიყვარულს შევაბერა.

საბჭოთა პარტიოტობის წრფელი გრძნობით არის გამსჭვალული მთელი რიგი სხვა ლექსები. საც ამ კრებულში. მათ სტრიქონებში გამოთქმულ გრძნობათა საერთო დასკვნას თითქმის წარმოადგენს ლექსი „აღსარება“, რომელიც თავდება შემდეგი ნატიკით:

თუცა გარდასულ წლების სიმძიმე შეუბრალებლად ძირს შევიდებო, მაინც ვისწრაფვი მივწვდე ცის სხივებს. მივეყვებ ცხოვრების უშუალო დიდებას. მივეყვებ, სანამდე მიმიწევს ძალა, შექს უკანასკნელს რომ შევხედე მშვიდი, და მიწას, რომლის ტრფობამ დამცალა, გადავყე ძვლებით ეს სიაბო დიდი.

შალვა აფხაძის ლექსთა კრებული, გარდა ზემოაღნიშნული ლექსებისა, შეიცავს რამდენიმე სხვა ციკლსაც. ამ არის ლექსები, მიძღვნილი სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისადმი, ციკლი — თბილისის ლეგეზადები, მიძღვნილი ჩვენი სოციალისტური დედა-ქალაქისადმი, პოეტური ჩანაწერები მოსკოვს შოგზატობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებისა, ციკლი — „საქართველოს მიწდგრება და ბაღებსში“, სადაც ასახულია ქართველი ხალხის შრომისა და ყოფის სურათები. სამშობლოს ბუნების იდუარ-შატერული გააზრება, პირადი ინტიმური განცდები და ურთიერთობანი კრებულში პოეტიკურად აგრეთვე თავის საკმაოდ ძლიერ გამომხატვრებას. პოეტურ მიძღვნათა შორის კრებულში განსაკუთრებულად საყურადღებოა ლექსი: „ქუთევიან ირემიძის სიოვსი“. იგი ერთობ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს წიგნში. ნამდვილი პოეტური მკვნიებარებითა და განცდათა უშუალოებით არის დაწერილი ამ საუცხოო ლექსის სტრიქონები.

კრებულში მოთავსებულია ავტორის მხოლოდ უკანასკნელი წლების შემოქმედებითი პოეტიკა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვარკვეთელი აზრი შევიფიქროთ პოეტის თავისებურებაზე, მის ძლიერსა და სუსტ მხარეზე. კრებულში წარმოადგენილი ზეგრი ლექსი, — უცვო აღვნიშნეთ, — ყურადღებას აკურობს, როგორც იდუარად და მხატვრულად დასრულებული პოეტური ქმნილება, რიგი ლექსებისა ვერცეებს თავისი ცალკეული ადგილებით, საუცხოო პოეტური სამკაულებით. პოეტის ფანტაზიის სიძლიერესა და კარგ გემოვნე-

ლექსი „შე მას ვემღერო“, მიმართულია პარტიისადმი, რომელსაც „ბედნიერ ხალხში შეაქვს ბელადის სინათლე, სიბრძნე, სულის დიდება“. პოეტი ქება-დიდებას უძღვნის „ეპოქის სინდისს“ — პარტიას, რომელიც „პირველ რიგში დგას ბრძოლებში, პირველი ადის ზარაჩოებზე და რომელიც ცოცხლობს ხალხის ვპირულ საქმეში“...

პოეტი მთელი ხმით უმღერის თავის დიდ დროს, „გაბადებულს ბელადის სიბრძნით“ („ეს ჩემი დროა“). კრებულში მოთავსებულ ლექსების დიდი ნაწილი მიძღვნილია სოციალისტურ სამშობლოსადმი. პოეტის ფიჭრი და იცნება, გრძნობა და გონება, სიხარული და სევდა, — ყველა ნიუანსი მისი განცდებისა, დაკავშირებულია მშობლიური ქვეყნის საბელთან, სამშობლოს მწუხარე წარსულთან და ბედნიერ ამჟამთან. შესანიშნავ ლექსით „ქართლის ცხოვრება“ პოეტი უპირისპირებს ერთმანეთს საქართველოს წარსულსა და დღევანდელ ვითარებას. ქართულ მატინის ყვითელ ფურცლებთან მას მოესმის აბჯრის ზმურთი, თავდაშსმულ მტრებთან შეეპირისპირება ბრძოლის ყვირსა, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ძახილი. აქ, ამ ისტორიაში, მოთხრობილია ქართული ხალხის მძიმე თავგადასავალი. რა შედარებაა დღევანდელ სინამდვილესთან! პოეტი გადაშლის „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნათელ ფურცლებს და ხედავს მშობლიურ ქვეყნის საუკეთესო ნაწარ იცნებათა განზორციელებას, ხედავს მის აყვავებას და ამაღლებას.

უანგარო, ღრმა და წრფელი სიყვარულით ღლავსე ჰიმნს წარმოადგენს ლექსი „სამშობლოსადმი“. ძლიერი და შთამბეჭდველი სიტყვებით ამ ლექსში გამოხატულია პარტიოტული გრძნობა საბჭოთა ქართველი ადამიანისა, რომელიც წარსულში თავის ქვეყანას ხედავდა „თვალზე ტრემლებზეშრობელს“, ბოლო ცხლა კი ბედნიერია მისი სიხარულითა და „ფრთაშემართულობით“:

ახლა ვხარობ, პირმინარეს, ფრთებშემართულს შენ რომ გხედავ, ფრთადერთო სიყვარული, ტებოლზე ტებოლო, ჩემო დედავ!

ბას მოწმობენ, მაგალითად, ასეთი პოეტური ფიგურები: „შორს ტბა გამოჩნდა, ვით დიდი ლალი, მემ ვაიბანა მისში დალალი“, „ფარიკაბენ იისფერი ელვის შუბები“, „ცას მიბჯენილი ბრწყინავენ შთები, არწივთ კლანჭებით დააწრულები“, „ცა ხან ლაყვარდა ფერთა მართობდა, ხან კი ღრუბლების ბურბურმელათა“, „მთა ნარიყლა — თბილისის ფარი“, „შენა თმების ჩეტურთმებში ჩაშვედუელი გრემის ქარი“ და სხვ.

უნდა გარკვევით ითქვას, რომ კრებულში წარმოდგენილი ნაწარმოებნი თანაბარი ღირსებით არ ხასიათდებიან. ყოველ ლექსსაც გვერდით ეხედუბით ლექსებს, რომელთაც აქლით გამოსახვით ძალი, აქლით ფერადების მცხუნვარება და ოსტატური გარანდებლობა ფორმისა, რაც ცხადია, ამცირებს მათ იდეურ-მხატვრულ ზეგავლენის ძალას მკითხველზე. ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, ამ ლექსებში ჩვენი ყურს უკმაყოფილოდ წაგვითქვამს, მაგალითისთვის მოგვუქვს სიტყვინი: „ამ ვახუშტელის ფერთა ღრუბლდში“. უკანასკნელი სიტყვა, საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავს „ნელის ცეცხლისა და დუღილის ხმას“. აქ აუსტრია გადატანილი ოპტიკის სფეროში და ეს დეკადენტური პოეტისათვის ჩვეული ხერხი, უკვე საქმალ მოძველებული, არ ეგუება ჩვენი რეალისტურ პოეზიის სახეობრივ სისტემას. „თქვენ ევგალით, როგორც არაინ“ — ეს რუსიციზმი, როგორც ვიცით, არ შეიწყნარა ქართულმა ენამ. „ვერცხლისფრად ბზინავს თბელ ორთქლი თოში“ — სამი უკანასკნელი სიტყვა, ერთად ნახშირის, სწელი გამოხატულია თავისი არაკეთილხმოვანების გამო.

ასეთივე უხერხულ გამოთქმებად მიგვაჩინა: „ქარხნის გრილსა თუ გუჯილთ ქარში“; „ცა მტრედისფერი ნამს უხვად მასხამს“; „მარცვალმდიდარი პურის თათათე უფრის თითებში (ბრიგადირს. — ლ. ა.) ბანჯგულიან ნემსებს“; „ან სოღანლელთან უეცრად ქარი წინ შემადგოვებს ლაყვარდა რუებს“, და სხვ. სხვათა შორის, „ლაყვარდის“ გამო გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორი განსაკუთრებულად მიეწრებულ სიყვარულს იჩენს ამ სიტყვისადმი: სარტენოზო კრებულის ყოველ მუხრე ან მესამე ლექსში მკითხველი უსათუოდ იპოვის მის ვარიაციას. შალვა აფხაიძის ლექსებისათვის ზოგ შემთხვევაში დამახასიათებელია გადაჭარბებული ემოციურობა, გულწვილი ალტაცების ცრემლი, რომელიც ზოგჯერ საშუალებას არ აძლევს პოეტს გარკვევით დაინახოს რეალური ცხოვრების კონკრეტული შინაარსი და მკაფიო პოეტური სახეე-

ბით გამოკვეთოს სინამდვილის მოვლენები, რაც ავიღებთ, მაგალითისათვის, ლექსებს: „ღმრთის თბილისის ლაყვარდები“, „შტეტუნებულქაბენ ქოთა საქართველოს დედა-ქალაქის ახალი ცხოვრებით, მისი ახალი მშენებლობით; თუ დაეკვირვებოთ ავრთვე ციკლს „ჩინაურები გზაში“, სადაც პოეტი გვაცინობს რუსეთში თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, — ვნახავთ, რომ ამ ლექსების საგრძნობ ნაწილში ავტორს აბსიათებს შორიდან დანახვის, ზოგადი აღწერილობის მეთოდი. ამ ლექსებში ჩვენ ვეცინობთ ახალი ცხოვრებით აღტაცებულ პოეტის ემოციურ საყაროს, ამ ცხოვრების რეზონანსს პოეტის სულში, ხოლო თვით ცხოვრება თავისი რეალური შინაარსით არ მოსჩანს მკითხველისათვის. თქმა არ უნდა, საბჭოთა პოეტის სიზარული, გამოწვეული ვინახლებულ და აღორძინებულ სამშობლოს ხილვით, საყვებით ბუნებრივია და ვასაგებია. — იგი ყარგად გამოხატავს ყოველი საბჭოთა ადამიანის ფიქრსა და გრძნობებს, მის სულისკვეთებას, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ საბჭოთა პოეზიის წინაშე, მისი ვანეთარების დღევანდელ ეტაზე, დასმულია უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა სინამდვილის მოვლენათა დრამა და სერიოზული მხატვრული ვაზრებისა.

უმართებულ იქნებოდა გვეთქვა, რომ შ. აფხაიძეს არ მოეპოვებოდა ლექსები, რომლებიც ამ დიდ ამოცანას უმასხებენ. ციკლი ლექსებისა „საქართველოს მინდერებსა და ბალებში“, და აგრეთვე სხვა ლექსებიც, გვიჩვენებენ, რომ ჩვენი პოეტი ძლიერია სწორედ იქ, სადაც თავისი შთაგრენების წყაროს საბჭოთა ცხოვრების რეალურ შინაარსში პოულობს და არა აბსტრაქტულ-რომანტიულ ლაყვარდებსა, დილის ბინდებსა და ცის სიერეებში, დააკვირდით ზემოხსენებულ ციკლიდან ისეთ ლექსებს, როგორიც არის, მაგალითად: „ბრიგადირი“, „ჩემს სოფელს“, „ჩაის მკრეფავი“, „კოლმეურნე და ხე“ და სხვ., სადაც პოეტი გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანს შრომასა და ყოფაცხოვრებაში, გვიჩვენებს მის შეგნებაში მომხდარ დადავარდატებს, გვიჩვენებს ახალი სოციალისტური საყაროს და ახალი მორალის გამარჯვებას. ამ ლექსებში შ. აფხაიძე ვაცილებით სინტერესოა, მისი პოეტური სტიქონი აქ მეტ მხატვრულ ძალასა და იდეურ სიმახელებს იძენს, რადგან იგი დიდი სოციალური აზრითა და შინაარსით არის დატვირთული.

პოეტის შემდგომი მუშაობა, ვფიქრობთ, სწორედ ამ გზით უნდა წარიმართოს. ეს არის საბჭოთა პოეტის გამარჯვების გზა.

ლევან ასათიანი

უნაჩეთის დიდი პოეტი შანდორ პეტეფი ქართულ ენაზე



მას შემდეგ, რაც ძღვევამოსილა საბჭოთა არმიამ ფაშისშის შავი ჭირისაგან ვათავისუფლა უნგრეთი, საბჭოთა ხალხის ინტერესი სახალხო დემოკრატიის ამ ქვეყნისადმი უფროდაუფრო გაიზარდა.

უნგრეთი 25 წელიწადი გვინავდა პორტი-სალის კონტრრევოლუციური რეჟიმის ქვეშ. ამ ხნის განმავლობაში უნგრეთის კომუნისტური პარტია ერთადერთი იყო, რომელიც თავდა-დებულად აგრძელებდა 1848 წლის სახალხო ვამათავისუფლებელი მოძრაობის და 1919 წლის რევოლუციის სახელოვან ტრადიციებს. უნგრეთის კომუნისტური პარტიის ბელადი მარტინ რაკოში, 1848 წლის რევოლუციის ასი წლის თავზე, სხვათა შორის ამბობდა, რომ „სახალხო დემოკრატია არა მარტო შემკვიდრეა, არამედ განმგრძობი და შემსრულებელი ყველა იმისა, რაც მიზნად დაისახეს 1848 წლის გმირებმა კომუნტმა, პეტეფიმ, ტანჩინმა“, და შემდეგ: „ჩვენ წილად გვჭვდა ისტორიული ამოცანა განახორციელოთ და გვაუშუქოგბესოთ ყველაფერი ის, რის გულისთვისაც იბრძოდნენ 1848 წლის გმირები კომუნტის, პეტეფისა და ტანჩინის შეთაერთობით“.

ერთ-ერთ თავის ლექსში პეტეფი აღერთვანებათ ამბობდა: „ო, 48 წლის ვარსკვლავო, შენ ხარ ხალხთა ნათელი დილის ცისკარი!“ 1848 წლის რევოლუციის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ უნგრეთის პარლამენტის სახეიმი სიტყვაზე საბჭოთა დელეგაციის შეთაერთმა აბანავმა კ. ეორიშვილმა შესანიშნავად დაახასიათა პეტეფი, როგორც „დიდი მოქალაქე და თავისუფლებისმოყვარული უნგრელი ხალხის მომღერალი“. მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეტეფი ისეთივე მოქალაქე და მებრძოლი იყო, როგორც პოეტი და რევოლუციონერი:

„ღღეს ჩემი ლექსი ჯარისკაცია,  
წიგნები — მთელი ასეულები!“

ვაიძახოდა პოეტი, მგზნებარე პატრიოტი და რევოლუციონერი, უნგრელი ხალხი — გმირული ბრძოლების ტრადიციის მატარებელი ხალხია, უნგრეთის ისტორიას ახსოვს როგორც დიდებათა წლები, ისე ნაციონალური ჩაგვრის პერიოდები. უნგრელი ხალხის ყველაზე დიდი მტრები — თურქეთის და, შემდეგ, ავსტრიის იმპერიები იყვნენ. თურქეთთან და ავსტრიასთან ბრძოლაში მრავალი გმირი წარმოშვა უნგრელმა ხალხმა. ლექსში „ერისადმი“ პეტეფის ნახსენები პავს მიკლოშ ზრინი, რო-

მელიც 1566 წელს გმირულად ებრძოდა თურქებს. პოეტი უნგრელებს მოუწოდებს:

„ყველა ჩვენგანი იყოს ისეთი,  
ყველა ჩვენგანმა ისე იბრძოლოს...“

1671 წელს ავსტრიის წინააღმდეგ იბრძოდნენ გმირები პეტერ ზრინი, ფრანკან ფერენცი და ფერენც ნინაშვი. პეტეფი მათ „სამშობლოს საუკეთესო შვილებად“ აცხადებს. 1703—1710 წლებში პასპტურგების მონარქიას ებრძოდა უნგრეთის აჯანყების მეთაური ფერენც რაკოცი. ამ რაკოცის ახსენებს პეტეფი ლექსში „საიციცხლე ან საიცილი“:

„აღსდექ, უნგრელო! წინაპრებს ჰგავდე,  
თვალში მტრის შიშმა არ გავიეღვოს!  
შინ რაკოცი კვლავ შენთან არი,  
ის ითხოვს მტრისთვის სამაგიეროს!“

ამ რაკოცის უძღვრა აგრეთვე შესანიშნავი მარში ტრანკმა კომპოზიტორმა პეტრო ბერლიოზმა. ცნობილია, თუ როგორი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა უნგრელებზე ამ „რაკოცი-მარშის“ შესრულებამ 1846 წელს ბუდაპეშტში.

1795 წელს იმავე ავსტრიასთან ბრძოლაში დაიღუპა უნგრელი რევოლუციონერი, იაკობინური შეთქმულების მეთაური — იგნაც მარტინოვაჩი.

უნგრელი ხალხის ყველა ამ გმირს ახსენებს პეტეფი. ამ გმირების როცახლა ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია მივაპატიოთ თვით შანდორ პეტეფი და მისი მგვობარი-რევოლუციონერი პალ ვაშარი. ორივე 1849 წელს დაიღუპა რვაქიასთან უთანასწორო ბრძოლაში.

უნგრულ ლიტერატურას ასეთივე გმირული და დემოკრატიული ტრადიციები ახასიათებს, მეტადრე ეს იქმნის მეცხრამეტე საუკუნის უნგრული ლიტერატურის შესახებ. პოეტი მინაი ვერეშმარტი, უნგრეთის გმირული ისტორიული წარსულის მომღერალი, 1844 წელს პირველად სცემს ახალგაზრდა პეტეფის ლექსთა კრებულს. პოეტი იანოშ არანი, პეტეფის უახლესი მგვობარი, 1848 წლის რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. პროზაიკოსი შორ იოკაი, პეტეფისთან ერთად ხელმძღვანელობდა 1848 წლის სტუდენტურ მოძრაობას.

შანდორ პეტეფის პოეტური შემკვიდრების ღირსეული განმგრძობი იყო პოეტი ენდრე ადი (1877 — 1919), რომელმაც ანატოლ გიდაშის თქმით „თავის შემოქმედებაში შეიტანა

უნგრული სამოქალაქო და პოლიტიკური ლიბრის რევოლუციური ტრადიციები, რომაც მდგომარეობს მისი დიდი მნიშვნელობა მთელი უნგრული ლიტერატურისათვის".

1848 წლის რევოლუციამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა უნგრული ხალხის ცხოვრებაში. პეტეფი ფაქტიურად ამ რევოლუციის მგზნებარე მომღერალია და ამ რევოლუციას შესწირა კიდევ თავისი ლამაზი სიცოცხლე.

„1848 წლის 14 მარტს ყავახანა „პილვაკს ში“ შემოყარდა კაცი, რომელიც ახლახან გემით ჩამოვიდა ზუღაპყნაში, და დაიკვირა: „ვეშინ ვენაში რევოლუცია დაიწყო! პეტერინი ხი გაიქცა“...“

ჩამოყარდნელ სიწუმეში ერთი ახალგაზრდა კაცის თვალთი ცეცხლით აენთენ, მისი გამხდარი ფერმკრთალი სახე აღუღვებინაგან შეწითლდა. იგი შეახტა მაგიდას და ხმამაღლა იკვირა: „რევოლუციის ქარიშხალი ჩვენს ზეზობულთან ბოზოქრობს, ნუთუ კიდევ უნდა ვუძღვდით. არა! ჩვენ უნდა ვიშოქმედოთ!“ ეს იყო მანდორ პეტეფი“.

ასე ხატოვნად აღწერს გიდაში რევოლუციის პირველი ცნობის მოტანას ბუდაპეშტში.

ავსტრიის კანცლერი, ფერაშული რეიქციას სულისჩამღვმელი თავადი პეტერინი ინგლისში გაიქცა. დამახასიათებელი შტრიხია: იმ დროსაც ზველა რეაქციონერი ინგლისში პოულობდა თავშესაფარს! 1848 წლის 15 მარტს უნგრეთის პარლამენტმა გამოაცხადა თავისუფლების მანიფესტო. ბუდაპეშტში შედგა უნგრეთის ახალი მთავრობა, რომელშიაც შევიდა ცნობილი რევოლუციონერი კომიტეი. ვენაში კონტრრევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფერაშული რევოლუციური მოძრაობის ერთი მხოლოდ უნგრეთში დეიდა. 1849 წლის 2 იანვარს ავსტრიის ჯარებმა ბუდაპეშტი დაიკავეს. მაგრამ უნგრელებმა არ შესწყვიტეს ბრძოლა. 14 აპრილს უნგრეთის სეიმა დებრაცენში გამოაცხადა უნგრეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. კომიტეი შეიქმნა ნაციონალური მოაქრობის მეთაური. ცნობილია, რომ მარქსი ზედავდა კომიტეში „ადამიანის ნამდვილ რევოლუციურ ხასიათს, რომელმაც გახედა და თავისი ხალხის გულისათვის გაწვირული ბრძოლის ზელთათმანი აიღო“. უნგრეთის რევოლუციურ კურსში არბიამ ზედისულ დამარცხა ავსტრიის არმია. ავსტრიისათვის ამ კრიტიკულ მომენტში მეფის რუსეთმა გაუწიდა დახმარების ხელი პაბსბურგებს. ნიკოლოზ პირველმა, „ევროპის ენდარმმა“, გაგზავნა უნგრეთში 100 ათასი ჯარისკაცი პასკევიჩის მეთაურობით. ეს ის პასკევიჩია, რომელიც სდევნიდა საქართველოში გადმოსახლებულ დეკარისტებს, პეშკინი შიონაის ქსელში გააბა და 1831 წელს ცეცხ-

ლითა და მახვილით ჩაჭრა პოლონეთის აჯანყება. მეფის ამ ერთგულ მთავრებს წელიწადზედა აგრეთვე უნგრეთის რევოლუციის ჩმტრუბაც. 20 წლის ჩერნიშევსკი ამ დროს წერდა თავის დღიურში „უნგრეთის მეგობარი ვარ. მშურის რუსეთის ჯარის იქ დამარცხება. ამისათვის მზადა ვარ თვითონაც თავი შევიწირო“.

1849 წლის 31 თვისის შევეშვართან ბრძოლაში დაიღუბა მანდორ პეტეფი. უნგრული მწერალი მორ იოკაი ასე წერს თავის მოგონებებში: „უკანასკნელად შეეხვედი პეტეფის ბუდაპეშტის აღების შემდეგ ნაციონალურ წუხეუშში მოწყობილ ლხინზე. მე მამის მორისათვის სადღევრატელო ყველა იმითთვის. ვინც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაიღუბება. ამაზე პეტეფიმ მითხრა: „მადლობელი ვარ, რომ ჩემი სადღევრატელო დაღიე“...“

პოეტს შეუდა ერთი რამ აწუხებდა:

„აჲ! თუ მოკვდე ლოგინში წენარაღ!...“

და „როგორც ქრება სანთელი მკრთალი, მეც ისე გაექრე. დახეუო თვალა. არა, ასეთი არ მშურის სიკვდილი. მე მინდა მოკვდე ბრძოლით, კიდილით“...“

პოეტს ეს წინათგრძობა აუსრულდება: „და დაგვმარბავენ საფლავში ერთად, მთ, ვინც ვასტება სიმკაცრე მტერთა, ვინც საოცნებო დროში გაშალა, თავისუფლებას ვინც ენაცვალა“.

შეგვეშვარის ბრძოლის შემდეგ პეტეფი 123შ ზებოქოლთან ერთად დიდ მშათა საფლავში დამარბეს. ამბობენ, რომ მკერდში დაჭრილი პეტეფი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც მას გერმანელი საფლავისკენ მიათრევედა: მე ცოცხალი ვარ, მე — პეტეფი ვარ! — გაიძხოდა იგი. მამ, ჩამალდილი! — წარმოსტვა სიქსონელმა და კრიით აავსო საფლავი.

„პეტეფის სიკვდილი — უდავოდ უდიდესი დანაჯლისია უნგრული ლიტერატურისათვის, მაგრამ არა მარტო ლიტერატურისათვის, არამედ რევოლუციური ბრძოლისათვისაც“, ასე წერდა 1860 წელს პროგრესული კრიტიკოსი იანოშ ვაიდა. პეტეფის ოცნება:

„და სადაც ხმლებით ჩაიხობეებით იქ განდებთან მცირე მორცეები. იქ ჩოქვით მოვლენ ჩვენი შვილები, ვით წმინდა ნეშტთან ქედმობიდილები“.

დღეს თავისუფალ, დამოუკიდებელ უნგრეთში განხორციელდა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა-





არბიამ გაათავისუფლა უნგრეთი პიტლერის მონობისაგან. 1848 წლის დაუშთაგრებელი საქმე დღეს შესრულდა. უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არხად საკაშიჩმა, აწ 31 ივლისს, უცხოელ სტუმართა მიღებაზე, სხვათა შორის, აღნიშნა საბჭოთა მწირლები მოედინე ჩვენთან იმისათვის, რომ ამჟებრი სოლიდარობა გამოსთქვან პეტრესიგებრად განაბლებულ და საბჭოთა არმიის დახმარებით გაათავისუფლებულ უნგრული ხალხისადმი. რომელიც პეტრეთის დროშის ქვეშ, ყველა ხალხთა უფლებების მათაროვნებისა და მსწრელებების, ყველაზე სახელგანთა რეკლუფიონერების და ახალი ქვეყნის ძლევაშისლ მშენებლების — ლენინის და სტალინის მიერ მოითხოვული ვით მტკიცე ნაბიჯით მიდის სოციალისტისაკენ!

პეტრეთის 50-ამდე ლექსი თარგმნა პოეტმა გრეგორ ამაშიძემ. გრ. ამაშიძე ვაღმოვეცემს პოეტის დედაზრს, მის გულსა და სულს, ორიგინალის ტონს და ხმოვანებას. გრ. ამაშიძის თარგმანი ერთბელ კიდევ ამტკიცებს, რომ საქმე მარტო ექვირტიმეიკაში და ექვილინეარბაში არ არის. უკანასკნელს მიმართავენ მხოლოდ ხელისნები, რომლებსაც პაონათ, რომ ვაღმოვეცემ ორიგინალს, სინამდვილეში კი ნამდვილ ხელაუნებას. ნამდვილ მხატვრობას ქალაქენ. საქმე იმაშია, რომ ორიგინალს ვაღმოვეცემა კარგი ქართული ლექსი მოგვეცეს მთარგმნელმა. გრ. ამაშიძის პეტრეთი ერთბელ კიდევ ამტკიცებს, რომ მთარგმნელა უნდა იყოს ნამდვილი პოეტი და არა პოეტობი-ხელისანი, როგორც ამას ხშირად იქვს ადგილი ჩვენთან.

გრ. ამაშიძის თარგმანში ორიგინალის ზოგი ადგილი ისე კარგად არის ვაღმოქართულბული, რომ იგი არ კარგავს დედნის აზრს და თანაც ქართული ექვიკალენტი არის მონახბული, მოეყვანთ რამდენიმე მაგალითს. — ფრინბლი, ფრინბლი, მარია, ხელ თუ კარგი დარია! — ეს ქართული ვამოთქმბა სრულბად არ ეხამბებულა ჩვენს ყურბთა სმენას და შესანიშნავად ვაღმოვეცემს ორიგინალის აზრს, ასევე ახლაცხებრიში დავკრათ ჩქარა, „ღამის ვავრბით ვასყდეს ვული!“ ან „არ შეგვეტრბის, მუდამ ვეყვირი, როგორც ძრბობს უნავირბი“ და სხვა. ზოგიერთი ვამოთქმბები უხლოვებენ პეტრეთის ჩვენი ვლასიკოსების პოეტურ ენას: მაგალ, „სხვა ქვეყანა არსად არა, ჩვენი ქვეყნის დასადარი“ ან „ქე, მამულო“ და სხვა.

შესანიშნავად არის ვაღმოვეცემული ლექსში „ერისადმი“ პოეტის ვანწყობილება, ლქსი ასე იწყება:

„ჩქარა ზარბები, ჩქარა ზარბები,  
ჩქარა ზარბები! ყველას ვავსახბი!“

სამჯერ ვამოკრებბა კარგად ვამოხბატვის იმ დაძამბულ მდგომარბობას, რომელსაც „კოლეტი ვანიციდიდა.

ღიდი პოეტური ოსტატობით არის თარგმბილი მთელი რბგი ლექსებისა, მტკბადრად: „არის ვანა ვაცი ვინმე?“, „საბარბოლი სიმღერა“, „სამშობლიში“, „მე ერთი ფერბი მამუხებს“, „მგლების სიმღერა“, „ძალღების სიმღერა“, „მე რა ვიწოლი“, „ერისადმი“, „თი ჩემბ მშვილდ-ისარი“, „სიციცხლე ან სიყვლილი“, „ავსტრბიისადმი“ და „პატრბობტელი სიმღერა“.

რამდენიმე შენიშვნა მინიცი ვენბდა მბვეციტ მთარგმნელს საკბობის დავეცების წესბით. ლექსში „პობის მდინარბად ვაღვეციკვი“ პოეტი იმაზე კი არ ოცენბობს, არმ საბტრბო „ჩემს ხბს ტობზე დააძინა“, არამედ ჩობად იქებს და ჩემს ხბს ტობზე მღურბოდესო; აგრბოვე, არა მკონბა, პოეტი ოცენბობდეს, რომ მბის „სარბბო მწურბად იქებს“. ლექსში „საბარბობებაზე ხელმწიფეებბი“, ავსტრბიის ვენერბლი ლამბერტი და სამხედრო მბინსტრი ლატერი რბტიმბაც რველუციის მსხვეკბლად არბან ვამოცხადებბული: „მვარამ არ კმარა მტერე მსხვეკბლი“. რველუციის მსხვეკბლად შევერბა მტერზე არ იტყვიან, ამბვე ლექსში ასბსტლს ვენუსბდი მუტის ზბზბლით ადამბის მბღმმს“, „ადამბის მბღმმა“ მუტისმტბად ვანყენბბულად ვამბოდის, „ჩემს ხალხს“ უფრო კონკრბტულია პეტრეთისათვის. ლექსში „1818“ პოეტის აზრბ ასეთბა: მტრის უნდობლად ჩვენს სბსტლისგან დაცლა“, მვარამ უნგრბად ხალხს იმდენბ სბსტლი აქვს, რომ „ცას შეპლადღბს“, და არა „სიცილილის ნაცვლად ჩვენ ვაქვლიერბდბით, როგორც არსადრბს“. ლექსში „ერისადმი“ მთარგმნელს აქვს ასიყვბდილი ვამეცბობ, სამჯერ სიყვბდილი, დღევარბელი იყოს მბბი ვალბათი“. აქ სიტყვა „ვალბათი“ უფდგბლია, უფრო სწორბ იქნებბა „დამსყვბლი“. ლექსში „მენბსმზბა იმბ“ მთარგმნელს აქვს: „მვარამ მე ისევე ვარჩევბი სიყვბდილს, ოღონდ ამბბდეს ღამბის მზანება“. პოეტმა ნახბ სბზმარბი, რომ ქორწილის პბრველ ღამეს დამსწკბდა თვისა სატრბო დარეკნელი და იმბი წავბა ეს იყო სბზმარბი. მვარამ თუ ნამდვილად ატყდებბა იმბი, დამბიჯრე რომ წავალ საბზმბობულად და დავტრბეებბი, აქ „ოღონდ ამბბდეს ღამბის მზანება“ ვერ ვამოხბატვის ატრბრბის აზრს, რაც შეეებბა „პბრველ პბტოს“ იყო თვისებბური უნგრბული ნაცვარქმბბის ტრბბი უნდა იყოს, ან ლექსში პოეტს ზოგიერთი უნგრბლის სბზარბაც აქვს სატრბრულად ვამბბარბებბული, ისევე როგორც პეტრეთი ლექსში „უნგრბთბის ვრი“ ირონიულად ვამბბბის „ტრბისს პბრბს იყო ვრი, ზარბაცა და თბინებრიბი“.



ამიტომ პატოს გამოყენება „მემამულედ“, ვისთანაც „მოსავლელად ბალი მსახურს ახარია“ და ვიღაც შეკრავიდა ჰყავს არ უნდა იყოს სწორი. ახალ რუსულ თარგმანშიც პატო მემამულედ არ არის გამოყენებული, მაგრამ ეს სხვათა შორის. მთლიანად პეტრევის ქართული თარგმანი დიდ-მნიშვნელოვანი მოკლეაა ჩვენს ლიტერატურაში. ამ შესანიშნავი თარგმანებით ქართველ საბჭოთა მკითხველს საშუალება ეძლევა ვაეც-

ნოს შეცხარებულ საუკუნის, არა მარტო უნარების, არამედ მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უბრწყინველესი, პოეტის შემოქმედებას.

იმედია, რომ გრ. აბაშიძე არ მიატოვებს ამ სასიქადულო საქმეს და თანდათანობით თარგმნის პეტრევის ყველა ლექსს.

**შალვა ალხაიშვილი**

ბ. შატბერაშვილი.—შეჯავი ფისში. საბჭოთა მწერალი, 1949 წ.



გ. შატბერაშვილის მოთხრობების წიგნი — „უცდავი ფესვი“ ცამეტ მოთხრობაა მოთავსებული, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი „კარგი ბიჭი“, „შეთქმული ქვევრი“ და „მამალხინე“. ამ მოთხრობებიდან ჩანს, რომ შერთალი კარგად იცნობს ომის პერიოდის ზურგის ცხოვრებას. საბჭოთა ადამიანების მაღალი თვისებები, ის განსაკუთრებული მზრუნველობა, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ომის პერიოდში ფორნტელთა ოჯახების მიმართ იჩენდა, ჯეროვანად არის ნაჩვენები არა მარტო „კარგი ბიჭში“, არამედ „შეთქმულ ქვევრში“.

ომკადახლი ვეკაცია („შეთქმული ქვევრი“) თავის საყვარელ ეზოს უახლოვდება, მაგრამ შიგ შესვლას ერიდება, რადგან ნაცნობ ეზოში ნაცნობ სახლს ვერ ხედავს. ნეთუ გზა აებნა ანა? ქსნის კამიკით დახურული ახალი სახლი საიდან გაჩნდა მის ეზოში? ფიქრობს ნამომარი ტატო და ვაბედულად იღებს ეზოს კარებს. აქვება კიბეს და აიენის მოაჯირს მიადგება. ტატო სუფრის თავში მჯდომ დედის ნათელ სახეს მოკრავს თვალს, მეზობლების თავმოყრის მიზეზს და საუბრის საგანსაც გაიკვებს. აბლ მიხვდა იგი, თუ ახალი სახლი ვის ეკუთვნოდა. — გული შეთითლოდა, მიხვდა, იგარძნო... აი, ხალხის ძალა, აი, შობი. ლიერი ამაგი, კინაღამ მუხლებზე დაეცა, კინაღამ აეცა ამ საყვარელ მიწას. კაელის გინიერ ტანს მიეყრდნო წამით, რომ გულისციმა შეჩერებინა. სივრილემ ცროლა მოგვარა. ცრემლი, ტბილი ცრემლი მოწყდა თვალს და გულს დაუჩუჩება უბრძანა. შეილის დაბრუნებით გაშხიარულებულ ოჯახში ზედიზედ ისმება სადღვრძელო მოხუცი ოსტატი ღიმილით მიმართავს სამომარას: „ქალა, კი არ მიწყინო, მაგრამ... ქვევრი რომ მოხადე, ბიჭს ხომ არ ელოდა, ხომ არ იცოდა რა?“ ზედნაერმა დედამ შეილის საყვარულით შეხვდა, ახლა ახალი სახლის თავ-

ხეს გაელმა და წამოიძახა: „მამ, მამ... ვიციდი. გულმა იცოდა“. მგრძობიარეა დედის გული, ამ მგრძობიარე გულმა უწინასწარმეტყველა მას შეილის დაბრუნების ამბავი და უკარანაა კიდევ მეზობლების საბატეხაცემოდ მოეხადა სწორედ ის ქვევრი, რომელიც ტატოს დაბრუნების დღეს უნდა დაცილიყო. ამ პატარა სურათში შევევრი და მეტყველო საღებავებით კარგად არის დაბატელო საბჭოთა დედის სახე. მასში ნათლად მოჩანს საბჭოთა ადამიანებს შორის არსებული ურთიერთ პატევისციემა და სიყვარული.

სამამული ომის თემაზე დაწერილი მოთხრობა „მამალხინე“. მისშიც საბჭოთა ადამიანების ხასიათი და მათი განწყობილებანი არის გამოვლინებული. ის სიხარული, რომელიც მამალხინეში ფორნტიდან შეილის გმარულად დაბრუნებამ გამოიწვია კერძო ხასიათის როლია, არამედ სასოვალდობრივი მნიშვნელობისაა. მამალხინემ იცის, რომ მისი აღზრდილი შეილი მტერს შედგრად ებრძოდა და სოციალისტური სამშობლოს წინაშე ვალმობილია. ამიტომ, რომ იგი ასე ვაბედულად, შეილის საბატეციემოდ გამართულ ვაშაშე, მეზობლებს ეპატეცება. მას სურს უველამ განიცადოს ის სიხარული, რომელიც მასში ჰირშო შეილმა გამოიწვია.

გ. შატბერაშვილის ამ მოთხრობების გამოკრება: მამალხინემ და სამომარამ, სამშობლოს ერთგული შეილება, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები აღუზარდეს. ეს ახარებთ მათ და ამაში ხედავენ ისინი თავიანთი სიცოცხლის აზრს.

მოთხრობა „მეცხრე კიბე“ გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი ისეთი ფოლადისებური ნებისყოფა, როგორიც თველორეს და მის შენობებს ქეოდა. ამ მგრძობიარე და საბატეცემა ადამიანებმა, სამშობლოს მოლაღატის ხელთ მო-

კლელი თავისი შეილი იანკა შეგნებულად, სოფლის ინტერესების გამო, არ იცუნეს არც სოფელშია დენო პარტიზანული იანკა, ვერავითარმა უხეშმა ძალამ, სამკაცრემ ვერ ათქმევინა სოფელს თუ ვინაი შეილი იყო იანკა, რომლის სახეც უკვადეყო მწერალმა ნაწარმოები დრამატული ელემენტებით არის გალიერებული, მაგრამ მასში არც ერთი ამბავი ვახუაღბებული არ არის. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხასიათის თვისებათა თავისებურებასთან, საბჭოთა ადამიანების მაღალ სულთან და გერმანულ ფაშისტების ველურობასთან.

გ. შატერვაშვილის მოთხრობების უმრავლესობას მხატვრული სიზარტლე ახასიათებს. მწერალი მოთხრობის გმირებს, რომლებიც მხოლოდ სიზარტლის, ბედნიერების („მამალხინე“, „შეთქმული ქვევარი“ და სხვა) ან მწუხარების („მეცხრე კიბე“, „უკვდავი ფესვი“ და სხვა) წუთებში გვხვდებიან, მკაცრი ხაზებით ხატავს. მართალია გ. შატერვაშვილი თავის გმირებს მოქმედებაში არ გვიჩვენებს, არც მათი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესს იძლევა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში „კარგ ბიჭუ“, მაგრამ მისი გმირების ვანდები, გამოწვეული სიზარტლით ან მწუხარებით, ისე კარგად არის გადმოცემული, რომ შეუძლებელია შეიხვედეს ამ გმირების სახე მუხსიერებაში არ ჩარჩეს.

საკამრისია, შევხვდით კაკლის ხეზე მიყრდნობილ ტატოს სახეს („შეთქმული ქვევარი“), რომ ჩვენთვის აშკარა ვახდეს თუ როგორ უყვარს საბჭოთა ადამიანს შრომითი საბჭოთა მიწა. ამასთანავე, თუ მოვიფიქრებთ იანკრის თვეში მამალხინეს მიერ მოწყობილ რთველს („მამალხინე“), მაშინ საყსებით საფუძვლიანი იქნება ის აზრი, რომ მწერალს აზრიან და შინაარსიან სურათების ხატვაში მხატვრული გემოვნება არ აკლია.

მიუხედავად „შეთქმულისა“, სატყევენიო წიგნი მაინც არ შეიძლება უნაკლოდ ჩათვალოს. მასში მოთავსებულია ისეთი მოთხრობებიც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებებს, ზოგჯერ მოთხრობიდან ჩანს, რომ მწერალი ხანდახან სცილდება ძირითად იდეას, რის შედეგად გეთავაზობს მხატვრულად ერთფეროვან მოთხრობებს, როგორცაა, მაგალითად, „ბებერი ხარის რქა“, „ჩემს ძველ სახლში“. რაში მდგომარეობს ამ უთანასწოლ მოთხრობის შინაარსი? ჩიღმერი თევა, რაც შობლებს იმში წასული უმცროსი ვეის წერილი არ მიეღიათ. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ წერილიც გამოჩნდა. იგი ოჯახის უფროსმა შეიღმა მიიღო და მაშინვე სოფელში შობლების ველის ვასახარებლად წიღო.

„აგერ ჩენი ვეარის საშარბი, წინასართა ძეალმესალაგი, მალე აკაციის ჩეეს ნიჭი შერმისფერი კრამიტით დახურული“ ჩემი ძველი სახლი ვამოხნდება. ამ ადგილს, რომ ეუბასილოდები, გული რატომღაც ცემას უმატებს. არ შემიძლია თვალი ავირიდო დახავსებელი საფლავის ლოდებს. აქ ხომ ჩემი წინასარბი წევანა. მათ ხომ თავი შესწირეს ჩენი სამშობლოს თავისუფლებას. ეუთხართ შენძობა მათ ძელებს და გაეიართო. უცნაური ძალა აქვთ ამ ქვეებს, ინდამატური“ (გვ. 85). მაგრამ ასეთივე ინდამატური ძალა აქვს თუ არა ამ მოთხრობაში სოციალისტური ქალაქის ახალ ვიგანტურ შენობებს?! აი, მოვესმინათ თვით მწერალს: „ოდ ქალაქებში ადამიანი ვეროკი შეაშინვეს, ისე ჩაეუღებს მრავალსართოლიან ვიგანტურ შენობებს — ტრამვას, ტროლიკი, ბუსების, ვაშაგვებული მანქანების ხმაც თითქოს არ ვეესმის, მიუღივართ და ჩემი საუბრით ვიგრუნავთ ამ აერზაურს... ეს პატარა დახავსებელი ქვები — კი მარადისობის ზნელა თვალებით დავვიჩხვლეტენ ზურგს, თუ მათეერ ერთხელ მაინც არ მივიხედეთ“ (გვ. 85 — 86). ამრიგად მწერალს არ შეუძლია ერთხელ მაინც არ მიიხედოს დახავსებულ ქვებისაყენ და თვალი ააჩიღოს მათ. ეს კარგი საქმია, თავისუფლებისათვის შებრძოლ ადამიანების პატრვისემა მოსაწონია, მაგრამ შეუძლებელია, რომ საბჭოთა ადამიანი, საფლავის ქვებზე უფრო ზეტს ფიქრობდეს, ვიდრე სოციალისტური ქვეყნის ვიგანტურ შენობებზე, ამ მოთხრობაში აეტროს აგრეთვე „ძველი სახლის“ აბოლიგეტად ვამოხნებს და საკმაოდაც ვანიცდის მის წარგვას. აი რას ვეთხოვლობთ შობლებსადმი მიწერილ წერილში: „ჩემი ძველი სახლი არ დამინკრით. ჩამოვალ, ერთს კიდეც შეეხედავ და შერე ახალი, კახტა რამ უნდა ავიწინოთ“. ამით აღფრთოვანებული მწერალი შესძახებს: „ო, ძველს სახლს ვაუმარჯოს ჩვენს ძველ სახლს, მოასწროს შევარდნების დაბრუნება, მათი ყივილი, მათი ჩაბუნდება და ვამრავლება“. იმდენად უყვარს აეტროს „ძველი სახლი“, რომ იგი მას არც ერთ მოთხრობაში არ იფიქრებს, საჭიროა თუ არა, მაინც ყველგან იხსენიებს მას.

მწერლის შემოქმედებით მუშაობის არსებით ნაკლებ ლაპარაკობს აგრეთვე მოთხრობა „ბებერი ხარის რქა“. ეს მოთხრობა აგებულია მოგონილ ამბავზე. როგორია ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი? სიამართან მისულ სიძეს ვახშაში გაუშაროეს. ვახშობის შემდეგ შექვიფიანებულმა სიძემ ვადაწყვიტა თავის საყუთარ სახლში დაბრუნება. ვერავითარმა თხოვნამ მას ვადაწყვიტილება ვერ შეაცვლევინა. ღამის წყვედადში მიმავალ სიძეს ორღობაში მგელი



ვეფხვკურა. ნიშნობს. სიბერე, მკვარამ. ახლა უკვე უბრალოდ უკან დაბრუნება, დადგა მგლისა და უიარაღო ადამიანის შეზარალოების წამი, სი. რამ შესწლო მგლის დახრობა. გამარჯვებით გახსენებული სიბერე, აღარ უბრალოდ უკან დაბრუნებას, პირიქით, თავის ვაჟაცომა სურს გამოიხიოს. სიბის დაბრუნებით შემინებულ სიფხვანის შეძახილზე. მისობლები შოგრაოდებმა, ვაჟებენ ამბავს თუ არა, ყველა შემ. ფაფდება; სიბე მათ თვალში დიდი ვაჟაცომა. მხოლოდ მარტოდმარტო სიბამრმა იცის ბნელში ზიგდებული სხეული, მარტოა მგელა თუ ძალი, იცის სიბამრ, მარტო მისი სიცილი ფიფხანს ან გრძელდება, ცოლი სიცილის მიზეს მიუხედება და ოინის მიწუობისათვის სიყვედურსაც ეტყვის. მოთხრობა მთლიანად ბუნდოვანია, განსაკუთრებით კი მისი ბოლო ნაწილი.

მოთხრობა „უკვდავ ფესვში“ შერჩაღმა უფრო მეტი ყურადღება გაჩვენულ სილაშხის მიაქციო, და სიკვდილსიციცლის პრაბლემას დიზიკოპიოლოგიურ მოვლენებს დაუვაჟიროა, გადააჯგუჯა, რითაც მოთხრობას საზოგადოებრივი მნიშვნელობა დაუვაჟა. მოთხრობის შინაარსიდან ჩვენ ვეგებულობთ, რომ როსტომის ერთადერთი ვაჟი არჩილია, სამშაფლო ომში გმირულად დაიღუპა. ცხადია ამ ვაჟებობებს არ შეეძლო როსტომში ძლიერი სულიერი ტრევილები არ გამოეყენა, მკვარამ როსტომი შეგნებული პიროვნება, მან იცის, რომ ახლა, როდესაც არჩილი მეუღლე მხად არის მოსაშობიარებელი, ამ ამბის გაშვება არ შეიძლება. მართლაც, როსტომი სასოფლო საბჭოდან, სადაც მან ვიციკო თავისი შვილის დაღუპვის ამბავი, ისე ბრუნდება სახლში, რომ მას შუქარებას ვერაინ. ბტუბს, ეკლს მშობიარობის დამეს საშინელი ველაქებილი ბტუბება, ქარიშხალი იმდენად ძლიერი აღმოჩნდება, რომ როსტომის ენოში მდგარი ვეებერთელა ქაღარს წააქცევს. ქარიშხალი ჩადგება და როსტომს შეილიწვი, დიკ შეეძინება. ამით გამხარულებული როსტომი ენოში ჩამოდის და აი, რას ხედავს იგი იმ, სადაც ჯერ გეშინ, გეშინწინ, სიციცლით სასებ ქაღარა იდგა, რომელიც ამ ნათელ სამყაროსთან ერთად სენსტაქება, შრიიალბდა, ახლა იგი მებდაცემელი გარბხელა და მასში აღარ, ფეთქს სიციცლებე, „მკვარამ, შეხედეთ, ქარიშხალს სიციცლებე მთლიანად ვერ გაუნადგურებთა. შეუშუსტაგვია სიციცლის ძალა.

გეშინ სასხლავს გადარჩენილი, უკვდავ ფესვზე მისულნი თამაში ელორტი, ისე უფნებლად დგას, დილის წიავს ეალრსება, ამომავალ შინს

სხეებმა უცინოს“. ვარდა იმისა, რომ ამ ნაწილში მოებს არა აქვს სალი ფილოსოფიური ხაფხუქი. ლი, (ამის პრეტენზია კი ამეს ცეცხლს) მისი ყველაფერი ხელოვნურიო, როსტომის ვაზიანში შესვლა და ელორტის გადარჩენა, ქარიშხალი და ბავშვის დაბადება, სასხლავს გადარჩენილი ქარიშხლის შეშლზე უკვდავ ფესვებზე ამოსულ თამაში ელორტი, ყველაფერი ეს მოგონილია იმისათვის, რომ შერჩაღმა სიციცლის უკვდავება დაამტყოს და შედარებებით გვითხრას, რომ ადამიანისა და მცენარის სიციცლებეს ერთიდაიგივე კანონი ამოჩრავებს. ისე როგორც ადამიანთა საზოგადოებაში ერთი კვდება და მეორე იზადება, ასევე მცენარეთმსაყაროში ხდება, ამიტომ როსტომის შუქარება, შერჩაღის აზრით, ბუნებრივი მოვლენის შედეგია და ეს შუქარებაც ბუნებამ, სასხლავს გადარჩენილმა უკვდავ ფესვზე ამოსულმა თამაში ელორტმა, რომელსაც ქარიშხალმა ვერაფერი დააკლო, ვადატანინა მას. ხასიათის ასეთი გახსნა, შუქარებაში როსტომის მიერ გამოჩენილ სიმტყიცისათვის, თავდაპირველობისათვის არა საზოგადოებრივი საჩუქლის დაღება, ადამიანთა და მცენარეთა სიციცლის გაიგივება, მათი ერთიერობედარება, უამარაგონის იმპზე, რომ შერჩაღს სჭირდება თუ არა იგი ეკლნის გაღრმავება.

წიგნში სულ სამი ისტორიული ხასიათის მოთხრობაა შეტანილი. მათ შორის ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას „სახელმწიფო ბეჭედი“ იპყრობს.

სამპოთა შერჩაღი ისტორიელ ტილოზე მუშაობის დროს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასებს უნდა ანიჭებდეს, რადგან საბოლოო ანგარიშში ხალხი სწევებდა ქვეყნის ბედს. ამიტომ მის მოთხრობებში მათალი და წარჩინებული წრის ადამიანები ვაცილებით უკეთ არის დახატული, მათი ხასიათებიც ვაცილებით უკეთაა გამოკვეთილი, ვიდრე ხალხის წრედან გამოსული გმირების. საერთოდ კი მასა მის მოთხრობებში ძალზე მკრთალად მოჩანს.

გ. შატერაშვილის ისტორიული მოთხრობების ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩათვალოს კარგი ქართული ენა. შერჩაღს არ აქვს მიღრეკილება არქაიზმებისადმი. მისი გმირები ლაბარაკობენ ჩვეულებრივ სალაპარაკო ენით. შერჩაღი არ არის გატაცებული „მთალი“, არაბუნებრივი სტილით. ამიტომ არის, რომ მისი ისტორიული მოთხრობები ადვილად იეითხება.



ნიმონ ხმელადი — მასალაში კართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ.

ლიტერატურის ისტორიის შესახებ და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესახებ.



პროფ. სიმონ ზენდაძის ისტორიულ-ლიტერატურულ ნარკვევების უკანასკნელი კრებული გამოიცა მეცნიერების გარდაცვალების შემდეგ, 1941 წელს. ამ წიგნში არ შესულა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომელიც სხვადასხვა დროს ქართულ საბჭოთა ეფრინალ-ვახუშტის ფურცლებზე იყო გამოქვეყნებული. ამ ნაწარმოების საერთო ნაწილს კი ზენდაძე არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი ღირებულება; მათი ცალკე წიგნად გამოცემა მიმდინარე წელს, გამოცემლობა „საბჭოთა შერის“ მიერ, სასარგებლო საქმედ უნდა ჩაითვალოს.

სარეცენზიო კრებულში შეტანილია შემდეგი ნაშრომები: ნარკვევები — ა. გ. ჩერნიშევსკი და 60-ანი წლების ქართული ინტელიგენცია“ და „სამოცდათიანი წლების არაღვარდნილი ქართული ვაჟები — დროში“; ორი წერილი ვახუშტის ხელნაწილის 80-ან და 90-ან წლების ცნობად ქართულ კრიტიკოს-პუბლიცისტებზე — ბოსლევსკისა და ხომელის; რეცენზია დავით კლდიაშვილის შემოკრებულზე; წერილი — ავია ფშაველას შემოკრებულზე; სოციოლოგია“ და ისტორიული მიმოხილვა — გლეხთა მოძრაობა საქართველოში“. დასახელებულ შრომათა გარდა კრებულში მოთავსებულია ავტორის მიერ საფუძვლიანად კომენტირებული კერძო წერილები 19-ს. ცნობილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა.

მთელი ეს მასალა წიგნში დალაგებულია თემატიკურ-ქრონოლოგიური პრინციპით; დაცულია თანმიმდევრობა არა ამ მასალათა დაწერის თარიღებისა, არამედ იმ ეპოქების, რომელთაც ეუბნებიან ამათ იმ წერილის საკვლევი ობიექტი.

წიგნი იხსნება ნარკვევით — „ა. გ. ჩერნიშევსკი და 60-ანი წლების ქართული ინტელიგენცია“. ამ ნარკვევში ავტორი, მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და ერთგულით შრავალფეროვან და მეტად საგულისხმო წყაროების გამოყენებით, ამტკიცებს საკუთარ იმ უაღრესად მნიშვნელოვან და კეთილსინდისიერად გაგონის შესახებ, რომელიც დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატიის ნაწარმოებში იკონიებს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე 19-ს. წიგნის მიერ ნახევარში. ავტორი აღნიშნავს პეტერბურგში მომხდარ ქართულ სტუდენტობის სახალგაოვან ჩერნიშევსკისა და ეფრინალ „სოციალური“ გვარ-

თან, მათ აქტიურ მონაწილეობას რუსეთის მოწინავე სტუდენტობის პროგრესულ მოძრაობაში, მათი შეხედულებებისა და საზოგადოებრივი მოსწრაფებების შემოქმედება-ჩამოყალიბების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ატმოსფეროში.

ს. ზენდაძე დაწერილებით განიხილავს თურვალეულთა თაობის მეთაურის ილია ჭავჭავაძის ესთეტიკულ-ლიტერატურული და სოციალური შეხედულებების სისტემას, გამოვლინებულს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე და იმ დროს გენერალ კავშირს, რომელიც ილიას შეხედულებებს ჰქონდათ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეებთან. ასევე საფუძვლიანად აქვს გაჩვენებული ს. ზენდაძის ახალგაზრდა ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა ახლო ნათესაობა ჩერნიშევსკის იდეებთან. თავისი ნარკვევის დასკვნითს ნაწილში ავტორი წერს: „ჩერნიშევსკის აზროვნების უშუალო ზეგავლენით ჩამოყალიბდა ჩვენში ახალი მიმდინარეობა რადიკალ-დემოკრატიული შინაარსით, რომელმაც შეითვისა ჩერნიშევსკისა და მისი გვერდისაგან არსებული წყობილების კრიტიკა, შრომის პრინციპი, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება, „თეორეტიკული“ თაობა იყო ამ პრინციპების შემომტანი საქართველოში, შემდეგში დროს დაიწყო ფესვები ამ დემოკრატიულმა მიმდინარეობამ ქართულ ლიტერატურაში“.

გვება რა მესამოცე წლების ქართულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებას, ავტორი შენიშნავს: „ჩერნიშევსკის ზეგავლენით ვან. შატავასა და ჩაიუს კრიტიკულ და მხატვრულ ლიტერატურაში რეალისტურ-ეტიკოლოგიურ პრინციპი. პირველად ესთეტიკის საფუძვლი და კრიტიკულ წერილებში ეს პრინციპი გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ. ხოლო შემდეგში მისი ერთგული დამყვანი გახდნენ იმავე ლიტერატურის კრიტიკის სფეროში: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, და ნაროდნი-კრიტიკოსები (სტუდენტ-პროფესორი, ნ. ხინიანიშვილი და სხვ.). უფრო მეტი რა თავის მიმოხილვას საერთო დასკვნას, ს. ზენდაძე წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩერნიშევსკისა და მისი სკოლის ეს გავლენა თავისებურ ელფერას და შინაარსს დებულობდა საქართველოს სინამდვილეში“. დიდი რევოლუციონერის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა და

შეხედულებანი თავისებურს ცვლილებებს ვა-  
ნიცილია ჯერ კიდევ განვითარებულა და  
მოემწიფებულ ნიადაგზე, არსებობდა ღებულობ-  
და რა ბურჯეზიულ ხასიათს. მაგრამ ეს სრუ-  
ლიად არ უარყოფს იმ ისტორიულ ფაქტს,  
რომ ნ. ჩერნიშევსკი და მისი გვერდი ვადიჭ-  
ცა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მისა-  
ხამ მავალიად უკვე 60-ან წლებიდანვე\*.

წერილი — „სამოცდაათიანი წლების არაღუ-  
გალური ქართული გაზეთი „დროშა“ — ავტორი  
გვაცნობს 1873 წელს პარიზში პეტროგრაფიულ  
ფესხით დაბეჭდილი გაზეთის გამოცემის ის-  
ტორიას. გაზეთის სემბლენ ნ. ნიკოლაძე, დ.  
პაჭელაძე (შვეველ) და პ. იშვიალივი. სულ გა-  
მოქვეითათ ათი ნომერი ამ გაზეთისა. თვით ნი-  
კოლაძის ცნობით, გაზეთი იბეჭდებოდა ან-ასი  
ცალი და უფასოდ ეგზავნებოდა ციურისსა, ე-  
ნეფასა, ვენსასა და ვერპოის სხვა ქალაქებში  
მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

სამი პირველი ნომერი ამ გაზეთისა, ვიღაც  
უცნობს შეუწირავს ბრიტანეთის მეზუფისით-  
ვის, ჯერ კიდევ 1895 წელს. დანარჩენი შვიდი  
ნომერი ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არ არის. ს. ხუნ-  
დაძეს თავის წერილში მოაქვს გაზეთის ამ  
სამი ნომრის შინაარსი. სტატიების ავტორები,  
როგორც ხელმოწერიდან ჩანს, ყოფილან თვით  
გაზეთის გამომცემელი. საკითხების მიხედვით  
გაზეთი ვხვება შემდეგ თემებს: 1. საგარეო პო-  
ლიტიკა, 2. ნაციონალური საკითხი, 3. მუსათა  
მოდრობა, 4. სოციალიზმის პრობლემა, 5. სო-  
ციალური და ისტორიული ხასიათის სხვა და სხვა  
საკითხები.

სამშუხნაროდ, ს. ხუნდაძე თავის წერილში არ  
აძლევს გაზეთში მოთავსებულ სტატიების სო-  
ციალ-პოლიტიკური იდეების შეფასებას.

მომდევნო წერილი — „ბოსლეველი“. ავტო-  
რი გვაცნობს 80-ანი წლების ნიჭიერი ქართვე-  
ლი კრიტიკოსისა და პუბლიცისტის ესტატე  
შედლიძის ბიოგრაფიის და ლიტერატურულ-  
პუბლიცისტური მოღვაწეობის მთავარ მომენ-  
ტებს. ამგვარადვე წერილი — „სომელი“  
ვეცნობით 80-ანი წლების ცნობილ კრიტიკოს-  
პუბლიცისტის რომანოზ ფანჯავიან ბიოგრაფიის  
და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ზომიერი  
ერთი პირველი ქართველი კრიტიკოსთაგანი  
ყო. რომელიც ობიექტდანიან წლებში შეე-  
ცადა მარქსისტული თეოსაზრისით გაეშეშებო-  
ნა ლიტერატურის საკითხები.

სარეცენზიო წერილი დავით კლდიაშვილის  
მოგონებათა შესახებ ს. ხუნდაძე მაღალ შეფა-  
სებას აძლევს გამოჩენილი ქართველი პუბლიც-  
ისტის შემფარებს, როგორც ცოცხალი და მო-  
ხდენილი ერთი დაწერილი ნაწარმოებს, მოკლედ  
გვაცნობს წიგნის შინაარსს და, დავით კლდია-

შვილის ზოგადი დახასიათების შემდეგ, შენიშ-  
ნავს ეს იყო მწერალი, „რომელსაც ცხოვრე-  
ბის ობიექტურმა პირობებმა მძაბრებულ ქართულ-  
ტები დააყვრა და შეფის ჯარის გამამსახურე  
ვახადა, ზოლო გული პატრიოტიზმის გრძობით  
აღუენო“.

ს. ხუნდაძე მოხუცი მწერლის შემფარებში,  
რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში  
დაწერილი, პოელოზს მესხიერების დღაღობი  
გამოწვეულ რამდენიმე ფაქტიურ და ქართო-  
ლოგიურ ხასიათის შეცდომას და ასწორებს შთ.

წერილი — „ეფა ფშაველას შემოქმედების  
სოციოლოგია“ დავითაფრებელია. მიუხედავად  
ამისა, ავტორი მაინც აბერხებს დახასიათის  
პოეტა, როგორც პირველი მსოფლმშედეგელი.  
ბის მატარებელი ვარაუგებია. მისი აზრით, ე-  
ფა ფშაველა უარყოფდა ბურჟუაზიულ-კაპიტა-  
ლისტურ წყობილებას და ნატურალურ-საზო-  
ვადობრივი წყობის აღდგენისაყენ მოეწოდებ-  
და საზოგადოებას. ავტორი, პოეტის შეფასების  
ღრმის, ეულგარულ-სოციოლოგიზმის პოზიცი-  
ებზე იმყოფება, ვარადა ამისა, იგი ვერ იმწნევს  
ქართული პოეზიის ამ გვიანტის როლსა და  
მნიშვნელობას მშობელი ხალხის ერთეულ-რე-  
ეოლტეიურ მოძრაობის საერთო განვითარება-  
ში. ვერ ხედავს იმ მოწინავე და პრაგრისულ  
ქემანისტურ იდეებს, რომელიც გამახატლოია  
დღის ქართველი პოეტის ლექსებსა და პოე-  
მებში.

ნარკვევში — „გლახთა მოძრაობა საქართვე-  
ლოში“ ავტორი გვაცნობს საქართველოს მეშე-  
თა კლასისა და გლეხობის ისტორიული კავში-  
რის მიზეზებს, გლეხთა მოძრაობის უმთავრეს  
პერიოდებს საქართველოში და გლეხთა საერ-  
თო მფლომარებასა და მოძრაობას მე-18 საუ-  
კუნეში, ავტორს, როგორც სწამს, განზრახული  
ქმონდა დიდი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრო-  
მი დაწერა ზემოაღნიშნულ თემაზე. ამას მოწი-  
მობს ის დასაბუთება ცალკეული თავებისა,  
რომელიც წინ მიუძღვის ნარკვევს. ამ დასაბუთ-  
რების მიხედვით იტყვივა, რომ ავტორს მიზნად  
ქმონდა დასახული საქართველოს გლეხთა მო-  
ძრაობის ისტორია მე-20 საუკუნის დასაწყის  
პერიოდამდე მიმოხეხლა. სამშუხნაროდ, მეკლდე-  
ყარს ამ დანაცალა ამ შრომის დასაბუთება-  
სიყვე, როგორც მას ვანუხორცილებელი დარ-  
ჩა მრავალი სხვა ჩანაფიქრი ისტორიულ-ლიტ-  
ერატურული კვლევა-ძიების სფეროშიც.

სარეცენზიო კრებულში მნიშვნელოვანი ად-  
ვილი უყავია „ქართველ მწერალთა ყვრძი წე-  
რილებს“. ამ მოთავსებელია ილია ჭავჭავაძის,  
ვ. წერეთლის, სერგეი მესხისა და ვ. ნინოშვი-  
ლის შარათები, ს. ხუნდაძის ისტორიულ-ლიტ-  
ერატურული ხასიათის შენიშვნები. ჩვენს მკლე-



კარს, როგორც ვიცით, საკმაო დამსახურება მიუძღვის მე-19 ს. ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ეპისტოლარული შემკვიდრების პუბლიკაციის საქმეში. ბევრი საკითხი, დაკავშირებული ჩვენი კლასიკოს მწერლების ნაწარმოებთა დაწერის თარიღების ზუსტ დადგენასთან, მათი იდეურ-პოლიტიკური და ლიტერატურული შეხედულებების განვითარებასთან, ზედმიწევნით აქნა გამოარკვეული ამ კერძო წერილების წყალობით.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებული ილის წერილები ეკუთვნიან 1858 — 1873 წლების პერიოდს, უმეტესობა მათგანი მიმართულია კორორტიფიკაციის, პეტრე უმიკაშვილისა და ნიკო ნიკოლაძისადმი. ამ ბარათებს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

სერგეი მესხის წერილები დათარიღებულია 1869—1876 წლებით. ამ წერილებში კარგად მოხაზვნილი ქართველი რედაქტორისა და პუბლიცისტის ფართო გონებრივი პორიზონტი, მისი პროგრესული მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სიფაქიზე და განუზომელი სიყვარული მშობლიური ხალხისა და მისი კულტურისადმი.

გ. წერეთლის წერილები წინ უძღვით მოკლე დანასიათება მწერლის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედებისა. მისი წერილები ეკუთვნიან 1873 — 1884 წლებს. მათი ადრესატები არიან ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი. ამ ბარათებში მკითხველი კარგად ეცნობა იმ სასოვლოებრივ პრობლემებს, რომელიც აღიღებდა 70—80-ან წლების ქართველ მოწინავე ინტელიგენციას. იქვე გაშუქებულია პირადი ოჯახური ცხოვრება და პრაქტიკული საქმიანობა „პირველი ნაბიჯის“ ავტორისა.

ვენატე ნინოშვილის წერილებს დართული აქვთ სხვადასხვა პირთა მოგონებანი და თვით მწერლის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, რომლებიც გვაცნობენ მწერლის ცხოვრების შეტად მნიშვნელოვან მომენტებს. შეუქმლებელია აუღელვებლად წაყიობვა ამ პირადი ბარათებისა. ამ ჰეშმარითად ადამიანური დოკუმენტებისა!

სილაცეში გატარებული პაემობა და ყმაწვილაცობა, ტრალიკული შემქმედებები ცხოვრების სისტემა პირობებთან, შეუტყუებელი მისწრაფებები ცოდნისა და განათლებისაკენ, გატარებული იმედები და ისევ მედგარი ბრძოლა მიზნის მიმართ, საღმრთო, შემოქმედებითი წევა და ფოლადის ნებისყოფა, რომელიც გაჭირვების და საბედის წირო ავადმყოფობის მიუხედავად, საშუალებას აძლევს ნიჭიერ მწერალს გამოსთქვას თავისი იდეები შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებებში...

ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რაოდენ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ ამ წერილებს ფართო მკითხველი მასებისათვის, კერძოთ თუ ახალგაზრდობისათვის.

ე. ნინოშვილის წერილებისა და საბიოგრაფიო მასალების საგრძნობი ნაწილი, სარეცენზიო წიგნში გამოქვეყნებული, თავის დროზე დაბეჭდილი იყო მწერლის თხზულებათა მესამე ტომში, რომელიც ს. ხუნდაძისავე რედაქციით იყო გამოცემული 1935 წელს. მიუხედავად ამისა, მათი ხელახალი გამოცემა ამ კრებულში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. იქვე ერთი, სარეცენზიო კრებულში ე. ნინოშვილის წერილები ქრონოლოგიურად მოსდევს წინა თომის მწერალთა ბარათებს და ამგვარად მკითხველს შეუძლია ორგანიულ პოლიანო. ბაში ვაიკნოს ქართული ლიტერატურული ცხოვრების ფაქტები 60-ან წლებიდან მოკიდებული 90-ან წლების ნახევრამდე; მეორეც, ამ ბარათების გამოცემა ემთხვევა ე. ნინოშვილის დაბადების 90 წლისთავს, რაც მიმდინარე წელს სრულდება.

ს. ხუნდაძის კრებული მდიდარი ფაქტიური მასალით, რომელიც აშუქებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების პროცესებს, ეს წიგნი საუელისსმო და საინტერესოა არა მარტო მკვლევარებისა, პედაგოგებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ ქართველ მკითხველთა ფართო მასებისათვისაც.

ლ. ა.

მარიამ ბარბუქი — „ბუნდელი ბუნ“. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ — 1949 წ.



ამ წიგნის დიდი ნაწილი წარმოადგენს ქართველ მწერალი ქალის მარიამ გარბაყელის მოგონებებს მისი ცხოვრების შესახებ. ამითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოგონებები

ნებადი ბევრმხრივ საუელისსმო და საინტერესო ნაწარმოებია. პირველი ის, რომ ავტორი ქართველ მკითხველს აცნობს მეფის რუსეთის შავნელ და მძიმე ცხოვრების პირობებში ქარ-



თელი ქალის მოღვაწეობას — შრომასა და ბრძოლას თავისი შრომობიური ერის ერთგულ გამოითქმობიერებისთვის.

ამას გარდა მოგონებანი ასახავენ ისეთ დიდ პერიოდს, როგორც არის შოტე საუკუნის დასაწყისი, როდესაც მეფის ქუხლის ქვეშ მოქცეული ხალხს პროლეტარული ფენები გაღვივებული და ამხედრებული არიან სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ და ახალგაზრდა სტალინი კავასიაში და, კერძოდ საქართველოში, ამსაღებს ცხაას ხეთი წლის რევოლუციას.

ამ მოგონებების შესაშვ საგულისხმო მხარეს ის წამოიღვენს, რომ მასში უხედებით იბრუნებული ზეწი სულიერი ცხოვრების მსვეერების სახელებს — ილის, აკაის, ე. ვამაშვილს, ლადო მესხიშვილს და სხვებს. ამავე დროს მოგონებათა ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ პიროვნებათა სახელები უბრალოდ დასახელებით კი არ ამოიწერება, არამედ ისინი დახატული არიან შრომისა და ბრძოლის იმ პირობებში, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

სასამოგონოდ იკითხება მწერალი ქალის ბავშვობის ასაკის მოგონება. მეტადვე მიზიდველია იმდროინდელი იმერული სოფლის აღწერა, არა მარტო ბუნების მხრივ, არამედ ადამიანებისა და მათი ცხოვრების მხრივაც:

„ზამთას კარმიდამო შე მთელ სამყაროდ მეჩვენებოდა, თორმეტი გყავდა მიწა სამ ნაწილად დაეთო; პირველი შური ითესებოდა, მეორე სათიხად ვაეშეთ, შიგ დიდი კაკლები და შვიდი ზღები ედგათ. ხეების ზრდილი წელამდე მაღალი კონდარი ზღვასავით ღელავდა მესამე ქროში თხთხავალიანი ოდა, დიდი სამხალი სახლი, ზედ მიშენებული ბოსელით, ზედა და ორი სასიმინდე იდგა, ამათ უკან მოსდებოდა მადლი ჯარჯებინი, შვირის წნეული შემოღობილი ენახი“. ეს პატარა აღწერა მკითხველს ნათლად წარმოუდგენს თვალწინ ძველი იმერეთის სოფლის კარმიდამოს, რასაც თავისებური სიღამაზე და სურნელი ახლავს. ძალიან ცოცხლად გვიხატავს ავტორი გუბერადის ქალს, — ზღაბრების დაუმტეტელ წყაროს და ჩინებულ მობრობელს, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა გადაეთხელი ჰქონია და მის „სიყვარში ინახებოდა სიძველისაგან ვაცვითღებულა ხელნაწერი რვეულები: „ამირან-დარეჯანიანი“, „არსტომიანი“. დაბეჭდილი „ყარა-მანანი“, „არსტომიანი“. „ვეფხისტყაოსანის“ პირველი გამოცემა წმინდა ლოცვისავით ჰქონდა ოქრომკედლით ნაქსოვ აბრეშუმის ნაჭერში შეჭვეული“. ეს თვისება დამახასიათებელი იყო ქართველი ქალისათვის ქართველი დედებისათვის, რომელნიცყარებდნენ შვილებს თავიანთი შრომობიური ენისა და სამშობლოს. სერათოდ

მიზიდველად მოგვიხატავს ავტორი თავისი ბავშვობის შესახებ. მკითხველს ყურადღებით წარმოადგენს ოჯახის ცხოვრებას და ეყუდებოდა პირობებსა და გარემოებას, რომელშიც იბრუნებოდა ბავშვი იზრდებოდა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ის ნაკლებ, რომელიც მოგონების ამ ნაწილს ახასიათებს. ავტორი მერტად დიდ ადგილს უთმობს შრომობების გენეალოგიას და მათ ირგვლივ მეოფ ნათესაების აღწერას.

უფრო სინტეტურს და შინაარსიანი მოგონებათა შემდეგი ნაწილი, როდესაც ავტორი — ახალგაზრდა ქალი ქართული თეატრის სცენადა ელტავა. მიუხედავად იმისა, რომ მაინტენსიონი მსახიობის დიდი ნიჭი ვერ გამოიჩინა, როგორც თვითონ ავტორიც აღნიშნავს, ავტორი სცენას მაინც არ ეიღლება, და ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი ხალხის კულტურის საქმეში სცენიდან წარმოთქმული ნათელი სიტყვით. თეატრის სიყვარულშია მოგონებათა ავტორი დაახლოვება გამოჩინილ თეატრალურ მოღვაწეებს ლ. მესხიშვილს, ე. გუნისს, ე. შალიკაშვილს და სხვებს. ქართული თეატრი და სცენა ავტორისათვის თავისებური სკოლა იყო, რამაც გავლენა მოახდინა მის შემდგომ საქმიანობასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მაგალითად, პირველი მოთხრობა „სარდაფში“ მ. გარბიულს დაეწერია „ორი ობოლის“ გავლენით: „მხოლოდ ახლა, ამ სტიტიონების დაწერის დროს ობოლდათი წლის შემდეგ, ვაწმუნდებით, რომ ჩემი მოთხრობა „სარდაფში“, რომელიც 1918 წელს საქართველოს „მოამბეში“ დაიბეჭდა, უფროდ „ორი ობოლის“ შევავლენით დაეწერე... — „ორი ობოლი“ პარიზის ნაბიარლების ცხოვრებიდან არის დაწერილი, ჩემი „სარდაფი“ კი მაშინდელი ქართული ცხოვრების სინამდვილეს ასახავდა“. ახალგაზრდა ქართველი ქალზე ყოველი დრამატული ნაწარმოები, რომელიც სცენაზე იდგმებოდა ცხადია, დიდგავლენას ახდენდა, გარდა ამისა, დიდ შთაბეჭდილებას სტრუქტურა მასზე ქართული თეატრის დიდი კორიფეების ლ. მესხიშვილის, ე. გუნისს, ე. აბაშიძის, ე. ახაიძის, ტ. აბაშიძის და სხვების მიერ შექმნილი დაფიქრარი სახეები.

მოგონებებში გულთბილად და სიყვარულით არიან მოცემული ეს ადამიანები, ცოცხლად არიან დახატული თავიანთი მისწრაფებებით და ოცნებით, ტანჯვითა და სიხარულით, მოღვაწეობითა და ზავარდებით.

თეატრის მავრებელი იყო მოსწავლე ახალგაზრდობა, მოხვლეები, ხშირად სასტუმროებში დროებით მცხოვრები თავადანნებობა, ვაჭრები, ნოქრები და მწვრილხელისნები; ქალაქის მეცოცხლებელი მარღვი — ქარხანა-ფაბრიკები, რომელნიც თავის მუქვემ იფარებენ. მოწიათა ლეგიონებს, ქეთაისს არ ვახანდა. აი, ეს ხა-





ზოგადობა უდგამდა სულს ქართველ მსახიობს. სახელმწიფო არც ჯამაგირს აღლევდა მათ, და არც ბიუჯეტებს უზრტყებდა. ქართული თეატრი და მისი მსახიობი მიდიოდა ეკლიან გზაზე, ხშირად შვიერ-მწყურვალი, შიშველი და დაავადებული, მაგრამ მას უყვარდა მისი სამშობლოს ერთადერთი ტრიბუნა, საიდანაც გაისმოდა ცარიზმისაგან დევნილი მისი სამშობლო ენა". — ეს სტრატეგები ნათლად მეტყველებენ იმ მიმე მდგომარეობაზე, რომელშიც ქართული თეატრი იმყოფებოდა და რომელსაც მშვენივრად გადმოგვცემს მოგონებთა ავტორი, ავტორი მოზღენილად გადმოგვცემს იმ დროის ქართველი მსახიობების, განსაკუთრებით ლ. მესხიშვილის, ვ. გუნიას, ტ. აბაშიძის, კ. მესხის, ა. იმედაშვილის და სხვების ცხოვრებისა და მოღვაწეობის პატარა-პატარა სურათებს და ეპიზოდებს, რომელთა მოწმეც ავტორი ყოფილა. მარიამ გარიყულის მოგონებათა ერთი ნაწილი ეთმობა თბილისში მდებარე რევოლუციურ მოძრაობას, ახალგაზრდა სტალინის მიერ დარღვეული თბილისის რეინგვისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშები შეუპოვრად ებრძვიან შეეზნულ თვითშეპროვებობას, ებრძვიან რევოლუციას მტრებსა და მოლატეებს, ნაძალადეგში, — მუშათა უბანში მცხოვრები ახალგაზრდა მწერალი ქალი მოწამე ზღვება ამ დიდი მოძრაობისა და ყველაფერ იმას, რასაც ის ზედაეს და ვანიდის, უბრალოდ და უტყუარად გადმოგვცემს ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პოეტი მოგონება დაწერიალია მოკრძალებით.

უბრალოდ და მართლად, ამიტომ არის, რომ ეს წიგნი თავიდან ბოლომდე ინტერესსა და სიხარულს მოგონებებში ნათლად მოჩანს. მისი თარგმობა თანდათან ქართველი მწერალი ქალი, როგორ ზრდიდა მას სცენა, საზოგადოება, ცხოვრება და როგორ შეეცადა მწერლობაში ის, ცალკეული ეპიზოდები, სადაც აღწერილია შეხვედრები აკაისთან, ილიასთან, გ. გამაშვილთან, ირ. ევდომვილთან, კოტე მყავილთან, შოი მღვიმელთან და სხვებთან, მეტად საინტერესო მოგონებებს წარმოადგენენ და კმაყოფილებასა და ღრმა სიამოვნებას ჰგვრიან მკითხველს.

ამ წიგნის მეორე განყოფილება შეიცავს მარიამ გარიყულის სამ პატარა მოთხრობას, თუმცა ამ მოთხრობებს წიგნი ძალიან მცირე ნაწილი აქვს დათმობილი, სულ ოცოდე გვერდი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოგონებანი „განვლილი გზა“ ცალკე უნდა გამოცემულიყო, რადგან ეს ნაწარმოები, როგორც თემატიკურად, ისე მხატვრული შესრულების მხრივ, არსებითად განსხვავდება მოთხრობებისაგან.

წიგნი მოთავსებული სამივე მოთხრობა ასახავს სამამულო ომის დღევანდ, საბჭოთა ხალხისა და მათ შორის ქართველი მუშაკების ბრძოლას და თავდადებას ჩვენი დიდი სამშობლოს გამარჯვებისათვის.

მარიამ გარიყულის წიგნი „განვლილი გზა“ საინტერესო და სასარგებლო წიგნი.

ილ. სიხარულიძე

ბ. ბაშვრელიძე — „თბილისის უნივერსიტეტი“

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.



ამ წიგნის გამოცემით ჩვენს ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს საქართველოში უმაღლესი განათლების კერის აღდგენისა და დამკვიდრებისათვის ჩვენი ხალხის მოწინავე შეილთა მოღვაწეობას და იმ გზას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განვლს დარსების დღიდან ოცდაათი წლის მანძილზე.

შრომა ფრიად საყურადღებოა, იგი შეიცავს უმაღლესი განათლების საკითხის რეტროსპექტიულ მიმოხილვას ძველ საქართველოში, მოკლედ, მაგრამ ლაკონურად და დიდი პათეტური გრძნობით ავეიწერს, როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის გარეთ არსებულ ქართველთა განათლების ცენტრების საქმიანობას, მოზღენილად გვისურათებს მოწინავე ქართვე-

ლი ინტელექციის თავდადებად ბრძოლის კარიზმის დროს ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განუხორციელებელ იდეალისათვის და დაწერილობით აჩვენებს ჩვენს ყურადღებას იმ დიდ და ბრწყინვალე გზაზე, რომელიც მან განვლო საბჭოთა პერიოდში.

„ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამოყვრად იცავდა თავის თავისუფლებას, იგი გამირუღლ ივერიებდა რომის იმპერიალისტების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ტრიცხე თავდასხმას.“<sup>1</sup> ასევე, არანაკლები

<sup>1</sup> ლ. პ. ბერიძე, „ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ევებება უმაღლესი საბჭოს არჩევებს“. 1938 წ. გვ. 5-6.

თავდაღებით ზრუნავდა იგი დამწვევების ეამს, ჩვენი ქვეყნის სულთერი და მატერიალურ კულტურის ამაღლებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად მიღებული, მატერიალური კულტურის განსაცდობრებული ძეგლები, ერთბაშად კიდევ შეტყველებენ, თუ რა დიდი წვლილი შეუტანია ქართველ ხალხს კულტურის მსოფლიო საგანძურში. სარკვევნიო წიგნში სწორადაა ასახული, რომ „ქართველმა ტომებმა თავიანთი ერთგული და მატერიალურ-კულტურული განვითარების მრავალსაუფროვან პროცესში, სხვადასხვა საზოგადოებრივ წესწყობილების ცვლილებისას, თანდათანობით შეიძინეს და მრავალმხრივ გააფართოვეს თავიანთი ცოდნა კულტურის ყველა დარგში. ზრინეკვას და რკინის მეტალურგია, სპილენძის, ვერცხლის და სხვ. ლითონთა და თიხის დამუშავება, ხელოთმოდებრება (მეგალითური ნაგებობანი), მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მევენახეობა—ჩვენ აღრინდელ წინაპართა განვითარებას და მათ მალა კულტურის მოწმობს“...

„ქველი საქართველოს კულტურული განვითარების ეს მალაი დონე, ექვს გარეშეა, გულისხმობდა უმაღლესი განათლების ორგანიზაციისა და ისეთი ცენტრების არსებობასაც, სადაც ამ განათლების კრები უნდა არსებულიყო“.

შრომის დასაწყისშივე, მასალების უფრადღებთა განხილვის საფუძველზე, ავტორი არკვევს რა, უმაღლესი განათლების საქმეს ქველი საქართველოში, სამართლიანად აჩერებს ჩვენ უფრადღებას მის დიდ მნიშვნელობაზე, ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღორძინების ისტორიულ განვითარების პროცესში.

ქართველთა განათლების ცენტრების დაბასათებისას, კარგი იქნებოდა, რომ ავტორი უფრო მეტად შეჩერებულიყო იმ როლზე, რასაც უცხოეთში არსებული ქართველთა კულტურული კერები თამაშობდნენ თვით ბიზანტიის კულტურის განვითარებაში. ამის შესახებ ჩვენ მრავალი მასალები მოგვეპოვება. თუნდაც რად ორის მარტო ის ცნობა, რომელსაც ათონის ივერიის მონასტრის ხელთნაწერებში გვაწყდის გიორგი მთაწმინდელი რომელიც ბიზანტიაში ქართველთა საგანმანათლებლო მოღვაწეობის დაბასათებისას ამბობს: „რომლისა იგი სათნოებათა სახელი და ღირსებაა უფრადღეს საქართველოს განვითანა, და არა ხოლო საქართველოს ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა, და ამის მიზეზისათვის მრავალნი ღირსნი და წმინდანი კაცნი მოვიდეს მისა და ნათლდებოდეს ხილვითა“.

მისითა“.<sup>1</sup> იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და დიდ როლს თამაშობდნენ ქართველთა სამეცნიერო კერებზე არაქართველთა, არამედ თვით ბიზანტიის ცხოვრებაში, რომ ყოფილა მავალითები, როდესაც ბიზანტიის იმპერატორსაც კი, თავისი შეილებე განათლების მისაღებად ქართველთა მონასტრში მიუყვანია.

ქართველთა კულტურული ცენტრების ასეთი მისიის შესახებ მოწმობს ათონის ივერიის მონასტრის ხელთნაწერებში, ექვთიმე ათონელის (991 წ.) ბერ ილარიონ ქართველის ცხოვრების აღწერისას აღნიშნული შემდგევი ფრიად საყურადღებო ფაქტი: საბერძნეთის იმპერატორმა პასილიმ (867—886 წლ.) ქართველთა საგანმანათლებლო ცენტრის მოღვაწეებს „მოგვარა ორნი ძენი თავისნი, ლეონ და ალექსანდრე, და პრქვა მათ: ლოცვა ყავთ ამათთვის, წმინდანი მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენა თქვენი“...<sup>2</sup>

საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორიის საკითხების განხილვისას ასეთი ფაქტების აღნიშვნა სასურველი იქნებოდა.

სარკვევნიო შრომა, იხილავს რა ცარიზმის პერიოდში ჩვენი ხალხის მოწინავე შეილებე მიერ, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის წარმოებულ ბრძოლას, შეიცავს მდიდარ მასალას, რომელიც უხადყოფს ქართველი ხალხის შეუწყვეტილ მისწრაფებას სწავლა-განათლების საქმისადმი. იგი საბართლანად აჩერებს უფრადღებას იმ ფაქტზე, რომ ჩვენში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საქმე ქართველი ხალხის პოლიტიკურ მოთხოვნათა პრაგმატის ერთერთი საკითხთაგანი იყო. უმაღლესი განათლების საქმის ორგანიზაცია ერთერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა თანე ბატონიეილის მიერ 1779 წელს გიორგი მეფისადმი წარდგენილ სახელმწიფოებრივ რეფორმების პროექტში, რომელიც „ფართო სახელმწიფოებრივ რეფორმებთან ერთად, ითვალისწინებდა ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებებს კულტურის დარგში და კერძოდ, სწავლა-განათლების სფეროშიც. ამ პროექტით უნდა შექმნილიყო სამი უმაღლესი სასწავლებელი: თბილისისა, გორისა და თელავში“.<sup>3</sup>

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას საქმე ერთერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულთა პოლიტიკურ მოთხოვნებშიც.

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით. თბილისი 1901 წ. გვ. 62.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით. გვ. 102.

<sup>3</sup> გ. გამყრელიძე „თბილისის უნივერსიტეტი“. გვ. 11—12.

1. გ. გამყრელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი“. 1948 წ. გვ. 3.

შედის რუსეთის კოლონური პოლიტიკა. უწინააღმდეგებოდა და ზღუდავდა რა საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს, იმათათვე ასამარებდა ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების კეთილშობილურ იდეას. მაგრამ ქართველი ხალხი არ დრკობოდა და ბრძოლას განაგრძობდა სწავლისა და განათლების უფლებებისათვის.

წიგნში სწორადაა აღნიშნული, რომ უმაღლესი განათლების საკითხი „ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წრეებს შინეც საბრძოლო საკითხად მიიჩნდათ და მას ნაციონალური მოძრაობის პროგრამის მნიშვნელოვან საკითხად თვლიდნენ“.<sup>1</sup>

შრომის აღნიშნულ ნაწილში კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მოეყვანა ცნობები იმის შესახებ, თუ რა შიში მდგომარეობაში იყო ჩვენი ცარიზმის პერიოდში კვლევითი სამეცნიერო შემოაბის საქმე. აღნიშნულ საკითხზე მდიდარი მასალა მოიპოვება საქ. სახელ. არქივში, რამდენად შეზღუდულ და უშეუო მდგომარეობაში იყო ცარიზმის დროს ჩვენში კვლევითი სამეცნიერო საქმე, ამის შესახებ ცხადად მუტყველებს შემდეგი ფაქტი: „სახოფლო, მანუფაქტურულ მარეველობის და ვაქრობის ხელისშეწყობით კავკასიის საზოგადოება“. შეფის მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში მოითხოვდა, რათა „შეეცათ მისთვის უფლება, 1835 წლიდან აღნიშნულ საზოგადოების გამეებლობაში მუოფ თბილისის ბოტანიკური ბაღის ეკრო პირებზე გაეყდვის ან იჯარით გაეყმის“, რათა აღებულა ფულთ დაეფარათ საზოგადოების მიერ მასზე დღემდე დახარჯული თანხა 8000 მანეთი“.<sup>2</sup>

სარეცენზოო შრომა უერადლებით აღნიშნავს ამ დიდ ზრუნვასა და დეაწლს, რაც წილად ხდება საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთ, ავად, ივანე ჯავახიშვილის, პროფ. პეტრე მელიქიშვილს და სხვ. ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების, მისი პირველი ფეხისადგმის და სამეცნიერო-საქმიანობის დახასიათებისათვის, რომელიც უნივერსიტეტში ჩატარა დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა. აქ მეტად მდიდარი კონკრეტული მასალის განხილვის საფუძველზე, მოცემულია ცალკე ეტაპების მიხედვით, უნივერსიტეტის შემოაბის ფართო ანალიზი.

შრომის თან ერთვის კარგად დამუშავებულ მდიდარი სტატისტიკური მასალა, რომელიც ნათელ სერათს იძლევა იმისას თუ, ჩვენ პე-

რობებში, როგორ სწრაფად ვიზარდა და ჩამოყალიბდა ტფილისის უნივერსიტეტი უდიდეს სამეცნიერო დაწესებულებად, რომლის წინაშე სამეცნიერო კადრები, აღმოცენდა სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მთელი სისტემა და ამ საფუძველზე როგორ მოშადა ნიადაგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისათვის.

აქ მეტად საუერადლებო ცნობებია უნივერსიტეტის პროფესორ პედაგოგიური კადრების ზრდის შესახებ, ცნობილია, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ეამს ქართველი სამეცნიერო კადრები მეტად მცირე იყო, რისთვისაც ჩვენი მეცნიერების დიდი მოამავენი, პ. მელიქიშვილი და ფ. ჯავახიშვილი რუსეთის უნივერსიტეტებში ექუბდნენ აქამო თითო-ოროლად ვაბნეულ ქართველ პროფესორებს. მაგრამ დაარსების დღიდან 30 წლის თავზე ჩვენი უნივერსიტეტი უკვე თავის რიგებში ითვლიდა 70 პროფესორს, 186 დოცენტს, 172 ლექტორსა და მასწავლებლებს. 56 ასისტენტსა და სხვა, რომელთაგან 1947 წლისათვის — 62 მეცნიერებათა დოქტორი იყო, ხოლო 245 მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველო მოწინავე ინდუსტრიის ქვეყანაა. იგი მარგანეტის მარეველობის, ფოლადის მეტალურგიის, ნახშირის, ნავთისა და კიდრო ენერგეტიული მეურნეობის ქვეყანაა. მაგრამ ინდუსტრიის საფუძველზე ვარდაქმნილი სოფლის მეურნეობით, იგი ჩაის, ძვირფას სუბტროპიკულ ტექსტიურ ეულტურების და მევენახეობა მეღვინეობის ქვეყანაცაა.

თბილისის უნივერსიტეტი და მის საფუძველზე აღმოცენებულ სპეციალური ინსტიტუტები წარმატებით უზრუნველყოფენ საქართველოს სახალხო მეურნეობის ამ მეტად მრავალფეროვან დარგთა მშარდი მოთხოვნილების დამყოფილებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

შრომაში ზოგჯერ მეტად მოკლედა წარმოდგენილი ჩვენი მეცნიერების დამსახურებულ მოღაწეთა დახასიათება, ასე მაგ. ვაუმართლებელია სამი თბი სტრიქონით დახასიათება ისეთი დიდი ქართველი მეცნიერების, როგორც იყვენენ ივანე თარხნიშვილი, ვახილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხაბანაშვილი და სხვ. (იხ. სარეცენზოო შრომა, გვ. 18).

წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ მასში საკმარისად არ არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის მიერ 30 წლის მანძილზე ჩატარებული დიდი კვლევითი სამეცნიერო შემოაბის დახასიათება.

თბილისის უნივერსიტეტის არსებობის ოცდაათი წლის მანძილზე მრავალი სტატები და საეფრნალო წერილები გამოქვეყნებულა, რომ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>2</sup> პროფ. პ. ვუგუშვილი: „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1938 წ. თბილისი, ტ. I, გვ. 151.



ლებიც არკვევენ უნივერსიტეტის მუშაობას ცალკე პერიოდების მიხედვით, ან აგვიწერენ და გვიხსიათებენ მეცნიერული ძიების ამა თუ იმ დარგში მოპოებულ წარმატებებს, თუ მოწინავე ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობას, მაგრამ შრომა, რომელიც სრულად და მთლიან კომპლექსში ასახავს ჩვენში უმაღლესი განათლების პრობლემის დაცემას, უნივერსიტეტის დაარსებისა და მის წინადაგზე დღემდე განვლილ პერიოდში ჩატარებულ დიდ მუშაობას, ჩვენ არ ვგვჩინო.

ამ მხრივ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სარეცენზიო წიგნი იგივეთა გამოცემისა და მისი მნიშვნელობაც დიდია, იგი შეიცავს ჩვენში უმაღლესი განათლების შესახებ არსებულ ისტორიულ ლიტერატურის გულდამშით შესწავლას საფუძველზე დამუშავებულ და ერთ მთლიან კონტექსტში ორგანიზულად და-

კავშირებულ ფრიად საუერადებო მიმოხილვას. მასში მოკლედ და დამაჯერებლად განხილული თითქმის ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი ისტორიულად დაკავშირებულნი არიან ამ დიად საქმესთან, ამა თუ იმ მასალის გამოყენებისას ყველგან მითითებულია მათი წყაროები. შრომაში მოყვანილია თბილისის უნივერსიტეტის შესახებ არსებული ლიტერატურის თემიცა არასრული. მაგრამ მდიდარი ბიბლიოგრაფიული მარევენელი. წიგნი დაწერილია მეტად მოხდენილი და ლამაზი ენით, თამაშად შეიძლება ითქვას, რომ იგი მიუხედავად ზემოლენიშნულ შედარებით უმნიშვნელო ნაყლისა, თანაბრად საინტერესოა მკითხველთა ფართო საზოგადოებისა, სტუდენტობისა და მეცნიერ მკვლევარისათვისაც.

მიხეილ ასათიანი

3. ბრეზანში — „ნარკავიშვიდი ბელათის ბავლის ისტორიიდან“

გამოცემა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატისა. 1940 წ.



სარეცენზიო წიგნი საინტერესოდ არის მოახლობლი ჩვენი ისტორიისა და კულტურის უდიდესი ძეგლის ისტორია. მის შესახებ არსებული მდიდარი მასალები, რომლებიც დღემდე გაბნეული და ხელმოწყვეტენელი იყო მკითხველთა ფართო მასებისათვის, ავტორს დიდი გულმოდგინებით დაუბრუნებია და სისტემაში მოუყვანია.

საბჭოთა მკითხველი ამ ნაშრომს დიდი ინტერესით და ხალხით წაიკითხავს. იგი მოგვითხრობს ჩვენი ერის გმირულ და დიდებულ წარსულზე იმ ხანებში, როდესაც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა წინაპრების, ან ხუნება არ იყო, და ან მამინ ისინი კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ.

განსაკუთრებით საინტერესოდ არის შედგენილი შესავალი წიგნი, რომელიც შეიცავს გელათის ძეგლის ისტორიულ მიმოხილვას და მისი დამაარსებლის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე აღწერას. შესავალი წიგნი იწყება ამ ისტორიული ძეგლის დღევანდელი ადგილმდებარეობისა და დღემდე დატული ძეგლისძველებების დაწერილობით აღწერით. ავტორს ცალკე აქვს აღწერილი გელათის ძეგლის შემდეგი ისტორიული წიგნებიანი: 1. ლეონტიმროლის სახელობის მთაჯიბი ტაძარი; 2. წმინდა გიორგის სახელობის; 3. ტაძარი ველისა; 3. წმინდა ნიკოლოზ სასწი-

ვლთაძემდის ეკლესია; 4. სამრევლო — ძველი საპრობილე; 5. განჯის ქალაქის ციხისკარი; 6. უმაღლესი სკოლის (კაედემის) შენობა (მოხლოდ კედლები და შესავალი გადარჩენილი); 7. ქვის გალავანი; 8. ეზოს გადღმა პირველ მდგარი ქვის პალატებიანი ნაგებობა, რომელსაც სოხანტარს (ქეიონს) ეძახიან და 9. წმინდა ელის სახელობის ეკლესია. ავტორს უმთავრეს მიზნად დაუსხავს აღწეროს თითოეული ძეგლი, მაგრამ ვიდრე იგი დასახელებული ძეგლების აღწერას შეუდგებოდეს, მოკლედ ეხება და ახსიათებს იმ პიროვნებას, რომლის სახელთანაც არიან დაკავშირებულნი ეს ძეგლები.

ეს არის საქართველოს გამოჩენილი მეფე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, უდიდესი სტრატეგი და ნიჭიერი სარდალი დავით აღმაშენებელი. ავტორი ეხება მისი მდიდარი მოღვაწეობის მთავარ ეტაპებს, მის ხანგრძლივ ომებს საქართველოდან თურქ-სელჯუკების გასაძევნად და სამეფო საზღვრების შემოსამტკიცებლად.

პირველ თავში აღწერილია ლეონტიმროლის სახელობის გელათის მთაჯიბი ტაძრის ისტორია, აღწერილია ამ ტაძრის კედლების მხატვრობა, წარწერები და სხვა ძვირფასი ნივთები, დარბაზი აქვს მასში დარბაზულ პართი სია მოკლე ბიოგრაფიებით, დაზუსტებულია ზოგიერთი ძველი თარიღი, მიახლოებით დადგენ-

ლია ზოგიერთი ახალი თარიღები. უარყოფილია ზოგიერთ ისტორიკოსთა სავეჭო დებულებები, გამოთქმულია მრავალი მართალი მონახრება თამარ მეფის გელათში დაკრძალვის შესახებ, დადგენილია გელათის აგების დაწვებისა და დამთავრების თარიღები.

შემდეგ თავებში ასეთივე წესით აღწერილია წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, სამარჯლო (ძველი საქარობილე), განჯის ქალაქის ციხის კარები, და სხვა, განსაკუთრებით ვრცლად არის მოყვანილი ქართული და უცხოურ წყაროებიდან ცნობები გელათის აკადემიის შესახებ. ავტორი ამტკიცებს, რომ სამონასტრო ცენტრებით ადრევე ცნობილი ყოფილა სამხრეთ საქართველო და სახელდობრ: ბანა, იშხანი, იმცი, ხახული, პარხალი, ხანძთა და სხვა მთელი რაგი, უძველესი ცენტრები, რომლებიც ნათლად დაუდებენ მაშინდელი საქართველოს მაღალ კულტურულ ვითარებაზე. ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნულია ქართველების ღრულვა ბიზანტიისაკენ უმაღლესი სწავლა-განათლების მისაღებად. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია ცნობები გიორგი მთაწმინდელის 80 ახალგაზრდა ქართველით ბიზანტიაში გამგზავრების შესახებ. ათონის მონასტერში ვარდა მსახურებისა ყოფილა 300 ქართველი მღვდელ მონაზონი. პეტრიწონის მონასტრისა და მისთან არსებულ სახელგანთქმული აკადემიის შესახებ ავტორს ვრცლად აქვს მოყვანილი სხვადასხვა წყაროებიდან ისტორიული ცნობები. საქართველოში დაბრუნებული პეტრიწი

დავით აღმაშენებელს გელათის აკადემიაში სპირიტუალად ვაუგზავნია, სარეკონსულ მღვწის ავტორს ბევრი დამაჯერებელი ცნობებიც მოყვანილი აქვს მოყვანილი იმის შესახებ, რომ საქართველოში გელათის ვარდა აკადემიები არსებულა იკალათს, კრემსა და თბილისში. გელათის აკადემიის შესახებ თავი დიდი ინტერესით იკითხება. საქართველოს მეცნიერების ამ უძველეს კერაზე ავტორს ბევრი საინტერესო ცნობები შეუგროვებია და სისტემაში მოყვანილია. ასევე დიდი ინტერესით იკითხება სოხანსტერი, ანუ დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ქსენონი.

წიგნს დართული აქვს 38 ფოტოსურათი. ფოტოსურათები დაბეჭდილია ყოველდ უეარგი სად. ზოგიერთი სურათიდან სრულად არაფერა ჩანს. ასეთია სურათები მე-8 საუკუნის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ნანგრევები გელათის გადაღმა, გელათის აკადემიის კათედრა, გელათის ცხოში დაცული მე-17 საუკუნის ჩუქურთმისანი ხის სახლი და სხვა. ზოგიერთი სურათიც ბუნდოანია. გამომცემლობას ამისთვის ყურადღება უნდა მიექცია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სურათი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

მუდგებად ზოგიერთი ტექნიკური ნაკლისა ამ საკითრ და სამარჯებლო წიგნის გამოცემა მისასალმებელია და იგი ჩვენი ლიტერატურის კარგ შენამენად უნდა ჩაითვალოს.

**გ. მალალაშვილი.**

## შინაარსი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — მწიანე ლილი, მოთხრობა . . . . .	53-3
უილიამ შამსპირი — სონეტები, თარგმანი ინგლისურიდან რ ე ე ა ზ თ ა ბ უ კ ა შ ე ი- ლისა . . . . .	40
კონსტანტინე ბაშსაბაშვილი — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი მესამე, გაგრ- ძელება . . . . .	43
ახალბაზრად მწარლანის შემოქმედება: ვაღერაიან საღლიანი — აედრის შემდეგ არჩილ სულაქაური — დედა, ჩემი ქეჩა; შოთა აკობია — სოფ- ლის გახსენება, მეგრული თოხნური, დილა ყანაში, ჩემი სოფლის ერთი შუკა; ნი- კოლოზ თალაკვაძე — ეგნატე ნინოშვილს; შოთა ლომსაძე — მესხეთს ვაშენებ; სტეფანე არღუნელი — სიმღერა . . . . .	55-50
ვარლამ შურული — მიწის სუნთქვა, ლექსები . . . . .	61
კონსტანტინე შანტი — თავისუფლების გზა, რომანი, თარგმანი ინგლისურიდან გ ი ე ი ე ე ა ნ ი ა ს ი . . . . .	64
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . . .	87
ალამ მიცკაძე — კონრად ვალენროდი, გაგრძელება . . . . .	92
კლიმენტი ბოგიაშვილი — ფერმა იერს პირას, მოთხრობა . . . . .	102
—	
პეტრე ბახტაშვილი — ლიტერატურის პარტიკულარისათვის, მაღალი მხატვრული ხა- რისხისათვის, წერილი . . . . .	121
ლავროსი კალანდანი — რომანი გამარჯვებულ ადამიანზე, წერილი . . . . .	130
პავლე ინგოროშვილი — გიორგი მერჩულე, ქართული მწერალი მეათე საუკუნისა, წე- რილი . . . . .	144
—	
ლევან ასათიანი — „შალვა აფხაძე — ლექსები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	172
შალვა ალბაზიშვილი — „უნგრეთის დიდი პოეტი შანდორ პეტეფი ქართულ ენაზე“, ბიბლიოგრაფია . . . . .	175
ი. ნახიძე — „გიორგი შატბერაშვილი — უკუდავი ფესვი“, ბიბლიოგრაფია . . . . .	178
ლ. პ. — „სიმონ ხუნდაძე — მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადო- ებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, ბიბლიოგრაფია . . . . .	181
ფ. სიხარულიძე — „მარიამ გარიყელი — „განვლილი გზა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	183
მიხეილ ასათიანი — „გ. გამყრელიძე — „თბილისის უნივერსიტეტი“, ბიბლიო- გრაფია . . . . .	185
ბ. მაღალაშვილი — „მ. გოქსაძე — „სარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“, ბიბლიოგრაფია . . . . .	188

მასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი ავაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრა ავაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუხისმგებელი მდიანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროშვი, სერგო კლდიაშვილი, ალიო შირაძეშლავა (მავაშვილი), გამსარინე ჟღენტი, გალაკტიონე ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიანა შინგელიანი.

---

ზელმოწერილია დასაბუქდად 11/XI-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 12 ფ. შპ 05159.  
შეგ. № 1140. ტირაჟი 5.700.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბუღოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა  
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательства при  
Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.